www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 28 დეკემბერი, 2002 წელი. №209
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### სუუამის ქვეყნები ერთმანეთს საკონსულო მომსახურებით დაეხმარებიან

იქ, სადაც საქართველოს საელჩო არ არის, უკრაინის, უზბეკეთის, მოლდოვასა და აზერბაიჯანის საელჩოები მოგემსახურებათ

A3

## უცხოეთი

### ააფეთქეს ჩეჩნეთის მთავრობის სახლი

გუშინ, შუადღისას ტერორისტებმა ჩეჩნეთის მთავრობის შენობა ააფეთქეს. უკანასკნელი მონაცემებით, დაღუპულია 40 და დაჭრილია ასზე მეტი ადამიანი.

A4

## ეკონომიკა

### საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებს თეორიები არ ერგება

უნივერსიტეტელი ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელი არაფერია; ოღონდ საჭიროა სერიოზული ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება. მათი შეფასებით, საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემები არც ერთ არსებულ ეკონომიკურ თეორიას არ ესადაგება.

A6

## სამართალი

### აფხაზური ეგზეკუციის მიზეზი გაეროს მისია გახდა

ჯერ კიდევ უცნობია, გალში ჩატარებული "ანტიკრიმინალური წმენდის" შედეგად დაკავებული ქართველი ეროვნების ადამიანებიდან რამდენი რჩება აფხაზთა ტყვეობაში.

A7

## საზოგადოება

### „ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით, გვითხრა აფხაზმა ბიჭმა„

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი "კავკასიური სახლი", რამდენიმე წელია, თანამშრომლობს "ჰაინრიხ ბიოლის" ფონდთან. პროექტის ფარგლებში ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. ამ დღეებში ციკლის - "ეთნიკური საკითხები და თანამედროვე მიდგომები" დასკვნითი სემინარი გაიმართა.

A8

## ნომრის სტუმარი

### "ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია"

ცხრა წლის რეზიკო ნატრობს, მასაც "ნორმალური" დედა ჰყავდეს. კოლეგებს სურთ, ისე მოიქცეს, როგორც მათ უნდათ... ის კი ისე იქცევა, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად...

B1

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 3 |
| ქუთაისი | 8 |
| ბათუმი | 10 |
| სოხუმი | 7 |
| ფოთი | 9 |
| თელავი | 3 |
| ზუგდიდი | 8 |
| გორი | 2 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1119 |
| ევრო | 2.1928 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3826 |
| რუბლი | 0.0664 |

# იხსნება ბიუჯეტზე "ნადირობის სეზონი"

გიორგი ასანიშვილი

*სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურამ, უკვე დიდი ხანია, დაკარგა კანონშემოქმედებითი პროცესის სახე. ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის მიღება თანდათან კანცელარიასა და პარლამენტს შორის გამართულ დიდ ბაზრობას ემსგავსება. ბიუჯეტის პროექტისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ, აღმასრულებელი ხელისუფლება ცალკეულ ფრაქციებსა და დეპუტატებს რაღაცას ჰპირდება: ზოგს - თანამდებობას, ზოგს - უკანონო ბიზნესსა და შემოსავლებზე თვალის დახუჭვას, ზოგს - სამთავრობო პარტიების საარჩევნო სიებში ჩასმას, - განა, ცოტა რამე სჭირდება ადამიანს "სრული ბედნიერებისთვის"? მართალია, პარლამენტში "თეთრი ყვავებიც" გამოერევიან ხოლმე, რომლებიც ასეთ გარიგებებში პრინციპულად არ მონაწილეობენ, მაგრამ ისინი საკანონმდებლო ორგანოში ამინდს ვერ ქმნიან. კანონმდებელთა კორპუსში უფრო ისინი სჭარბობენ, ვინც სახელმწიფო კანცელარიას 30 ვერცხლზე "ცოტა" ძვირად სთავაზობს თავის სულსა და ხმას.*

ძნელი სათქმელია, ეს აპრობირებული სქემა წელსაც წარმატებით იმუშავებს თუ - არა. შეიძლება, რამდენიმე გარემოებამ ყველაფერი აურ-დაურიოს. ჯერ ერთი, 2003 წელს საპარლამენტო არჩევნები ტარდება და ამდენად, პოზიციის გამოხატვას ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც ქვეყნის ბიუჯეტია, დიდი სიფრთხილე სჭირდება - გაუაზრებლად ნათქვამი თითოეული სიტყვა თუ ქმედება (ხმის მიცემა),

გაგრძელება A2 გვერდზე



ახალი ბიუჯეტი კამათში კი არა, კულუარულ გარიგებებში იბადება.

# რატომ ცდილობს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო კათედრების გაუქმებას

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის„

*საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციები, შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შემცირების პარალელურად, არმიის რეზერვის მომზადებასაც გულისხმობს. საქართველოში კი ამ თვალსაზრისით დღემდე ბევრი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ ხერხდება. მიზეზი, როგორც ყოველთვის, ბანალურია - უფულობა. თუმცა, თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ პრობლემის მოგვარება შიდა რეზერვებითაც შეიძლება, რისთვისაც ზოგიერთი დრომოჭმული ინსტიტუტის დემონტაჟია საჭირო.*

უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრების შექმნა და მათ ბაზაზე ზოგიერთი სპეციალობის თადარიგის ოფიცრის მომზადება, ტრადიციას საბჭოთა სისტემიდან იღებს. თუმცა, მაშინ ეს ინსტიტუტი ხელისუფლების მხრიდან მკაცრად კონტროლირდებოდა - სამხედრო კათედრა მხოლოდ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში არსებობდა, მათ სათანადო ტექნიკური ბაზა გააჩნდათ და სტუდენტებიც ანგარიშს უწევდნენ სამხედრო ფორმიან აღმზრდელებს.

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში ეს ინსტიტუტი დამახინჯებული სახით გადმოვიდა. ამის საილუსტრაციოდ

გაგრძელება A3 გვერდზე

# შესაძლოა, ქუთაისის ავტოქარხნის ირგვლივ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბოს

*ქუთაისის ავტოქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ამირან ნაცვლიშვილის გატაცებიდან თითქმის ერთი თვე გავიდა. თუმცა, მისი გატაცების რეალური მიზეზები დღემდე უცნობი რჩება. გამოძიება ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ იმას ამბობს, რომ ნაცვლიშვილი სასტიკად იყო ნაცემი. თავად დაზარალებულის პირველი კომენტარებიც ბუნდოვანი და არაფრისმთქმელია.*

ბექა სისაური

თავდაპირველად ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ გამტაცებლებს არათუ ფული, საერთოდ არაფერი მოუთხოვიათ. შემდეგ კი ადგილობრივი პრესისადმი მიცემულ ინტერვიუში მაკონტროლებელი ორგანოებისკენ გაიშვირა ხელი. თითქოსდა, მათ უკანონო შემოწმებებს რომ არ ვემორჩილებოდი, ამიტომაც ჩემთვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტესო. თუმცა, რომელ მაკონტროლებელ ორგანოზე აქვს ნაცვლიშვილს ეჭვი, ამას იგი აღარ აკონკრეტებს.

გაგრძელება A7 გვერდზე

# "საქგაზი" არ დამანახოთ!"

*სახელმწიფო მინისტრმა საგანგებო თათბირზე მოითხოვა "თბილგაზის" გენერალური დირექტორის, ვახტანგ ცაავას დასჯა, "საქგაზთან" ძველი ხელშეკრულების გაგრძელების გამო. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია ცაავას მოხსნის თაობაზე, მაგრამ ენერგოსექტორზე პასუხისმგებელმა პირებმა ეს არ დაადასტურეს. თუმცა, იქვე აღნიშნეს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე ამგვარი გადაწყვეტილების მიღება გასაკვირი არ უნდა იყოს. ავბედითი ხელშეკრულების გაგრძელების წინაპირობად ამ კომპანიის გენერალური დირექტორის, ლეონიდ დეიკალოს ოფიციალური წერილი იქცა. "საქგაზი", თუ საფასურს წინასწარ არ გადაუხდიდნენ, 1 იანვარს თბილისისთვის გაზის შეწყვეტით იმუქრებოდა.*

მაია ურუშაძე

გუშინ სახელმწიფო მინისტრთან საგანგებოდ შეკრებილი ენერგეტიკის დარგის კურატორები აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ვახტანგ ცაავამ "საქგაზთან" დადებული ძველი ხელშეკრულება გააგრძელა. **"საქგაზი" არ დამანახოთ!"** – მოკლედ მოუჭრა ავთანდილ ჯორბენაძემ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავასა და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს ალეკო გოცირიძეს და "იტერასთან" პირდაპირი

გაგრძელება A6 გვერდზე

# ახალი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი„ სამხრეთ აზიაში

რევაზ ბახტაძე

*თურქმენეთიდან პაკისტანისაკენ, ავღანეთის გავლით, გაზსადენის მშენებლობას რეგიონის ლიდერები ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, კეთილდღეობასა და უსაფრთხოების განმტკიცებას უკავშირებენ. თუმცა, ლიდერთა გეგმები, სავარაუდოდ, აუხდენელ ოცნებად დარჩება.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# "აღმოსავლურ-დასავლური დივანი" ახალი წლის მოლოდინში

თამარ სუხიშვილი

"ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა ასეთ შეხვედრაზე დასწრება", - ამბობს ირანის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ჰოსეინ ამინიან თუსი, - "ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა ქართველ მკითხველს გააცნო სპარსული პოეზიის კორიფეები, რომელთაც მხატვრული აზროვნებისა და მელოდიურობის თვალსაზრისით ბადალი არ მოეპოვება..." გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანთა კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი, რომელიც ერთი შეხედვისთანავე იპყრობს ყურადღებას არაჩვეულებრივად ლამაზი გაფორმებით, გამომცემლობა "დიოგენემ" (დირექტორი თამარ ლებანიძე) დასტამბა, რედაქტორია ანა ჭაბაშვილი, დიზაინი გუგა კოტეტიშვილსა და ბესიკ დანელიას ეკუთვნის. "დიოგენეს" პროექტი ევროპის საბჭოს თბილისის საინფორმაციო ბიუროს, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საელჩოების მხარდაჭერით განხორციელდა.

გაგრძელება B2 გვერდზე



ვახუშტი კოტეტიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# მსოფლიოს პირველი კლონირებული ადამიანი მოევლინა

ლევან ღირსიაშვილი

*სააგენტო "ფრანს-პრესი" იუწყება კლონირებული გოგონას, ევას, დაბადების შესახებ, რომელიც თავისი 30 წლის ამერიკელი დედის ზუსტი გენეტიკური ასლია. სააგენტომ ეს ინფორმაცია გაავრცელა რელიგიურ სექტაზე "რაელიტებზე" დაყრდნობით. ამ სექტის ერთ-ერთმა ლიდერმა და კომპანია "კლონაიდის" ხელმძღვანელმა, ფრანგმა ქიმიკოსმა ბრიჯიტ ბუასელიემ განაცხადეს, რომ პირველი კლონის დაბადება საკეისრო ოპერაციით გახდა შესაძლებელი. თუმცა, ამის მიუხედავად, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ბუასელიე ადამიანის კლონირების პროექტს პირადად ხელმძღვანელობდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 უცხოეთი | A5 რეკლამა | A6 ეკონომიკა | A7 სამართალი | A8 საზოგადოება
B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში, ოთხი ანტიტერორისტული ბატალიონიდან მეორის მომზადება 16 იანვრიდან კრწანისის პოლიგონზე დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვი თბილისს ჩეჩენი ტერორისტების მფარველობაში კვლავ ადანაშაულებს და "ბოევიკების" რუსეთში დაუყოვნებლივ ექსტრადიციას მოითხოვს.

"ჩეჩენი ტერორისტების რუსეთში ექსტრადიციის გაჭიანურებით თბილისი, ნებსით თუ უნებლიედ, ხელს უწყობს "ბოევიკებს", - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სეპარატისტული აფხაზეთის პირველი პირები აცხადებენ, რომ 25 დეკემბერს გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში მათ მიერ განხორციელებული "ანტიკრიმინალური ოპერაცია" გაეროს მისიასთან შეთანხმებული იყო. ბოლო მონაცემებით, სეპარატისტთა ტყვეობაში 16 ქართველი რჩება, რომელთაც სოხუმიდან ჩამოყვანილი ექვსი გამომძიებელი დაკითხავს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ პოლიტიკური გაერთიანება "დათვი" ("დაე ამობრწყინდეს თავისუფლების ვარსკვლავი, იბრწყინოს"), რომლის ლიდერიც შს საქმეთა ყოფილი მინისტრი, "მხედრიონის" ერთ-ერთი დამფუძნებელი თემურ ხაჩიშვილია, იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საშობაო არდადეგების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო დონეზე მოითხოვს რუსეთის მხრიდან "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევის" ფაქტის შეფასებას, რაც აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში გამოიხატა. განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის განცხადებით, ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთის მხარეს საპროტესტო ნოტა გაეგზავნება. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი დარწმუნებულია, რომ მომავალი წლიდან აღდგება ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიების შეხვედრები და მოლაპარაკებები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება, თუ დეპუტატებს შეზღუდული იმუნიტეტი დაიცავთ. მისი თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც პარლამენტარები ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე პროკურატურაში მისვლას და ჩვენების მიცემას თავს არიდებენ. შეზღუდული იმუნიტეტის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება მნიშვნელოვნად გამარტივდება, - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი აცხადებს, რომ თუ რუსეთი სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერებაზე ოფიციალურ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს, მაშინ მისი უწყება იძულებული იქნება, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა შეზღუდოს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მიხეილ ოსაძის დროებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაში მაჟორიტარი დეპუტატი ნიკო ლეკიშვილი და ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" წევრი ვალერი კვარაცხელია იმუშავებენ. ეს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მიიღო. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოში დღეს ყოფილი "ლეიბორისტებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წევრებისგან ახალი - "სამართლიანობის" ფრაქცია შეიქმნა.

ფრაქციაში ყოფილ "ლეიბორისტებთან" ჯუმბერ შენგელიასთან და ავთანდილ ტყებუჩავასთან ერთად, "ნაციონალი" ლევან ჭკუასელიც გაერთიანდა. ფრაქციის თავმჯდომარე ჯუმბერ შენგელია იქნება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო კავშირის აღდგენას საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო გეგმის ნაწილად აფასებს, რომელიც რუსეთის კრასნოდარის მხარესთან აფხაზეთის შეერთებას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენელთა განცხადებით, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უნდა შეისწავლოს რეგლამენტისა და კონსტიტუციის ყველა დარღვევა და მოამზადოს სპეციალური რეზოლუციის პროექტი. სახელისუფლებო ფრაქციებმა საკუთარ მოთხოვნებს მიმართვის ფორმა მისცეს. ისინი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და მის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს უუნარობაში ამხელენ. **ინტერ-პრესი.**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

ბინის მისამართი:

სამუშაო ადგილი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# იხსნება ბიუჯეტზე "ნადირობის სეზონი"

პირველი გვერდიდან

ამა თუ იმ დეპუტატს მომავალი წლის შემოდგომაზე, შეიძლება, თავის საწინააღმდეგოდაც შეუბრუნდეს.

გარდა ამისა, "გაერთიანებული დემოკრატების" საკანონმდებლო ინიციატივამ, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ, ახალი რეალობა შექმნა. ჟვანიას გუნდის მიერ 115-ლარიანი მინიმალური ხელფასის მოთხოვნა, ფაქტობრივად, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ალტერნატივად იქცა. მართალია, ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი აცხადებს, რომ "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივა მეორე მოსმენის დროს განსახილველი თემაა, მაგრამ ეს ბევრად ვერ ცვლის სიტუაციას. დღეს საკითხი უკვე ასეთი რაკურსით დგება: "მითხარი, უჭერ თუ არა მხარს მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას და გეტყვი, როგორი დეპუტატი ხარ".

ამიტომ მრავალ "მერყევ" დეპუტატს, რომლებზეც კანცელარია ყოველთვის აკეთებდა გათვლას, უჭირს ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ღიად მხარდაჭერა.

ძალთა ბალანსი გუშინდელი დღისთვის ასეთი იყო: მთავრობას გარანტირებული ჰქონდა "მოქალაქეთა კავშირის" (12 წევრი), "ალიანსის" (18), "თანადგომის" (18), "სოციალისტების (11), "აფხაზეთის" (11) და "მაჟორიტარების" (14) ხმები - სულ 84. ასევე თითქმის გარკვეული იყო, თუ ვინ იქნება ბიუჯეტის მიღების მტკიცე მოწინააღმდეგე. ესენი არიან: "გაერთიანებული დემოკრატები" (22 წევრი), "ახალი მემარჯვენეები" (17), "ნაციონალები" (10), "აღორძინება" (13), "ერთიანი საქართველო" (10), "XXI საუკუნე" (10) და "ტრადიციონალისტები" (13). ანუ სულ 97 დეპუტატი.


შეკითხვებს ფინანსთა მინისტრი თითქმის ცარიელ დარბაზში პასუხობდა.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის პროექტი ჩასაგდებად არის განწირული: რჩება კიდევ 52 პარლამენტარი - 15 "ახალი აფხაზეთიდან", ამდენივე "მრეწველებიდან" და 22 დამოუკიდებელი დეპუტატი. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტის მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებს, მაინც დიდია იმის ალბათობა, რომ ამ 52-დან სახელისუფლებო ძალები 34-ის გადაბირებას შეძლებენ.

როდესაც სურათი მეტ-ნაკლებად ნათელია, პოზიციები კი - ასე თუ ისე გამოკვეთილი, პარლამენტის სხდომა ინტერესს კარგავს: ტრიბუნასთან მდგარ ფინანსთა მინისტრს თითქმის ცარიელ დარბაზში არავინ უსმენდა და დეპუტატების მიერ წინა დღით დასმულ შეკითხვებს მირიან გოგიაშვილი უფრო ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში ჟურნალისტების თვალსაწიერის გასაფართოებლად თუ პასუხობდა.

ახალი ბიუჯეტი კამათში კი არა, კულუარულ გარიგებებში იბადება. ამიტომ, ალბათ, "ნეტარ არიან" ის დეპუტატები, ვისაც კიდევ სჯერა, რომ თავისი მკვეთრი გამოსვლებით კოლეგებს რწმენას შეაცვლევინებს და წლის მთავარი ეკონომიკური კანონისთვის ხმის მიცემას გადააფიქრებინებს.

ასეთი გამოსვლები კი გუშინდელი სხდომის დროს მრავლად იყო.

**"უმწეო ადამიანების დახმარებისთვის ბიუჯეტის პროექტში მხოლოდ 82 ათასი ლარია ჩადებული, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტისთვის - 11 მილიონი. ერთი მინისტრის მანქანის მომსახურებას წელიწადში 8 ათასი ლარი დასჭირდება, ერთი დონით უფრო დაბალი მოხელისას - 5 ათასი, კიდევ უფრო დაბალი რანგისას - 3 ათასი... ასეთ ბიუჯეტს ხმა როგორ უნდა მისცე?"** - ამუნათებდა კოლეგებს ჯემალ გოგიტიძე.

მისივე თქმით, ბიუჯეტის მიღება ხელისუფლებას მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ სავალუტო ფონდმა მორიგი ტრანში გამოყოს. **"მოდით, ჩავაგდოთ 2003 წლის ბიუჯეტი და ვნახოთ, რა მოხდება",** - საკმაოდ "საინტერესო" ექსპერიმენტის ჩატარებას სთავაზობს ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე პარლამენტარებს. ისე, ჯემალ გოგიტიძე და მისი ფრაქცია, შესაძლოა, მაინც ტყუილად შევიყვანეთ ბიუჯეტის მტკიცე მოწინააღმდეგეების ჩამონათვალში: გუშინ მან კიდევ ერთხელ გაიმეორა მოთხოვნა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის თემურ ბასილიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და თუ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება, სულაც არ იქნება გამორიცხული, რომ "აღორძინება" 2003 წლის ბიუჯეტის მხარდამჭერთა შორის ვიხილოთ.

ბევრ რამეს ნათელი დღეს მოეფინება: პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პირველი მოსმენით შაბათ დილით ეყრება კენჭი. თუმცა, ეს უფრო დასასრულის დასაწყისი თუ იქნება: პირველი მოსმენისას, როგორც წესი, ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზეა საუბარი, "ნადირობის სეზონი" კი მხოლოდ მეორე მოსმენისას იხსნება - ცალკეულ უწყებებზე და სფეროებზე საბიუჯეტო სახსრების განაწილება სწორედ ამ ეტაპზე ხდება და ამდენად, მსუყე ნაჭრის დასათრევად ამაზე უკეთესი დრო არ არსებობს.

# რატომ ცდილობს თავდაცვის სამინისტრო სამხედრო კათედრების გაუქმებას

პირველი გვერდიდან

ასეთი სტატისტიკაც იკმარებს. თუ საბჭოთა პერიოდის საქართველოში სამხედრო კათედრის საშტატო სტრუქტურა მხოლოდ სამ უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდა, რომელიც ორმილიონიან საბჭოთა არმიას ყოველწლიურად 1500 თადარიგის ოფიცერს უმზადებდა, დამოუკიდებლობის შემდეგ სამხედრო კათედრა 12 ქართულ უმაღლეს სასწავლებელში აღმოცენდა, რომლებიც საქართველოს 22 ათასიან შეიარაღებული ძალებისთვის ყოველწლიურად 4500 თადარიგის ლეიტენანტს უშვებენ. რა თქმა უნდა, "უშვებენ" ბრჭყალებში, რადგან სამხედრო კათედრაგავლილი ოფიცრების მომზადების დონე ვერც ერთი პარამეტრით ვერ აკმაყოფილებს იმ ნორმატივებს, რაც უმცროს მეთაურს მოეთხოვება. გარდა ამისა, რეალურადაც დეფიციტური სამხედრო სპეციალობების დასაკომპლექტებლად, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ყოველწლიურად მხოლოდ ამ ციფრზე ათჯერ ნაკლები ანუ 400-500 ახალგაზრდა ოფიცერი ესაჭიროება. დანარჩენი კი, რბილად რომ თქვათ, უსარგებლო რეზერვი და წყალში გადაყრილი მილიონებია.

სამხედრო უწყების ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის ბიუჯეტს სამხედრო კათედრების შენახვა წელიწადში 3,5 მილიონი ლარი უჯდება. ამას ემატებოდა სამხედრო პედაგოგების ეგრეთწოდებული კვების კონპენსაციის თანხა 100 000 ლარი, რაც უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს მწირი ბიუჯეტიდან იფარებოდა.

აქედან გამომდინარე, ამ მოძველებული ინსტიტუტის დემონტაჟიც, პირველი რიგში, სამხედრო უწყების ინტერესში შედიოდა. მაგრამ ვინაიდან სამხედრო კათედრების ოპტიმიზაციას საკანონმდებლო ცვლილება სჭირდება, თავდაცვის სამინისტრომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მხოლოდ უმნიშვნელო ზედმეტი ტვირთის მოხსნა შეძლო. 2001 წლის წლის 4 ივნისს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება და კმაყოფიდან მოხსნა სამხედრო კათედრებზე მოქმედი ოთხასი საშტატო თანამდებობა.

ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებამ სამხედრო კათედრებზე მომუშავე პედაგოგთა უკმაყოფილება გამოიწვია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ისინი არც ტყუიან, რადგან თავის დროზე მათი გასამხედროებაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ბრძანებით მოხდა. მათ ვერც იმაში დასდებ ბრალს, რომ უმაღლესი სასწავლო ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. უდავოდ, არც კეთილსინდისიერი ადამიანების ნაკლებობას განიცდის სამხედრო კათედრები.

თუმცა, ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგნის თუ გამოცდის ჩაწყობამ სამხედრო საქმეში ძალიან გავრცელებული სახე მიიღო. სტატიის წერის დროს, ჩვენ არაერთი ინკოგნიტო რესპონდენტი დაგვიკავშირდა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სამხედრო კათედრაზე გამოცდის ჩასაბარებლად მათ გარკვეული საფასური გადაიხადეს. სამხედრო კათედრებზე გაცხოველებულ აღებმიცემობას არც თავად თავდაცვის სამინისტროში უარყოფენ. სამხედრო უწყების წარმომადგენელთა განცხადებით, ბევრ უმაღლეს სასწავლებელში დაწესებულია არალეგალური გადასახადი, დაახლოებით, 50 ლარი, რასაც უცოდინარი სტუდენტი "მაღარიჩის" სახით, საკურსო გამოცდის ჩასაბარებლად სამხედრო კათედრაზე იხდის. შეკრების გავლის პერიოდში კი ეს თანხა, თურმე, 200 ლარამდე იზრდება.

ეს რაც შეეხება არალეგალურ გადასახადს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამხედრო კათედრების ფუნქციონირება ზემოხსენებული თორმეტი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობისთვის მათი წარმატებული ბიზნესის საფუძველსაც წარმოადგენს.

საქმე ის არის, რომ სოკოებივით მომრავლებული უმაღლესი სასწავლებლებიდან მამრობითი სქესის აბიტურიენტები სწორედ იმას ეტანებიან, რომელსაც სამხედრო კათედრა აქვს. ეს რომ ასეა, იმ სარეკლამო განცხადებებითაც ჩანს, რომელსაც აღნიშნული სასწავლებლების ხელმძღვანელობა მისაღები გამოცდების წინ აკეთებს. საბაზრო ურთიერთობების დროს კი თითოეული სტუდენტის სწავლის საფასური ლეგალური შემოსავლის წყაროა.

აქედან ცხადია, რომ, ამგვარი სათბურის მოშლა, რომელსაც ალბათ ბევრ მაღალჩინოსანი მოხელე მფარველობს უმაღლეს ინსტანციებში, ერთი უწყების შესაძლებლობას აშკარად აღემატება.

თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, თავდაცვის სამინისტროში ამუშავებენ პროექტს, რომელიც ამ რთული პრობლემის მოგვარებას რამდენიმე ეტაპად გულისხმობს.

თავდაპირველად შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ შემუშავდება სამხედრო სპეციალობების ნუსხა და განისაზღვრება კონტინგენტის რაოდენობა, 400-500 სპეციალისტი - ნაცვლად 4500-ისა. აღნიშნული კონტინგენტი მომზადებას შესაფერისად აღჭურვილ სამხედრო კათედრებზე გაივლის. თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ლეჟავას თქმით, აქცენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტების სამხედრო ბაზებზე შეჩერდება, კარგი მოსამზადებელი ბაზა აქვს,აგრეთვე, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტსაც.

რაც შეეხება სამხედრო კათედრაგავლილ სტუდენტებს, მათთვის ოფიცრის პირველადი წოდების მინიჭებისა და რეზერვში ჩარიცხვის საკითხს სპეციალური კომისია გადაწყვეტს. სამხედრო უწყება კიდევ უფრო შორს უმიზნებს. მას მიაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს სრულ კმაყოფაზე მომავალში შესაძლოა დაისვას სამხედრო პროფილის ინსტიტუტის შექმნა. ხოლო იმ თანხით, რასაც სახელმწიფო სამხედრო კათედრების დასაფინანსებლად იყენებს, უფრო გონივრული იქნებოდა, ოფიცერთა რეზერვის მომზადება სამომავლოდ მთლიანად ეროვნული გვარდიის ბაზაზე მომხდარიყო, როგორც ეს ამერიკაშია და, სხვათა შორის, რასაც ეროვნული გვარდიის ახალი სტრუქტურაც ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, თავდაცვის სამინისტრო ახალი ცვლილებით ერთბაშად რამდენიმე კურდღლის მონადირებას ცდილობს: კვლავ აქტიურ სამხედრო სამსახურში დააბრუნებს სამხედრო კათედრებზე გაფანტულ პროფესიონალ კადრებს, დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს, მიიღებს უფრო კარგად მომზადებულ თადარიგის ოფიცრებს და გაუზრდის გასაწვევ რესურსს სამხედრო კომისარიატს, რომლებმაც საშემოდგომო გაწვევა, ჯერჯერობით, 20 პროცენტითაც ვერ შეასრულეს.

# „ლეიბორისტებმა" ჯიბეები ამოიტრიალეს

სოფო ბუკია

თუ გაინტერესებთ, რომელი "ლეიბორისტია" ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი, ამის გაგება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. თბილისის საკრებულოში შემავალმა ფრაქცია "ლეიბორისტების" წევრებმა გუშინ თვითგვემა-თვითლუსტრაცია ჩაიტარეს - თავიანთი ნებით ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაციები შეავსეს და ქაღალდზე ზედმიწევნით ჩამოთვალეს, რისი ბატონ-პატრონები არიან.

როგორც ამ მოვლენისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ითქვა, საკრებულოს წევრებს მსგავსი დეკლარაციების შევსება, კანონის თანახმად, არ ევალებათ. მიუხედავად ამისა, შალვა ნათელაშვილის გუნდის წევრები მზად არიან, დროგამოშვებით ამ საქმისთვის მოიცალონ და მოსახლეობა საკუთარ ჯიბეში ჩაახედონ, **"რათა საჯაროდ იყოს ცნობილი, რა ქონების პატრონები იყვნენ ლეიბორისტები საკრებულოში მოსვლამდე და რა ექნებათ შემდეგ."**

**"სამ თვეში, ექვს თვეში ან წელიწადში ერთხელ შევავსებთ ამგვარ დეკლარაციებს. თუ დეკლარაციაში ჩვენს ხელფასთან შეუსაბამო შენაძენი დაფიქსირდება, მაშინ კორუფციაში ვიქნებით მხილებულნი,"** – ამბობს ფრაქცია "ლეიბორისტების" თავმჯდომარე გიორგი გუგავა. საკრებულოს წევრს, კომპენსაციის სახით, თვეში 220 ლარი ეძლევა, ფრაქციების თავმჯდომარეები დამატებით კიდევ 150-170 ლარს ღებულობენ, ამდენად, თვითლუსტრირებულ "ლეიბორისტებს" შენაძენებზე უარის თქმა მოუწევთ.

ამგვარი "თავგანწირვა" ლეიბორისტებს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე კორუფციულმა ვითარებამ და ახალ საკრებულოში უკვე შემჩნეულმა "კორუფციულმა ელემენტებმა" გადააწყვეტინათ. **"საკრებულოს ზოგიერთი წევრის ქონება, ქალაქის საკანონმდებლო ორგანოში ორთვიანი მოღვაწეობის თავზე, ძვირადღირებული ავტომანქანითა და ათი წლის ხელფასის ოდენობის თანხით გაიზარდა. ეს ქონება მათ საჩუქრად ერგოთ მხოლოდ იმისთვის, რომ რამდენიმე საკითხის განხილვისას მერისთვის სასურველ გადაწყვეტილებას დაუჭირეს მხარი".**

კონკრეტულად ვინ არიან "უეცრად გამდიდრებული" საკრებულოელები, ამას ტაქტიანი "ლეიბორისტები" ჯერ არ ასახელებენ, რადგან კოლეგებისთვის ახალი წლის ჩამწარება არ უნდათ, ნაახალწლევს კი სინდისი აღარ შეაწუხებთ და თამამად დაასახელებენ კორუმპირებულთა გვარებს. თუმცა, გუშინ იმის გაგება მაინც შევძელით, რომ გამდიდრებულთა სიაში, ლეიბორისტების პრესმდივნის გელა დანელიას თქმით, "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი წევრები არიან, რომელთაც ძველებურად აკავშირებთ ზოდელავასთან "თბილი ურთიერთობები".

გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, შრომის პარტიის წევრები საკრებულოელ კოლეგებს ურჩევენ, მსგავსი დეკლარაციები შეავსონ და მოსახლეობის წინაშე ჯიბეები მათაც ამოატრიალონ.

"ლეიბორისტები" საკუთარ თავს მდიდრებად არ მიიჩნევენ, თუმცა არც ღარიბთა სიაში ჩასაწერად ემეტებათ თავი.

თვითლუსტრირებული "ლეიბორისტები," აღნიშნული ინიციატივით, საკრებულოში არაკორუფციული კლიმატის დამკვიდრებასა და **"ასე ნაბიჯ-ნაბიჯ კორუფციის საერთოდაც დამარცხებას"** აპირებენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# კავკასიაში კონფლიქტური ზონები ტერორიზმის პოტენციური „ბუდეა"

*2003 წლის თებერვალში თბილისი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პირველ საპარლამენტო ფორუმს უმასპინძლებს. ასამბლეის დაფუძნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ამ დღეებში ლონდონში ხელი ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა დეპუტატებმა მოაწერეს.*
*გთავაზობთ ინტერვიუს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან გივი შუღაროვთან.*

ეკა კვესიტაძე

- სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის იდეა სამი წლის წინ გაჩნდა და ის ჩვენი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ეკუთვნის. მაგრამ მაშინ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს იდეა ვერ განხორციელდა, რადგან უნდობლობის ფაქტორი ძალიან დიდი იყო. პირველი შეხვედრები იმდენად დაძაბული აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებმა, ფაქტობრივად, ვერც ერთ საკითხზე ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა.

მიუხედავად ამისა, პროექტზე მუშაობა მაინც არ შეჩერებულა. ამ მიმართულებით უზარმაზარი როლი ითამაშა ინგლისელთა ძალისხმევამ, რომლებმაც ყველა ღონე იხმარეს იმისათვის, რომ ეს იდეა განხორციელებულიყო.

საბოლოოდ საკითხი მომწიფდა და ლონდონის ბოლო შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ სამხრეთ კავკასიის პირველი საპარლამენტო ფორუმი თბილისში თებერვლის თვეში შედგება. ფორუმს ინგლისელები აფინანსებენ და ის სასტუმრო "მარიოტში" ჩატარდება.

**- რატომ გახდა ეს საკითხი მნიშვნელოვანი ინგლისის მთავრობისათვის?**

- მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყანა ცალცალკე, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, დასავლეთისათვის საკმაოდ მიმზიდველია, მათ მთავარ ინტერესს მაინც მთლიანად რეგიონი წარმოადგენს. ამიტომ დასავლეთის წამყვანი ქვეყნები სერიოზულად არიან დაინტერესებულნი ამ რეგიონში კონფლიქტების მოგვარებით. სტაბილურ სამხრეთ კავკასიასთან ბევრად უფრო მიმზიდველი იქნება ეკონომიკური თანამშრომლობა. გარდა ამისა, წამყვან სახელმწიფოებში აცნობიერებენ იმას, რომ კონფლიქტური ზონები კავკასიაში ტერორიზმის პოტენციური "ბუდეა". ასე რომ, თუ რეგიონში არ იქნება სტაბილურობა და კონფლიქტები პოლიტიკური ხერხებით არ გადაწყდება, ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები დასავლეთსაც შეუქმნას.

**- სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დაძაბულობა იმდენად დიდია, რომ ძალიან ხშირად ისინი იმ კონფერენციებზეც კი ერიდებიან ერთად დასწრებას, სადაც მათთვის აბსოლუტურად უმტკივნეულო თემები განიხილება. ჩვენ ახლა ვსაუბრობთ საპარლამენტო ასამბლეაზე, სადაც სომეხ და აზერბაიჯანელ დეპუტატებს მათთვის ძალიან მტკივნეულ საკითხებზე მოუწევთ მსჯელობა. როგორ მოხდა, რომ ისინი ამ ინიციატივის განხორციელებას დათანხმდნენ. შეიძლება თუ არა, ვივარაუდოთ, რომ მათ მიდგომებში რაღაც ცვლილებები გაჩნდა?**

- როგორც ჩანს, უკვე ყველას მობეზრდა, რომ საერთაშორისო კონფერენციებზე ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის მიმართ კონფრონტაციით გამოირჩეოდა . ალბათ, თვითონაც მიხვდნენ იმას, რომ ამ გზით ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევენ.

ფაქტია, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში დასავლეთის ქვეყნები სხვადასხვა გზებით ცდილობენ, გაყინული კონფლიქტები ადგილიდან დაიძრას. ამასთან, ყველამ კარგად იცის, რომ დასავლეთს, ფინანსური დახმარების სახით, სერიოზული ბერკეტები აქვს. ამიტომ მისი რეკომენდაციების უგულებელყოფა საკამოდ სარისკო საქმეა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენც ძალიან ვართ დაინტერესებულნი, რომ ყარაბაღის კონფლიქტი მოგვარდეს. ჩვენ გვჭირდება სტაბილური მეზობლები და მათთან მშვიდობიანი და ეფექტური თანამშრომლობა.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ საქართველოში ნახევარი მილიონი სომეხი და ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. მართალია, დიდი მიღწევა იყო ის, რომ ყარაბაღის კონფლიქტის დროს მათ შორის არანაირი დაპირისპირება არ წარმოქმნილა, მაგრამ კარგად გვესმის, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება სტაბილურობის სერიოზული ფაქტორი იქნება საქართველოშიც.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს სწორედ საპარლამენტო ასამბლეის შექმნას ეყრება საფუძველი. რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც უფრო შეზღუდულები არიან და უფრო არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურას ემორჩილებიან. დეპუტატები კი უფრო თავისუფლები არიან და მათი ლეგიტიმურობის ხარისხიც უფრო მაღალია.



გივი შუღაროვი

**- რა პერიოდულობით შეიკრიბება ეს ფორუმი და როგორი იქნება მისი შემადგენლობა?**

- საპარლამენტო ფორუმი, ჯერჯერობით, წელიწადში მხოლოდ ორჯერ ჩატარდება. ის წარმოდგენილი იქნება ათ-ათი წევრით სამივე ქვეყნის პარლამენტიდან. აქედან სამი მუდმივი წევრი იქნება, რომ მემკვიდრეობითობა არ დაიკარგოს, 7 წევრი კი როტაციას დაექვემდებარება.. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ფორუმში მონაწილეობა სამივე ქვეყნის პარლამენტის ფართო წარმომადგენლობამ მიიღოს. საბოლოო ჯამში კი ჩვენი მიზანია, რომ ამ ფორუმმა საფუძველი ჩაუყაროს მუდმივმოქმედ საპარლამენტო ასამბლეას.

**- როგორი იქნება პირველი ფორუმის დღის წესრიგი. შეეხება თუ არა ის ყარაბაღის კონფლიქტს და სხვა მტკივნეულ თემებს და, საერთოდ, რა ფუნქციას შეასრულებს ის?**

- თავიდან იყო საუბარი, რომ მუშაობა კონფლიქტების განხილვით დაგვეწყო. მაგრამ შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს ძალიან სარისკო ნაბიჯი იქნებოდა და ფორუმის მომავალი მუშაობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დაეყენებინა.

საბოლოოდ შევთანხმდით, რომ დღის წესრიგში სამივე ქვეყნისთვის მისაღები თემები ყოფილიყო. ეს არის სამხრეთ კავკასიის ინტეგრაცია ევროსტრუქტურებში და ნატოში.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, რომ პირველივე ფორუმზე გავარკვიოთ, რა იქნება ამ საპარლამენტო ასამბლეის ფუნქცია და რა ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ. ამიტომ, ინგლისელების წინადადებით, ფორუმს წინ უსწრებს სემინარი, სადაც მოწვეულნი იქნებიან ევროსაბჭოს, ევროკავშირის და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტები, რომლებიც შეეცდებიან, აგვიხსნან, თუ რა ამოცანებს წყვეტს ასეთი ორგანიზაციები ევროპაში. ბუნებრივია, ჩვენი პრობლემების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ გამოცდილებას პირდაპირ ვერ გადმოვიტანთ, მაგრამ ის მაინც ძალიან საგულისხმო იქნება ამ ფორუმის მონაწილეებისთვის.

უკვე შევთანხმდით, რომ თუ პირველი ფორუმის მუშაობა პოზიტიური იქნება, ინგლისელები დაფინანსებას გააგრძელებენ და ჩვენი მომდევნო შეხვედრები კონფლიქტების განხილვას მიეძღვნება.

**- თებერვალში სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. როგორ პროგნოზს გააკეთებდით და როგორ ფიქრობთ, იქონიებს თუ არა არჩევნების შედეგები გავლენას ამ ქვეყნის მიდგომაზე ყარაბაღის კონფლიქტისადმი?**

- რამდენადაც ვიცი, ოპოზიციურმა პარტიებმა გადაწყვიტეს, რომ არჩევნების წინ ერთი საერთო კანდიდატის გარშემო გაერთიანდნენ - საუბარია კარინ დემირჭიანის შვილზე, პარლამენტის წევრსა და პოლიტიკური პარტიის ლიდერზე. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ 16 პარტიამ შეთანხმების მიღწევა შეძლოს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველაზე რეალური კანდიდატი ახლანდელი პრეზიდენტი კოჩარიანია.

რაც შეეხება ცვლილებებს, სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები მაინც განხორციელდება. რადგან მსოფლიო ძალიან სწრაფად ვითარდება, ძალიან ბევრი რამ იცვლება და მსოფლიო დინამიკისთვის ფეხის აწყობა მეტ-ნაკლებად ყველას მოუწევს.

**- ბოლო კითხვა ჯავახეთთან დაკავშირებით - რატომ წამოიწია ბოლო დღეებში მასმედიაში ავტონომიის მოთხოვნის თემამ, რამდენად კონტროლირებადია სიტუაცია ამ რეგიონში?**

- რამდენადაც ვიცი, ამ ეტაპზე ჯავახეთში ნორმალური ვითარებაა და ჩემთვის გაუგებარია, დღეს, როცა ამდენი პრობლემაა, რა საჭირო იყო ამ თემის ხელოვნურად გამწვავება.

**- თუმცა, როგორი ნორმალური ვითარებაც არ უნდა იყოს დღეს ჯავახეთში, ცხადია, რომ ამ რეგიონის პრობლემა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ყველა კრიზისულ პერიოდში მოხდება ამ პრობლემით მანიპულირება. რას აკეთებს ხელისუფლება იმისათვის, რომ ქვეყანას პოტენციური საფრთხე ააშოროს თავიდან?**

- პირველ რიგში, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, არის ის, რომ რეგიონის მოსახლეობას თავი ამ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ აგრძნობინოს და ელემენტარული სოციალური პრობლემები მოუგვაროს.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ახალქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რუსეთის ბაზაშია დასაქმებული. ხელისუფლებამ ახლავე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ამ ხალხს სხვა ალტერნატიული სამუშაო ადგილები შეუქმნას, რათა შემდეგ სერიოზული პრობლემების წინაშე არ აღმოჩნდეს.

მესმის, რომ ბევრი შესაძლებლობა ამ ხელისუფლებას არ აქვს, მაგრამ არც არსებული რესურსების გამოყენება ხდება.

თუ მრავალი პრობლემის გადაწყვეტა გაძნელებულია, რა უდგას წინ იმას, რომ მოსახლეობას მოყვანილი პროდუქტის რეალიზებაში ხელი შეუწყონ?

მიმაჩნია, რომ ბევრი საკითხი ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტია. პრეზიდენტის განკარგულება უკვე არსებობს ამ რეგიონთან დაკავშირებით, მაგრამ საკითხავია, ასრულებს თუ არა ვინმე ამ განკარგულებას, არის თუ არა გამოყოფილი საჭირო თანხები მის შესასრულებლად, არსებობს თუ არა მონიტორინგი - რა და როგორ კეთდება.

დღეს უკვე აღარ არის ის დრო, რომ მხოლოდ განკარგულების დაწერა შველოდეს საქმეს და წყვეტდეს პრობლემებს.

წინა პარლამენტმა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ამ რეგიონის მოსახლეობას მიწა საკუთრებაში გადასცა. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. ბევრი სხვა პრობლემა დარჩა მოსაგვარებელი.

ქართული ენის არცოდნა სომეხი მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, ეს მათ ხელს უშლის, რომ ამ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგძნონ თავი. მართალია, რაღაც პროგრამები მუშაობს, მაგრამ ეს აშკარად არ არის საკმარისი, გაცილებით ბევრი რამეა ამ მხრივ გასაკეთებელი.

ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალქალაქში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი გაიხსნა, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

ფაქტი ერთია, ჯავახეთში ძალიან შრომისმოყვარე და კანონმორჩილი ხალხი ცხოვრობს, ამიტომ თუ ხელისუფლება ადექვატურ ნაბიჯებს გადადგამს, ჯავახეთი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე გახდება.

რაც შეეხება ამ რეგიონში პოლიტიკური პარტიების არსებობას, მათი სიძლიერე და გავლენა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რაც მთავრია, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ, ეს პარტიები ნამდვილად არ გამოირჩევიან სომხეთის პოლიტიკურ წრეებთან მჭიდრო კავშირებით.

დღეს ოფიციალური სომხეთი საქართველოსთან დამოკიდებულებაში ძალიან კონსტრუქციული და ფრთხილია. მათ ურთიერთობა უკვე გაფუჭებული აქვთ აზერბაიჯანთან და საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება მათთვის უკვე დამღუპველი იქნება.

# სუუამის ქვეყნები ერთმანეთს საკონსულო მომსახურებით დაეხმარებიან

## იქ, სადაც საქართველოს საელჩო არ არის, უკრაინის, უზბეკეთის, მოლდოვასა და აზერბაიჯანის საელჩოები მოგემსახურებათ

*საქართველო გუშინ ოფიციალურად შეუერთდა სუუამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) პოლიტიკურ ბლოკში შემავალი ქვეყნების კონვენციას საკონსულო საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ. კონვენციის რატიფიკაციის დოკუმენტი, უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო სამსახურის დეპარტამენტის დირექტორს მიკოლა მაიმესკულს გადასცა.* ***"სუუამის ქვეყნების ინტეგრაციის თვალსაზრისით, ამ კონვენციის რატიფიცირება შეიძლება, წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს. სუუამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, ამიერიდან რეალურად იგრძნობენ, რომ ისინი ერთი სივრცის ნაწილი არიან,"*** *– განაცხადა გუშინ, კიევში გამართულ ბრიფინგზე, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა სერგეი ბოროდენკომ.*

საკონსულო საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ კონვენციას, უკრაინის ინიციატივით, 2001 წლის 7 ივნისს, სუუამის იალტის სამიტზე მოეწერა ხელი. მას შემდეგ, კონვენციამ რატიფიცირება გაიარა უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვასა და უზბეკეთის პარლამენტებში. ბოლოს მას საქართველოც შეუერთდა. მთავარი კონვენციაში არის ის, რომ ქვეყნებში, სადაც წევრ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებს) არ აქვს საელჩო, ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს შეეძლებათ დასახმარებლად სუუამის იმ ქვეყნის(ან ქვეყნების) საელჩოს მიმართონ, რომელსაც იქ დიპლომატიური წარმომადგენლობა აქვს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უკრაინას მსოფლიოს 108 ქვეყანაში აქვს საელჩო და კიდევ თოთხმეტ ქვეყანაში საკონსულო, სუუამის დანარჩენმა ოთხმა ქვეყანამ ამ კონვენციის რატიფიცირებით ნამდვილად მოიგეს. ინფორმაციისთვის, საქართველოს 18 ქვეყანაში აქვს საელჩო, მოლდოვასაც – 18-ში, უზბეკეთს – რვაში, აზერბაიჯანს კი - შვიდ ქვეყანაში.

**"კონვენციის მიღება ნიშნავს, რომ სუუამის ხუთივე ქვეყანა ერთობლივად დაიცავს ჩვენს ბლოკში შემავალი სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს საზღვარგარეთის ქვეყნებში. საკონსულო მომსახურება მრავალფეროვანია, იქნება ეს ავტოავარიის თუ გარდაცვალების შემთხვევა სხვა ქვეყანაში, რაც ყველაზე პრობლემატური საკითხებია. ასევე კერძო ან სახელმწიფო კომპანიიების ინტერესების დაცვა,"** – განაცხადა წყარომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საქართველოს მოქალაქეებს ამიერიდან, სუუამის ქვეყნების საელჩოების საკონსულო მომსახურებით სარგებლობა შეეძლებათ. აზერბაიჯანის, უზბეკეთის, მოლდოვას და უკრაინის მოქალაქეებს კი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საელჩოები მოემსახურებიან.

*"24 საათი"*

# ისევ ცუდი ამბები სომალიდან

ზაზა წულაძე

*სომალის სიბაქ-რუუნის კლანის მეკობრეების მიერ გატაცებულ ბერძნულ გემ "ჟენლილზე" სიტუაცია სულ უფრო დრამატული ხდება. საკვებთან ერთად, გემზე საწვავიც იწურება.* ***"ჟენლილზე" საწვავის სამი-ოთხი დღის მარაგი დარჩა, თუ ზღვაში არ გავედით და რომელიმე ნავსადგურში არ შევედით, მე მგონი, სამუდამოდ მოგვიწევს აქ ჩარჩენა. საჭმელი თითქმის აღარაფერი აღარ არის, მაგრამ მაგაზე სულ არ ვფიქრობ, ერთი სული მაქვს, ამ საშინელებას მოვშორდე და ჩემს ოჯახს, შვილიშვილს ჩავეხუტო,"*** *– გვითხრა გუშინ კოკმა გულადი რუხაძემ, რომელიც საქართველოს კიდევ ხუთ მოქალაქესთან - ზურაბ გიორგაძესთან, არტურ არუთუნიანთან, ნიკოლოზ პიჟოვთან, ალექსანდრე ჩიჩაძესთან და ანატოლი არხანგოროდსკისთან ერთად, 151-ე დღეა, სომალის ტერიტორიულ წყლებშია დატყვევებული.*

"ჟენლილი" მთლიანად დიზელის საწვავზე მუშაობს, ამიტომ გემის საწვავის გარეშე დარჩენა კატასტროფის ტოლფასია. **"გემზე დგას სპეციალური გენერატორი, რომელიც დიზელის საწვავზე მუშაობს. თუ საწვავი ამოიწურა, მათ არ ექნებათ ენერგია, შესაბამისად, არ ექნებათ არაფერი, მათ შორის - არც სატელეფონო კავშირი. თუ ასე მოხდა, შემდეგ თავად გემის მოსაძებნი სამუშაოების ჩატარება დაგვჭირდება, ეს კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. ჩვენ არ ვიცით მათი ზუსტი კოორდინატები, სადღაც უკაცრიელ ადგილას დგანან, გარშემო მარტო ზღვა და უკაცრიელი კლდოვანი სანაპიროა,"** – გვითხრა საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილემ დავით მორგოშიამ. ეს ორგანიზაცია საქართველოში ყველაზე მეტს აკეთებს ფოთელი მეზღვაურების გასათავისუფლებლად.

**"მეკობრეებმა გემის მეპატრონეების მიერ გადახდილი 85 ათასი დოლარი ისევ ვერ გაიყვეს. მათ სპეციალური რაციები აქვთ და ასე ეკონტაქტებიან გემზე დარჩენილ რვა მეკობრეს. ორი დღის წინ გემის მეპატრონემ დაგვირეკა და გვითხრა, რომ ბოსაასოში ისევ გრძელდება მოლაპარაკებები მეკობრეთა დაჯგუფებებს შორის. რადგან ისინი ახალ პირობებს არ აყენებენ, ჩვენი საქმე, შეიძლება, მართლაც მალე გადაწყდეს. დღეს გვითხრეს, რომ ისევ სამი-ხუთი დღე სჭირდებათ. საწვავი რომ გვიმთავრდება, ესეც იციან,"** – ტელეფონით გვაცნობა გულადი რუხაძემ.

როგორც "ჟენლილის" მეპატრონე ბერძნული კომპანია "პალას ნავიგეიშენის" ადვოკატისგან, ნიკოს სოფრასისგან შევიტყვეთ, მოლაპარაკებებში სომალიში ცნობილი ადამიანის უფლებების დამცველიც ჩართულა. **"მე, როგორც ადვოკატს, ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებამდე, არ შემიძლია, დაგისახელოთ ამ პიროვნების სახელი და მოგცეთ მისი კოორდინატები, ასეთია კომპანიის გადაწყვეტილება. შემიძლია მხოლოდ დაგიდასტუროთ, რომ ეს პიროვნება აქტიურად ჩაერთო მოლაპარაკებებში, თუმცა რეალურ შედეგს ჯერ ვერ მივაღწიეთ,"** – გვითხრა ნიკოს სოფრასმა.

მეკობრეთა 20-კაციანმა ჯგუფმა ადენის ყურეში, სომალისგან გამოყოფილი პუნტლენდის ნავსადგურ ბოსაასოსთან საბერძნეთის ტვირთმზიდი გემი "ჟენლილი" 30 ივლისს დაატყვევა. 13 დეკემბრამდე ხომალდი ბოსაასოდან 250 კილომეტრის მოშორებით, სოფელ ბარკალასთან იდგა, 16 დეკემბრიდან კი პუნტლენდის მეზობელ, კიდევ ერთი თვითალიარებული სახელმწიფოს - სომალილენდის ტერიტორიულ წყლებში, ნავსადგურ ბერბერასგან, დაახლოებით, 150 კილომეტრის მოშორებით დგას. "ჟენლილის" მეპარტონე ბერძნულმა კომპანია "პალას ნავიგეიშენმა" მეკობრეების მიერ მოთხოვნილი 85 ათასი ამერიკული დოლარი სომალილენდის მოსაზღვრე ჯუჯა სახელმწიფოს - ჯიბუტის ერთ-ერთ ბანკში 30 ნოემბერს გადარიცხა. ფული 15 დეკემბერს გაიტანეს ბანკიდან, მას შემდეგ მეკობრეები კავშირზე აღარ გამოსულან.



## მსოფლიოს პირველი კლონირებული ადამიანი მოევლინა



ბრიჯიტ ბუასელიე

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარებული ყველა სამუშაო, ჯერჯერობით, სრულიად გასაიდუმლოებულია; ამდენად ბუასელიეს სიტყვების გადამოწმება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

"რაელიტთა სექტამ" რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ სულ ხუთი ადამიანის კლონის შექმნას აპირებს. წინა კვირას კი ბუასელიემ განაცხადა, რომ მსოფლიოს პირველ კლონირებულ ადამიანს სულ მალე მოუვლენდა და ახალშობილი თავისი 30 წლის დედის გენეტიკის იდენტური იქნებოდა. კლონის შექმნაზე კომპანია "კლონაიდი" მუშაობდა.

ვინ არიან "რაელიტები"? ეს სექტა საკმაოდ საინტერესო და უცნაურ გაერთიანებას წარმოადგენს. "რაელიტები" ამტკიცებენ, რომ მათ მთელ მსოფლიოში 55 ათასამდე მიმდევარი ჰყავთ. მათი რწმენით, სიცოცხლე დედამიწაზე 25 ათასი წლის წინათ ჩამოსულ უცხოპლანეტელთა მეშვეობით გაჩნდა, ხოლო თავად კაცობრიობა უცხო პლანეტიდან ჩამოსულთა კლონირების შედეგს წარმოადგენს. სექტის დამაარსებელია ვინმე რაელი - ყოფილი ფრანგი ჟურნალისტი კლოდ ვორინი. ის ამჟამად კანადაში, კვებეკის პროვინციაში ცხოვრობს და აცხადებს, რომ ის, რისიც მას სწამს, უცხოპლენეტელებმა უამბეს. მან 1997 წელს, ბაჰამის კუნძულებზე, გენეტიკური გამოკვლევის ჩატარების მიზნით, კომპანია "კლონაიდი" შექმნა. თუმცა ბრიჯიტ ბუასელიეს თქმით, კომპანია "კლონაიდი" რაელიტებთან მხოლოდ "ფილოსოფიურ" (და არა ფინანსურ) კავშირშია.

აღსანიშნავია, რომ კომპანია მხოლოდ აშშ-ს ტერიტორიაზე მოქმედებს. მისი ფუნქციონირება ბევრ ქვეყანაში აკრძალეს. აშშ-ს ხელისუფლება აცხადებს, რომ მათთვის ცნობილია კომპანიის საქმიანობის შესახებ, თუმცა ისინი ჯერ ამას კომენტარს არ უკეთებენ, ვიდრე პირველი კლონი არ დაიბადება.

ბრიჯიტ ბუასელიეს განცხადებამდე ერთი კვირით ადრე ადამიანის კლონირების კიდევ ერთმა ინიციატორმა, იტალიელმა დოქტორმა სევერინ ანტინორიმ ამცნო მსოფლიოს, რომ პირველი კლონირებული ადამიანი სამყაროს 2003 წლის იანვარში მოევლინებოდა. ბუასელიე და ანტინორი რამდენიმე წლის წინ ერთად მუშაობდნენ. მათ ჯერ კიდევ 2001 წელს გამართულ პრესკონფერენციაზე გაამჟღავნეს ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებული გეგმები. თუმცა, ისინი მარტონი არ არიან. მათი კიდევ ერთი თანამოაზრეა ამერიკელი დოქტორი პანოს ზავოსი. მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, თუ როდის დაიბადებოდა პირველი კლონი, მაგრამ განაცხადა, რომ ამ მიზნით სერიოზულ მუშაობას აწარმოებს. რამდენიმე ხნის წინ ზავოსმა განაცხადა, რომ მას ანტინორის შესაძლებლობების არ სჯერა. ბოლოს ანტინორმა "სპერმის უბრალო გამყიდველი" უწოდა ზავოსს. ბუასელიე კი მათ დისკუსიაში არ ჩარეულა.

აღსანიშნავია, რომ ბევრი მეცნიერი მათ განცხადებებს სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, ადამიანის კლონირება შესაძლებელია; თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით ურთულესი განსახორციელებელია, ხოლო ზოგიერთი სწავლული კი ფიქრობს, რომ ეს საკმაოდ სარისკო ინიციატივაა.

შოტლანდიის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი იან უილმუტი იმ მეცნიერთა რიცხვშია, რომლებმაც პირველად ცხვრის კლონირება მოახდინეს. ის იტალიელი ექიმის განცხადებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. **"იგი უკვე რამდენიმე წელია აცხადებს, რომ უამრავი ღორის კლონირება მოახდინა; თუმცა, ჯერ ვერავინ ნახა ეს ღორები და ვერც ის ლაბორატორიები, სადაც მათი კლონირება მოხდა. უკანასკნელ ხანებში იგი აცხადებს, რომ რამდენიმე პრიმატის კლონირებაც მოახდინა. ეს ჯერ ვერავინ შეძლო. და აი, უკვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ ქალის წიაღში კლონირებულ ბავშვს ზრდის. ამიტომ მე მის განცხადებებს სკეპტიკურად ვუყურებ,"** - განაცხადა იან უილმუტმა.

ამ ეტაპისათვის ხუთი ძუძუმწოვარა ცხოველია კლონირებული და ყველა მათგანს ჯანმრთელობის პრობლემები გაუჩნდა. პირველი კლონირებული ცხვარი ართრიტით არის დაავადებული. თუმცა, ამის მიუხედავად, ყველა მეცნიერი დარწმუნებულია, რომ ადამიანის კლონირება სავსებით შესაძლებელია.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება. ადამიანის პირველი კლონი დაიბადა. მართალია, ჯერ იგი არავის უნახავს, მაგრამ ამ პროექტის ხელმძღვანელი ბრიჯიტ ბუასელიე ჟურნალისტებს დაჰპირდა, რომ ერთ კვირაში გამოაქვეყნებს დაბადების ამსახველ ვიდეოკადრებს. როგორი იქნება კლონირებული ბავშვის მომავალი? ეს კითხვა ბევრ ადამიანს უჩნდება. **"ცხოველების კლონირების შედეგებმა დაადასტურა, რომ უმრავლეს შემთხვევაში კლონის განვითარების გზაზე თავს იჩენს სხვადასხვა ანომალიები. ხოლო კლონირებული პიროვნების სიცოცხლე კი კოშმარად იქცევა, რადგან 30 წლის ასაკში ის უკვე მოხუცებული ადამიანი იქნება,"** - განაცხადა მოსკოვის მოლეკულური გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ევგენი სვერდლოვმა. მისი თქმით, კლონირების შედეგად მახინჯის დაბადების რისკი 99 პროცენტს უტოლდება. მაგალითად, როცა ცხვრის კლონირებას ახდენდნენ, ექიმებმა 300 გადანერგვა განახორციელეს. ყველა დანარჩენი კლონები ან იღუპებოდნენ, ან დეფექტით იბადებოდნენ. ამ კლონირებულ ცხვარსაც, როგორც ითქვა, ჯანმრთელობის მხრივ საკმაოდ მძიმე პრობლემები აქვს.

როგორ შეხვდება მსოფლიო პირველ კლონირებულ ადამიანს? ექსპერიმენტის განხორციელებამდე მსოფლიოს თითქმის ყველა ეკლესიამ თუ კონფესიამ ადამიანის კლონირების მცდელობა დაგმო და ღმერთის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად შეაფასა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ამის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურ ბრძოლას დაიწყებს ასეთი ექსპერიმენტების წინააღმდეგ. არსებობს საერთაშორისო შეთანხმებაც, რომელიც კლონირებას კრძალავს, მაგრამ ხელოვნური ადამიანის შექმნა მეცნიერთათვის იმდენად დიდი გამოწვევაა, რომ საეჭვოა, მისი შეჩერება იურიდიული ბარიერებით მოხერხდეს.

## ახალი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" სამხრეთ აზიაში

პირველი გვერდიდან



ახალი "საუკუნის პროექტის" ხელმოწერის ცერემონიალზე.

REUTERS

27 დეკემბერს თურქმენეთმა, ავღანეთმა და პაკისტანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გაზსადენის მშენებლობის თაობაზე, რომელიც, ლიდერების აზრით, რეგიონული უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი საფუძველი უნდა გახდეს.

ავღანეთის გავლით გაზსადენის მშენებლობის იდეა, უკვე რამდენიმე წელია, არსებობს, მაგრამ, თალიბების რეჟიმისა და რეგიონში არასტაბილურობის გამო, მისი განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.

ახალი, 1400-კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობა, წინასწარი შეფასებებით, 2.5 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდება და ბუნებრივი აირით მდიდარ თურქმენეთს, ავღანეთის გავლით, პაკისტანსა და ინდოეთთან დააკავშირებს.

თურქმენეთი მსოფლიოში გაზის რეზერვების მიხედვით მესამე ადგილზეა, მაგრამ ამჟამად აშხაბადი, გაზის ექსპორტისას, თითქმის მთლიანად რუსულ მილსადენებზეა დამოკიდებული. თურქმენული გაზის ფასს მსოფლიო ბაზარზე, ფაქტობრივად, მოსკოვი განსაზღვრავს და თურქმენბაშიზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ გავლენასაც ახდენს. ამის გამო, "თურქმენთა მამა," დიდია ხანია, ექსპორტის ალტერნატიული გზების მოძიებას ცდილობს.

აშხაბადში შეკრებილმა სამი ქვეყნის ლიდერმა ხელი მოაწერა ჩარჩოხელშეკრულებას, რომელიც საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის ასპექტებს განსაზღვრავს. კონსორციუმი ამ გაზსადენის ოპერატორი იქნება.

თურქმენული გაზის ყველაზე დიდი მომხმარებელი, სავარაუდოდ, ინდოეთი იქნება. ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ განაცხადა, რომ დელი პროექტის დაწყებას უკვე მიესალმა.

გაზსადენის მშენებლობა ავღანეთში დღემდე ჩადებული უდიდესი უცხოური ინვესტიცია იქნება. ავღანეთი გაზის ტრანზიტიდან მილიონობით დოლარს მიიღებს, მანამდე კი მილსადენის მშენებლობაზე რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება.

როდესაც ჰამიდ ყარზაის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალზე ჰკითხეს, მისცემს თუ არა ავღანეთში არსებული პოლიტიკური ვითარება დონორებს მილსადენის მშენებლობის საშუალებას, მან დარწმუნებით უპასუხა: "დიახ. მე ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილებაა რეგიონში".

"[გაზსადენი] ხელს შეუწყობს ახალი გზების მშენებლობას, საკომუნიკაციო სისტემების გაუმჯობესებას... ეს ჩვენი რეგიონის უმთავრესი წამოწყებაა", - აღელვებული ლაპარაკობდა ყარზაი, რომლის პათოსი ბაქო-ჯეიჰანის შესახებ მოსაუბრე ედუარდ შევარდნაძისას ძალიან წააგავდა.

ოპტიმისტების აზრით, ეს პროექტი რეგიონში ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას გააღრმავებს და უცხოურ ინვესტიციებს გზას გაუხსნის. თუმცა, აშკარაა, რომ ძირითადი დაბრკოლება მაინც სათანადო ფინანსების მოძიება იქნება.

წინასწარი გეგმის მიხედვით, ახალი გაზსადენი თურქმენეთის სამხრეთში არსებული დავლეთბადის გაზის საბადოდან დაიწყება, ავღანეთის დასავლეთს გადაჭრის და ქვეყნის სამხრეთში, ქალაქ ყანდაღარამდე გაგრძელდება. ყანდაღარიდან იგი გეზს პაკისტანისაკენ აიღებს, სავარაუდოდ, საპორტო ქალაქ გვადარისაკენ, სადაც გაზის საცავი აშენდება. მეორე საცავის აგება კი ნიუ-დელიში იგეგმება.

ჯერჯერობით, პროექტის წინასწარი შესწავლისათვის აუცილებელ 1.5 მილიონ დოლარს აზიის განვითარების ბანკი გაიღებს. პროექტის შესწავლა სექტემბერში დასრულდება. ნიაზოვმა პროექტის დეტალებისა და პოტენციური ინვესტორების შესახებ სასაუბროდ პაკისტანისა და ავღანეთის ლიდერები სწორედ ამ დროისათვის მიიწვია აშხაბადში.

ექსპერტების აზრით, უცხოელი ინვესტორები ავღანეთში ფულის ჩადებისას სიფრთხილეს გამოიჩენენ, რადგან ჰამიდ ყარზაის მთავრობის გავლენა თითქმის არ ვრცელდება იმ რეგიონებზე, სადაც მილსადენმა უნდა გაიაროს. როგორც რამდენიმე ხნის წინ აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა სტივენ მანმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, პოლიტიკური სტაბილურობა წინ უნდა უსწრებდეს ასეთი მასშტაბის ეკონომიკური პროექტების განხორციელებას და არა პირიქით.

## ააფეთქეს ჩეჩნეთის მთავრობის სახლი

შოთა უტიაშვილი





გროზნოს ცენტრი აფეთქების შემდეგ.

გუშინ, შუადღისას ტერორისტებმა ჩეჩნეთის მთავრობის შენობა ააფეთქეს. უკანასკნელი მონაცემებით, დაღუპულია 40 და დაჭრილია ასზე მეტი ადამიანი. თვითმხილველთა ცნობით, შენობაში, რომელიც აფეთქების შედეგად მთლიანად განადგურდა, შესაძლოა, 150-200 ადამიანი ყოფილიყო. მათი ბედი ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს, ისინი იმ დროს შენობაში არ იმყოფებოდნენ.

მართალია, ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია, მაგრამ, რუსეთის უშიშროების სამსახურის განცხადებით, აშკარაა, რომ მის უკან ჩეჩენი ამბოხებულები დგანან. ჩეჩნეთის მარიონეტული ხელისუფლების მეთაური ახმად ყადიროვი აცხადებს, რომ აფეთქება მასხადოვის ორგანიზებულია. რუსი ძალოვნების აზრით კი, ტერაქტი, რომელსაც მედიამ უკვე უწოდა "ყველაზე დიდი აფეთქება მთელი ჩეჩნური ეპოპეის განმავლობაში", შამილ ბასაევმა და არაბმა აბუ ალ ვალიდმა მოაწყვეს. ჩეჩნეთის ანტიტერორისტული შტაბის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ შაბალკინის განცხადებით, აფეთქების წინა დღეს მათ თათბირი გამართეს ტერორისტთა სხვა ლიდერებთან.

გროზნოს ცენტრში მდებარე მთავრობის სასახლესთან, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე გამაგრებულ ობიექტს წარმოადგენს, ტერორისტი კამიკაძეები ორი მანქანით – "კამაზითა" და "უაზით" მივიდნენ. ჯერჯერობით უცნობია, როგორ შეძლეს მათ დაცვის სამმაგი ზღუდის გადალახვა, შემდეგ კი შენობასთან "კამაზი" აფეთქეს. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ ადგილას, სადაც "კამაზი" იდგა, ოთხი მეტრის სიღრმისა და 10 მეტრის რადიუსის ორმო გაჩნდა. სპეციალისტების თქმით, "კამაზში" ერთი ტონა დინამიტი იყო მოთავსებული. თვითმხილველთა ცნობით, სატვირთო ავტომობილის აფეთქებას მეორე აფეთქებაც მოჰყვა, რომელიც შენობის შიგნით მოხდა.

მთავრობის შენობა რუსებმა სულ ახლახან ააშენეს და იგი პრორუსული ადმინისტრაციის სიამაყედ ითვლებოდა. როგორც აღვნიშნეთ, მას საგანგებოდ იცავდნენ. ტერაქტის შედეგად იგი მთლიანად განადგურდა.

ყადიროვის განცხადებით, აფეთქება უშიშროების სამსახურებში ყურადღების მოდუნების გამო გახდა შესაძლებელი. "აუცილებლად უნდა გაირკვეს, როგორ მოახერხეს ტერორისტებმა შენობაში შეღწევა," - განუცხადა მან "ინტერფაქსს."

ბოლო დროს ჩეჩნეთში დისლოცირებულ რუსული ჯარების ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. თანამდებობები დაატოვებინეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალ ტროშევსა და სასაზღვრო ჯარების ჩრდილოკავკასიური მიმართულების სარდალს ბოლხოვიტინს.

ჩეჩნეთში ამჟამად უსაფრთხოების საგანგებო ზომებია მიღებული. ჩაკეტილია ქალაქის შესასვლელ-გასასვლელები, ტრაგედიის ადგილზე მუშაობენ მაშველთა ბრიგადები, რომელთაც გუშინ პროფესიული დღესასწაული ჰქონდათ.

თუმცა, გროზნოს ადმინისტრაციას ეჭვი ეპარება, რომ ეს ზომები რაიმე შედეგს გამოიღებს. ყადიროვი აცხადებს, რომ გროზნოში ტერორისტები ბატონობენ.

გუშინდელი ტერაქტი ძალიან ჰგავს 10 ოქტომბერს გროზნოში განხორციელებულ აფეთქებას, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსის კაბინეტში მოხდა მაშინ, როდესაც იქ მილიციელები თათბირობდნენ. შენობაში მყოფთაგან ყველა დაიღუპა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანს რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარების წინა პლანზე პოლიტიკური კომპონენტი წამოწიოს. თანამდებობიდან გათავისუფლდნენ უმაღლესი რანგის სამხედროები, შეიქმნა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაინიშნა რეფერენდუმი და გადაწყდა არჩევნების ჩატარება. თუმცა, ეს პოლიტიკური პროცესი მხოლოდ რუსებისადმი ლოიალურად განწყობილ ჩეჩნებს მოიცავს. ამბოხებულები არ სცნობენ არც ჩეჩნეთში რუსეთის ხელისუფლების აღდგენას და არც მის მიერ დანიშნულ პლებისციტს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ პარიზის სიახლოვეს დაკავებული ჩეჩენთა ცხრაკაციანი ჯგუფი გეგმავდა ტერაქტის განხორციელებას საფრანგეთში, რუსეთის საელჩოზე. ჩეჩნების თქმით, ისინი "ნორდ-ოსტის" ტრაგედიის დროს მოკლული არბი ბარაევის გამო აპირებდნენ შურისძიებას.

საფრანგეთის პოლიციის ცნობით, აღნიშნულმა ჯგუფმა მომზადება ავღანეთსა და პანკისის ხეობაში გაირა, სადაც ისინი "ალ ქაიდას" დაუკავშირდნენ.

## სომხეთი ევროსაბჭოს გაბითურებას ცდილობს

### ერევანი სიკვდილით დასჯას აუქმებს, სიკვდილმისჯილებს კი მაინც დახვრეტენ

რევაზ ბახტაძე

სომხეთის პარლამენტი ევროსაბჭოს მოსალოდნელ სანქციებს არ შეუშინდა და სისხლის სამართლის კოდექსში, დასავლელი ექსპერტების აზრით, საკამათო შესწორება მაინც მიიღო. ახალი ცვლილებების თანახმად, სიკვდილით დასჯა სომხეთში აიკრძალება, თუმცა, კანონს უკუქმედების ძალა არ ექნება და ამჟამად სომხეთის ციხეებში მყოფ სიკვდილმისჯილებს არ შეეხება.

სომეხმა კანონმდებლებმა მეორე მოსმენითა და დიდი უმრავლესობით მიიღეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სასიკვდილო განაჩენს აუქმებს. თუმცა, დამატებით კიდევ ერთი კანონი დაამტკიცეს, რომელიც მანამდე ტერორიზმსა და პედოფილიაში ბრალდებულებზე ახალი კოდექსის გავრცელებას გამორიცხავს. ხელისუფლება მათ სასიკვდილო განაჩენს მაინც აღასრულებს.

"ჩვენი კომიტეტის წევრების უმრავლესობისათვის აქსიომაა, რომ 27 ოქტომბრის ტრაგედიაში ბრალდებულები უნდა დაიხვრიტონ", - განაცხადა ვიქტორ დალაქიანმა, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა თავმჯდომარემ. 1999 წლის 27 ოქტომბერს ტერორისტებმა სომხეთის ეროვნულ ასამბლეაში (პარლამენტი) პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი მოკლეს.

პარლამენტის დამოკიდებულება მთავრობამ მთლიანად გაიზიარა. ძალოვანი სამინისტროების წარმომადგენლები დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ დამატებითი კანონის მიღება აუცილებელი იყო და ეს საერთაშორისო გართულებებს არ გამოიწვევდა.

2001 წლის იანვარში, ევროსაბჭოში გაწევრიანებისას, სომხეთმა თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ სიკვდილით დასჯას უპირობოდ გააუქმებდა. აღნიშნული კანონის მზადებისას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება უკვე გამოხატა. საპარლამენტო ასამბლეის განცხადებაში ნათქვამია, რომ ამგვარი კანონის მიღების შემთხვევაში "ერევანი თავიდან ვერ აიცილებს ევროსაბჭოს სანქციებს".

სომხეთის ეროვნულ ასამბლეაში გამართული დებატების დროს საპარლამენტო ასამბლეის განცხადება ერთადერთ საწინააღმდეგო არგუმენტს წარმოადგენდა. სასიკვდილო განაჩენის უპირობოდ გაუქმებას მხარს უჭერდნენ სომხეთის რევოლუციური ფედერაციის (დაშნაკციუტუნი) გავლენიანი ფრაქცია, რომელიც მთავრობასთან დაახლოებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ასევე აქტიურობდა სომხეთის ოპოზიციის ორი ძალზე პოპულარული წარმომადგენელი - ვაზგენ მანუკიანი და შავარშ კოჩარიანი.

სომეხი ექსპერტების აზრით, მართალია, სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი სასიკვდილო განაჩენის გაუქმების მომხრე იყო, მაგრამ მან საკუთარი პოზიციის საჯაროდ გამოთქმისგან თავი შეიკავა. კოჩარიანის მოწინააღმდეგეები ხშირად ამბობენ, რომ მასთან დაპირისპირებული სახელმწიფო მოღვაწეების მკვლელობასთან ამჟამინდელ პრეზიდენტს გარკვეული კავშირი აქვს.

"ამ პარლამენტს გარკვეული კომპლექსები გააჩნია, რაც სავსებით გასაგებია", - აღნიშნა დალაქიანმა.

ჯერჯერობით, ევროსაბჭოს კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა, ნათელია, რომ შეფასება ძალზე მკაცრი იქნება.



# იყავით საზზე!

## და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, VESTEL-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და DVD სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* SAMSUNG-ისა და NOKIA-ს ტელეფონე-ბი, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

## ჯეოსელი საქართველოში პირველი GSM-ოპერატორია?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**




# ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

## საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

# სუფსა ნავთობის კალაპოტად იქცა

სოფო კვინტრაძე

მესამე დღეა, მდინარე სუფსაში ნავთობი იღვრება და შავ ზღვაში ჩაედინება. უამინდობის გამო, გართულდა სიტუაციის ლოკალიზება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის წარმომადგენლები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ ადგილზე ზიანისა და ზარალის დასადგენად. ჯერჯერობით უცნობია, რა რაოდენობით ნავთობი ჩაიღვარა მდინარე სუფსაში. თუმცა, როგორც გარემოს დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე აცხადებს, მასშტაბების მიხედვით, ეს არ არის ბუნებისათვის კატასტროფული ზიანის მომტანი. რაც შეეხება დაბინძურების წყაროს, გარემოს დაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის მაია კაპანაძის განცხადებით, დადგენილია, რომ "საქნავთობის" კუთვნილი, დაკონსერვებული 42-ე ჭაბურღილიდან, რეზერვუარის გადავსების გამო, მოხდა ნავთობის დაღვრა სოფელ ორმეთთან. **"ჭაბურღილიდან ნავთობი ჩაიღვარა ღელეში, საიდანაც მოხვდა მდინარე სუფსაში,"** – განაცხადა მაია კაპანაძემ.

"საქნავთობის" გენერალური დირექტორი გიორგი მახარაძე აცხადებს, რომ ჭაბურღილიდან ნავთობის დაღვრა მხოლოდ ერთ-ერთი ვერსიაა მომხდარის ასახსნელად. მისი განმარტებით, შესაძლოა, ნავთობმა "ბუნებრივად გაჟონა" ან სუფსის ტერმინალიდან მოხდა მისი დაღვრა. საქნავთობმა უკვე გააგზავნა თავისი წარმომადგენლები სუფსაში, რათა მათ ადგილზე შეამოწმონ ვითარება.

თავის მხრივ, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია გამორიცხავს ნავთობის დაღვრას სუფსის ტერმინალიდან. მისი თქმით, ნავთობი მდინარე სუფსაში ჭაბურღილის გადავსების გამო ჩაიღვარა.

# ნავთობსადენის პირველი მილები საქართველოში 14 იანვარს შემოვა

სოფო კვინტრაძე

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის პრეზენტაცია მოაწყო. პრეზენტაცია მომზადებული იყო სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებისათვის. შეკრებილი საზოგადოება საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ და მეტ-ნაკლები ინტერესით უსმენდა სნკს-ს პრეზიდენტს გიორგი ჭანტურიას.

ჭანტურიას განცხადებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, აგრეთვე ჰოლანდიელ ექსპერტთა კომისიამ და ექსპერტთა სხვა საერთაშორისო ჯგუფებმა გააკეთეს ნავთობსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზი და დასკვნები, ინვესტორმა, ანუ ბრიტანულმა კომპანია "ბი-პიმ" ნავთობსადენის უსაფრთხოების დამატებითი ზომები შეიმუშავა. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები, თურმე, მიღებული იქნება ნავთობსადენის იმ მონაკვეთში, რომელიც ბორჯომის ხეობაში, ცხრაწყარო-კოდიანას ტერიტორიაზე გაივლის. იგულისხმება მილსადენის სისქის გაზრდა 15,7 მილიმეტრამდე, მილში "ინტელექტუალური დგუშის" დამონტაჟება, რომელიც მუდმივად შეამოწმებს მილსადენის შიგნით არსებულ მდგომარეობას და ნებისმიერი სახის დაზიანების აღმოჩენისას საკონტროლო სადგურებს გადასცემს სიგნალს. ასევე, მილსადენში ჩამონტაჟდება საგანგებო ჩამკეტი მოწყობილობები, რომელიც ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ამოქმედდება. ამასთან, დაგეგმილია მილსადენის ქვეშ დამჭერი მოწყობილობის დამონტაჟებაც, რომელიც დაღვრის შემთხვევაში ნავთობს დაიკავებს.

რაც შეეხება მილსადენის საჰაერო კონტროლს, ის საქართველოს მხარემ უნდა განახორციელოს. გიორგი ჭანტურიას განცხადებით, აშშ-ს მთავრობა მზადაა, დახმარება გაუწიოს საქართველოს საჰაერო კონტროლის ფინანსურ და ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

ნავთობსადენის მილები, რომლებიც იაპონიაში "სუმიტომის" ქარხანაში მზადდება, 2003 წლის 14 იანვარს საქართველოში გემით შემოვა. ჭანტურიას ინფორმაციით, 2003 წლის თებერვალში გაიცემა სანქცია ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე, რომელიც შაჰდენიზის საბადოდან თურქეთში მოახდენს გაზის ტრანსპორტირებას. გაზსადენი ნავთობსადენის მარშრუტს გაიმეორებს. პროექტის თანახმად, ტრანსპორტირებული გაზის 5 პროცენტი საქართველოს უფასოდ გადაეცემა.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის საკრებულო დედაქალაქის ბიუჯეტს 2003 წლის 8-9 იანვარს ლიკანში განიხილავს, პრიორიტეტებს დაადგენს და დაამტკიცებს კიდეც. ამის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა გუშინ საკრებულოს სხდომაზე განაცხადა. **"შობის შემდეგ, პირველსავე დღეს გავემგზავრებით ლიკანში, ვიმსჯელებთ ბიუჯეტზე, პრიორიტეტებზე და იქიდან დამტკიცებული ბიუჯეტით ჩამოვალთ",** - მოქმედების გეგმა გააცნო საკრებულოს წევრებს სააკაშვილმა.24 საათი.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი აღდგა და თბილისმა დამატებით 70 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია მიიღო. 2003 წლის 8 იანვრამდე 1 კვტ/სთ ელექტროენერგიას "ეი-ი-ეს თელასი" 2,5 ცენტად შეიძენს. მან საჭირო თანხა წინასწარ გადაიხადა. იმპორტირებულ ელექტროენერგიას ძირითადად ვაზისუბნის, ვარკეთილისა და მე-3 მასივის აბონენტები მიიღებენ. თუ მიღებული სიმძლავრიდან კიდევ რაიმე დარჩება, დარჩენილ ელექტროენერგიას გლდანისა და მუხიანის რაიონებს მიაწვდიან. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი აცხადებს, რომ თუ რუსეთი სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერებაზე ოფიციალურ მტკიცებულებებს არ წარმოადგენს, მაშინ იძულებული იქნება, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების კუთვნილი ტრანსპორტის მოძრაობა შეზღუდოს. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთ-საქართველოს ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" სარემონტო სამუშაოები დღეს დასრულდება და 140-150 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი განახლდება. ეს ხაზი დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. როგორც პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა განაცხადა, ბოროტმოქმედებმა 10 ათასი აშშ დოლარი მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ანალოგიური ინციდენტების განმეორებით დაიმუქრნენ. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

**ერევანი.** მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სომხეთისათვის 20 მილიონი დოლარის ოდენობის „მცურავი" ტრანშის გამოყოფის შესახებ. სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად მიზნობრივი სესხის პირველი ტრანში – 14 მილიონი დოლარი – სომხეთმა 2001 წლის ივნისში მიიღო, მეორე – ასევე 14-მილიონიანი ტრანში კი – 2002 წლის იანვარში. მსოფლიო ბანკის კრედიტის საერთო მოცულობა 50 მილიონი დოლარია. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**ცხინვალი.** „სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული რეჟიმის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ოსეთი ელექტროენერგიას 24 საათის განმავლობაში რუსეთიდან იღებს. მისი თქმით, ჯერ კიდევ შარშან ევროკავშირმა 48 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგიის ფული გადაიხადა, რათა მათთვის ქართულ მხარეს ვარდნილჰესის საშუალებით ელექტროენერგია მიეცა, მაგრამ სამი თვეა, რეგიონს დენი საქართველოდან არ მიუღია. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში არაფერი იციან ევროკავშირის მიერ „სამხრეთ ოსეთისათვის" ელექტროენერგიის მიწოდებისთვის გადახდილი თანხების შესახებ. მათი ინფორმაციით, ეს რეგიონი ელექტროენერგიას ვარდნილჰესიდან იღებდა, მაგრამ, თანხის გადაუხდელობის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. **"მედია-ნიუსი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 22 - 28 დეკემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UKJ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.624 | 0.6499 | 0.0052 |
| US$ | 1.6026 | | 1.0413 | 0.0083 |
| Euro | 1.5389 | 0.9603 | | 0.008 |
| Yen | 192.19 | 118.97 | 124.84 | |

### 2002 წლის 28 დეკემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1928 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3826 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5094 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1119 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2661 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0664 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4316 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3627 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.9593 ლარი |

# "საქგაზი" არ დამანახოთ!"

## სახელმწიფო კანცელარიაში დედებს იხსენებენ

პირველი გვერდიდან

ხელშეკრულების "სასწრაფოდ გაფორმება" მოსთხოვა. **"საქგაზის" წილი - 7 მილიონ 500 ათასი ლარი წელიწადში - ჰაერში მიდის. ეს მაშინ, როცა 4 მილიონ 200 ათასი ლარი, რაც "თბილგაზის" რეაბილიტაციას სასწრაფოდ სჭირდება, ცენტრალურმა ბიუჯეტმა უნდა გაიღოს,"** – განაცხადა ჟორბენაძემ. მან ქალაქის პრემიერს იქვე შეახსენა ამ ორი დღის წინ ცენტრალური ბიუჯეტის მიერ დაკმაყოფილებული მრავალშვილიანი დედები და მიანიშნა, რომ ქალაქის პრობლემები ქვეყნის მთავრობის გამუდმებული ზრუნვის საგანი არ უნდა იყოს. **"ვაგზლისწინა ბაზრობიდან 193 ათასი ლარი იკრიბება ყოველდღიურად! ეს თანხა ქალაქის ბიუჯეტისკენ უნდა მიიმართოს,"** - განაცხადა ჟორბენაძემ. მთავრობა მიიჩნევს, რომ თუ ადგილობრივი მოსაკრებლები დედაქალაქის ბიუჯეტში შევა, მუნიციპალიტეტი "თბილგაზის" დაფინანსებას თავად მოახერხებს; როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია მიხეილ სააკაშვილის მიერ მთავრობისათვის წაყენებულ პირობას საგადასახადო სამსახურის მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ.

ცენტრალური ბიუჯეტი "თბილგაზის" სუბსიდირებაში საკრებულოს დახმარებას დაჰპირდა, მაგრამ



საგანგებო თათბირი სახელმწიფო კანცელარიაში.

ნორმალური გამოზამთრებისთვის მხოლოდ ეს არ კმარა. საკრებულო "თბილგაზის" შეღავათიან დაბეგვრასაც ითხოვს. გუშინ ქალაქის პრემიერმა გია შერაძემ ამ საკითხში პარლამენტის წინაშე შუამდგომლობა სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჟორბენაძეს სთხოვა: **"წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფამდე მივალთ,"-განაცხადა პრემიერმა.** "თბილგაზისათვის" შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის დაწესების საკითხის შესწავლა სახელმწიფო მინისტრმა თავის მოადგილეს - გიორგი ისაკაძეს დაავალა (აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ისაკაძე ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა)

"თბილგაზის" პრობლემამ მოგვიანებით სემეკში გადაინაცვლა. ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ ქალაქის გაზის მეურნეობას მიწოდების ლიცენზია არ გაუგრძელა დიდი კომერციული და ტექნიკური დანაკარგების, ზარალიანობისა და უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო. ძველი ლიცენზია "თბილგაზს" 31 დეკემბერს ეწურება. სემეკის მორიგი სხდომა კი, სადაც ლიცენზიის ბედი უნდა გაირკვეს, 3 იანვრისთვის არის დაგეგმილი. ახალი ლიცენზიის სანაცვლოდ, სემეკი "თბილგაზს" მენეჯმენტის სასწრაფოდ შეცვლას სთხოვს.

სანამ მთავრობაში "თბილგაზის" ხსენებაზე ხელებს ასავსავებენ, სახელმწიფო მოხელეებისთვის კვლავ გაურკვეველი რჩება, თუ ვის ეკუთვნის ის სინამდვილეში. მაგალითად, ქონების მართვის სამინისტრო "თბილგაზს" ყოველთვის მერიის კუთვნილებად მიიჩნევდა. **"ფასიანი ქაღალდების რეესტრში არსებობს ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია - "თბილგაზის" 25 პროცენტი მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და მისი კონტროლი მერიის თანამშრომელს თემურ ჭინჭარაულს ევალება,"** – განაცხადა ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ ზურაბ გარაყანიძემ, რამაც ქალაქის პრემიერის აღშფოთება გამოიწვია: **"როცა ყიდით, მაშინ თქვენია და როცა სამართავია, მაშინ ხდება ჩვენი?"**

# პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს, სამცხე-ჯავახეთი კრიზისიდან ვერ გამოდის

*გაჩერებული საწარმოები, მოსახლეობის მიერ მოყვანილი მოსავლის რეალიზაციისათვის ბაზრის უქონლობა, საინფორმაციო ვაკუუმი, საქართველოს არასრულფასოვანი მოქალაქეობის შეგრძნება - ეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული პრობლემების ის ნაწილია, რაზეც გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს. განხილვის მთავარ თემას სამცხე-ჯავახეთის დღევანდელი ვითარება და "2002-2005 წლებში სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება წარმოადგენდა.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"ბევრი რამეა ამ სამოქმედო გეგმაში ჩამოწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურად არაფერი ხორციელდება",** - ასეთი შეფასება მისცა პრეზიდენტის აღნიშნულ განკარგულებას პარლამენტის წევრმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.. **"ეს პროგრამა სრულყოფილი არ არის, რადგან მასში არ გახლავთ გათვალისწინებული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა და მთელი რიგი სხვა მომენტები. ჩემი აზრით, პრეზიდენტი ამ შემთხვევაშიც შეცდომაში შეიყვანეს."** განაცხადა მოქალაქეთა კავშირის წევრმა მამუკა არეშიძემ. მისი მტკიცებით, სამცხე-ჯავახეთში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ახალი პროგრამის შექმნაა საჭირო.

**"რეგიონს ძალიან დიდი პოტენცია აქვს. მარტო სამცხე-ჯავახეთში მოყვანილ კარტოფილსა და ხორცს შეუძლია, მთელი საქართველო დააკმაყოფილოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ რეგიონში მოყვანილი მოსავლის რეალიზაცია ვერ ხდება, რადგან ეს პროცესი მთელ რიგ პრობლემებს უკავშირდება. არ მუშაობს არც ერთი საწარმო",** - განაცხადა ვაჭრობის, ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილემ და საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარემ გენრიხ მურადიანმა. მისი თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში 200 ათასი ლარის ოდენობის მიზნობრივი პროგრამაა გათვალისწინებული, რომელიც ახალქალაქის რაიონის სამ სოფელში წყალსადენის გაყვანას ითვალისწინებს.

ჰამლეტ ჭიპაშვილის განცხადებით, სახელმწიფოს შეეძლო, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე გავლით, ამ რეგიონში მთელი რიგი პრობლემები მოეგვარებინა. კერძოდ, განვითარდებოდა ინფრასტრუქტურა, დაიგებოდა გზები, რომელიც, ჭიპაშვილის თქმით, ფაქტობრივად არ არსებობს, დასაქმდებოდა ხალხი. პარლამენტის წევრმა სახელმწიფოს გადაწყვეტილება, ამ ნავთობსადენს სამცხე-ჯავახეთზე არ გაევლო, უარყოფითად შეაფასა.

# საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებს თეორიები არ ერგება

ნინო ნარჩემაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორმასწავლებლები მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების კონცეფციის დეტალებით დაინტერესდნენ. გუშინ, უნივერსიტეტში, სწორედ მათი ინიციატივით გაიმართა "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერთან ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრა. **"საუბარი არ არის მხოლოდ ხელფასების გაზრდაზე, საუბარია სერიოზულ რეფორმაზე, რომელიც ეკონომიკური პროცესების ლეგალიზაციას და, შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას გამოიწვევს,"-** განაცხადა შეხვედრაზე ზურაბ ჟვანიამ. მისი თქმით, დღეისათვის ქართულ სახელმწიფოს აქვს რეალური საშუალება, რომ მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმთან გაათანაბრდეს. რეფორმისთვის საჭიროა მხოლოდ 116 მილიონი ლარი, მთავრობა საგადასახადო შემოსავლების ზრდას კი 210 მილიონი ლარით გეგმავს და ბიუჯეტის სწორად დაგეგმარების პირობებში სრულიად შესაძლებელია ხელფასების 115 ლარამდე გაზრდა. რეფორმის ეფექტი კი, ზურაბ ჟვანიას განცხადებით, მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის 200 მილიონი ლარით გაზრდაში მდგომარეობს; რაც, ფაქტობრივად, ქართველი მეწარმეებისთვის ამხელავე ინვესტიციის გამოყოფის ტოლფასია. "გაერთიანებული დემოკრატების" პოზიციას ამყარებს ის ფაქტიც, რომ რეფორმა დამატებით თანხებს არ მოითხოვს. ასეთ პირობებში, ზურაბ ჟვანიას განცხადებით, მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო მაინც უარს აცხადებს კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე და ვერ ასაბუთებს უარის მიზეზებს.



ზურაბ ჟვანია უნივერსიტეტში.

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის განცხადებით, "წარმოდგენილი წინადადება მხოლოდ რეფორმის დასაწყისია, რომელსაც გაგრძელება მოჰყვება. უნივერსიტეტელი ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელი არაფერია; ოღონდ საჭიროა სერიოზული ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება. მათი შეფასებით, საქართველოში არსებული ეკონომიკური პრობლემები არც ერთ არსებულ ეკონომიკურ თეორიას არ ესადაგება.

# ახალქართული "შრომის გმირები"

*საქართველოს პრეზიდენტის თაოსნობით ჩატარებული პირველი კონკურსის - "ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი 2001"-ის დასკვნით ეტაპს გუშინ ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციამ – რიტუალების სასახლემ უმასპინძლა. კონკურსში ქვეყნის 400-მდე მსხვილმა, საშუალო და მცირე საწარმომ მიიღო მონაწილეობა და, თუ გამარჯვებულთა რაოდენობით ვიმსჯელებთ, კონკურსის ჟიურიმ არც ისე ბევრს დასწყვიტა გული. განსაკუთრებულ ნომინაციაში: "ყველაზე ქველმოქმედი ბიზნესმენი" თავად საღამოს მასპინძელი – ბადრი პატარკაციშვილი აღმოჩნდა გამარჯვებული.*

გვანცა კვინიკაძე

**"მსგავსი შეხვედრები სოცშეჯიბრებების დროსაც იმართებოდა, მაგრამ მაშინ ორგანიზება გაცილებით უკეთესი იყო",** - განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე, თუმცა იქვე დასძინა, რომ ამ შეხვედრას **"სხვა მადლი"** აქვს, რადგან იმ ხალხს აჯილდოებენ, რომლებსაც **"ეროვნული ბიზნესის განვითარებაში მიუძღვის წვლილი"**. ასეთები კი კომპანიები: "უშბა", "აზოტი", "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "რუსთავცემენტი", "მინა", "საქრუსენერგო", "აღორძინება M", "ავერსი", "კვარციტი", "ვილა ბერიკა" და სხვა მრავალი აღმოჩნდა. ცალკე გამარჯვებულები გამოვლინდნენ რეგიონების მიხედვით: აფახაზეთიდან - "ენგურჰესი", იმერეთიდან - "ფეროშენადნობთა ქარხანა", რაჭიდან - "რაჭული ღვინო", გურიიდან - "ასკანა", ქვემო ქართლიდან - "კვარციტი", შიდა ქართლიდან - "ხაშურის დეპო", კახეთიდან - "თელავის ღვინის მარანი", აჭარიდან - ბათუმის ნავსადგური, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან - ფოთის პორტი, მცხეთა-მთიანეთიდან - "მინა" და სამცხე-ჯავახეთიდან - ბორჯომის №1 ქარხანა. თუმცა, დაწესებული იყო განსაკუთრებული ნომინაციებიც, მათგან ყველაზე პრესტიჟულებში გოგი თოფაძემ, "კოკა-კოლას" პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ, "საქართველოს ელექტროკავშირის" გენერალურმა დირექტორმა ლია ჭელიძემ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წივწივაძემ, საქტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზაზა შენგელიამ და ბადრი პატარკაციშვილმა გაიმარჯვეს.

ამ საკმაოდ უხეიროდ დადგმული საღამოს ბოლოს, პრეზიდენტმა ახალქართული "შრომის გმირებს" უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მათზე გაწეული "ამაგი" შეახსენა. **"ბევრ თქვენგანს საწარმოები სიმბოლურ ფასად გადმოგეცით, თუმცა შეიძლებოდა, გაცილებით ძვირადაც გაგვეყიდა ისინი. ამ ნაბიჯზე იმიტომ წავედით, რომ საწარმოებისთვის, თქვენი სახით, ნამდვილი პატრონი მოგვეძებნა",** - განაცხადა პრეზიდენტმა და გაისისთვის "საუკეთესო" ბიზნესმენებს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენასაც დაჰპირდა...

# გენერალური პროკურორი საახალწლოდ შედეგებს აჯამებს

*2002 წლის შედეგების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე შეფასებებში განსაკუთრებულად მკაცრი არც გენერალური პროკურორი ყოფილა და მისთვის მძაფრი შეკითხვებით არც ჟურნალისტებს გაუფუჭებიათ წინასაახალწლო განწყობა.*



*პროკურატურა წლის შედეგებს აჯამებს.*

ნუგზარ გაბრიჩიძემ 2002 წელს, კრიმინალური თვალსაზრისით, ძალზე მძიმე უწოდა. მართალია, მას კონკრეტული დანაშაულების ჩამოთვლით მასმედიისთვის თავი არ შეუწყენია, თუმცა თქვა, რომ იმატა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვმა, ადამიანთა გატაცების, მკვლელობებისა და სხეულის განზრახ დაზიანების შემთხვევებმა. გაბრიჩიძისვე თქმით, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება, ე.წ. გახმაურებული დანაშაულების გახსნაზე. რაც შეეხება საერთო კრიმინალური ვითარების გამოსწორების გზებს, გენერალურმა პროკურორმა ამ მხრივ ჩატარებულ სამუშაოებს შორის რეგიონებში პროკურატურის კოლეგიის გასვლითი სხდომების ჩატარება დაასახელა. ამ სხდომების შედეგად თუ კრიმინალური ვითარების გამოსწორება ვერ მოხერხდა, 42 უღირსი პროკურორი მაინც გათავისუფლდა თანამდებობიდან, პროკურატურის 68 თანამშრომელი დისციპლინური წესით დაისაჯა, ოთხის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. ნუგზარ გაბრიჩიძე მიღწევად მიიჩნევს იმას, რომ 2002 წელს პროკურატურამ ფართოდ გაუღო კარი ახალგაზრდა კადრებს და 125 ახალგაზრდა იურისტი სტაჟიორის თანამდებობაზე გამწესდა.

ნუგზარ გაბრიჩიძემ არც წინასაახალწლო მადლობები დაინანა: მადლობა გამოუცხადა იუსტიციის საბჭოს იმისათვის, რომ მან კვალიფიციურად ჩაატარა საპროკურორო გამოცდები; საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც საკანონმდებლო ინიციატივა გამოიჩინა და საქართველოს პარლამენტს, რომელმაც ეს ინიციატივა აიტაცა და პროკურორების ხელფასები მოსამართლეებისას გაუთანაბრა.

ერთადერთი საჩოთირო საკითხი, რომლის შესახებაც გენერალურ პროკურორს გუშინ მოუწია საუბარი, პიტერ შოუს გატაცების გამოძიების პროცესში წამოჭრილი წინააღმდეგობები გახლდათ. ნუგზარ გაბრიჩიძემ კატეგორიულად გამორიცხა, რომ საქართველოს ხელისუფლებას, შესაძლოა, არც აწყობდეს ამ გამოძიების ბოლომდე მიყვანა. ამ მხრივ შესაძლო დაინტერესებულად მან მხოლოდ ერთი მხარე – თავად პიტერ შოუ ივარაუდა.

ამასთან, მან არ გამორიცხა ბრიტანელი ბანკირის დასაკითხად დიდ ბრიტანეთში საგამოძიებო ჯგუფის ხელმეორე ვიზიტი, თუმცა იმ სირთულეებზეც ისაუბრა, რომელსაც ქართველი სამართალდამცველები უცხოეთში მუშაობისას აწყდებიან.

**"დასაკითხ პირს ჩვენი უცხოელი კოლეგები ასე იძახებენ: როცა მოიცლით, იქნებ გვეახლოთ ჩვენების მისაცემად. ეს მოუცლელობა კი, შესაძლოა, რამდენიმე კვირაც გაგრძელდეს. ამ დროს ჩვენს გამომძიებლებს - დროის, სახელმწიფოს კი თანხების უაზროდ კარგვა უწევს",** - ამბობს ნუგზარ გაბრიჩიძე და ირწმუნება, რომ გენერალური პროკურატურა ყველაფერს გააკეთებს, რათა აღნიშნული დანაშაული ბოლომდე გამოიძიონ.

# ქართულ ნარკობაზარზე ახალი პრეპარატი, სუბიტექსი იკიდებს ფეხს

*ახალი ნარკოტიკის – სუბიტექსის შესახებ ქართველი სამართალდამცველები აქამდე მხოლოდ ლაპარაკობდნენ. ამ ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენის ფაქტი გუშინდლამდე მათი მხრიდან, ფაქტობრივად, არც დაფიქსირებულა. თუმცა, ამბობენ, ელიტარულ წრეებში ფრანგული წარმოების ეს ნარკოტიკული ნივთიერება საკმაოდ გავრცელებულიც არის და მისი მომმარაგებლებიც საკმარისად მოიპოვებიანო.*

გუშინ ქართველმა სამართალდამცველებმა პირველად დააკავეს სუბიტექსის რეალიზატორი. თბილისში, ტურგენევის ქუჩაზე მცხოვრებ თამარ ჭაფოძეს საკუთარ ბინაში 124 აბი სუბიტექსი აღმოუჩინეს. ნარკორეალიზატორის დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. როგორც თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსმა დავით კეკუამ გვითხრა: **"პოლიცია ამ ქალს გარკვეული დროის მანძილზე ადევნებდა თვალს. ჭაფოძე პროფესიით ექიმია, სამი წლის მანძილზე იგი ინგლისში ცხოვრობდა.. მის ბინაში ნარკოტიკის განსაკუთრებით დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. როგორც ვიცით, ჭაფოძე "პირველი ხელია"; თუმცა, საიდან ღებულობდა ის სარეალიზაციო ნარკოტიკს, ჯერ კიდევ დასადგენი გვაქვს".**

ამჟამად დაკავებულის მიმართ ტარდება საგამოძიებო მოქმედებები. პოლიციას დასადგენი აქვს, როდის დაიწყო თამარ ჭაფოძემ ნარკოტიკების რეალიზაცია და ჰყავდა თუ არა მას თანამოაზრეები. რაც შეეხება საქართველოს სინამდვილისთვის შედარებით ახალ ნარკოტიკს – სუბიტექსს, სამართალდამცველებს მისი აღმოჩენა უჭირთ. სირთულის მთავარ არგუმენტად თავად ნარკოტიკული ნივთიერების პატარა მოცულობა სახელდება. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სუბიტექსი საფრანგეთში იწარმოება. მას ჩვეულებრივი აბების სახე აქვს - 0,8 ან 1,2 მგრ-იანი. ერთი აბის ფასი 200 დოლარს აღწევს და მისი მოხმარება 10-მდე ნარკომანს შეუძლია. ცოტა ხნის წინათ სუბიტექსის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები პრეს-კონფერენციაზეც კი ალაპარაკდნენ და ისიც აღნიშნეს, რომ, მიუხედავად ზოგადი ინფორმაციის არსებობისა, სუბიტექსი საქართველოს ფარგლებში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა - სატრანსპორტო პოლიციამ აღმოაჩინა პრაღიდან მომავალ ტრანზიტული მარშრუტით მოძრავ ავტობუსში სუბიტექსის 12 აბი; მაშინ ნარკოტიკული ნივთიერების მეპატრონე არ მოიძებნა და ინციდენტიც არ გახმაურდა.

## პოლიციამ კიოტოს ბანკში აყვანილი მძევლები გაათავისუფლა

პოლიციამ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გაათავისუფლა კიოტოს ერთ-ერთ მსხვილ ბანკზე განაწყენებული ბიზნესმენი კრედიტორის მიერ გუშინწინ, დილით, ბანკში აყვანილი 4 მძევალი. 17-საათიანი ლოდინით დაღლილმა ტერორისტმა, 60 წლის ეიჩი ტოკუდამ, რომელიც ბანკის ადმინისტრაციას სთხოვდა აღებული კრედიტის– 7 მილიონი დოლარის პატიებას, მძევლები თავად გაათავისუფლა და პოლიციას ჩაბარდა.

## რუსეთი ჩეჩენ ტუსაღებს კვლავ ითხოვს

რუსეთი ქართველ სამართალდამცველებს ორთაჭალის ციხეში მყოფი სამი ჩეჩენის დაუყოვნებლივ გადაცემას სთხოვს. რუსეთის პროკურატურა კვლავ ამტკიცებს, რომ მათ ბრალი ედებათ მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მოწყობილი ტერაქტების ორგანიზატორობაში. მოსკოვში უარყოფითი შეფასება მიეცა ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიციაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. "აქედან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ საქართველო ჩეჩენ ტერორისტთა წისქვილზე ასხამს წყალს, საქართველო ცდილობს, იურიდიული სარჩულით გაამართლოს ტერორისტები," – აცხადებს რუსეთის გენერალური პროკურატურა და კვლავ დაჟინებით ითხოვს სამი ჩეჩენის ექსტრადიციას.

## რუსეთი საქართველოს ტერორისტობაში ბრალდებულებს გადასცემს

უახლოეს დღეებში საქართველოს გადაეცემა რუსეთის ტერიტორიაზე დაკავებული ორი ქართველი, რომლებიც 9 თებერვლის ტერაქტის მოწყობაში არიან ბრალდებულნი. ინფორმაცია ექსტრადიციის შესახებ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ გაავრცელა. მათი ინფორმაციით, სოსო თორია და ვეფხია დურგლიშვილი რუსი ძალოვანების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციისას დაიჭირეს.

## მოსკოვის ქარხანაში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს

რუსეთის სპეცსამსახურების წინასწარი მონაცემებით, მოსკოვის ავტოქარხნის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. მოწყობილობას მიაგნო ძალოვანთა მიერ სპეციალურად გაწვრთნილმა ძაღლმა.

რუსეთის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს სპეციალისტთა გადაწყვეტილებით, მოწყობილობა დაშალეს წყლის ძლიერი ჭავლით. დანაწევრებული მოწყობილობა ექსპერტიზის ჩასატარებლად ფსბ-ს სპეციალურ ბიუროში წაიღეს.

## თურქმენბაშის აფეთქების მსურველი დააკავეს

თურქმენეთის სამართალდამცველებმა დააპატიმრეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი იკლიმ იკლიმოვი. მას პროკურატურამ თურქმენეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის ორგანიზატორობასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დასდო ბრალი.

25 ნოემბერს საფარმურად ნიაზოვის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის ორგანიზატორ- შემსრულებლებიდან თურქმენეთის პროკურატურამ ყველა ეჭვმიტანილი დააკავა, გარდა ერთისა – თურქმენეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი დივიზიის უფროსის ბეგენჩ ბეკნაზაროვისა.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში მომხდარ ხანძარს ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, 75 წლის ზაქარია ლომთაძეს, რომელიც ავადმყოფი იყო და სიარული არ შეეძლო, შეშის ღუმელთან ჩაეძინა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველმა ჯგუფმა ხანძრის ლიკვიდაცია რამდენიმე წუთში მოახერხა, თუმცა ლომთაძის გადარჩენა ველარ მოესწრო. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის ძებნილი, 23 წლის გიორგი გონჯილაშვილი. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მან 1997 წლის 13 აგვისტოს ლევან ბიჩინაშვილს დანის დარტყმით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სენაკის რკინიგზის სადგურის გადასასვლელთან სატვირთო მატარებელი სამგზავრო ავტობუსს შეეჯახა. სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის განცხადებით, ავარიის შედეგად დაიღუპა სამი მგზავრი. ავარიის გამომწვევი მიზეზები უცნობია. **"მედია-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის შს სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ქონების მართვის სამინისტროს ზესტაფონის სამმართველოს განყოფილების უფროსი, ზესტაფონში მცხოვრები, 42 წლის ზურაბ არაბიძე და ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ყოფილი გამგებელი, იმავე სოფელში მცხოვრები, 47 წლის ტარიელ კამლაძე. **"მედია-ნიუსი"**

# აფხაზური ეგზეკუციის მიზეზი გაერო-ს მისია გახდა

*ჯერ კიდევ უცნობია, გალში ჩატარებული "ანტიკრიმინალური წმენდის" შედეგად დაკავებული ქართველი ეროვნების ადამიანებიდან რამდენი რჩება აფხაზთა ტყვეობაში.*

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 25 დეკემბერს გალში სეპარატისტთა 150-კაციანმა სამხედრო ქვედანაყოფმა, რომელიც შეიარაღებული იყო ავტომატებით, „მუხის" ტიპის ყუმბარმტყორცნებითა და მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევებით, გალის რაიონის ქართულ სოფლებში, ე.წ. "ანტიკრიმინალური ღონისძიება" ჩაატარა. ქვედანაყოფს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შს მინისტრის მოადგილე და ცნობილი ბოევიკი ვალმერ ბუთბა, ასევე, სახელგანთქმული ბოევიკი ქალები - როზა წულაია და ეკა ახალაია ხელმძღვანელობენ. ისინი გალის რაიონში კიდევ რამდენიმე დღით აპირებენ დარჩენას. სხვათა შორის, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება ირწმუნება, რომ რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად კონფლიქტის ზონაში "ანტიკრიმინალური ღონისძიება" მათ გაერო-ს მისიის ნებართვით წამოიწყეს. არძინბას ხელისუფლების გენერალური პროკურორის რაუფ კოლუას თქმით კი, "ანტიკრიმინალური ღონისძიებების" ჩატარება მას შემდეგ გადაწყდა, რაც ჭუბურხინჯის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა როზა ოტუნბაევამ გალის რაიონში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა სეპარატისტებს დააკისრა. თავად გაერო-ს მისიაში ამ განცხადების კომენტირებისგან თავს იკავებენ. რაც შეეხება რუს სამხედროებს, მათი პოზიცია იქიდანაც არის ნათელი, რომ მათ აფხაზთა შეიარაღებული ქვედანაყოფი უსაფრთხოების ზონაში უპრობლემოდ გაატარეს.

"ანტიკრიმინალური ოპერაციის" პირველსავე დღეს აფხაზებმა გალის ქართული სოფლების მცხოვრებლები დააპატიმრეს. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია. აფხაზური მხარე აცხადებს, რომ აიყვანეს 16 ადამიანი, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზებმა, სინამდვილეში, 70-მდე ადამიანი დაატყვევეს და მათ დიდ ნაწილს ოჩამჩირესა და ტყვარჩელში მალავენ. ზუგდიდის რაიონის პროკურორი მებრძოლი ჭკადუა გუშინ გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელს რუსლან ქიშმარიას შეხვდა. ჭკადუას თქმით, ქიშმარიამ პირობა დადო, რომ დაკავებულ ქართველებს 2-3 დღეში გაათავისუფლებენ, ოღონდ მას შემდეგ, რაც მათი ვინაობა დადგინდება. თუმცა, აფხაზები ყველას გაშვებას სულაც არ აპირებენ. იმავე ქიშმარიას თქმით, გაათავისუფლებენ მხოლოდ მათ, ვინც აფხაზეთის მკვიდრია. დანარჩენებს საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის პასუხისგებაში მისცემენ.

ზუგდიდის პროკურორსა და გაერო-ს მისიის წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ, აფხაზურმა მხარემ მართლაც გაათავისუფლა 8 მძევალი. ისინი ირწმუნებიან, რომ პატიმრობაში მხოლოდ შვიდი ადამიანილა რჩება და კატეგორიულად უარყოფენ ტყვარჩელსა და ოჩამჩირეში მძევალთა გადამალვის ფაქტს.

ამჟამად ქართული მხარე არ ფლობს ინფორმაციას დაკავებულთა ვინაობის შესახებ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთი მათგანი სამტრედიის მკვიდრია.

და ბოლოს, 25 დეკემბერს აფხაზ ბოევიკთა მიერ გალის რაიონის ქართულ სოფლებში განხორციელებულ ღონისძიებებს კინაღამ მეექვსეკლასელი გოგონას სიცოცხლე შეეწირა. გალის რაიონის სოფელ გაგიდას მკვიდრს, 12 წლის ბავშვს სეპარატისტთა ბრმა ტყვია მოხვდა. ბოლო ინფორმაციით, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

# იუსტიციის სამინისტრომ ჟურნალისტებს კონკურსი მოუწყო

იუსტიციის სამინისტროში გუშინ საახალწლო საღამო შედგა.

**"ჩვენ ვცდილობდით, გვეკეთებინა საქმე, რაშიც ჟურნალისტები კრიტიკული წერილებით გვეხმარებოდნენ,"** – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა და იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწესებულ ნომინაციებში გამარჯვებული ჟურნალისტები გამოავლინა.

სუნამოები, კალმისტრები, სიგარები, საათები, პატიმრების მიერ დამზადებული ჯვრები და ხატები ნომინაციაში გამარჯვებულ ჟურნალისტებს სამინისტროს თანამშრომლებმა გადასცეს.

ნომინაციებში "საუკეთესო რეპორტაჟი" და "საუკეთესო ფოტო" გაიმარჯვა გაზეთმა „24 საათმა"; ნომინაციაში "საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟი" პრიზიორი გახდა ტელეკომპანია „რუსთავი 2".

ნომინაციაში "საუკეთესო ინფორმაცია" პრიზიორის სტატუსი ერგოთ საინფორმაციო სააგენტოებს „მედია-ნიუსს" და „კავკას-პრესს"; ყველაზე დამაინტრიგებელი მასალისთვის პრიზიორი გახდა გაზეთი „რეზონანსი"; `ყველაზე "საუკეთესო ინტერვიუსთვის" დაჯილდოვდა „დილის გაზეთი"; "საუკეთესო ანალიტიკური მასალისთვის" - „საქართველოს რესპუბლიკა"; ყველაზე „მწარე მასალისთვის" და "საუკეთესო დებიუტისთვის" – გაზეთი „ალია", ყველაზე "ორიგინალური მასალისთვის" კი გაზეთმა „კრიმინალმა" მიიღო პრიზი.



*დაჯილდოების ცერემონიალი იუსტიციის სამინისტროში.*

# შესაძლოა, ქუთაისის ავტოქარხნის ირგვლივ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბოს

პირველი გვერდიდან

ამირან ნაცვლიშვილისგან განსხვავებით, გაცილებით უხვსიტყვაობს მისი და - ეთერ ნაცვლიშვილი. ეთერ ნაცვლიშვილის სერიოზული ბრალდებების ობიექტი თემურ შაშიაშვილი გახდა. მისი აზრით, პრეზიდენტის რწმუნებულმა დაგეგმა მისი და მისი ძმის მკვლელობა. იმერეთის გუბერნატორი პროკურატურაში დაკითხვაზე ჯერ არ დაუბარებიათ.

თუმცა, სამართალდამცველები ღიად ალაპარაკდნენ, რომ ამირან ნაცვლიშვილი თავად არ არის საქმის გახსნით დაინტერესებული და მისი ჩვენებები არ ემთხვევა ჩვენს მიერ მოპოვებულ ოპერატიულ ინფორმაციებსო. მოკლედ, ამჟამად ძიება იმას არკვევს, თუ რატომ არ უნდა აწყობდეს ნაცვლიშვილს საქმის გახსნა. პარალელურად ავტოქარხანას ამოწმებენ კონტროლის პალატა და პროკურატურა.

ნაცვლიშვილის გატაცებასთან დაკავშირებით, ქუთაისში თავდაპირველად რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთი ვერსია ფულის გამოძალვას უკავშირდებოდა. მეორე - აქციონერთა შორის აქციების გადანაწილებას. საუბარობდნენ იმაზეც, თითქოს ნაცვლიშვილმა კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილი დარღვევების შემდეგ თავი თვითონ გაატაცებინაო. ყველაზე სარწმუნოდ ქუთაისელებს მიაჩნიათ ახლახან გახმაურებული ვერსია - ავტოქარხნის აქციათა ნულოვან აუქციონზე გაყიდვა.

საქმე ისაა, რომ ნაცვლიშვილის გატაცებამდე ერთი თვით ადრე ავტოქარხანაში ნულოვანი აუქციონი ჩატარდა, რომელზეც სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ავტოქარხნის აქციათა 78,6 პროცენტიდან, ნულოვან აუქციონზე გასაყიდად 30 პროცენტი გავიდა. საუბრობენ, რომ ნულოვანი აუქციონი საერთოდ არ უნდა ჩატარებულიყო, რადგან არსებობდა პრეზიდენტის განკარგულება, რომელიც ქარხნის მხოლოდ პროგრამულ პრივატიზებას ითვალისწინებდა, რაც, ფაქტობრივად, მუშა-მოსამსახურეთათვის ქარხნის სიმბოლურ ფასად გადაცემას ნიშნავს. იმავეს ადასტურებდა იმერეთის გუბერნატორიც, რომელიც ამის შესახებ საჯაროდ დიდი ხნის განმავლობაში აცხადებდა და პრეზიდენტის მიერ ქარხნის პროგრამული პრივატიზების გადაწყვეტილების მიღებას საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა. მან ქარხნის ნულოვანი აუქციონის ჩატარების შემდეგ განაცხადა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

თემურ შაშიაშვილს ამჟამად ქუთაისის სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი და აუქციონის შედეგების გაუქმებას ითხოვს. გატაცების თაობაზე გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით კი, დაინტერესებულმა პირებმა სწორედ პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაცვლელად და ნულოვანი აუქციონის ჩატარებისათვის გადაიხადეს დიდი ფული.

ქონების მართვის სამინისტროს ინფორმაციით, ნულოვანი აუქციონის ჩატარების შემდეგ ქარხნის აქციები ასე გადანაწილდა: ავტოქარხნის აქციათა 30 პროცეტში 240 ათასი ლარი გადაიხადეს. ყველაზე დიდი შენატანი ბონდო შალიკიანმა გაიღო - 80 000 ლარი. შემდეგ მოდის ამირან ნაცვლიშვილი, მან - 46 ათას ლარი გადაიხადა. ამირან ნაცვლიშვილის მეუღლემ, რუსუდან ტოგონიძემ კი - 20 000 ლარი. ვინმე ერგემლიძემ - 30 000 ლარი, ფირმა "ვანო და კომპანიამ" - 5 000 ლარი. სააქციო საზგადოების 8 დირექტორიდან თითომ შვიდი ათასი ლარი გადაიხადა. ნულოვანი აუქციონი მყიდველთა მაღალი აქტივობით არ გამოირჩეოდა, რასაც საქმეში კრიმინალური ავტორიტეტის ჩარევით ხსნიან. შაშიაშვილმაც ბონდო შალიკიანის მეგობრისკენ, ტარიელ ონიანისკენ, გაიშვირა ხელი. საუბრობენ იმაზეც, რომ შალიკიანი დარწმუნებული იყო, რომ არა ექვსი, არამედ გაცილებით მეტი პროცენტი ერგებოდა. გავრცელებული ინფორმაციებით, ბონდო შალიკიანსა და ნაცვლიშვილს შორის წინასწარი მოლაპარაკება შედგა. ამბობენ, რომ ნაცვლიშვილმა მოლაპარაკების პირობები დაარღვია. მან აუქციონში მონაწილეობა მიაღებინა საკუთარ მეუღლესა და ავტოქარხნის საწარმოთა დირექტორებს, რითაც (მოლაპარაკების პირობების თანახმად) თანხობრივი ბალანსი დაირღვა და ბონდო შალიკიანს ნაკლები აქციები ერგო. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ პირობების დარღვევისთვის ავტოქარხნის ხელმძღვანელს იმ ფულის ნახევარი გადაახდევინეს, რაც დაინტერესებულ ჯგუფს ნულოვანი აუქციონის ჩატარება დაუჯდა. ქუთაისში ამბობენ, რომ ნაცვლიშვილის გატაცების პერიოდში ავტოქარხნიდან ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებულ ფირმებში, დაახლოებით, ერთი მილიონო ლარი გადაირიცხა. ავტოქარხანაში შემოწმებაზე მყოფი კონტროლის პალატა, ალბათ, დაადგენს გავრცელებულ ინფორმაციას. თავად ბონდო შალიკინი კი აღნიშნულ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს: **"მე აქციათა ხუთ პროცენტზეც თანახმა ვიყავი. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებაში კონტროლის უფლებას მოვიპოვებდი. სატრაქტორო და ელექტრომექანიკურ ქარხნებშიც იმავე ოდენობის წილს ვფლობ. 15 პროცენტამდე აქციებს კი თვითონ ამირანი განკარგავს. კვლავ სახელმწიფოს ხელში დარჩა ავტოქარხნის აქციათა ძირითადი, 48 პროცენტი. ჩვენ შორის ამის გამო არანაირი დავა არ ყოფილა. ეს არის აბსურდი და უზნეო ადამიანების შეთითხნილი ამბები. ჩვენს შორის არც გარიგებები ყოფილა და არც ტარიელ ონიანია რამეში გარეული."** ამირან ნაცვლიშვილი დღემდე პრესასთან ურთიერთობას თავს არიდებს. საწარმოში შესული კონტროლის პალატა და პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფი მალე დასკვნას დაწერს, რის შემდეგაც ძალიან ბევრი რამ გახდება ცნობილი. ავტოქარხნის ირგვლივ ვითარება უახლოეს ხანში, ალბათ, კიდევ უფრო დაიძაბება.

## შერაძემ სადღესასწაულო განწყობა ბრძანა

დედაქალაქის პრემიერის გია შერაძის განკარგულებით, 25 დეკემბერს დაწყებული საახალწლო ვაჭრობა 2003 წლის 15 იანვრამდე გაგრძელდება. დედაქალაქის საცალო-სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ხელმძღვანელებს, ასევე აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების დირექციებს მიეცათ წინადადება, საახალწლო ვაჭრობის დღეებში სადღესასწაულოდ გააფორმონ სავაჭრო დარბაზები და მაღაზიების ვიტრინები, კეთილმოაწყონ ობიექტების ინტერიერები და მიმდებარე ტერიტორიები, გამართონ გამოფენა-გაყიდვები, ყველაფერი იღონონ მოსახლეობისათვის სადღესასწაულო განწყობილების შესაქმნელად. სავაჭრო ობიექტებში მუშაობის რეჟიმი 2-3 საათით გახანგრძლივდება. პრემიერის განკარგულებით, ქალაქის სანიტარიულ და ვეტერინარულ სამსახურებს დაევალათ საახალწლო ვაჭრობის დღეებში გააძლიერონ კონტროლი ქალაქში სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სანიტარიული და ვეტერინარული წესრიგის დაცვაზე, აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებში სანიტარიული და ვეტერინარული მოთხოვნების შესრულებასა და კვების პროდუქტების სამომხმარებლო ვარგისიანობაზე; დაუყოვნებლივ აღკვეთონ მალფუჭებადი პროდუქტების რეალიზაცია სანიტარიული და ვეტერინარული წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

მერია თხოვნით მიმართავს ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოს, ახალი წლის დღესასწაულის დღეებში უზრუნველყოს ქალაქის ქუჩებში, განსაკუთრებით კი აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების მიმდებარე ქუჩებსა და მოედნებზე, სატრანსპორტო საშუალებათა უსაფრთხო და შეუფერხებელი მუშაობა. ეკოლოგიურ სამსახურებთან ერთად არ დაუშვას ქალაქის შემოგარენსა და რაიონებში უნებართვოდ მოჭრილი ნაძვის ხეებით ვაჭრობის შემთხვევები და დამნაშავეთა მიმართ მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

*მედია-ნიუსი*

## „ბილიკიდან" ცხოვრების გზაზე

*თავდაპირველად იყო უნდობლობა, სიფრთხილე, ეჭვი... მათთვის უჩვეულო იყო მზრუნველ ადამიანებთან ურთიერთობა, სითბო, ყურადღება. მერე ნელ-ნელა მიეჩვივნენ აქაურობას, ქუჩაში სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებდნენ და გული იქეთ მიუწევდათ. დღეს კი გორში არსებულ ასოციაცია "ბილიკში" ორმოცდაათზე მეტი მოზარდი ცხოვრების დაუნდობელ რეალობას აფარებს თავს, აქაური გარემო ბევრი მათგანს ოჯახურ სიმყუდროვეს უცვლის.*

ვასილ გულეური

გორიდან

როგორც ასოციაციის ხელმძღვანელი მარიკა მღებრიშვილი ამბობს, "ბილიკში" დღეს არა მარტო ის ბავშვები დადიან, რომლებიც გაჭირვებამ ქუჩაში გაიყვანა, არამედ აქ უნარშეზღუდულები და ხელმოკლე ოჯახის შვილებიც იყრიან თავს. "იუნისეფის" და "მერსი ქორის" მხარდაჭერით, ორგანიზაცია ამჟამად ახორციელებს პროექტს - "თანადგომა". შექმნილია დღის ცენტრი, მუშაობენ სასწავლო და შემოქმედებითი ჯგუფები. ბავშვები სწავლობენ ხელსაქმეს, ხეზე კვეთას, დამატებით მეცადინეობენ სასკოლო საგნებში. ბევრმა სწორედ "ბილიკში" ისწავლა წერა-კითხვა.

წინასაახალწლო დღეებში ბავშვებმა მუსიკალური წარმოდგენაც დადგეს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით - "სათაგური". თუმცა, წარმოდგენის ფინალი შეცვლილია - ფიცხელას სათაგურიდან კატა დაიხსნის, რომელიც თაგვების მეგობარი ხდება. ალბათ, შემთხვევითი არც ეს არის. ბავშვებმა აქ ხომ მზრუნველობა, ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა და სიყვარული ისწავლეს, ამიტომ სურთ, ყოველთვის და ყველგან ასე ხდებოდეს. კატის როლის შემსრულებელს, 12 წლის თინიკო საათაშვილს მოსწონს ასეთი დასასრული და ამბობს, რომ ბოროტი და თაგვების მტერი კატა ბოლოს მათი მეგობარი გახდა, რადგან მეგობრობა მტრობას მოერია. თინიკო მსახიობობაზე ოცნებობს და სახლშიც ხშირად თამაშობს, თვითონვე იგონებს სხვადასხვა გმირს და განასახიერებს. მას ყველაზე მეტად სიკეთის სწამს და უნდა, რომ ყველა ბავშვი ბედნიერი იყოს.

მსახიობობაზე ფიქრობს 14 წლის ლია მოციქულაშვილიც, რომელიც ფიცხელას როლს ასრულებს. ლია და მისი დები - ნანა და ნათია, "ბილიკის" დაარსების დღიდანვე აქ დადიან. წერა-კითხვაც აქ ისწავლეს, ქარგვაც, ქსოვაც. ლიას ძალიან უყვარს მასწავლებლები. "სკოლიდან მოვდიოდი დათრგუნული, დაღონებული. მარიკა მასწავლებელი მეუბნებოდა, - ასე არ გიხდება, გაიცინეო. მისი საუბარი თავისუფლებას მანიჭებს", - ამბობს ლია ფსიქოლოგ მარიკა გოჩიაშვილზე, რომელიც, თითქმის, ყოველ დღეს ბავშვებთან ატარებს. შექმნილია მობილური ჯგუფიც, რომელიც იმ ოჯახების გარემოს ეცნობა, სადაც ბავშვებს "ბილიკიდან" წასვლის შემდეგ უხდებათ ცხოვრება. ფსიქოლოგი მათ მშობლებთანაც მუშაობს, რადგან ბავშვი ქუჩაში ხშირად სწორედ მშობლების ინიციატივით ხვდება.

"ბილიკის" ბევრი აღზრდილი უკვე დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა. იმედია, აქედან გაყოლილი სითბო მათ სწორი მიმართულების არჩევაში დაეხმარება.

## პოლიტიკოსებმა ბავშვებს იმედი გაუცრუეს

*2002 წელს, გაერო-ს ბავშვთა ფონდმა ბავშვების ყველაზე ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი გამოკითხვა ჩაატარა. აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის, წყნარი ოკეანის აუზის, ევროპის, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის 72 ქვეყნის 40 ათასი, 9-დან 18 წლამდე ასაკის მოქალაქე მთელი წლის განმავლობაში აფიქსირებდა თავის დამოკიდებულებას საკუთარი ცხოვრების შესახებ. სკოლებში სწავლის, ზოგადად ძალადობისა და სხვა საკითხების გარდა, ანკეტები ხელისუფლებისადმი მათი მოლოდინის გარკვევასაც ცდილობდა.*

მაკა ჭაიანი

ვიდრე უშუალოდ ხელისუფლებაზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ ბავშვებს ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში, როგორც აღმოჩნდა, აწუხებთ ძალადობა, რომელსაც ოჯახში, საცხოვრებელ ადგილებსა თუ სასწავლო დაწესებულებებში აწყდებიან; დამამცირებელი დამოკიდებულება ღარიბი ოჯახების შვილების, უნარშეზღუდული ბავშვებისა და ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლებისადმი; უმუშევრობა და მათი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა; ნარკომანია, შიდსი და სექსუალური ურთიერთობები; ბავშვის უფლებების თაობაზე ინფორმაციის არარსებობა; შეზღუდვები საკუთარი აზრის გამოთქმაში და თავიანთი ცხოვრების მოწყობაში მონაწილეობის მიუღებლობა.

მსოფლიოს 72 ქვეყნის ბავშვის პრობლემაა ისიც, რომ მათი ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ აქცევს განათლების ხარისხს. ყველაფერი ეს მათ იმის განცხადების საშუალებას აძლევს, რომ ტრადიციულმა პოლიტიკამ და პოლიტიკოსებმა იმედი გაუცრუეს. ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში მცხოვრები ყოველი მესამე გამოკითხული ბავშვიდან ორი არ ენდობა საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას და მმართველობით ორგანოებს. ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 10-დან მხოლოდ 4 ბავშვი მიიჩნევს არჩევნებს მათ სამშობლოში მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებად.

აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 3 პროცენტს მოსწონს საკუთარი პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი (შეგახსენებთ, გამოკითხულთა ასაკი 9-დან 18 წლამდე მერყეობს), ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების ძირითადმა ნაწილმა კი საერთოდ არ იცის, ვინ მართავს მათ ქვეყანას. დედამიწის ამ ნაწილის უმრწმესი მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ მათ ქვეყნებში ცხოვრება გაუარესდება, რადგან ხელისუფლებას არსებული პრობლემების გადაჭრა არ შეუძლია.

გამოკითხვისას ბავშვებს სთხოვეს, სპონტანურად დაესახელებინათ ადამიანები, რომლებითაც აღფრთოვანებულნი არიან, პოლიტიკოსები 100-დან მხოლოდ ორს გაახსენდა.

### მოკლედ

**თბილისი.** გუშინ, 13.30 საათზე, სენაკის რკინიგზის სადგურის გადასასვლელთან სატვირთო მატარებელი სამგზავრო ავტობუსს შეეჯახა. დაიღუპა სამი მგზავრი. ავარიის გამომწვევი მიზეზები ჯერ ცნობილი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის ფასანაური-კობის მონაკვეთი კვლავ დაკეტილია. სხვაგან მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებითაა ნებადართული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის წინ, მოედანზე ხელოვნური ნაძვის ხის დამონტაჟება გუშინ დაიწყო. ორშაბათს ნაძვის ხე ილუმინაციებით გაფორმდება და სათამაშოებით მოირთვება. თბილისში უკვე ჩამოვიდნენ თურქი სპეციალისტები, რომლებიც მერიის შენობის თავზე ანკარის მერიის მიერ ნაჩუქარ ფეიერვერკებს დაამონტაჟებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალი წლის დღეებში თბილისის სახანძრო სამსახური განსაკუთრებული რეჟიმით იმუშავებს. თანამშრომელთა მორიგეობა გახშირდება ყველა ადგილსა და ობიექტზე, სადაც ნაძვის ხე დაიდგმება. მათ დამონტაჟებას და ილუმინაციას სახანძრო სამსახურის ინსპექტორები შეამოწმებენ. **მედია-ნიუსი**

## ლამაზად განათებული სიბნელე


*ნათია ზამბახიძე*


*ჯუმბერ ლეჟავა*


*მამუკა ხაზარაძე*

*გუშინ კლუბ "სარდაფში", სადაც "დილის გაზეთმა" თავისი რჩეული წლის ადამიანების დაჯილდოების ცერემონიალი გამართა, შუქი არ იყო და ბნელოდა. მასპინძლის მტრებს უნდა ვუმადლოდეთ თუ შევარდნაძისას, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ სიბნელე "დილის გაზეთმა" ძალიან ლამაზად გაანათა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ამ შემთხვევაში არ იგულისხმება გზის მაჩვენებელი ორმწკრივა სანთლები, აგიზგიზებული ბუხარი და შამპანურზე მისი ანარეკლი. უბრალოდ ხალხი იყო სასიმოვნო, სიმღერა - კეთილხმოვანი, პრიზები - თვალისმომჭრელი.

უმიკროფონოდ გველაპარაკებოდნენ ჯემალ ჭკუასელი და მაია დათუნაშვილი. მათგან შევიტყვეთ, რომ გაზეთის ჟურნალისტებს 1500 რესპოდენტი გამოუკითხავთ. საოცარი პრიზები კი დაუმზადებია ოქრომჭედელ გიორგი სილაგაძეს.

თავდაპირველად "დილის გაზეთის" რედაქტორმა მანანა კარტოზიამ ***სიმპატიის პრიზები*** გადასცა სამ ჟურნალისტს - ***ირაკლი ალადაშვილს, ნონა ყანდიაშვილს და ნათია ზამბახიძეს*** - შემდეგ ნომინაციების გამოცხადებაც დაიწყო.

**ნომინანტები და გამარჯვებულები:**

***წლის ადამიანი*** - გია ბუღაძე, ჰენრი კუპრაშვილი, ჯუმბერ ლეჟავა, აკა მორჩილაძე, კლოდ სორელი. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა ***ჯუმბერ ლეჟავამ*** და პრიზად მიიღო ფიროსმანის ოქროს შველი.

***წლის საუკეთესო ბანკირი*** - ვახტანგ ბუცხრიკიძე, ტარიელ გვალია, ირაკლი კოვზინაძე, ვლადიმერ პატეიშვილი, გოგა ჩრდილელი. გაიმარჯვა ***ვლადიმერ პატეიშვილმა*** და მიიღო ოქროს ლომი.

***წლის ყველაზე საქმიანი კაცი*** - ბიძინა ივანიშვილი, გოგი თოფაძე, ბადრი პატარკაციშვილი, გია ჭანტურია, მამუკა ხაზარაძე. გაიმარჯვა ***მამუკა ხაზარაძემ*** და მიიღო ოქროს ვერძი.

***წლის დემაგოგი*** - მანანა არჩვაძე-გამსახურდია, ჯემალ გოგიტიძე, ბასილ მკალავიშვილი, გურამ შარაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი. გაიმარჯვა ***გურამ შარაძემ*** და დაუსწრებლად მიიღო ოქროს ჯიხვი.

***წლის ყველაზე დიდი აღმოჩენა პოლიტიკაში*** - ნინო ბურჯანაძე, ვალერი ხაბურძანია, გოკა გაბაშვილი, ზვიად ძიძიგური, თედო ჯაფარიძე. გაიმარჯვა ***ნინო ბურჯანაძემ*** და მიიღო ოქროს ბალთა. რომ გენახათ, რა მომხიბვლელი იყო პარლამენტის თავმჯდომარე, აუცილებლად იტყოდით, ეჰ, ტრიბუნა, ტრიბუნა, შენ რა გითხარიო.

## „ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით, გვითხრა აფხაზმა ბიჭმა"

*საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი "კავკასიური სახლი", რამდენიმე წელია, თანამშრომლობს "ჰაინრიხ ბიოლის" ფონდთან. პროექტის ფარგლებში ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. ამ დღეებში ციკლის - "ეთნიკური საკითხები და თანამედროვე მიდგომები" დასკვნითი სემინარი გაიმართა.*

ლელა მარგიანი

სემინარი დაიწყო ლია ჯაყელის ფილმით - "უჩინარნი", რომელიც ასახავდა ბოლნისის რაიონში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალების ცხოვრებას.

ფილმის ჩვენების შემდეგ ფილოსოფოსმა ლელა გაფრინდაშვილმა შეკრებილთ უამბო იმ ისტორიებზე, რომლებიც სოროსის ფონდის პროექტის ფარგლებში, საქართველოში მაცხოვრებელი ყველა ეთნოსის წარმომადგენელი ქალისგან ჩაიწერეს. ეს საქართველოში ამგვარი გამოკვლევის ჩატარების პირველი პრეცედენტი იყო. ისტორიები ქართველ, ქისტ, მალაკან, პოლონელ, რუს, ებრაელ, აზერბაიჯანელ ქალებზე მოგვითხრობს.

"ქალების ისტორიები" იძლევა მრავალფეროვან, საინტერესო მასალას, რომელიც ეხება ჩვენი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. ნიშანდობლივია რესპოდენტების მსჯელობა შემოსავლების, ხელფასების შესახებ. მაგალითად, სომეხ მარგო სასუნიანს ყველაზე მეტად ეკონომიკური პრობლემა აწუხებს, რადგან თავის ვაჟთან სოჭში წასვლა უნდა და ერთთვიანი ვიზისთვის 170 დოლარი სჭირდება.

"ქალთა ისტორიებში" დიდი ადგილი უკავია საქართველოდან მიგრაციას. როგორც ირკვევა, აქედან წასულებს, განურჩევლად ეროვნებისა, ძალიან უჭირთ საქართველოსთან დაშორება. ბერძენი მარია ტარიადისი აღნიშნავს, რომ მისი უფროსი ვაჟი, თავისი ოჯახით გადავიდა საბერძნეთში. ბავშვები მთელი წელი ტიროდნენ. რძალი წერდა, ფინანსური საშუალება რომ მქონოდეს, აუცილებლად დავბრუნდებითო.

კონფლიქტების მიზეზების შეფასებისას ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ ოსი, აფხაზი და ქართველი ქალები ამ ყველაფერს პოლიტიკურ კონფლიქტებად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე ეთნიკურად. აფხაზი და ქართველი ქალები კონფლიქტზე მსჯელობისას ურთიერთთანადგომის ფაქტებზე უფრო აკეთებენ აქცენტს, ვიდრე წყენაზე. ია ძნელაძე-გოლეთიანი: "კვიტოულში ერთი ღვთისნიერი აფხაზის ოჯახში მოვხვდით. მან 15 კაცი შეგვიფარა. იმ ოჯახის შვილი მინდორში მალულად მეზობლების ძროხებს წველიდა, რომ ჩვენი ბავშვისთვის რძე მოეტანა. როდესაც აფხაზეთს ვტოვებდით, ნაცნობმა აფხაზმა ბიჭმა ხიდამდე მიგვაცილა, გადაგვკოცნა და გვითხრა, - "ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით!"

რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას, ერთმანეთში ნდობის აღდგენას - გამოკითხულებს რევანშისტული განწყობა არ აქვთ, ისინი დიდ იმედს ხალხზე ამყარებენ და არა პოლიტიკოსებზე. "პოლიტიკოსები თამაშობენ და ჩვენ ვიტანჯებით", - ფიქრობს ოსი მანანა გაზაევა. "ვის სჭირდება ეს ომი, ხალხის გადაკიდება. ალბათ, ვიღაცას ხელს აძლევდა, ამდენი ხალხი რომ დაიღუპა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. გავა წლები და ხალხები ისევ გამონახავენ საერთოს", - მიაჩნია აფხაზ ეთერ ძაძამიას.

## „ცხოვრებისეული ისტორიები" მინი თერაპიის მიზნით

*ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, წლის ბოლოს, როგორც წესი, ახალი პროექტები თუ პროგრამები არ იწყება. თითზე ჩამოსათვლელ გამონაკლისებს შორის მოხვდა ახალი რადიო-პროექტი, აუდიო-დღიურები - "ცხოვრებისეული ისტორიები", რომელიც უკვე რამდენიმე დღეა საქართველოს რადიოარხების ეთერში გადის. პროექტის პრეზენტაცია გუშინ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო.*

ირინე სანებლიძე

საზოგადოებას დევნილები ახსენდება ძირითადად მაშინ, როცა ეს ხალხი რომელიმე ქუჩას გადაკეტავს ან რომელიმე შენობაში შეიჭრება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც მათ პერიოდულად გვახსენებენ ხოლმე. მათი არასაინფორმაციო ფორმით, სხვა კუთხით დანახვა თითქმის არ ხდება. ხალხი თითქოს დაშორდა ერთმანეთს, გაუცხოვდა ერთმანეთის მიმართ. სწორედ ამით და წინასაახალწლო სამზადისით ახსნა ახალი რადიო-პროექტის პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოების მოკრძალებული რაოდენობა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა.

რადიო-პროექტის აუდიო-დღიურები - "ცხოვრებისეული ისტორიები" საზოგადოების დაახლოებას ისახავს მიზნად.

"ცხოვრებისეული ისტორიები" პირველად, შვიდი წლის წინ, დიდ ბრიტანეთში ტელე-დღიურების ფორმით გაჩნდა. რუსეთსა და უკრაინაში პროექტის რადიო-დღიურებით განხორციელება ამჯობინეს. ყველგან, სადაც ეს პროექტი მუშაობს, რადიო თუ ტელეპროგრამები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ აუდიო-დღიურებში არავინ ისაუბრებს პოლიტიკაზე, რაც უკვე ყველას ყელში აქვს ამოსული. "ცხოვრებისეული ისტორიების" მიზანია, რომ ნებისმიერ ადამიანს, ასაკის, სქესის, აღმსარებლობისა თუ სოციალური ფენის მიუხედავად, საკუთარი აზრისა თუ ფიქრების ფართო აუდიტორიის წინაშე გამოხატვის საშუალება მიეცეს. ამბის მთხრობელი იქნება პროგრამის ავტორიც, წამყვანიც და რედაქტორიც. პროექტში ჟურნალისტთა მონაწილეობა მინიმუმამდეა დაყვანილი, იგი მსმენელისთვის აუდიო-დღიურების მხოლოდ ტექნიკურ მიწოდებას უზრუნველყოფს. პროექტი ხორციელდება ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით, რომლის მთავარი დანიშნულებაა, გამოავლინოს მსოფლიო კონფლიქტებზე დადებითად ზემოქმედების ხერხები და მეთოდები.

"ცხოვრებისეულ ისტორიებს" საზოგადოებას საქართველოს რადიოარხებიდან თავდაპირველად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა მოუთხრობს.

პროექტი პარალელურად აფხაზეთშიც განხორციელდება. აფხაზურ დღიურებში ისაუბრებს მეორე მხარე, ხალხი, რომელსაც ასევე თავისი სათქმელი აქვს. პროექტი სოხუმში უკვე დაიწყო, მაგრამ გავა თუ არა პროგრამები ეთერში, არავინ იცის.

პროექტის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია ქართულ და აფხაზურ რადიოს შორის რუსულენოვანი აუდიოდღიურების გაცვლა იმ მიზნით, რომ ქართველ და აფხაზ მსმენელებს ერთმანეთის მოსმენისა და გაგების საშუალება მიეცეს.

ლევან ბერძენიშვილის თქმისა არ იყოს, ეს პროექტი შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ სახელმწიფო "ეს ჩვენ ვართ, საზოგადოება"... და რომ "ამ სახელმწიფოს, სხვათა შორის, ჰყავს ხელისუფლება(ც), ე.წ. "ლაითი" მთავრობა".

## დაიმახსოვრეთ 8002, შეიძლება გამოგადგეთ

*რამდენიმე თვის წინათ, საქართველოს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრთან შეიქმნა საინფორმაციო ცენტრი ოთხნიშნა სატელეფონო ნომრით 8002, რომელთანაც, სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად, უფასოდ დაკავშირება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.*

თამარ დვალი

დაარსებისას, 8002-მა განაცხადა, რომ 911-ის მსგავსი სამსახური შეიქმნა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მსგავსი სერვისის მიღწევამდე მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია. 911-საგან განსხვავებით, 8002-ს სათანადოდ მომზადებული სამაშველო ჯგუფი არ ჰყავს, არა აქვთ სათანადო ტექნიკა. თუმცა, ამ სამსახურის უფროსი მიიჩნევს, რომ საშვილიშვილო საქმე გაკეთდა.

**"მთავარია, რომ პირველი ნაბიჯი გადაიდგა. იმედია, თანდათან დავიხვეწებით. მსგავსი სამსახური არასოდეს ყოფილა საქართველოში და, შესაბამისად, არც გამოცდილება გვაქვს. 02-ისაგან განსხვავებით, ამ ნომერზე დაკავშირება საქართველოს ნებისმიერი კუთხიდანაა შესაძლებელი. ეს საზოგადოების ტელეფონია და ხალხის მხრიდან ნდობაც მეტია. მოქალაქეებისაგან უტყუარი ინფორმაციები მიიღება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, სატრანსპორტო საშუალებების გატაცების, სტიქიური მოვლენების, აგრეთვე ქუჩაში ან გზაზე მომხდარი სხვა ისეთი შემთხვევების შესახებ, რომლებიც საგზაო მოძრაობის მონაწილეებს საფრთხეს უქმნის. მიღებულ ინფორმაციას ჩვენი სამსახური დაუყოვნებლივ გადასცემს რადიო "ფორტუნას" (106,9), რაც, მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შემთხვევათა შესახებ, მოსახლეობის დროულ ინფორმირებას უზრუნველყოფს",** - ამბობს საგზაო პოლიციის პრესცენტრის უფროსი თამაზ ღვინაძე.

ახლო მომავალში საინფორმაციო ცენტრს სამი ოპერატორი ეყოლება. ამჟამად სატელეფონო ზარს ორი ჟურნალისტი პასუხობს, საღამოს საათებში კი ხაზი ოპარატიულ მორიგესთან ირთვება. თამაზ ღვინაძის განცხადებით, ამ სამსახურთან დაკავშირება შეუძლიათ იმ პირებსაც, რომელთა უფლებებსაც საგზაო პოლიცია არღვევს. უცხოეთის ქვეყნებში, სამაშველო ჯგუფის მისვლამდე, ოპერატორი მოქალაქეებს დროულ რჩევა-დარიგებას აძლევს. რადგან ჩვენთან ზარებს ჟურნალისტები პასუხობენ, ამგვარი რამ ჯერჯერობით შეუძლებელია.

ხმამაღალი განაცხადის მიუხედავად, დღეისთვის 8002 არაფრით გავს 911-ის სამსახურს. 8002-ს ძირითადად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას შეუძლია დახმარების აღმოჩენა, მაშინ, როცა უცხოეთში ამგვარი სამსახური მოქალაქეს ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში ეხმარება. ის, რომ ტელეფონის ნომერი რვიანით იწყება, უკვე გარკვეულ პრობლემას ქმნის - დაწესებულების უმრავლესობას კოდი "8" გამორთული აქვს.

ჩვენს მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ იმედი, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მათ მაღალ დონეზე მომზადებული ჯგუფი ხვალვე აღმოუჩენს დახმარებას. უბრალოდ, დაიმახსოვრეთ ნომერი 8002. რა იცით, რაში გამოგადგებათ.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია

ცხრა წლის რეზიკო ნატრობს, მასაც "ნორმალური" დედა ჰყავდეს. კოლეგებს სურთ, ისე მოიქცეს, როგორც მათ უნდათ... ის კი ისე იქცევა, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად... იყო დრო, საქართველოში არავის უკვირდა ქალების ცხენით ჯირითი. დადგა დრო და აღარავის უკვირს ქალი საჭესთან და თანამდებობაზე ისევე, როგორც ქალი სამზარეულოში...
კაბინეტში ვახტანგ ბოჭორიშვილის ნაჩუქარი მარგარეტ თეთჩერის სურათი უკიდია. როგორც ჩანს, იმდენი უძახეს, თავი თეთჩერი გგონიაო - გამორიცხული არ არის, მსგავსება, მართლაც, დაიჭირა.
იმ შემოდგომაზე, ბევრ რამესთან ერთად, ესეც მოხდა - ნინო ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მას მხარი უმრავლესობამ სწორედ იმისთვის დაუჭირა, რის გამოც შემდეგ ბევრი გაუნაწყენდა...
ეს იყო მიუკერძოებლობა...

მაია ჭალაგანიძე

**- არ დავიწყოთ სამსახურით... ვისაუბროთ დღესასწაულზე. უკანასკნელად როდის გქონდათ ეგ შეგრძნება?**

- ჩემი შვილის დაბადების დღეზე, 30 ნოემბერს.

**- თქვენ შვილებს მძიმე ხვედრი ერგოთ - დედა მუდმივად ენატრებათ. ის ვერც მშობელთა კრებებზე დადის და ვერც სკოლაში აკითხავთ. არ აპროტესტებენ?**

- დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, ვცდილობ, შვილებთან კონტაქტი არ დავკარგო და მათი პრობლემები ვიცოდე. ადამიანის და, მით უმეტეს, ქალის უპირველესი მოვალეობაა, ღირსეული მომავალი თაობა გაუზარდოს ქვეყანას. მეც არ მინდა, შევრცხვე.

**- ძირითადად, რა მოთხოვნებს გიყენებენ?**

- ძირითადი მოთხოვნაა, რაც შეიძლება, მეტხანს ვიყო მათთან. ერთ-ერთ უკანასკნელ ბიუროს სხდომაზე, როცა ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო, ჩემი შვილი ყოველ წუთს რეკავდა, რადგან მისთვის ძალზე პრინციპული საკითხი იყო გადასაწყვეტი. სანამ გვარიანად არ დაიტუქსა, არ გაჩერდა. ერთი-ორჯერ პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზშიც მქონია კურიოზული შემთხვევები შვილებთან და ტელეფონთან დაკავშირებით. ორივე ავად იყო და მაღალი სიცხე ჰქონდათ. ორი დღის განმავლობაში მხოლოდ მძინარეებს ვხედავდი და სინდისმა ნება არ მომცა, არ მეპასუხა. როცა სხდომის დროს უმცროსმა, რეზიკომ, დამირეკა და ვესაუბრე, დარბაზიდან გავიგონე, ამბობდნენ: აი, ხომ ხედავთ, როგორ დაურეკეს და მართავენ, ვის უნდა ჩაურთოს მიკროფონი და ვის - არა... ერთი სული მქონდა, ყურმილი მიკროფონთან მიმეტანა და დარბაზისთვის გამეგონებინა სინამდვილე, მაგრამ ასეთი ექსპერიმენტისთვის შვილი დამენანა...

**- რითი ცდილობთ მუდმივი დეფიციტის კომპენსირებას?**

- ამის კომპენსირება ძალიან ძნელია. ნამდვილად არ ვარ ისეთი დედა, როგორიც დედაჩემი იყო. მახსოვს, როცა დაკავებული ვიყავი და სკოლაში, მასწავლებლებთან, მუსიკაზე, წრეებზე დავდიოდი, თავად ამომიჭრიდა ან მომინიშნავდა და დამახვედრებდა რაიმე საინტერესო წასაკითხს. ხშირად განვიხილავდით ხოლმე რაიმე წიგნს... დედამ, ჩემს გამო, თავიდან წაიკითხა ყველაფერი - "ტომ სოიერით" დაწყებული და "სადიდო" ლიტერატურით დამთავრებული... რა თქმა უნდა, მე ამას ვერ ვახერხებ, თუმცა, ვცდილობ და ეს, ძირითადად, ღამით ხდება.

**- როგორ გგონიათ, დიდი ხნის შემდეგ გისაყვედურებენ?**

- გააჩნია, რით დამთავრდება ყველაფერი, ანუ რამდენად წარმატებული იქნება ის საქმე, რასაც ვაკეთებ. თუ ჩემი შვილები მიიჩნევენ, რომ ეს ქვეყნისთვის სასარგებლო იყო, დარწმუნებული ვარ, დედის მუდმივ არყოფნას გაიგებენ, თუ არ გამოვა, მაშინ დასანანი იქნება...

დაახლოებით, მსგავსი გამოცდილება მაქვს. უფროსი ვაჟი ერთი წლისა იყო, როცა მე და ჩემი მეუღლე მოსკოვში, ასპირანტურაში წავედით სასწავლებლად და ის ბებიას და ბაბუას დავუტოვეთ. ამის გამო ყოველთვის მქონდა დანაშაულის გრძნობა... მოგვიანებით, როცა უმცროსი იმავე ასაკის იყო, მაშინ 9 წლის ანზორიკომ მითხრა: ასე პატარა როგორ დამტოვეო. ისეთი წყენა ჰქონდა თვალებში, მერჩია, მიწა რომ გამხეთქოდა... მაგრამ, როცა უფროსი ვაჟი უნივერსიტეტში რამდენჯერმე დაესწრო ჩემს ლექციებს და სტუდენტებისგან ჩემდამი სიყვარული და სიმპათია იგრძნო, როდესაც პირველად მივიღე მონაწილეობა ეუთო-ს მუშაობაში და ეუთო-ს ერთ-ერთმა დამაარსებელმა, ლორდმა ემერმა შემაქო ჩემი საქმიანობის გამო, ვიგრძენი, რომ მას სიამაყის გრძნობა დაეუფლა. ახლა ის 17 წლისაა. ჩემს საქმიანობას თვალყურს ადევნებს და ცდილობს, მხარი დამიჭიროს. ასე რომ, იმის შეგრძნება, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვაკეთებ ქვეყნისთვის, ორივეს აქვს...

**- სად სწავლობენ, რით არიან დაკავებული?**

- ანზორიკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია და ძალზე ღირსეულად ჩააბარა გამოცდები. მისი ნაწერი საჩვენებელ ადგილზე დაიდო და ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეეძლო, ენახა. სწავლობს იტალიურს, გერმანულს, აგრძელებს ინგლისურის სრულყოფას და მინდა, იანვრიდან რუსულის განმტკიცება დაიწყოს. დადის ჩოგბურთზე... ერთი რამ ნამდვილად შემიძლია დავიტრაბახო: ჩვენს ოჯახში, ორივე მხრიდან, წიგნის კულტია. ჩემი მამამთილი სკოლის დირექტორია 50 წლის განმავლობაში და საოცრად აფასებს წიგნს, ნიჭიერებას, გონიერებას. ასეთივე მახსოვს მამაჩემის მამაც.

ბავშვობიდან ერთი სენტიმენტალური მოგონება ჩამრჩა. ბებია ძალზე ლამაზი ქალი იყო და ბაბუა ანებივრებდა. მათ სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი. ბოლოს, როცა ბებიას თვალის ოპერაცია გაუკეთეს და ძალიან ცუდად ხედავდა, ბაბუა გამუდმებით საწოლთან ეჯდა და ხმამაღლა უკითხავდა წიგნებს. ოპერაცია ბებიამ მოსკოვში გაიკეთა. მაშინ პალატაში ახლობლებს არ უშვებდნენ. ბაბუა ყოველ დილით მიდიოდა და ღამის 12 საათამდე მოსაცდელში იჯდა. მეექვსე დღეს მედპერსონალმა ვერ გაუძლო ამ სურათს და ბაბუა პალატაში შეუშვეს. ასე რომ, ეს ურთიერთობები, მადლობა ღმერთს, ტრადიციაა.

**- სიყვარული ხომ არ სწვევია?**

- მის სიყვარულთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი გადამხდა ბელგიაში, როცა მთელი ჩემი თავისუფალი ორი საათი მისი შეყვარებულისთვის სვაროვსკის ვარდს ვეძებდი. რომ ჩამოვუტანე, აღმოჩნდა, რომ უკვე სხვა უყვარდა, რის გამოც აღვშფოთდი... სიყვარულის თვალსაზრისით, უფრო სტაბილური აღმოჩნდა უმცროსი ვაჟი - მას 3 წლის ასაკიდან უყვარს ერთი გოგონა, რომელიც ახლა მის სკოლაში სწავლობს (კომპრომეტირებას მოვერიდები და გვარს არ ვიტყვი). ერთმანეთის მიმართ მყარი გრძნობები აქვთ. ერთხელ ვილაცაზე ვუთხარი, ნახე, რა კარგი გოგონაა-მეთქი და მიპასუხა: რაში მაინტერესებს, მე ხომ შეყვარებული უკვე მყავსო. პატარაც ბევრს მუშაობს. ხანდახან წუწუნებს, შენსავით დაკავებული ვარო. სწავლობს რუსულს, ინგლისურს, ჩოგბურთს, სიმღერას, ფორტეპიანოს, ცეკვას...

**- და ეს ყველაფერი ბებია-ბაბუის მხრებზე გადადის?**

- რა თქმა უნდა, ბებია და ბაბუა ხელს გვიწყობენ, მაგრამ, ძირითადად, მე ვაკონტროლებ.

**- რას იტყვით, რა არის სიყვარული?**

- არიან ოჯახები, რომელთაც, ამ თვალსაზრისით, უმართლებთ. როცა ჩემი მომავალი მეუღლე დიდ ყურადღებასა და სითბოს ამჟღავნებდა, დედას მეგობარმა თქვა, თქვენ დიდი სიყვარულის ბედი გაქვთო. ბაბუასა და ბებიას სიყვარული სალაპარაკო იყო, დედამ და მამამ კი მთელი ბავშვობა გამიმწარეს - მათ ერთმანეთი უფრო უყვარდათ, ვიდრე მე. როცა წამოვიზარდე, დავრწმუნდი, რომ ეჭვის საფუძველი არ მაქვს - ეს მართლა ასე იყო, მათ ერთმანეთი უფრო უყვარდათ. ეს ძალზე ნორმალურია. ბედნიერი ვარ, რომ სიყვარულით სავსე ოჯახში გავიზარდე. მე და ჩემი ქმარიც ამ ტრადიციას ვაგრძელებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ვუყვარვარ.

**- რატომ მიეცით ოპონენტებს თქვენი გაკიცხვის საშუალება? უარი რომ გეთქვათ ბადრი ბიწაძის გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტზე დანიშვნაზე, ეს არ მოხდებოდა. ვის და რას არ გაუწიეთ ანგარიში?**

- რომ გვეფიქრა, ეს ამბავი ასეთ აჟიოტაჟს გამოიწვევდა, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდით. ახლა მაინც შემიძლია გითხრათ, რომ ეს ყოველგვარი გარიგების გარეშე მოხდა. ჩვენ არ გვჭირდებოდა პოლიტიკური გარიგება. რომ გვდომებოდა იატაკქვეშეთიდან მართვა და პროცესებზე ზეგავლენა, შეგვეძლო, ნებისმიერი მართვადი პიროვნება დაგვენიშნა. ჩემს ქმარს ისედაც არ ჰქონდა პატარა თანამდებობა. იგი დღემდე უკმაყოფილოა ამ ნაბიჯით. მთავარი სამხედრო პროკურორობისას, მას აბსოლუტური დამოუკიდებლობა ჰქონდა და ძალზე ბევრი რეზონანსული საქმეც გაიხსნა. მაშინ, მართლაც, გულწრფელად სთხოვა ნუგზარ გაბრიჩიძემ, იმ რთულ ვითარებაში მხარში ამოსდგომოდა. მას სჭირდებოდა ადამიანი, ვისი ნდობაც შეიძლებოდა.

სხვათა შორის, ჩემი ქმარი თავადაც ყოყმანობდა და ამბობდა, რომ ამის გაკეთება არ ღირდა. მეც ვყოყმანობდი, მაგრამ როცა ბატონმა ნუგზარმა მესამედ შემოგვთავაზა და თქვა, რომ რადიკალური ნაბიჯების გადადგმას აპირებდა და მას ბადრი ბიწაძე სჭირდებოდა, ვიფიქრეთ: რატომაც არა. ჩვენ ხომ მალულად არაფერს ვაკეთებდით!..

**- გადაიდგა დაპირებული ნაბიჯები?**

- არ მინდა, ამ საახალწლოდ, ვინმეს კრიტიკა გამომივიდეს, მაგრამ პროკურატურის მუშაობით კმაყოფილი არ ვარ. ბოლომდე გადადგმულ რადიკალურ ნაბიჯებს ვერ ვხედავ. სამწუხაროდ, ის ფუნქციები, რომლის იმედიც გვქონდა და რომლის განხორციელებასაც ბადრი ბიწაძე აპირებდა, გარკვეულწილად, აღარა აქვს სწორედ იმ აჟიოტაჟის გამო. მაშინ იყო იმის შიში, რომ ამას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებდნენ. ახლა, ალბათ, ყველა ხედავს, რომ ჩვენ, არც ერთს, თანამდებობები პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოგვიყენებია.

**- მაგრამ, ხომ აშკარაა, რომ პროკურატურის მუშაობა პირდაპირ კორუფციულ გარიგებებთან ასოცირდება.**

- ამის უარყოფას არ ვაპირებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ უწყებაში რადიკალური რეფორმებია გასატარებელი. როგორც ვიცი, ხელმძღვანელობა აპირებს ამის გაკეთებას.

**- თუ ეს რეფორმები დროულად არ განხორციელდება, თქვენთვის ჩვეული მიუკერძოებლობით დაუპირისპირდებით გენერალურ პროკურორს?**

- თუ საჭირო იქნება, დავუპირისპირდები. შევეცდები, პოზიტიური გავლენა მოვახდინო ამა თუ იმ უწყებაზე ისე, რომ ეს დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს. მიმაჩნია, რომ ქვეყნისთვის ცუდია დაპირისპირება თანამდებობის პირთა და უწყებათა შორის.

**- თავისუფლება ის არის, რაც ყოველთვის, ყველა ვითარებაში უნდა შეინარჩუნო. თუმცა, დღეს ციხის საკანში უფრო ადვილია ამის გაკეთება, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. თავისუფლების რა ნაწილი დაკარგეთ?**

- ქართველები არასდროს მონები არ ყოფილან. ის, ვინც შინაგანად თავისუფალი იყო, ნებისმიერი რეჟიმის დროს იყო თავისუფალი. მართალი ხართ, ციხის საკანში უფრო შეიძლება იყო თავისუფალი, ვიდრე უმაღლეს ხელისუფლებაში.



ნინო ბურჯანაძე "24 საათის" რედაქციაში



მამასთან



ქმარ-შვილთან



საყვარელ ლეკვთან

ბავშვობიდან მკაცრ ჩარჩოებში ვიზრდებოდი. დაბადების დღიდან ყველაზე ადრე უნდა წამოვსულიყავი, ოჯახს ჩემი ყველა ნაბიჯი უნდა სცოდნოდა. "ვრემია" იწყებოდა საღამოს 10 საათზე და უსიკვდილოდ შინ უნდა ვყოფილიყავი, თორემ საკავშირო ძებნას გამოაცხადებდნენ. ყველაზე თავისუფლად მაშინ ვიგრძენი თავი, როცა გავთხოვდი. საქორწინო მოგზაურობაში წავედით და პირველი შემთხვევა იყო, რომ არსად მაგვიანდებოდა. პარლამენტის თავმჯდომარეობამ, რა თქმა უნდა, შემზღუდა, რადგან, ემოციურად, ეს ძალზე დიდი ტვირთია. მაღაზიაში გადარბენა ან მეგობართან წასვლა რომ მომინდეს, ამისთვის, სულ ცოტა, ათი კაცი უნდა შეწუხდეს. ეს კი არ მინდა.

შინაგანად კი, ვფიქრობ, ძალზე თავისუფალი ადამიანი ვარ, რადგან ვაკეთებ იმას, რაც სწორად მიმაჩნია. თუ ვთვლი, რომ რაღაც უნდა ვთქვა, - ვამბობ.

**- საყვარელი დეპუტატი თუ გყავთ, ან ვინ არის ის, ვისზეც ზუსტად იცით, რომ მიკროფონთან მისვლისას კარგს არაფერს იტყვის?**

- ძალზე მაკლია ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი... ვისი მიკროფონთან მისვლაც არ მსიამოვნებს, არ გეტყვით, იმიტომ, რომ არ დამიჯერებთ.

**- რა არის თქვენი განტვირთვა, როგორ ისვენებთ?**

- თავისუფალი დრო თითქმის არა მაქვს. გაგეცინებათ და, შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ... სახლს ვალაგებ. ვერ ვიტან უწესრიგობას. გარდა ამისა, ვკითხულობ და კლასიკას ვუსმენ. ძალზე ცოტა დრო მაქვს იმისთვის, რომ მეგობრებთან წავიდე, მაგრამ მაინც ვცდილობ, რომ არ მოვწყდე. ამ კაბინეტში რომ შემოდიხარ, იზოლირებული ხდები. საჭიროა ახლობლებთან, მეგობრებთან ურთიერთობა. მათთან, ვისაც ძალიან უყვარხარ და დაუფარავად გეტყვიან, თუ რას არ აკეთებ სწორად. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია, გაძლევს საშუალებას, არ წარმოიდგინო, რომ მართლა ყველაზე კარგი და ჭკვიანი ხარ.

**- თქვენთვის, უპირველესად, ვინ არის ასეთი ადამიანი?**

- ბადრი ბიწაძე. ის მწარე და კრიტიკულ შენიშვნებს მაძლევს.

**- როგორც ჭეშმარიტი ქართველი მამაკაცი, როგორ ეგუება იმას, რომ მისი მეუღლის წინ მამაკაცები (თუნდაც, დეპუტატები) უხამსად იქცევიან?**

- ერთხელ მან ხმამაღლა, მე მგონი, ჩემი კოლეგების გასაგონად, თქვა – მას ესმის, რომ პოლიტიკური დაპირისპირებები იქნება და ის ამაში არასდროს ჩაერევა, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას და, ვინმეს აზრად მოუვიდეს ჩემი შეურაცხყოფა, დარწმუნებული ვარ, იმ ფუნქციას შეასრულებს, რაც ქმარმა უნდა შეასრულოს.

**- ამიტომ ხომ არ ახსენებთ ხშირად დეპუტატებს, რომ თქვენი შეშინება არც ისე ადვილია?**

- რა თქმა უნდა, არა. აქ იგულისხმება ჩემი პოლიტიკური დაშანტაჟების გახშირებული შემთხვევები. მაინც მგონია, რომ ქართველი მამაკაცები ქალს არ შეაშინებენ. თუმცა, გარწმუნებთ, ნამდვილად ვერ შემაშინებენ.

**- დიახ, ცნობილია, რომ თქვენ კარგად ჯირითობთ და, ნადირობისას, მამა სროლასაც გასწავლიდათ. კარგად ისვრით?**

- მამაკაცებს ვერ შევეჯიბრები, მაგრამ საკმაოდ კარგად. ასევე კარგად ვქსოვ და ვქარგავ.

შეშინების თემას დავუბრუნდები. პოლიტიკური შანტაჟის მოწყობის მცდელობა ხშირად ყოფილა ჩვენს პარლამენტში. ხშირად სხდომის ჩაშლითაც იმუქრებიან, თითქოს ეს საქართველოს პარლამენტი კი არა, ნინო ბურჯანაძის პარლამენტია... ახლა რაღაც საბრალდებო დასკვნასავით მომიმზადეს, სადაც, დაახლოებით, ასეთი შინაარსია: კი არღვევს ბურჯანაძე კონსტიტუციას, მაგრამ ჩვენ მაინც არ მოვითხოვთ იმპიჩმენტს და ა.შ. მათი აზრით, მეუბნებიან: თუ ჭკვიანად არ იქნები და პრობლემებს შეგვიქმნი, იმპიჩმენტს დავიწყებთ. მინდა გითხრათ, რომ ჩემზე ასეთი მექანიზმები არ მოქმედებს.

**- თქვენ საკმაოდ ძლიერი თავმჯდომარის შემდეგ მოხვედით. არ გეშინოდათ? როდემდე შეინარჩუნებთ პრინციპულობასა და დამოუკიდებლობას?**

- გარწმუნებთ, იმდენ ხანს, რამდენსაც ჩემი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს. როცა მოვედი, რა თქმა უნდა, მეშინოდა. როგორ შეიძლება, ამხელა პასუხისმგებლობის არ გეშინოდეს? მით უფრო, სუსტი, ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეობისა, როდესაც ნებისმიერ წინდაუხედავ ნაბიჯს შეიძლება ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს. ყოველგვარი გაპრანჭვის გარეშე ვამბობ: ნამდვილად არ მინდოდა ამ თანამდებობაზე მოსვლა.

**- თქვენ ხალხს ხვდებით და მათთვის, უპირველესად, ავტორიტეტშელახული ხელისუფლების წარმომადგენელი ხართ. ისინი კონკრეტულ გასაჭირზე გესაუბრებიან. რას ეუბნებით, რითი ანუგეშებთ მათ?**

- ყოველთვის, როცა რაიონებში მივდივარ, ვცდილობ, ეს არ ჰგავდეს პარტაქტივის კრებას. მანქანას ვაჩერებ იქ, სადაც არ ელიან, რითიც, სხვათა შორის, პრობლემებს ვუქმნი დაცვას...

ქართველები საოცარი ხალხია. ისინი ბევრად აგრესიულნი უნდა იყვნენ. ამას წინათ სახლში მივედი. არც შუქი იყო, არც არაფერი და, სრულიად გულწრფელი აღშფოთებით, ძალზე არასასიამოვნოდ მოვიხსენიე მთელი მთავრობა. ხალხს ბევრად მეტის თქმის უფლება აქვს ამ ხელისუფლებისთვის. შერცხვენილი ვარ, როცა ხალხი თავის კუთვნილ ხელფასს მთხოვს.

**- როგორ იქცევით ამ დროს, რას ეუბნებით მათ?**

- სინდისი მყოფნის, ბოდიში მოვუხადო იმისთვის, რომ ელემენტარულ პირობებს ვერ ვუქმნით. თუ ობიექტური პრობლემებია, ვცდილობ, ავუხსნა, თუ სუბიექტურია, - არც ამას ვუმალავ. ერთი რამ შემიძლია გითხრათ: არასდროს მიმიცია ფუჭი დაპირებები. ამ ადამიანებს ტყუილს ვერ ვაკადრებ.

**- პრინციპულობა არ გაკლიათ და ეს არაერთხელ დაადასტურეთ, თუნდაც რუსეთთან გართულებული ვითარებისას. ქართველებს რატომ ვერ ერევით?**

- რამდენიმე წლის წინ პარლამენტში სრულიად სხვა ვითარება იყო. მაშინდელი უმრავლესობა პირდაპირ იყო ასოცირებული ხელისუფლებასთან და, ბუნებრივია, გადაწყვეტილებებიც შესაბამისი იყო. დღეს, როცა 15 ფრაქციაა, ბრალდება, რომ ბურჯანაძე ვერ მართავს სიტუაციას, ძალზე უსამართლოა. ძნელია ამის გაკეთება მაშინ, როდესაც ცალკეული გადაწყვეტილებების უკან კონკრეტული პირადი ამბიციებია. მართვა შეიძლება თანამოაზრეებისა, ანუ იმათი, ვინც პოლიტიკურ დებატებში მოგყვება. ამ უკანასკნელ წელს ყველა საკუთარ თავზე და მომავალ არჩევნებზე ფიქრობს. ამიტომაც ეს პროცესი კიდევ უფრო ძნელი გახდება. მინდა, არჩევნებამდე პარლამენტში სტაბილურობა და შრომისუნარიანობა შევინარჩუნო.

**- რას უწოდებდით პარლამენტისა და კანცელარიის ურთიერთობებს?**

- ეს არ არის პარტნიორული, თანამშრომლური ურთიერთობა.

**- არ შეიძლება, ამაში მხოლოდ ერთი მხარე იყოს დამნაშავე.**

- შეიძლება, ჩემი დანაშაულიც არის, მაგრამ ამას ვერ ვხედავ. მოხარული ვიქნები, თუ მეტყვიან, რადგან იმ ადამიანთა კატეგორიას არ ვეკუთვნი, ვისაც საკუთარი თავი ყველაფერში მართალი ჰგონია.

**- კანცელარია საკმაოდ უხეშად ერევა პარლამენტის საქმიანობაში, რითაც ახლად ჩამოყალიბებულ პარლამენტარიზმს სერიოზული საფრთხე ემუქრება. თქვენ ამას ვერ გრძნობთ? როგორ გგონიათ, რა ხერხებით შეიძლება დღეს პარლამენტი დისკრედიტაციას გადაურჩეს?**

- ერთადერთი ბერკეტი, რაც მაქვს, არის ის, რომ შევეწინააღმდეგო უხეშ ჩარევას და ამის შესახებ ხმამაღლა განვაცხადო. გულწრფელად ვამბობ: მსგავსი განცხადებებისგან დიდხანს ვიკავებდი თავს. რეალურად, ჩემი დისკრედიტაციის მცდელობა მიმდინარეობდა. არ მგონია, რომ ისეთი უჭკუო ადამიანი ვარ, ვისაც აუცილებლად ესაჭიროება მართვა. გავიზარდე ისეთ ოჯახში, სადაც 8 წლის ასაკიდან ჭკუას მეკითხებოდნენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს ჭკუაზე რაიმეს აკეთებდნენ, მაგრამ ჩემს აზრს პატივს სცემდნენ. დამოუკიდებელ აზროვნებას მიჩვეული ვარ. არასდროს არავინ მმართავდა.

**- მაგრამ, სუსტი წერტილი გექნებათ...**

- ძალიან ვენდობი ადამიანებს. ვცდილობ, მათში ცუდი არ დავინახო.

**- როგორც ჩანს, ბევრჯერ შეცდით. არ აპირებთ ამ სისუსტის გამოსწორებას?**

- დიახ, ბევრჯერ შევცდი, მაგრამ, ვცდილობ, ეს თვისება არ დავკარგო.

**- როგორი ურთიერთობა გაქვთ პრეზიდენტთან? რა სიხშირით ხვდებით მას და რა განწყობა სუფევს თქვენი შეხვედრისას?**

- მკაცრად განსაზღვრული რეჟიმი არა გვაქვს. თუ სტუმარი ჰყავს და ყურმილს ვერ იღებს, რამდენიმე წუთში თავად მირეკავს. არც აუდიენციაზე უთქვამს ჩემთვის უარი. ურთიერთობაში ძალზე დელიკატურია. ასევე, არასდროს ამბობს კატეგორიულად, რომ დღესვე რაღაც საკითხი უნდა განვიხილოთ. ასეთი სტილი არა აქვს. ბევრ რამეზე ვკამათობთ. შიდაპოლიტიკურ საკითხებზე ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობაა და ძალზე პრინციპული პოზიცია მაქვს.

**- რაზე ბრაზობს?**

- ამას არ ამჟღავნებს. მაგრამ ხმაში და ტონზე ემჩნევა, რომ არ მეთანხმება. ეს, შემდგომ, მის ნაბიჯებშიც ჩანს ხოლმე. მაგრამ მაქვს ერთი პრინციპი და ვფიქრობ, რომ ეს სწორია: ჩემს თავს არასდროს ვაძლევ უფლებას, ღიად ვაკრიტიკო ხელისუფლება და, მით უფრო, პრეზიდენტი, ვიდრე მას წინასწარ არ ვეტყვი ამის შესახებ. ამით ჩემს კრიტიკას კი არ ვათანხმებ, უბრალოდ, ვალდებულად მიმაჩნია თავი, მას ჩემი არგუმენტები ვუთხრა.

**- არის თუ არა თქვენი ურთიერთობა თანამშრომლობა?**

- ხან არის, ხან - არა. ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო ორშაბათის რადიოინტერვიუ და მიმაჩნია, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს. მასთან ორი კვირით ადრე მქონდა კონსულტაციები და არ მოუთხოვია საკითხების რიგგარეშედ განხილვა. ის სრულად ჩავაყენე საქმის კურსში ამ დემარშთან დაკავშირებით და მისგან დემარშისტების მხარდაჭერა ჩემთვის მოულოდნელი და საწყენი იყო. ამის შესახებ ვუთხარი კიდეც...

**- გუნდისა და ადგილის გარეშე ბევრი ვერ დამკვიდრდა პოლიტიკაში. ეს თქვენი ბრალი ხომ არ არის? სად მოიაზრებთ თქვენს ადგილს ახლა ან მომავალში?**

- გუნდი ნამდვილად არ მყავს და ეს, შეიძლება, ჩემი ბრალიც არის. რა თქმა უნდა, არიან პოლიტიკური ძალები, რომელშიც არასდროს ვიგულისხმებ თავს და არიან ისეთებიც, სადაც, შეიძლება, მომავალში წარმოვიდგინო თავი. დღეს ნამდვილად გამიჭირდება იმის თქმა, სად ვიქნები მომავალში. ბედნიერი ვიქნებოდი, 70-კაციანი გუნდი რომ მყავდეს და, გარწმუნებთ, აღმასრულებელი ხელისუფლება ბევრად რთულ ვითარებაში აღმოჩნდებოდა. არ მინდა, ქედმაღლობაში ჩამომართვათ, მაგრამ თავს ვაძლევ იმ ფუფუნების უფლებას, რომ გავაკეთო ის, რაც სწორად მიმაჩნია. მართლა შევეცადე, გამეკეთებინა ის, რასაც ჩემგან ითხოვდნენ - ვყოფილიყავი მიუკერძოებელი და ობიექტურად მემართა სხდომები. ამას ნამდვილად ვცდილობდი, მაგრამ გამოვიდა, რომ ყველა განაწყენდა. თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობ, ღია პოლიტიკა ვაწარმოო. ვერავინ დამწამებს, რომ რომელიმე კულუარულ ინტრიგაში მიმიღია მონაწილეობა. სულ ვფიქრობდი, რომ შეიძლება პოლიტიკა სუფთა ხელებით აკეთო და ამას ვცდილობ.

**- თქვენი საახალწლო ზღაპარი...**

- მიჭირს თქმა. ახალი წელი რაღაცნაირ ჩარჩოში სვამს ადამიანს და მაინც მინდა, მომავალი წელი საქართველოს ყველა მოქალაქისთვის კეთილი და თბილი იყოს.

## გაყინულ დარბაზს ბავშვების სიცილი ათბობდა



ლელა მარგიანი

*გუშინ რკინიგზელთა კულტურის სახლის გაყინულ დარბაზს ბავშვების სიცილი და მხიარულება ათბობდა. თბილისში არსებული ეროვნული კულტურის სკოლამ, "კაი ყმამ" საქველმოქმედო სპექტაკლი "ნაცარქექია" უჩვენა მიუსაფარ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის "მომავლის სახლის" 40 აღსაზრდელს.*

დადგმის მონაწილე თექვსმეტივე ნორჩი მსახიობი სკოლა "კაი ყმის" მოსწავლეა. მათთან ორი თვის განმავლობაში მუშაობდნენ რეჟისორი ლაშა მესხი, მხატვარი უშანგ ლონდარიძე და ქორეოგრაფი ზაზა ბიბილეიშვილი. სწორედ მათი დამსახურება იყო, რომ ბავშვები სცენაზე თავს მშვენივრად გრძნობდნენ - არ ღელავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ცხოვრობდნენ თავიანთი გმირების ცხოვრებით. მაყურებელი აღფრთოვანებული იყო ლევან მჭედლიშვილის მატყუარა, ზარმაცი, მაგრამ მოხერხებული და საზრიანი "ნაცარქექიათი", იზიკო ბენდიანაშვილის პრანჭიკელა "იზრუხტით", გიორგი მალაძის ხარბი "ყაფლანით", ანა დავითულიანის ფუშფუშა "ვახუშტით", გიორგი ქსუტურის სულელი, უსაქმური "მეფით", რომელსაც მხოლოდ საკუთარი მუცლის ამბავი აინტერესებდა და ვახო კალაშვილის "ვეზირი" მხოლოდ იმიტომ გააგდო, რომ ცაზე ვარსკვლავები ვერ დაუთვალა. მშვენივრად თამაშობდნენ სხვა ნორჩი მსახიობებიც.

ბავშვების თამაშმა ძალიან გაამხიარულა სპექტაკლზე მისული მიუსაფარი ბავშვები. იყო ბევრი სიცილი, ტაში, ყვავილები, მაყურებელი ბავშვების გაცისკროვნებული, ბედნიერი სახეები. მსახიობი ბავშვებიც ბედნიერები იყვნენ იმით, რომ სიკეთეს აკეთებდნენ.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მიუსაფარ ბავშვთა სახლის დირექტორმა ცირა ლანჩავამ დიდი მადლობა გადაუხადა სპექტაკლის მთელ შემოქმედებით კოლექტივს თანადგომისთვის. ეროვნული კულტურის სკოლის დირექტორმა იზა ჩანტლაძემ დარბაზში მყოფ ყველა ბავშვს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და უსურვა, რომ ბევრი ისწავლონ, იშრომონ და იყონ ნაცარქექიასავით მოხერხებულები, ოღონდ არა მასავით მატყუარა და ზარმაცები.

## "აღმოსავლურ-დასავლური დივანი" ახალი წლის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

"აღმოსავლურ-დასავლური დივანი" – ასე ჰქვია კრებულს რომელშიც ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ნათარგმნი სპარსული, ავსტრო-გერმანული და XX საუკუნის რუსული პოეტური ნიმუშებია შესული. კრებულის წინასიტყვაობაში მთარგმნელი წერს: "მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება ასოციაცია გოეთეს "დასავლურ-აღმოსავლურ დივანთან", რამაც შესაძლოა, კრებულის შემდგენლის მიმართ გარკვეული პრეტენზიულობის ეჭვიც კი აღძრას. მკითხველის დამშვიდების მიზნით უნდა განვაცხადო, რომ ასეთი ეჭვი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ორიოდე მიზეზის გამო: პირველი ის გახლავთ, რომ გოეთეს ეს წიგნი ორიგინალური ლექსების კრებულს წარმოადგენს და მისი ასეთი სათაური Vest-Цstlicher Divan მხატვრულ-კონცეპტუალური დატვირთვის მქონეა, ხოლო ჩვენს შემთხვევაში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა აღმოსავლური და დასავლური ლექსების კრებულს, ვინაიდან არაბულ-სპარსულ პოეტიკაში ლექსების ყოველგვარ კრებულს, ჩვეულებრივ, "დივანი" ჰქვია".

ამოდენა წიგნი არასოდეს გამომიცია და ცოტა დაბნეული ვარო, - იცინის ბატონი ვახუშტი. კრებულში, როგორც ავტორი გვეუბნება, 45-წლიანი შრომის შედეგია წარმოდგენილი - რა თქმა უნდა, ეს არის მხოლოდ ნაწილი მის მიერ შესრულებული თარგმანებისა, რჩეული, რომელიც საშუალებას მისცემს მკითხველს მთარგმნელის მრავალსახოვნება დაინახოს.

"კრებულის გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, აქ აღმოსავლური პოეზიის ბრწყინვალე თარგმანებთან ერთად ამ პოეზიის სრული ანტიპოდის – გერმანული პოეზიის ნიმუშების შესანიშნავ თარგმანებსაც შეხვდებით, - ამბობს მწერალი ნაირა გელაშვილი, და თავის გამოსვლაში იმასაც იხსენებს, როგორ მიულოცა ვახუშტი კოტეტიშვილს 50 წლის იუბილე: ბატონი ვახუშტის გვირგვინი აღმოსავლური და დასავლური პოეზიის უძვირფასესი თვლებისგან არის შექმნილიო.

მთარგმნელი მკითხველს ურჩევს: სანამ თარგმანებს წაიკითხავენ, ჯერ წინასიტყვაობა წაიკითხონ, რომელსაც



ვახუშტი კოტეტიშვილი

მან "მთარგმნელის აღსარება" დაარქვა; პრეზენტაციაზე იმის თქმაც არ ავიწყდება, რომ წიგნის 335-ე გვერდზე, მანდელშტამის ერთი ლექსის თარგმანში კორექტურაა გაპარული: არის "სინებს" და უნდა ეწეროს "მინებსო", ესეც გაასწორეთო – ითხოვს.

"თარგმანს ბევრი პარადოქსი ახლავს თან, ტექსტი შეიძლება სიტყვასიტყვით თარგმნო, მაგრამ ზუსტი არ იყოს, შეიძლება დაშორდეს სიტყვასიტყვით თარგმანს და, ამავე დროს, უფრო მეტად მიუახლოვდეს ორიგინალს. მთარგმნელის ხელოვნება გარკვეულ ასპექტში მსახიობის ხელოვნებას ემგვანება, მთარგმნელი – ეს ლიტერატურული მსახიობია; ვისაც თარგმნი, იმის როლში უნდა შეხვიდე, ბაირონს თარგმნი? ბაირონად უნდა იქცე... თარგმნა მეცნიერულ ხელოვნებასთან ერთად არტისტული ხელოვნებაცაა," – გუშინდელ საღამოზე ბატონი ვახუშტი დიდხანს საუბრობდა თარგმანის ხელოვნებაზე...

მერე იყო გამოსვლები, კითხულობდნენ ლექსებს სპარსულ, გერმანულ და რუსულ ენებზე და მათ ქართულ თარგმანებს. ვახუშტი კოტეტიშვილმა საკუთარ თარგმანებს შორის თავისი ყველაზე საყვარელი ლექსიც წაგვიკითხა:

"შენ ცისკარი ხარ, მე – მიმქრალი სანთლის მუდარა,

მაგრამ განთიადს სანთლისაგან არა უნდა-რა..." (ჰაფეზი, "ღაზალები")

მე რომ ხმა მქონდეს, ალბათ დილამდე არ გაგიშვებდითო, - იხუმრა ბატონმა ვახუშტიმ, რომელსაც ახალგაზრდა მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ, აღმოსავლური პოეტური ტრადიციის მიხედვით, გუშინდელი საღამოს "მესაკრავე" უწოდა.

"შენც გიხდი მადლობას, ჩემო მკითხველო, რომ ლექსებისთვის მოიცალე ამ არაპოეტურ დროში. გზა მშვიდობისა!" – ვკითხულობთ წინასიტყვაობის დასასრულს, პრეზენტაციის ბოლოს ბატონი ვახუშტი დახლოებით ასევე დაგვემშვიდობა და მრავალი ახალი წელი გვისურვა.

ახალი წლის მოლოდინში მკითხველი "აღმოსავლურ-დასავლური დივანით" ხელდამშვენებული ტოვებდა ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზს.

## ქართული „ოქროს დისკი"

### 30 დეკემბერს წლის საუკეთესო სიმღერა დაჯილდოვდება

თეონა ჯაფარიძე.

მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში სასურველი, სიმბოლური ჯილდო – "ოქროს დისკი," რომელსაც ინგლისში 100 ათასი, ამერიკაში კი ნახევარი მილიონი გაყიდული კომპაქტ-დისკისთვის აძლევენ მომღერალს, ქართული შოუ-ბიზნესის სინამდვილისთვის, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურება. მაგრამ როდესაც პრესკონფერენციაზე ფესტივალის ორგანიზატორებმა ჟიური წარგვიდგინეს და ფესტივალის პრინციპებზე ისაუბრეს, მივხვდი, რომ ქართულ "ოქროს დისკს" მხოლოდ ქართული ესტრადის გადარჩენისა და მკურნალობის პრეტენზია გააჩნია.

ფესტივალს შემოქმედებითი გაერთიანება "ფორტუნა 97" ატარებს. მისი ორწლიანი საფესტივალო გამოცდილება წელს უფრო დაიხვეწა და, შეიძლება ითქვას, გამკაცრდა. მაგალითად, პირველ ორ ფესტივალზე სამ-სამი "ოქროს დისკი" გაიცა, წელს მისი მფლობელი მხოლოდ ერთი იქნება. თუ წინა წლებში გამარჯვებული სიმღერის კომპოზიტორი, შემსრულებელი, არანჟირების და ტექსტის ავტორები ჯილდოვდებოდნენ, წელს ჟიური ასეთ კომპლექსურ დაჯილდოებას არ აპირებს და "კარგ სიმღერად ამ ოთხივე კომპონენტის შესაბამის დონეს მიიჩნევს". თავად ჟიურის შემადგენლობა დემონსტრირებაა იმისა, რომ ქართული თანამედროვე ესტრადა გამართული ლიტერატურული ტექსტის, კომპოზიციისა თუ კრიტიკის დეფიციტს განიცდის. სწორედ ამიტომ, ექვსკაციან ჟიურიში ლიტერატორები, მუსიკათმცოდნეები და მუსიკოსები შედიან. მისი შემადგენლობა ასეთია: ლიტერატორი მაკა ბოცვაძე, მუსიკათმცოდნე მაია გოგორიშვილი (რადიო "უნივერსი"), რადიო "ფორტუნას" პროგრამების მენეჯერი მიშა მდინარაძე, მუსიკოსები: ნიკა მემანიშვილი, მანანა სიამაშვილი, ზურა მანაგაძე. ჟიურის თავმჯდომარეა მუსიკოსი რუსუდან ბახტაძე. ფესტივალისთვის ის სამოცი სიმღერა შეირჩა, რომელიც რადიო "ფორტუნასა" და "ფორტუნა+"-ის ეთერში 2002 წელს ტრიალებდა. ჟიურიმ საკონკურსოდ 25 სიმღერა წარადგინა. "დღევანდელ სინამდვილეში 25 ქართული სიმღერის შერჩევა უკვე კომპრომისია", - ამბობს მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი და შემდეგ დასძენს, - "მაგრამ, რეალურად, ათის ამორჩევა მაინც შესაძლებელია".

ფესტივალში სიმბოლურად ქართველი კლასიკოსებიც იღებენ მონაწილეობას. ეს იმიტომ, რომ რადიო "ფორტუნასა" და "ფორტუნა+"-ის ეთერში გია ყანჩელის, გიორგი ცაბაძის, ალექსანდრე რაქვიაშვილისა და ალექსანდრე ბასილაიას შედევრებიც ტრიალებდა.

პრესკონფერენციაზე აღმოჩნდა, რომ მასმედიის პროგნოზი ჟიურის გადაწყვეტილებას დაემთხვა და თუმცა, ამის წინასწარი განცხადება დაგეგმილი არ ყოფილა, უკვე ცნობილი გახდა, რომ "ოქროს დისკის" მფლობელი ეკა მამალაძეა. ასეთი გადაწყვეტილება ჟიურის აკადემიზმზე და კარგ გემოვნებაზე მიუთითებს, თუმცა რამდენად იმოქმედებს იგი თანამედროვე ქართულ ესტრადაში გამეფებულ უგემოვნობაზე, ძნელი სათქმელია.

წლის საუკეთესო სიმღერის დაჯილდოების ცერემონიალი 30 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ფესტივალის ორგანიზატორთა მოთხოვნა ასეთია - გალა კონცერტზე მხოლოდ ცოცხალი მუსიკა უნდა შესრულდეს! მომღერლები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი აპარატურით.

## მეგობრობის აღსანიშნავად

### წიგნის პრეზენტაცია TMS-ში

ნანა ბასილაშვილი

ლევან ხაინდრავა იაპონელებს საბჭოთა ჯაშუშად მიაჩნდათ, КГБ-ს კი - იაპონელ ჯაშუშად. ჯერ ერთმა მხარემ დააპატიმრა, შემდეგ - მეორემ. ამ არაჩვეულებრივად საინტერესო და ძალზედ დრამატული ბიოგრაფიის მქონე ადამიანის ცხოვრება და შემოქმედება დღეს ერთ წიგნად გამოიცა. გუშინ გამოჩენილი მწერლის, ლევან ხაინდრავას ოჯახმა (მისმა შვილებმა გოგამ და ივლიანემ) გალერეა TMS–ში გულბაათ ტორაძის წიგნის პრეზენტაცია გამართა. "ჩემი მეგობარი ლევან ხაინდრავა"- ასე დაასათაურა ავტორმა წიგნი, რომელშიც მან მეგობრის ცხოვრება და მოღვაწეობა თითქმის დეტალურად მოგვითხრო. წიგნი რუსულენოვანია, მასში გარდა დოკუმენტური მასალისა, თავად მწერლის ფოტოსურათები, ავტობიოგრაფია, პუბლიცისტური წერილები და მოთხრობებია შეტანილი.

წიგნის პრეზენტაცია ავტორმა და ხაინდრავებმა მწერლის დაბადების დღეს დაამთხვიეს. გუშინ იგი 86 წლის გახდებოდა. "დღეს ჩვენი ოჯახი დიდ სიხარულს განიცდის, მადლობა მინდა მოვახსენო გულბათ ბიძიას, მამაჩემის უახლოეს მეგობარს. წიგნი, რომლის პრეზენტაციაც დღეს გაიმართა, ძალიან დიდი საჩუქარია ჩვენთვის, ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც თავისი ცხოვრებით უშუალოდ იყო დაკავშირებული ლევან ხაინდრავასთან - ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების წარჩინებულ წევრთან (შეიძლება შვილისაგან ეს ცოტა მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ ასე ვფიქრობ)", - უთხრა პრეზენტაციაზე თავმოყრილ საკმაოდ მრავალრიცხოვან საზოგადოებას გოგა ხაინდრავამ.



გოგა ხაინდრავა, გულბათ ტორაძე და ივლიანე ხაინდრავა

"დღეს სევდანარევი სიხარული გვაქვს. ლევანთან ერთად არ არის ბევრი მისი მეგობარი. დღეს აქ შევიკრიბეთ ის ადამიანები, რომლებიც სწორედ მამამ გაგვაერთიანა. მე ვიცი, გულბათ ბიძიას რა ძალისხმევა დაჭირდა იმისათვის, რომ მამა ისეთად წარმოეჩინა, როგორიც ცხოვრებაში იყო. მას მართლაც ფენომენური მახსოვრობა აქვს, დიდი მადლობა ამისთვის", - აღნიშნა ივლიანე ხაინდრავამ.

თავად ავტორი კი მადლობას დიდ ლევანს უხდიდა, - "რომ არა იგი, არც წიგნი დაიწერებოდა მის შესახებ და არც ჩვენ შევიკრიბებოდით აქ. ლევანი იყო უტეხი, პრინციპული, მაღალი მორალის ადამიანი პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; არაჩვეულებრივად მოსიყვარულე. ლევანთან გატარებული, თითქმის, 40 წელიწადი ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი ფურცლები იყო. ამ წიგნზე სამი თვის განმავლობაში ვმუშაობდი. იმედი მაქვს, რომ სიამოვნებით წაიკითხავთ მას, რადგანაც იგი, ძირითადად, ლევანის ბიოგრაფიაზეა აგებული. ლევანის ბიოგრაფია კი არაჩვეულებრივად საინტერესო და დრამატულია. მან გამოიარა ციმბირი, თუ ყაზახეთი და ეს მრავალჭირნახული შემოქმედი მაინც თავისი ქვეყნისა და ხალხის ქომაგად დარჩა. იმედი მაქვს, რომ ეს წიგნი რაღაცას მოგცემთ, ბევრ ისეთ ამბავს გაიგებთ, რაც თქვენთვის ახალი იქნება, ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო."

ვფიქრობთ, წიგნის მთავარი გმირის გაცნობა მართლაც მნიშვნელოვანი იქნება მომავალი თაობებისთვის მაღალი ზნეობის, კეთილშობილების და ღირსეული მოქალაქეობის სამაგალითოდ.

## კალენდარი

### 28 დეკემბერი



"ფილმი თიხის ნაკეთობას ჰგავს, თქვენ მას ძერწავთ და მერე ყველას დასანახად მაგიდაზე დადებთ. ვიღაცას შეიძლება საერთოდ არ მოეწონოს, ვიღაცა იტყვის, რომ ასეთი დიდებული ნამუშევარი მსოფლიოში არასოდეს შექმნილა. ჩემთვის საკუთარი ნაკეთობის შეფასება ძნელია," - ამბობს პოპულარული შავკანიანი ამერიკელი მსახიობი დენზელ ვაშინგტონი. დენზელ ვაშინგტონი ვარსკვლავის პომპეზურობას ერიდება და ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, სამუშაო დღეებს გადასაღებ მოედანზე ატარებს, შაბათ-კვირას კი – ოჯახთან ერთად შინ დარჩენას ან პიკნიკზე წასვლას ამჯობინებს.

სხვათა შორის, ამერიკელი მსახიობი არ ეთანხმება ცნობილ გამონათქვამს, რომ თამაში ცხოვრებაა: "ჩემთვის კინოში თამაში ცხოვრება არ არის, ჩემი ცხოვრება ჩემი შვილებია, სულაც არ მინდა, იმ ადამიანებს ვგავდე, მთელ დროს საკუთარ თავს რომ უთმობენ. ჩემს მეუღლესა და შვილებთან (დენზელ ვაშინგტონს ოთხი შვილი ჰყავს) ერთად გატარებული დრო, დაბადების დღეები, მეგობრებთან შეხვედრები ჩემს კარიერაზე დადებით გავლენას ახდენს. რა უნდა გამეკეთებინა დასვენების დღეებში, ოჯახი რომ არ მყავდეს," – აცხადებს ვაშინგტონი.

ამერიკელმა მსახიობმა, რომელიც განათლებით ჟურნალისტია, წელს განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა – მან 2002 წლის "ოსკარი" მიიღო მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში "საწვრთნელი დღე" (Training Day). "ოსკარის" მფლობელი ვაშინგტონი პირველად 1989 წელს გახდა, მაშინ ის მეორეხარისხოვანი როლისთვის დააჯილდოვეს ფილმში "დიდება" (Glory).

ამერიკელი მსახიობი **დენზელ ვაშინგტონი** 1954 წლის 28 დეკემბერს დაიბადა. დღეს მას 48 წელი შეუსრულდა.

## ევროსაბჭომ საქართველოს კულტურის პოლიტიკა გააკრიტიკა

### კულტურის სამინისტრო ევროსაბჭოს მოხსენების შერბილებულ ვარიანტს ავრცელებს

ვერა ნეფარიძე

გუშინ კულტურის სამინისტროში ბრიფინგი გაიმართა. დღის წესრიგის მიხედვით, შეხვედრა სამინისტროში გამართულ წლევანდელ ღონისძიებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, თუნდაც იმიტომ, რომ მას ერთ-ერთი მთავარი პერსონა, თავად მინისტრი სესილი გოგიბერიძე არ ესწრებოდა.

სამინისტროს მუშაობაში ბრიფინგების აუცილებლობა ბოლო დროს კულტურის საკითხების აქტუალობამ განაპირობა. უკანასკნელი მოვლენა, რომელიც კულტურის სფეროსადმი საზოგადოების ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის, გუშინწინ მთავრობის სხდომაზე წარდგენილი კანონპროექტია "რეკლამის შესახებ", სადაც საგანგებოდ ჩაიდო ფონოგრამით სიმღერის შეზღუდვის შესახებ პუნქტი. საქართველოს კულტურის პოლიტიკის შესახებ ევროსაბჭოს რეკომენდაციებთან ერთად სწორედ ეს საკითხი იყო გუშინდელი ბრიფინგის ძირითადი თემა.

ევროსაბჭოს ექსპერტთა მოხსენება, რომელიც გუშინ სამინისტროში გაგვაცნეს, არც ისე ახალია. მოხსენება მოამზადა ევროსაბჭოს ექსპერტთა იმ ჯგუფმა, რომელიც რამდენჯერმე იყო საქართველოში ჩამოსული. მოხსენება კი წაიკითხეს 10 ოქტომბერს სტრასბურგში ევროსაბჭოს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს კულტურის პოლიტიკის მიმოხილვას მიეძღვნა. "24 საათისთვის" სანდო წყაროს ცნობით, რეალური მოხსენება საქართველოს ოფიციოზის მიმართ საკმაოდ კრიტიკულია და, ზოგადად, საქართველოს კულტურის პოლიტიკა დაწუნებულია. გუშინდელი ბრიფინგის დამსწრეთ კი ამ მოხსენებასთან დაკავშირებით სხვაგვარი წარმოდგენა შეექმნათ.

პირველ რიგში, საინტერესოა, ალბათ, რატომ აქამდე არ გავრცელდა ასეთი მნიშვნელოვანი მოხსენება, რომელიც 10 ოქტომბერსვე გახდა ცნობილი. შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია გუშინ ამის აუცილებლობა, სამინისტროს ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, გიორგი ქავთარაძემ (რომელიც გუშინდელ ბრიფინგს უძღვებოდა) გვიპასუხა: "ეს მოხსენება დღეს არ გახმაურებულა. საუბარია იმაზე, რომ ამ რეკომენდაციის საფუძველზე, რომლებიც მოგვაწოდეს ევროსაბჭოს ექსპერტებმა, ჩამოყალიბდა ის წინადადებები, რომელიც კულტურის სამინისტრომ შეიმუშავა". ამ წინადადებებში იგულისხმება მოხსენება, რითაც სესილი გოგიბერიძე გუშინწინდელ მთავრობის სხდომაზე წარდგა.

ევროსაბჭოს მოხსენებაში დასმული საკითხების შესაბამისად მინისტრმა ხუთი მნიშვნელოვანი საკითხი დაასახელა. პირველი მათგანის მიხედვით, სასურველია, ჩამოყალიბდეს კულტურის ქარტია, მაგრამ მანამდე შეთანხმებაა საჭირო. ქარტიაში, დასავლური მოდელის მიხედვით, შესაძლოა ასამდე ორგანიზაციისა და კერძო პირების გაერთიანება. თუმცა, უფრო დეტალური ინფორმაცია ქარტიის შესახებ გუშინ ვერ მივიღეთ. როგორც ჩანს, მის შესახებ ჯერჯერობით საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს. არსებული პრობლემების დაძლევის აუცილებელ გზად სამინისტრომ კულტურის ხელახალი განსაზღვრება და სამთავრობო დღის წესრიგში მისი ადგილის დამკვიდრება მიიჩნია. "კულტურა საბჭოთა პერიოდში და დღემდე პოსტსაბჭოთა სივრცეში აღიქმება ვიწროდ, როგორც ხელოვნების დარგების ერთობლიობა და, შესაბამისად, სახელმწიფოს მხარდაჭერაც მხოლოდ ამ დარგების განვითარებაზეა ორიენტირებული", - წერია ევროსაბჭოს ექსპერტთა მომზადებულ მოხსენებაში. რაც მთავარია, ამ უკანასკნელი ნაკლის გამოსასწორებლად იქვე მითითებულია: კულტურისა და ხელოვნების საკითხები უნდა უკავშირდებოდეს ქვეყნის დღის წესრიგის სხვა საკითხებს (აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ასეთ შეხედულებას აქტიურად გამოთქვამენ ამ სფეროში ავტორიტეტული სხვადასხვა ადამიანები). კულტურის სამინისტროს მომზადებულ გეგმაში ასევე უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სახელოვნებო განათლების პრობლემების გადაწყვეტას, ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობას (როგორც სამინისტროში ამბობენ, ამ მხრივ, კულტურის მინისტრს პრეზიდენტისგან სრული მხარდაჭერის იმედი აქვს). და ბოლოს: ამ წინადადებების მიხედვით, აუცილებელია ხელოვანთა სტატუსსა და მათ სოციალურ დაცვაზე ზრუნვა. "უნდა დაიწყოს მსჯელობა თავისუფალი ხელოვანის სტატუსის მისანიჭებლად. მის გარეშე უცხოეთში არანაირი დაზღვევა არ არსებობს", - თქვა გუშინდელი ბრიფინგის წამყვანმა, გიორგი ქავთარაძემ.

ვიდრე აღნიშნული საკითხები დღის წესრიგში დადგება, წესით, კულტურის სფეროს უმნიშვნელოვანესი პრობლემა - ფონოგრამით სარგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს. გუშინწინ მთავრობის სხდომაზე ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა წამოაყენა კანონპროექტი "რეკლამის შესახებ", რომლის შესაბამის პუნქტებზე კულტურის სამინისტროსთან ერთად იმუშავა. როგორც ვარაუდობენ, კანონს პარლამენტი მარტში მიიღებს. მანამდე კი, ალბათ, ფონოგრამის აქტიური მომხმარებლების პროტესტს უნდა ველოდეთ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ალპინიზმი

# ქაშაკაშვილმა ჩილეს უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო



ბენო ქაშაკაშვილი

დიმიტრი ოზოლაძე

ქართველმა მთამსვლელმა, ბენო ქაშაკაშვილმა, წარმატებით დაასრულა "seven summits"-ს პროგრამა. მან ორ იტალიელ მეკლდეურთან, სიმონე მიროსთან და ალბერტო მავლიანისთან ერთად, ჩილეს ვინსონის მასივი დალაშქრა. მასივი ერთ-ერთი ურთულესია მსოფლიოში. მისი უმაღლესი მწვერვალი 4897 მეტრია. მანამდე ქართველ მთამსვლელს დაპყრობილი ჰქონდა მსოფლიოს სხვა უმაღლესი მწვერვალები ევერესტი, აკონკაგუა, მაკინლი, კილიმანჯარო, იალბუზი და კოსიუკზო. ვინსონის მასივის დაპყრობით ქაშაკაშვილი შეუერთდა იმ ალპინისტთა რიგებს, ვისაც ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალები აქვთ დაპყრობილი. ამჟამად ბენო ქაშაკაშვილი ჩილეში, პუნტა-ასენაშია და თბილისში რამდენიმე დღეში დაბრუნდება.

მინი ფეხბურთი

# „ბენდელას თასი"

## დღეს ფინალებია

თბილისის სპორტის სასახლეში დასასრულს უახლოვდება ზაზა ბენდელიანის სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში. გუშინ გაირკვა ბავშვთა და ძირითადი ტურნირის ფინალისტთა ვინაობა. პარალელურად მიმდინარეობს ოთხთა ტურნირი, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტურნირის ორგანიზატორების, სპორტულ ჟურნალისტთა და ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები იღებენ მონაწილეობას. გუშინდელი დღე სწორედ ჟურნალისტთა და ორგანიზატორთა - "ბენდელას" შორის მატჩით გაიხსნა. ამ უკანასკნელის რიგებში თამაშობენ ცნობილი ფეხბურთელები გოჩა ჯამარაული, ბუბა ტყავაძე, მალხაზ შალამბერიძე, პაატა ჩხაიძე, დავით დუიშვილი, მამუკა ღვიტიძე თამაშობენ. ჟურნალისტებმა უკეთ დაიწყეს და 2:0-საც კი იგებდნენ. თუმცა, "ბენდელამ" სწრაფად გამოასწორა მდგომარეობა, 6:3 გაიმარჯვა და გავიდა ფინალში, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს შეხვდება. შსს-ს გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში, დამატებით დროში დაამარცხა ვეტერანები. გაირკვა ბავშვთა ტურნირის ფინალისტების ვინაობა. "ნორჩმა დინამოელმა" 5:1 დაამარცხა "შევარდენი". დრამატული გამოდგა მეორე ნახევარფინალი, რომელშიც ურთიერთობას არკვევდნენ ხობის ბავშვთა სკოლა და ტურნირის ფავორიტი - საფეხბურთო სკოლა "ოლიმპის" პირველი გუნდი. ხობელებმა სამი უპასუხო გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. ასე რომ, ბავშვთა ტურნირის ფინალში, რომელიც დღეს, 14 საათზე გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან "ხობი" და "ნორჩი დინამოელი". ძირითადი ტურნირის პირველი ფინალისტის ვინაობა "ლოკომოტივისა" და "ნაძალადევის" მატჩში გაირკვა. ძირითადი დრო ფრედ - 2:2 დასრულდა. დამატებით დროში რკინიგზელებმა უკეთ ითამაშეს და 4:2 გაიმარჯვეს. თბილისის "მაისმა" 1:0 დაამარცხა "თბილისი". ძირითადი ტურნირის ფინალი დღეს, 15 საათზე გაიმართება. გამარჯვებულებს დააჯილდოებენ, გამოვლინდებიან საუკეთესო ფეხბურთელები.

მოკლედ

**ფეხბურთი**. ტრავმით გამოწვეული სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ იტალიის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა, ფრანგმა დევიდ ტრეზეგემ სრულფასოვანი ვარჯიში დაიწყო. ამჟამად მისი გუნდი, ტურინის "იუვენტუსი", საწვრთნელ შეკრებაზეა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში. ტრეზეგე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. "დავიდს, სპორტული ფორმის აღსადგენად, სჭირდება, რამდენიმე მატჩი შეუცვლელად ითამაშოს. დარწმუნებული ვარ, იგი პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას და გუნდს, ძველებურად, დიდ სარგებლობას მოუტანს", - განაცხადა "ბებერი სინიორას" მთავარმა მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი**. ესპანეთის "ბეტისის" ფორვარდი, ბრაზილიელი დენილსონი, პრიმერადივიზიონის მომდევნო ოთხი ტურის შეხვედრას გამოტოვებს – ასეთია ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტი, რომელიც ფეხბურთელს "ოსასუნასთან" მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო გამოუტანეს. ანალოგიურად დასაჯეს დენილსონის კოლეგა, "მალიორკას" თავდამსხმელი სამუელ ეტოო, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, "ბარსელონას" წინააღმდეგ, მსაჯს წითელი ბარათი "გამოსტყუა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლიდსის" 16 წლის ჰავბეკმა, ჯეიმს მილნარმა, ინგლისის რეკორდი დაამყარა. მან "სანდერლენდს" გოლი გაუტანა და ამით პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გოლეადორი გახდა. "სანდერლენდთან" მატჩი მილნარისთვის მეხუთე იყო "ლიდსის" შემადგენლობაში. თუმცა, იორკშირული კლუბის თინეიჯერი, ყველა შეხვედრაში, მინდორზე შემცვლელად გამოდიოდა. რეკორდსმენის ზუსტი ასაკი 16 წელი და 356 დღეა. საინტერესოა, რომ წინა მიღწევა ორი თვის წინათ, ოქტომბერში დაფიქსირდა. 19 ოქტომბერს თავი გამოიჩინა "ევერტონის" ფორვარდმა უეინ რუნიმ, რომელიც იმ დროს 16 წლისა და 360 დღისა იყო. თუმცა, რუნიმ ეს თავის მეცხრე მატჩში შეძლო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილი ჩილელი ფორვარდი, ივან სამორანო, სამშობლოში დაბრუნდა და მომავალ სეზონს "კოლო-კოლოს" შემადგენლობაში ჩაატარებს. ვარაუდობენ, რომ ჩილელი ფეხბურთელი, რომელიც თავის საუკეთესო წლებში მადრიდის "რეალისა" და მილანის "ინტერის" ღირსებას იცავდა, ახალ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ სამორანო ბოლო დროს მექსიკაში თამაშობდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** 2002 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ტრიუმფატორი, ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი, დუბაის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე დათანხმდა. ტურნირი, 17 თებერვლიდან 3 მარტამდე, არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქში გაიმართება. ცნობილია, რომ, კაპრიატის გარდა, ტურნირში ითამაშებენ დები უილიამსები, ბელგიელი ჟიუსტინ ენინი, ფრანგი ამელი მორესმო, ხორვატი ივა მაიოლი და ესპანელი კონჩიტა მარტინესი.

■ ■ ■

**კრივი.** WBO-ის ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონი გარი საიმონი ავტოავარიაში მოყვა და ხელ-ფეხი მოიტეხა. შემთხვევა ნოემბრის ბოლოს, მოკრივის სამშობლოში, ნამიბიაში მოხდა. ასე რომ, ბრძოლა, რომელშიც საიმონმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვას, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მატჩი მომავალი წლის მარტში იყო დაგეგმილი.

■ ■ ■

**კალათბურთი.** შაკილ ო`ნილს ამ კვირაში რამდენიმე ინციდენტი შეემთხვა. როგორც იქნა, "ლოს-ანჟელოს ლეიკერსის" ცენტრი თავის ძველ მეგობარზე, შონი ნელსონზე დაქორწინდა. ქორწინება "ბევერლი ჰილზში" გაიმართა. საზეიმო ცერემონიალი დახურული იყო. მანამდე კი საკრამენტოელ "მეფეებთან" მატჩში შაკილ ო`ნილმა ბობ ჯექსონს ხელი მოსტეხა. ჯექსონს ოპერაცია გაუკეთეს და, სულ ცოტა, 6 კვირას ვერ ითამაშებს. ამ სეზონში ჯექსონი გუნდის მეორე სნაიპერი იყო და მატჩში, საშუალოდ, 19 ქულას აკეთებდა.

ფეხბურთი

# ოტო რეჰაგელს გუნდი ენგრევა

საბერძნეთის ნაკრების გერმანელ მწვრთნელს, ოტო რეჰაგელს, სულ უფრო მეტი პრობლემები უჩნდება. ამ თანამდებობაზე მისი მოღვაწეობის პერიოდში, ნაკრების უკვე მეორე ფეხბურთელი აკეთებს განცხადებას გუნდიდან წასვლის შესახებ.

საბერძნეთის ნაკრების ნახევარმცველმა აკის ზიკოსმა განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდში თამაში აღარ სურს და რეჰაგელის მისამართით მწვავე კრიტიკაც წამოიწყო. "ნაკრებში არაფერი მესაქმება. მწვრთნელი ჩემი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას არ მაძლევს. რეჰაგელი არაფრად მაგდებს – არც როგორც ფეხბურთელს და არც როგორც ადამიანს", - ამბობს ფრანგული "მონაკოს" 29 წლის ნახევარმცველი.

ზიკოსის განაწყენების მიზეზი ის გახდა, რომ ნოემბერში, ირლანდიის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში, რეჰაგელმა ის ნაკრებში არ გამოიძახა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს უკვე მეორე სკანდალია ოტო რეჰაგელის ბერძნული კარიერის განმავლობაში. ზიკოსამდე ნაკრებიდან წავიდა კიდევ ერთი ბერძენი ვარსკვლავი გრიგორის გეორგატოსი. ეს 2001 წლის სექტემბერში მოხდა - გეორგატოსმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიატოვა ეროვნული ნაკრები.

რეჰაგელის კრიტიკას არც ბერძნული პრესა ერიდება. მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებში საბერძნეთის ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა, რაც ბერძნების უკმაყოფილების მიზეზი გახდა. "ნაკრებში მე ერთადერთი შეფი ვარ. არავის არა აქვს უფლება, მიმითითოს, თუ ვინ გამოვიძახო ნაკრებში. მე ჩემი ფილოსოფია მაქვს და მჯერა, ჩემს გუნდში ყოველთვის საუკეთესოები თამაშობენ", - აცხადებდა მაშინ რეჰაგელი.

ფაქტი კი ერთია: თუ ასე გაგრძელდა, ოტო რეჰაგელს ნაკრებში მისაწვევად არც ერთი ფეხბურთელი არ დარჩება, მით უმეტეს, საუკეთესო.





ოტო რეჰაგელი ზიკოსსაც კარგავს

# ძოძუაშვილმა პირველი შეკრება ჩაატარა

მიხეილ აბაიშვილი

ვლადიკავკაზის "სპარტაკ-ალანიამ" ქართველი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით, ადლერში პირველი წინასასეზონო შეკრება ჩაატარა. ოსური კლუბის ქართველმა დამრიგებელმა გუნდის პოტენციური ახალწვეულების დიდი ჯგუფი საქმეში გამოსცადა. შეკრების დროს ვლადიკავკაზელებმა ადლერისა და სოჭის კლუბების ნაკრები 2:0 დაამარცხეს. "სპარტაკ-ალანიას" მეორე მეტოქე გაცილებით სერიოზული გუნდი იყო. ამჯერად ძოძუაშვილის შეგირდები ადლერში მყოფ რომანცევის "სპარტაკს" ეთამაშნენ. მწვრთნელმა მოსკოველებს ორი შემადგენლობა დაუპირისპირა. "სპარტაკ-ალანია 1"-ისა და "სპარტაკის" შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. რაც შეეხება მეორე მატჩს, ვლადიკავკაზელები გაცილებით ძლიერნი აღმოჩნდნენ და ტიტულოვანი მეტოქე დიდი ანგარიშით - 4:0 დაამარცხეს.

დღეს "სპარტაკ-ალანია" ვლადიკავკაზში დაბრუნდება, ფეხბურთელები კი რამდენიმედღიან საახალწლო შვებულებას მიიღებენ. 5 იანვარს გუნდი ისევ შეიკრიბება და, მორიგი შეკრების ჩასატარებლად, კუნძულ კვიპროსზე გაემგზავრება. იქ "სპარტაკ-ალანიას" შეუერთდება ახალწვეულთა კიდევ ერთი ჯგუფი, მათ შორის, სომხეთის ეროვნული ნაკრების მოთამაშეები, ძმები ქარამანიანები, ლატვიის ეროვნული გუნდის ფორვარდი მიხაილ მიხოლაპი და ერთი პერუელი ფეხბურთელი. ამავე პერიოდში კვიპროსზე შეკრებას გაივლის ძოძუაშვილის ძველი ნაცნობი, ამჯერად ხორვატულად დამოძღვრილი თბილისის "დინამო". საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი კუნძულზე 14 იანვარს გაემგზავრება და იქ ორ კვირას დარჩება. როგორც ცნობილია, ივო შუშაკიც გეგმავს რამდენიმე ამხანაგურ ტესტ-მატჩს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, კვიპროსზე ყოფნისას, ეს ორი გუნდი ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდეს ერთმანეთს.

# კიევიდან მიგრაცია გრძელდება

ჩანს, სკანდალს, რომელიც ვლადისლავ ვაშჩუკის კიევის "დინამოდან" მოსკოვის "სპარტაკში" გადასვლამ გამოიწვია, ახალი, არანაკლებ ხმაურიანი სკანდალები მოყვება. გამორიცხული არ არის, ფეხბურთელთა მიგრაცია კიევიდან მოსკოვში მომავალშიც გაგრძელდეს.

რუსული საინფორმაციო წყაროების მიხედვით, ვაშჩუკის კვალად "დინამოდან" წასვლის სურვილი გამოთქვა კიდევ ორმა ფეხბურთელმა - ანდრეი ნესმაჩნიმ და იური დმიტრულინმა. სანამ ყველაფერი გაირკვევა, კიეველთა ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ვაშჩუკს გუნდთან კონტრაქტი 2004 წლამდე აქვს გაფორმებული და მანამდე ვერსად წავაო. საპირისპიროს ამბობს "სპარტაკის" წარმომადგენელი ალექსანდრ ელენსკი. НТВ+ФУТБОЛ - ისთვის მიცემულ ინტერვიუში ელენსკიმ განაცხადა, რომ ვაშჩუკი უარყოფს რაიმე კონტრაქტის არსებობას, რომელიც მას კიევში 2004 წლამდე დარჩენას აიძულებს და ყველაფერი "დინამოს" ხელმძღვანელობის მონაჩმახია. ის კი არა, ვაშჩუკს, თურმე, არაერთხელ განუცხადებია, რომ "დინამოს" დატოვება სურს და ამას სეზონის დასრულების შემდეგ აპირებს, თუმცა, რაკი ახლა მიეცა ამის შესაძლებლობა, ისარგებლა კიდეც. ელენსკიმ ასევე უარყო იმის შესაძლებლობა, რომ "დინამო" გააჭიანურებდა მოსკოველებისთვის გათავისუფლების ფურცლის გაგზავნას და ფეხბურთელსაც, დიდი ხნის განმავლობაში, თამაშის საშუალება არ მიეცემოდა. "ვაშჩუკი ჩვენი ფეხბურთელია და მას არავის დავაჩაგვრინებთ", - უკრაინელთა გასაგონად განაცხადა ელენსკიმ.

"დინამოსა" და "სპარტაკს" შორის ურთიერთობა კი დმიტრი სიჩოვის გამო გამწვავდა. ყოფილმა სპარტაკელმა საშველად "დინამოს" მიმართა და, რუსთაგან შერისხულ-დისკვალიფიცირებულმა, "დინამოში" გააგრძელა ვარჯიში. არც მისი "დინამოში" თამაშის პერსპექტივა იყო შორეული საქმე, თუმცა, მოულოდნელად, "სპარტაკმა" ის მარსელის "ოლიმპიკში" გაყიდა. თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სიჩოვს წინასწარი კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული კიევის "დინამოსთან". უკრაინელებს საამისოდ გარკვეული თანხაც კი გადაუხდიათ. ბუნებრივია, რუსი ფორვარდის საფრანგეთში გაყიდვას უკრაინელები კარგ გუნებაზე არ დაუყენებია, მით უმეტეს, რომ სიჩოვმა უკრაინელთაგან წინასწარი კონტრაქტი გამოითხოვა, ფულის დაბრუნებაზე კი სიტყვაც არ უთქვამს. ამის გამო უკრაინელებმა ფრანგებს სიჩოვთან გაფორმებული კონტრაქტის ასლი გაუგზავნეს, თუმცა, ესეც არ იკმარეს და ყველაფერი FIFA-ს და რუსეთის საფეხბურთო კავშირს შეატყობინეს. ჯერჯერობით უცნობია, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, რუს ფეხბურთელს დისკვალიფიკაციის ვადა გაუგრძელონ და მოედანზე, ოთხი თვის კი არა, ერთი წლის შემდეგ გავიდეს.

სათხილამურო სპორტი

# იანვრისთვის გაპოხილი თხილამურები

ბიბა ბურასაშვილი

მარათონული მსოფლიო თასის ეტაპებიდან ერთ-ერთს ლენინგრადის რაიონის დაბა ტოკსოვო უმასპინძლებს. 2003 წლის 4-5 იანვრის ბარის თხილამურების მეშვიდე ეტაპი იმითაა საინტერესო, რომ მასში იასპარეზებს სათხილამურო სპორტის მთელი ვარსკვლავედი. ასე რომ, იოლი გასეირნება არავის ელის.

ვის ვიხილავთ ტოკსოვოში? მეშვიდე ეტაპზე ასპარეზობის სურვილი უკვე გამოთქვეს ამ სახეობის ისეთმა ტიტულოვანმა სპორტსმენებმა, როგორებიც არიან სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები (15 კილომეტრზე), ესტონელი ანდრუს ვეერპალუ და მასპინძელი მიხაილ ივანოვი, რომელმაც ოლიმპიური "ოქრო" 50 კილომეტრზე რბოლაში მოიპოვა. ოლიმპიურ ჩემპიონთა გარდა, ჩრდილოეთ რუსეთში იქნებიან 2001 და 2002 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებული, შვედი პერ ელოფსონი, მიმდინარე სეზონის ამავე თასის გათამაშების ლიდერი, ნორვეგიელი ტორ არნე ჰეტლანდი, და საერთოდ, მის თანამემამულე ოლიმპიურ ჩემპიონთა კვარტეტი ტომას ალსგაარდის, ანდრეს აუკლანდის, ფროდე ესტილისა და კრისტენ სკიელდალის შემადგენლობით. მსოფლიო თასის მეშვიდე ეტაპის განაცხადში არიან ისინიც, ვისაც დღევანდელ რეიტინგში პირველი ოთხი ადგილი უკავიათ. ბუნებრივია, გათამაშების მასპინძლებს შორისაც არიან ისეთები, რომლებსაც, თუ მეტი არა, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლიათ. ასეთთა შორის კი, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია, გასულ ექვს მსოფლიო ეტაპზე რუსეთის ნაკრებში ლიდერის პოზიციაზე აღზევებული ვასილია როჩევა. რუსეთის ნაკრებში ვეტერანი სპორტსმენებიც არიან. ქალ მოთხილამურეთა შორის რუსეთისთვის ოფლს დაღვრიან მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლიუბოვ ეგოროვა და 1994 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი ნინა გავრილიუკი. პეტერბურგში ჩავლენ მიმდინარე სეზონის ლიდერებიც, ნორვეგიელი ბენტე სკარი, ესტონელი კრისტინა შმიგუნი და 15 კილომეტრზე რბოლაში 2002 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი, იტალიელი სტეფანია ბელმონდო. სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორთა შორის ტოკსოვოში თხილამურებს მოირგებენ ჩეხი კატერინა ნეიმანოვა, იტალიელები საბინა ვალბუზა და გაბრიელა პარუცი. ერთი სიტყვით, ყველა, ვისაც კი ოდესმე რაიმესთვის მიუღწევია. მსოფლიო თასის მეშვიდე ეტაპის გათამაშებაში გათვალისწინებულია ქალთა და კაცთა ორი სპრინტერული ესტაფეტა და ინდივიდუალური რბოლები – ქალებში 5 კილომეტრზე და ვაჟებში 10 კილომეტრზე.



ტორ არნე ჰეტლანდი

სხვადასხვა

### ფეხბურთი

ბულგარეთში, გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად, ლევერკუზენის "ბაიერის" 21 წლის თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი დაასახელეს. 2002 წელი, მართლაც, იღბლიანი აღმოჩნდა ბერბატოვისთვის. განსაკუთრებით დიდ წარმატებად მიიჩნევენ ოქტომბერში, ხორვატიის წინააღმდეგ გამართულ მატჩს (2:0), როდესაც ბერბატოვმა, სერიოზული ტრავმის მიუხედავად, ერთი საგოლე გადაცემა და ერთი გოლის გატანა მოახერხა. ბულგარეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში პირველ ადგილზეა. ბულგარელებმა 3 მატჩიდან ყველა მოიგეს. ლევერკუზენის "ბაიერის" შემადგენლობაში ბერბატოვმა ჩემპიონთა ლიგისა და გერმანიის თასის ფინალებში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, ვერც ერთი ტურნირი ვერ მოიგო. "ბუნდესლიგის" მიმდინარე სეზონი არცთუ ისე იღბლიანია ბულგარელისთვის: "ლევერკუზენი" ცხრილის მე-17 საფეხურზეა, თავად ბერბატოვის ანგარიშზე კი მხოლოდ ერთი გოლია.

### ჩოგბურთი

კარიერის დასრულებაზე სიტყვას ვერავინ იტყვის მანამ, სანამ არ დაემხობა ჰოლანდიელი ტომ ოკერის რეკორდი – წყვილთა თანრიგში მოგებული ტურნირების რაოდენობით. ასეთი პოზიცია დაიკავა ცნობილმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ტოდ ვუდრიჯმა. "მომავალ სეზონში შევეცდები, დავფარო მთელი რიგი უმაღლესი მიღწევები", – ამბობს ავსტრალიელი. ვუდრიჯმა წყვილთა თანრიგში 74 ტურნირი მოიგო. მათ შორის 19 - "დიდი სლემის". ესე იგი, ოკერის რეკორდის დამხობამდე მას 4 ტურნირის მოგებაღა სჭირდება.

"რეკორდთან ისე ახლოს ვარ, რომ საჩოგბურთო კარიერის დასრულება აზრადაც არ მომსვლია", – აღნიშნა ვუდრიჯმა. ჩოგბურთელს პერსპექტივაში, დევისის თასზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით, ეროვნული რეკორდის დამყარების შანსიც გაუჩნდა. ვუდრიჯის ანგარიშზე 26 მატჩია. რეკორდი კი, რომელიც ადრიანუ კუისტს ეკუთვნის, 28 მატჩია.

### ჭოკით ხტომა

სახელგანთქმული უკრაინელი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა უკრაინის პრემიერ-მინისტრის მრჩევლად დანიშნეს. 24 დეკემბერს უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბუბკა, რომელიც უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატია, საზოგადოებრივ საწყისებზე, პრემიერ-მინისტრის მრჩევლად დაინიშნა. 39 წლის ბუბკა ფრაქცია "უკრაინის რეგიონების", ახალგაზრდული პოლიტიკის, ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომიტეტის წევრია. უმაღლეს რადაში ბლოკ "ერთიანი უკრაინისთვის" სიით გავიდა. ლეგენდარული სპორტსმენი 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშებისა და ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონია ჭოკით ხტომაში. სპორტული კარიერის განმავლობაში 35 მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მართალია, აქტიურ სპორტს ორი წლის წინათ გამოეთხოვა, მაგრამ მისი რეკორდი (6 მეტრი და 15 სანტიმეტრი) ჯერაც დაუძლეველია.

### ოლიმპიზმი

ბრიტანეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ გაერთიანებული სამეფოს მთავრობას მოუწოდა, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ლონდონმა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე განაცხადი შეიტანოს. ოლიმპიური ასოციაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კრეიგ რიდმა განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავუშვათ ხელიდან ბრიტანეთში ოლიმპიადის ჩატარების შანსი. რიდის თქმით, ბრიტანეთის დედაქალაქი ამჟამად საამისო შესაძლებლობების უნიკალურ კრებულს ფლობს.

სპორტული ნაგებობების აღმშენებლობის პროცესი შეიძლება დაემთხვას ლონდონის აღმოსავლეთ რაიონებში საერთო აღმშენებლობით პროცესს. "მხედველობაში გვაქვს ერთიანი მიწის ნაკვეთები, სპორტულ ნაგებობათა კომპაქტური მშენებლობისთვის", – განაცხადა რიდმა. მისი პროგნოზით, 2016 წლისთვის ეს ნაგებობები ბუნებიდან გაქრება. რიდი იმედოვნებს, რომ ბრიტანეთში ოლიმპიური თამაშების ჩატარებას ხელს შეუწყობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სურვილი, შეამციროს თამაშების მასშტაბი.

ბრიტანეთის ლეიბორისტული მთავრობის დაინტერესებული პირები უაღრესად ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხის დასმას კაბინეტის გადამწყვეტ სხდომაზე, რომელიც მომავალი წლის იანვარში გაიმართება. კულტურის, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და სპორტის მინისტრის ტესი ჯოუელის თქმით, ბრიტანეთში ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი დოგმად არ უნდა იქცეს. ამასთან დაკავშირებით გაცილებით უფრო რადიკალური განცხადება გააკეთა ჯოუელის პარლამენტარმა კოლეგამ, თემთა პალატაში ასეთივე კომიტეტის ხელმძღვანელმა ჯერალდ კაუფმანმა, რომელმაც ოლიმპიადის მასპინძლობაზე განაცხადის გაკეთებას "სიგიჟე" უწოდა.

# უდეის სამყარო

## მამის მჯობნი შვილი, ერაყელ სპორტსმენებს შიშის ზარს სცემს

*მას შემდეგ, რაც ავღანეთში თალიბებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საკუთარი პოზიცია იმით გამოხატა, რომ ეს ქვეყანა ოლიმპიური მოძრაობიდან მოკვეთა. დღეს, როდესაც ლამის მთელ ცივილიზებულ სამყაროს ერაყი სამიზნეში ჰყავს ამოღებული, სოკ-ის პოზიცია ძალზე გასაკვირია. ოლიმპიზმის მამები ფიქრობენ რა მოიმოქმედონ – გარიცხონ ერაყი საკუთარი რიგებიდან თუ არა. ამასობაში, ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის უდეი ჰუსეინის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს. ამ მხრივ, საინტერესოა სპორტული ინტერნეტ-საიტის ESPN.com-ის მიერ გამოქვეყნებული მასალა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.*



*უდეი ჰუსეინის სამყარო*

გიგა გურასაშვილი

ერთ დროს ერაყი ახლო აღმოსავლეთის სპორტული მექა იყო, მაგრამ სადამ ჰუსეინის ვაჟის უდეის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ყველანაირი წარმატება მინავლდა. მეტიც, უდეის ერაყში გაბატონებას სპორტული ცხოვრების გაუბედურება და გაჩანაგება მოჰყვა. ჰუსეინის უფროსმა ვაჟმა საკუთარი ხელწერა შეიტანა ქვეყნის სპორტული "აღმშენებლობის" გზაზე. იგი თანამემამულეებს აიძულებს, დაიპყრონ სპორტული მწვერვალები. ეს იმაში გამოიხატება, რომ უდეი მათ დიდ ნაწილს საპყრობილეში ყრის, ზოგსაც აწამებს ან ქვეყნიდან აძევებს. ESPN.com-ის გამოძიებით, სპორტსმენთა ტანჯვა-წამება 1984 წლიდან იწყება.

მსოფლიო ისტორიას არაერთი დიდი ტირანი ახსოვს, მაგრამ ვერც ძველები და ვერც ახლები ვერ შეედრებიან სადამ ჰუსეინს. მისთვის არ არსებობს ისეთი უზენაესობა, როგორიცაა ადამიანთა უფლებები. რაც შეეხება ზოგადად სპორტულ სამყაროს, მის მამამთავრებს, მათ შორის სადამის ვაჟი, ალბათ, ერთადერთია, რომელიც სისასტიკით გამოირჩევა. ამის არაერთი მაგალითიც არსებობს.

უდეი ხშირად წამებით სულს ხდის ყველა იმ სპორტსმენს, რომელიც წაგებას გაბედავს. ყველა "დამნაშავეს" უდეის ხელკეტით ისე მიერეკებიან საპყრობილეებისკენ, როგორც ცხვრებს. იქ კი დღეებითა და თვეობით ამწყვდევენ. "მსჯავრდებულებს" უდეი რკინის ხელკეტით უსწორდება, ზოგსაც ტერფებს უწკეპლავს, თუმცა, "გაწკეპვლა" უფრო რბილი ნათქვამია, ვიდრე რეალობა. ტუსაღ სპორტსმენთა ნაწილს იგი, რამდენიმე დღით, დაკრუნჩხულად მიაჯაჭვავს კედელზე. უდეის ერთ-ერთი საყვარელი საქმეა უმოწყალოდ გამათრახება. გაშოლტვა გრძელდება მანამ, სანამ უდეის რომელიმე მსხვერპლს ბეჭები არ დაუსისხლიანდება. თუმცა, წამება ამით არ მთავრდება. სიმწრისგან გონწასულებს, იგი ბინძურ, დამყაყებულ წყალში ყრის, რომ ჭრილობებში ინფექცია შეეჭრათ. თუ სასწაული მოხდა და უდეი მხოლოდ მსხვერპლის სატუსაღოში გამომწყვდევით შემოიფარგლა, მაშინ, მის წინაშე ქედმოხრილს, გადაპარსულ თავზე აშარდავს.

ასეთია უდეი ჰუსეინი, რომლის "საგმირო" საქმეებსაც ESPN.com-ი აშშ-სა და ინგლისში დაკითხული ყოფილი ერაყელი სპორტსმენებისგან გვატყობინებს. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ საკუთარ თავზე გამოსცადა უდეის წამება. ისინი ნიადაგ იმის შიშში იყვნენ, რომ განსაცდელის დღე არ ასცდებოდათ.

"უდეის საქციელი აბსურდულად ან შემაძრწუნებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ, ფაქტია, თავად მას ეს ყოველივე კანონზომიერი ჰგონია", – აცხადებს უდეის ფრენბურთელთა საკუთარი გუნდის ყოფილი მწვრთნელი და თავად ნაკრების ყოფილი მოთამაშე ისამ ტამერ ალ-დივანი.

ჰუსეინის უფროსი ვაჟი და სადამის შესაძლო მემკვიდრე ყოველდღიურად თვალს ადევნებდა და ადევნებს იმას, თუ როგორ სჯიდა და სჯის მამამისი მის პოლიტიკურ ოპონენტებს, რათა ამით ქვეყანაში საკუთარი კონტროლი განამტკიცოს. მამის ხელში 38 წლის უდეიმაც გამოიმუშავა მოძალადის რეპუტაცია. Amnesty International-ი იტყობინება, რომ უდეიმ ბრძანება გასცა, დაუყოვნებლივ მოეჭრათ ხელები ოლიმპიური კომიტეტის დაცვის სამსახურის წევრებისთვის, რომლებსაც სპორტული აღჭურვილობისა თუ ინვენტარის მოპარვაში ედებოდათ ბრალი. თუმცა, მოგვიანებით დაკარგული ნივთები იპოვეს.

მსგავსი შემთხვევები, რომლებიც უდეის უკავშირდებოდა, ერაყში ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე არაერთხელ გამხდარა გაეროს მსჯელობის საგანი.

ეს ყოველივე მცირე ნაწილია იმისა, რაც უდეის ბნელი საქმეებიდანაა ცნობილი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერაყელ სპორტსმენებს მხოლოდ იმიტომ აწამებდნენ, რომ ეს უკანასკნელნი მოწოდების სიმაღლეზე არ იდგნენ. ფაქტია, რომ მათ დასჯას არავითარი პოლიტიკური ან კრიმინალური სარჩული არ ედო.

ზოგიერთი სპორტსმენის თქმით, უდეი, თავისი სისასტიკით, ათლეტებს მათი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენისკენ უბიძგებდა, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ამას მხოლოდ და მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის აკეთებდა.

"სამყარო, რომელიც მას ხელს აძლევს, სადისტურია, - ამბობს უდეის ყოფილი ორეული და თანმხლები პირი ლატიფ იაჰია, რომელიც თავად არის მოწმე იმისა, თუ როგორ დასაჯეს ათამდე ათლეტი. – მიმაჩნია, რომ სადამი ბევრად ჰუმანურია, ვიდრე უდეი."

ESPN.com-მა გაეროში ერაყის მუდმივი წარმომადგენლის, მოჰამედ ალდოურის მეშვეობით, მიმართა უდეი ჰუსეინს და ერაყის ეოკ-ს, რათა ამ და სხვა ბრალდებებზე კომენტარი გაეკეთებინათ, მაგრამ ეს მოთხოვნა უშედეგო გამოდგა. ჯაბარ ალ-ჰადუშიმ, რომელმაც ESPN.com-ს ერაყის ეოკის მდივნად გააცნო თავი, ამ უკანასკნელთ შეთავაზა ბლანკი, რომელზეც ეწერა, რომ ერაყში ათლეტები არასდროს დაუტყვევებიათ და დაუსჯიათ.

"ჩვენთან არავინ უწამებიათ. ერთადერთი, რაც ხელს გვიშლის, ეს ემბარგოა (გაეროს მიერ ერაყთან ვაჭრობის აკრძალვა). ემბარგომ ერაყის ყველა სექტორს საკუთარი კვალი დაატყო, მათ შორის სპორტსაც," – თარჯიმნის მეშვეობით განაცხადა ალ-ჰადუშიმ.

ყოფილი მწვრთნელები და ათლეტები კი ამბობენ, რომ ერაყის სპორტის პრობლემა უდეია. მათივე თქმით, უდეის მხრიდან წამების მუქარამ და ყველაფერში ცხვირის ჩაყოფამ შეჯიბრებებზე მათ შედეგებს დაღი დაასვა.

სხვათა შორის, უდეის სჩვევია, გახურებული საფეხბურთო მატჩის დროს ფეხბურთელებს უყვიროს, მწვრთნელებს კი საპატიო ლოჟიდან უბრძანოს, თუ ვინ ათამაშონ და ვინ - არა.

"ერაყის გუნდები აზიაში, როგორც წესი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ უკუსვლა უდეის გამოჩენის შემდეგ დაიწყო, - ამბობს უდეის საფეხბურთო კლუბის "ალ-რაშიდის" მწვრთნელი და 1960-70-იანი წლების ერაყის ფეხბურთის ვარსკვლავი კადჰუმი, რომელსაც სამშობლოში "მეფედ" იცნობენ.

ცოტა რამ წარსულიდანაც: ერაყმა ერთადერთი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი 1960 წლის რომის ოლიმპიურ თამაშებზე ძალოსნობაში მოიპოვა. ეს იყო დიდი ხნის წინათ, ვიდრე უდეი 1984 წელს ერაყის ეოკ-ის ხელმძღვანელი გახდებოდა. მას მერე ერაყი იშვიათად თუ ახერხებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას.

ერაყმა ძლივძლივობით შეძლო, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი სპორტსმენი გაეგზავნა. არადა, იყო დრო, როდესაც ერაყელები ოლიმპიადაზე რამდენიმე ათეულ სპორტსმენს გზავნიდა. 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე, მათ 43 სპორტსმენი გაუშვეს. ყოველივე ამის ფონზე უცნაურია ერაყის ოფიციოზის სურვილი, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს ბაღდადმა უმასპინძლოს.

ბუნებრივია, ერაყელ სპორტსმენთა ბედით საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები და ფედერაციებიც დაინტერესდნენ. მათ, საქმის ვითარებაში გასარკვევად, ერაყში საკუთარი ემისრებიც მიავლინეს.

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ გათამაშებაში ყაზახეთისა და ერაყის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩში ამ უკანასკნელთა დამარცხების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ წაგებაში საკუთარი წვლილის შემტანი ფეხბურთელები, უდეის განკარგულებით, დილეგში ჩაამწყვდიეს და ფეხები დაუჟეჟეს. ამ ფაქტის შესასწავლად FIFA-მ 1997 წელს ბაღდადში ყატარიდან და მალაიზიიდან ფეხბურთის ოფიციოზთა დესანტი შეგზავნა. 12 ფეხბურთელის დაკითხვისა და ფიზიკური შემოწმების შემდეგ, როგორც მათ განაცხადეს, წამების ვერავითარ კვალს ვერ მიაკვლიეს. ამასთან, ფეხბურთელებიც ყველაფერს უარყოფდნენ. ერთი სიტყვით, FIFA-მ ერაყში ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვა და, საბოლოოდ, მათ ყველანაირი ბრალდება მოეხსნათ. ერთი შეხედვით, საქმე ჩაიფარცხა, თუმცა...

შარარ ჰეიდარმა, რომელიც მაშინდელ ფეხბურთელთა ნაკრებში იყო გამოძახებული, ESPN.com-თან საუბარში განაცხადა, რომ მისი თანაგუნდელები, მართლაც, აწამეს. თავად კი უდეის რისხვას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ყაზახეთთან შეხვედრამდე დაშავდა და მატჩიც გამოტოვა. ჰეიდარისვე თქმით, ფეხბურთელები, საკუთარი უსუსურობის გამო, ერთმანეთს დასცინოდნენ, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა, ერაყში ორდღიანი ვიზიტით მყოფი FIFA-ს კომისრებისთვის სიმართლე ეთქვა.

ანალოგიური სურათი იყო 1936 წლის ბერლინის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდეც. ბერლინში XI ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1931 წელს, გერმანიის ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლამდე ორი წლით ადრე. სწორედ ნაცისტების რეჟიმში დაიწყო გაძლიერებული მზადება უცხოელ ტურისტთა მოსაზიდად. ნაცისტებმა მზადყოფნაში მოიყვანეს პოლიციელები, რათა უცხო თვალისთვის დაემალათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკა. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა და ბერლინის პოლიციის მეთაურმა გამოსცეს უამრავი ბრძანებულება, ოლიმპიადის მსვლელობისას დაემალათ ანტისემიტური ლოზუნგები, აიკრძალა ბერლინის მიმდებარე





*ადოლფი და უდეი*

ტერიტორიებზე, სავალ გზებზე პატიმართა სამუშაოზე გაყვანა.

1936 წლის ივნისში პარიზში ჩატარდა კონფერენცია ოლიმპიური იდეალების დასაცავად. კონფერენციამ შეიმუშავა მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი, რათა მათ ჰიტლერის ოლიმპიადისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ნიუ-იორკში საბჭოც ჩამოყალიბდა, რათა ოლიმპიური თამაშები ბერლინიდან გადაეტანათ. ვითარებაში უკეთ გასარკვევად, სოკ-მა ბერლინში კომისია მიავლინა, მაგრამ მან ვერაფერი შეამჩნია ისეთი, რაც თამაშებს ზიანს მიაყენებდა. ბერლინის ოლიმპიადის დაწყებამდე ნაცისტები ნიადაგ გაიძახოდნენ არიული რასის უპირატესობაზე, თუმცა...

ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც ჯესი ოუენსის ოლიმპიადასაც უწოდებენ, ნაცისტებმა ცივი შხაპი მიიღეს. მართალია, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ, ფაქტია: მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ჯესი ოუენსმა, თანაც, შავკანიანმა, მეოთხედ იზეიმა ჩემპიონობა და, ამასთან, ფინალში სიგრძეზე ხტომაში გერმანელთა იმედი ლუც ლონგი დაამარცხა, განრისხებულმა ფიურერმა სტადიონი დატოვა. ამის მიუხედავად, უდეისგან განსხვავებით, ჰიტლერს ლონგი არც სატუსაღოში ჩაუგდია და არც უწამებია. ასეთი პარალელის გავლება, უდეის სახასიათო სურათის შესაქმნელად, ვფიქრობთ, კარგი მაგალითი უნდა იყოს.

ახლა ისევ უდეის სამყაროს დავუბრუნდეთ.

ქვეყნიდან დევნილ სპორტსმენთა და მწვრთნელთა უმეტესობა კვლავაც იძულებულია, უდეის ბნელ საქმეებზე საუბრისას ენას კბილი დააჭიროს. ისინი შიშობენ, რომ, ხმის ამოღების შემთხვევაში, მათზე ან მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც ერაყში ცხოვრობენ, შურს იძიებენ და სასტიკად გაუსწორდებიან. თუმცა, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც მზად არიან, ამხილონ უდეი.

თვითმხილველ სპორტსმენთა მონაცემების გარდა, საკუთარი ინფორმაცია აქვთ Amnesty International-სა და გაეროსაც, რომლებმაც კარგად იციან ერაყის ეოკ-ის შტაბბინაში არსებული საიდუმლო საპყრობილის შესახებ. იაჰიას თქმით, შენობა არაფრით განსხვავდება კრიმინალური ბიზნესის შტაბბინისგან, რადგან უდეი მას იყენებს სიგარეტისა და სხვა უკანონო საქონლის საწყობად თუმცა, არა მარტო ამისთვის...

"ჩვენ კუვეიტიდან 125 მილიონი დოლარი წამოვიღეთ, - იხსენებს იაჰია, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, 1990 წელს მონაწილეობა მიეღო მეზობელ ქვეყანაში – კუვეიტში შეჭრაში. – ეს ყველაფერი კი უდეისთვის კეთდებოდა. მანქანებს, ავეჯს, ყველანაირ წვრილმანს ერაყის ეოკ-ის შტაბბინაში ვინახავდით."

თუ იაჰიას სიტყვებს არ ვირწმუნებთ, არის კიდევ ერთი მტკიცებულება, რომელიც გაცილებით მყარია.

1990 წელს უდეი ჰუსეინმა ბიძამისს - ალი ჰასან ალ-მაჯიდს, ერაყის საოკუპაციო ჯარების ხელმძღვანელს, წერილობით მიმართა, რათა ამ უკანასკნელს უდეის თანამოძმეებისთვის საშუალება მიეცა, კუვეიტიდან წამოეღოთ საგამომცემლო საბეჭდი მანქანა. ბიძასთან გაგზავნილი მიმართვა, რომელიც უდეის პირად ბლანკზე მისივე ხელმოწერით იყო დამშვენებული, მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც კუვეიტიდან ერაყის ჯარები გამოდევნეს, ხელში ჩაუვარდათ გაეროს შეიარაღებულ ძალებს.

"აქ სპორტს არაფერი ესაქმება. ეს უდეის სასახლეა, უდეის სამყარო," – აცხადებს იაჰია.

უდეის, რომელიც სწრაფი მანქანებისა და კუბური სიგარეტების სიყვარულითაა ცნობილი, 1996 წლამდე სადამის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, თუმცა, მასზე თავდასხმის შემდეგ, იგი წელს ქვემოთ, ნაწილობრივ, დახეიბრდა. ამ თავდასხმის შემდეგ გამოიკვეთა სადამის ახალი მემკვიდრე – უდეის უმცროსი ძმა, ქუსეი, რომელსაც ქვეყანაში რეჟიმის შესანარჩუნებლად თუ განსამტკიცებლად არანაკლები პასუხისმგებლობა დაეკისრა. ამის მიუხედავად, უდეი კვლავაც მნიშვნელოვანი ფიგურაა ერაყში. იგი თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მის თვალს არ ეპარება არც ერთი წვრილმანი. პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები. "სადამის რევოლუციურ მებრძოლთა" სახელმწიფო დაცვის სამსახური, რომელსაც უდეი მამის ხელისუფლების ხელყოფისგან იცავს, თავად ხელმძღვანელობს. როგორც სპორტსმენები ამბობენ, ზემოხსენებული დაცვის სამსახური, ისევე როგორც მისი ბიზნესის იმპერია, ოლიმპიურ კომიტეტშია განთავსებული. ერაყის ოლიმპიურ კომიტეტს სხვა ფუნქციაც აკისრია.

"ყველამ, ვისაც მუშაობის დაწყება სურს, - მნიშვნელობა არა აქვს, ექიმი იქნება ეს, ინჟინერი თუ ინსტრუქტორი, - ოლიმპიური კომიტეტის დაცვის სამსახურის შემოწმება უნდა გაიაროს. ამ სამსახურის მეთოდები კი საკმაოდ უცნაური და უჩვეულოა. ისინი ამას მათზე თვალთვალის მიზნით აკეთებენ, რათა ყველამ დაინახოს, რომ უდეი ერაყში ყველაფერს აკონტროლებს," – გვამცნობს ყოფილი მოკრივე მუჰსინ ჰასანი.

ერაყის ოლიმპიური საბჭოს თანახმად, რომელიც ქვეყნიდან დევნილ სპორტსმენთა ჯგუფს წარმოადგენს, ათლეტთა წამების გარდა, იმ ძალებსა თუ მოძალადეებს, რომლებიც უდეისა და მამამისზე მუშაობენ, 50-ზე მეტი ყოფილი ათლეტი და სპორტის მოხელე ჰყავთ მოკლული. ტამერი, რომელიც ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ მოკლულ სპორტსმენთა უმეტესობის "დანაშაულს" პოლიტიკური სარჩული დაუდეს. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ ტამერი განმარტავს, დასჯის მიზეზი ის იყო, რომ გავლენიან სპორტსმენებში ისინი თავიანთი რეჟიმის შესაძლო საფრთხეს ხედავდნენ.

"მათ მხოლოდ იმიტომ ავიწროებდნენ, რომ, როგორც ათლეტები, პოპულარულები იყვნენ," - ამბობს ალდივანი, რომელმაც არაერთი მამხილებელი ფაქტი გადასცა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს. ახლა იგივეს აპირებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიმართაც.

საქმე მას შემდეგ დაიძრა, როდესაც ESPN.com-ის მოხსენებაში, სოკ-ზე დაყრდნობით, თვის დასაწყისში საპროტესტო განცხადებები გაკეთდა.

ლონდონის ადამიანთა უფლებების დამცველთა ჯგუფმა, რომელიც ერაყის ხელისუფლებს კრიმინალში ადანაშაულებს, სოკ-ის ეთიკის კომისიას სულ ცოტა ხნის წინათ მიმართა თხოვნით, სოკ-ის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო, ერაყი დიდი ოლიმპიური ოჯახიდან გარიცხოს. თავის მხრივ, სოკ-ი, რომელსაც არავითარი გავლენა არა აქვს ერაყის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელზე, ამჟამად მათ მოთხოვნას განიხილავს.

"სოკ-ი მკაცრ შეფასებას აძლევს სპორტსმენთა უფლებების შელახვას, მათ მიმართ გამოვლენილ ნებისმიერ ძალადობას. მთელ მსოფლიოში ოლიმპიური მოძრაობის მისია მიმართულია იმისკენ, რომ ძლიერი ინდივიდები სპორტის მეშვეობით განვითარდნენ. ამ სისტემის ნებისმიერი შეურაცხყოფა ორგანიზაციის იდეალებს ვნებს," - ESPN.com-თან ოფიციალურ განცხადებას აკეთებს სოკ-ის მდივანი (სპიჩრაიტერი) ჟიზელ დევისი.

სპორტსმენთა უმეტესობა, რომელმაც ESPN.com-თან ისაუბრა, დეტალებისგან თავს იკავებს, თუმცა, მათი ყოველი თანადგომა ერაყელ ათლეტთა მხარდასაჭერად და დასაცავადაა მიმართული. არიან ისეთებიც, რომლებმაც ამისკენ პირველი ნაბიჯი გადადგეს. სამმა ყოფილმა სპორტსმენმა ESPN.com-ს დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა.

"ჩვენ მზად ვართ, პირისპირ წარვდგეთ მათ წინაშე, ვინც სასამართლო დარბაზში უდეის დაიცავს. ჩვენ ათასობით მოწმე და ნივთმტკიცება გვიმაგრებს ზურგს. ჩვენ მზად ვართ, რათა უდეი ვამხილოთ," – კატეგორიულია ალ-დივანი.



გაზეთი 24 საათი

28.12.02 N-209

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
მხიარულთა და საზრიანთა გუნდი "თსუ"
დას: 13:00; 18:00 სთ; ფასი 5-9 ლარი

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
სავიოლინე პიესების საღამო; ეძღვნება მარინე იაშვილის დაბადებიდან 70 წლისთავს
დას: 19:00 სთ; ფასი 5,7,10,15 ლარი

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თეატრალური სარდაფი**
ნანა ჯანელიძე "ანტიგონე", რეჟ. ნანა ჯანელიძე, მთავარ როლებში ნანა ხუსკივაძე, კახა აბუაშვილი

**ახმეტელის თეატრი**
"საშობაო ზღაპარი", რეჟ. ოთარ ბაღათურია
დას: 13:00; 15:00 სთ

**ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრი**
დიდი დარბაზი
ჰანს ქრისტიან ანდერსენი "თოვლის დედოფალი", რეჟ. გია კიტია
დას: 12:00 სთ
მცირე დარბაზი
"საშობაო ზღაპარი", რეჟ. გია კიტია
დას:12:00 სთ

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე, ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ა.ვარსიმაშვილი, თ. ღლონტი
დას: 13:00; ფასი 5 ლარი (საჩუქრით)
"ჯინსების თაობა, ანუ დაგვიანებული რექვიემი", რეჟ. დავით დოიაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5,7 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
საშობაო გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ორიენტი„**
საქველმოქმედო გამოფენა

**„ქარვასლა„**
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა
ფოტო კოლაჟი "ძველი თბილისი", ნინო გერსამიას ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 10:30; 13:30; 16:30; 19:30 სთ; ფასი 5,8 ლარი
"24 საათი", როლებში; შერლი სტერონი, კევინ ბეიკონი
დას: 22:30 სთ; ფასი 8 ლარი

**„რუსთაველი„**
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი 2"
დას: 13:30 სთ
"ლილო და სტიჩი"
დას: 15:00; 16:30 სთ.
"უნებლიე მილიონერი"
დას: 19:00 სთ
"გზაჯვარედინი"
დას: 21:30 სთ

**„ელისო„**
"ლილო და სტიჩი"
დას: 13:30: 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი 2"
დას: 15:00; 16:30 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი"
დას: 19:30 სთ
"უნებლიე მილიონერი"
დას: 21:30 სთ; ფასი 5 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ყიფშიძის 7-ში, ახალაშენებულ სახლში, მე-5 სართული. ფართი 110 კვ.მ. ჭერი 3 მ. 8(77) 74 24 90

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება 2-ოთახიანი ტელეფონიანი ბინა ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე, ვარკეთილის მეტროსთან. 77 09 10

გირავდება 1-ან 2-ოთახიანი ბინები საბურთალოზე. 8(93) 24 32 95

ქირავდება იზოლირებული 1-ოთახიანი ბინა საჭირო ავეჯით და ბ/აირით, ნუცუბიძის №221-ში, 7(8). ბანკთან. 32 66 74

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## მანქანები

შევიძენ მუხლუხა ამწე-კრანს-PDK-ს, ბულდოზერს - DT 130-ს, ბეტონის კვანძს ჟბ-145-ს ან ჟბ-90-ს. 25 34 34, 39 78 24, 8(99) 24 77 99

## სწავლება

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს 7-11 კლ. ფიზიკასა და მათემატიკაში სახლში მისვლით. ფასი შეთანხმებით. 64 65 14 გია

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ყველა ასაკის მსურველს. 32 50 71 თამურა

ვარ ფრანგული ენის სპეციალისტი. მოვამზადებ ყველა ასაკის მსურველს. 32 50 71 ნატო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

**იყიდება** დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.
897 575116 ხვიჩა.

## სხვადასხვა

იყიდება უმაღლესი ხარისხის „ჩორნაბურკა" ციმბირიდან. 38 60 56

იყიდება „ნინტენდო 64" 21 თამაშით. ფასი 350 ლარი. 30 86 12

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55

ვყიდი ჩოგბურთის მაგიდას, ახალი. რუსეთის გამოშვება. 69 46 02 კახა (საღამოს 6-ის შემდეგ)

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი
**დაგვირეკეთ ტ: 822-009-555**
24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.
1 წთ - 50 თეთრი
ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

# სკანდინავიური კროსვორდი




**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.
მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

**სადილი ყველას**
კვირას 29 დეკემბერს "კათარზისი" კვლავ იწვევს ნებისმიერ მსურველს სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე, სადაც ცხელ გემრიელ სადილს შესთავაზებენ.
ამჯერად თქვენ გიმასპინძლებთ ფოთის პორტი.
დარეკეთ 11-დან 17 საათამდე 95-16-45.
დავით აღმაშენებლის 121.
















# ისტორიული შეხვედრა რიჩარდ გირთან

თამარ ბაბუაძე

*ჰერბ რიტსის სახელი, შეიძლება, არაფერს გეუბნებოდეთ, მაგრამ თუ მისი ფოტოები ოდესმე ნანახი გაქვთ, ჩათვალეთ, რომ ამ კაცს ახლოს იცნობდით. ფოტოგრაფი, რომელსაც "როიტერსი" ლეგენდარულს უწოდებს, 26 დეკემბერს გართულებული ფილტვების ანთებით 50 წლისა გარდაიცვალა. გუშინ მსოფლიოს წამყვანმა გაზეთებმა ფოტოხელოვანს ვრცელი მასალები უძღვნეს.*

ბოლოს ჰერბ რიტსის გამოფენა მილანში 2001 წელს მოეწყო. უგამოფენოდ წელი არც მანამდე ჩავარდნილა - 2000 – რომი, 1999 – პარიზი, 1998 – პორტლენდი, 1997 – ალბანი, ნიუ-იორკი, სანტა ფე, ბოსტონი. ამ უკანასკნელმა შოუმ რიტსის ხელოვნების ურიცხვი თაყვანისმცემელი მიიზიდა: გამოფენის სანახავად 253 ათასი ადამიანი მივიდა.

კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ რიტსი პოპ არტის წარმომადგენელი იყო და ამ განმარტებას თითქოს მის გასალანძღადაც იყენებდნენ. არადა, დახვეწილი, გემოვნებიანი პოპ არტის შექმნა სალანძღავი საქმე, ალბათ, არ უნდა იყოს.

ჰერბ რიტსის თავგადასავალი ფოტოს სამყაროში ასე დაიწყო: ნიუ-იორკში, ბარდის კოლეჯში ეკონომიკისა და ხელოვნების ისტორიის დაუფლების შემდეგ მშობლიურ ლოს-ანჯელესს დაუბრუნდა და ოჯახის წარმატებულ ბიზნესში ჩაერთო – ავეჯის მაღაზიაში გამყიდვლად დაიწყო მუშაობა. ფოტოგრაფია მხოლოდ მისი ჰობი იყო. ერთ დღესაც მეგობრისგან ვინმე რიჩარდ გირი გაიცნო. 70-იანი წლების ერთი ცხელი, კალიფორნიული დღე იდგა. მზისგან გადამხმარ უდაბნოში რიტსსა და გირს მანქანა გაუფუჭდათ და საბურავის გამოსაცვლელად იქვე, ბენზოგასამართ სადგურში შეჩერდნენ. ამ სრულიად უცნობ გრძელთმება გირს უსახელო თეთრი მაისური და ტანზე მომდგარი ჯინსი ეცვა, აბოლებდა სიგარეტს და, დაღლილი, იზმორებოდა. ჰერბ რიტსმა სწორედ ეს კადრი აღბეჭდა ფირზე. ფოტო გადაიღო წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით. უბრალოდ, ძალიან მოეწონა ეს ტიპური სამხრეთული და 70-იანური სცენა – მზით, უდაბნოს ოხშივარითა და ბენზინის სუნით გაჯერებული სურათი, რომლის ცენტრშიც ამერიკული ავტომობილი და ძლიერი, ჯანსაღი, მომხიბვლელი სამხრეთელი მამაკაცი იდგა...

თავიდან, თითქოს, არაფერი: საბურავიც გაბერეს, მანქანაც გააკეთეს, ლოს-ანჯელესშიც დაბრუნდნენ და ფოტოც დაბეჭდეს. ჰერბი და რიჩარდი ისევ ძველებურად მეგობრობდნენ და სეირნობდნენ მანქანით. თუმცა, გავიდა რამდენიმე ხანი და უცნობი ჰერბ რიტსის ასევე უცნობი ძმაკაცი ჰოლივუდის ახლადამობრწყინებულ ვარსკვლავ რიჩარდ გირად იქცა. რიტსის ფოტომაც მაშინვე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. სურათი მრავალმა პრესტიჟულმა ამერიკულმა ჟურნალმა დაბეჭდა. რიტსის პროფესიული კარიერაც, როგორც ნიჭიერი ფოტო-პორტრეტისტისა, აღმავლობის გზას დაადგა.

ჰერბი და რიჩარდი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. გუშინ გირი იხსენებდა: "ერთადერთი მიზანი ჰქონდა, რომ ფოტოზე, რაც შეიძლება, კარგად გამოსულიყავი. ზოგი ამას ისე ხელოვნურად ცდილობს, რომ საბოლოო ჯამში ვულგარული, მკვდარი ფოტო გამოსდის. ჰერბი კი ლამაზ და ცოცხალ ფოტოებს ძალდაუტანებლად, ბუნებრივად იღებდა. ის დიდი ესთეტი იყო".

შემდეგ ჰერბი მთლიანად მოდისა და ფოტოს სამყაროში გადაეშვა. მის ობიექტივს არავინ ეპარებოდა – რონალდ რეიგანი, დალაი ლამა, მადონა, დიზი თილესპი, ჯეკ ნიკოლსონი, ედვარდ ნორტონი, მიშელ პფაიფერი, კრისტოფერ რივი, ელიზაბეტ ტეილორი. მეტიც, როდესაც ტეილორი ლარი ფორტენსკის გაჰყვა ცოლად, რიტსი ფლობდა ექსკლუზიურ უფლებას, გადაეღო ტეილორის მერვე გასეირნება საკურთხევლისკენ...

ედვარდ ნორტონი ამბობდა: "ასე მგონია, რომ ჰერბი ყველაფერში სილამაზეს ხედავს... თითქოს, ვერაფერს უხერხებს საკუთარ თავს და სამყაროს მხოლოდ იდეალისტურ ფერებში აღიქვამს".

იდეალისტი ფოტოგრაფის, ძირითადად, შავ-თეთრ ფოტოებზე სუპერ-მოდელები მართლაც ძალიან მშვენიერები და ბუნებრივები გამოდიოდნენ. სინდი კროუფორდი, მამაკაცის სამოსში გამოწყობილიც კი, ძალიან სექსუალური ჩანდა; ფეხმძიმე ანეტ ბენინგი, რომელიც ტახტზე იწვა და იცინოდა, უშუალო და მომხიბვლელი იყო. იქვე იყო მადონაც სხვადასხვა პოზებში და შიშველი სუპერ-მოდელების მთელი კრებული: კრისტი ტარლინგტონი, სინდი კროუფორდი, ნაომი კემპბელი.

ის აღმერთებდა ლამაზ სხეულს და მაქსიმალურად ცდილობდა ფოტოზე მის წარმოჩენას. ალბათ, სწორედ ამ მიზეზით, რიტსი ჯანი ვერსაჩეს საყვარელი ფოტოგრაფი იყო (ვერსაჩეც ხომ თავისი სამოსით სწორედ ლამაზ სხეულს უძღვნიდა აპოგეას). ის ასევე თანამშრომლობდა კელვინ კლაინთან, "რევლონთან", "შანელთან". 1991 წელს კი ემ-ტი-ვის ჯილდო რიტსის დამზადებულმა ორმა ვიდეორგოლმა მიიღო: ჯანეტ ჯექსონისა და კრის აიზეკის მუსიკალურმა კლიპებმა.

თავად ფოტოგრაფს სჯეროდა, რომ მისი შემოქმედება დროს გაუძლებდა და საზოგადოების ცნობიერებაში მუდმივად შეინარჩუნებდა თვალსაჩინო ადგილს. "ლოს-ანჯელეს ტაიმსთან" ინტერვიუში თქვა კიდეც: "50-60 წლის შემდეგ ვინმემ რომ მადონას პორტრეტი ნახოს, შეიძლება, ის ვერც იცნოს, ან არც დაინტერესდეს იმ ფაქტით, რომ ეს ქალი ძველი ვარსკვლავი, მადონაა. თუმცა, თვითონ პორტრეტი არავითარ შემთხვევაში არ დაძველდება - შეხედავ ფოტოს და აღმოაჩენ საინტერესო ქალს, რომლის გაცნობაც მოგინდება. ფოტოდან მისი აურა მოდის, თითქოს, გრძნობ მის არსებობას."

ალბათ, ამ წინასწარმეტყველების დადასტურებაა ისიც, რომ რიტსის ნამუშევრები მისი სიკვდილის შემდეგაც დაიბეჭდება. 50 წლის ასაკში გარდაცვლილი ფოტოგრაფი ხომ 15 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ჟურნალ "ვოგთან". სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე კი "ვოგისთვის" გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი და სპორტსმენი მარიონ ჯონსი ჰყავდა გადაღებული. ორივე ფოტოს ჟურნალის თებერვლის ნომერში გამოაქვეყნებენ.



*ჰერბ რიტსი*

REUTERS

## კალეიდოსკოპი

**დღეს**

შაბათს, 28 დეკემბერს




1869 წელი: ოჰაიოელმა უილიამ ფინლი სემფელმა დააპატენტა საღეჭი რეზინი.

1904 წელი: ლონდონიდან საკაბელო გაყვანილობის გარეშე პირველად გადასცეს ამინდის პროგნოზი.

1989 წელი: ლიტვის ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირში პირველად ჩამოაყალიბა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა.

1998 წელი: სიდნეიში იახტების ყოველწლიურ კონკურსზე მოულოდნელად ამოვარდნილმა შტორმმა ექვსი იახტსმენი შეიწირა.

2001 წელი: ამერიკამ ოფიციალური განცხადება გააკეთა ჩინეთთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შესახებ.

© GRAPHIC NEWS

## სტინგი მიწათმფლობელი

ბრიტანელმა ვარსკვლავმა, სტინგმა ტოსკანაში, ფლორენციასთან 200-ჰექტარიანი მიწის ნაკვეთი შეჰმატა თავის უძრავ ქონებას. მის გარდა, ეს ნაკვეთი კიდევ 14 მყიდველს აინტერესებდა. მიწის საწყისი ფასი 5,2 მილიონ ევროს შეადგენდა. სტინგს გამარჯვება 5,75 მილიონი ევრო დაუჯდა, სამაგიეროდ, მას ახლა ტოსკანაში 300 ჰექტარი მიწა ეკუთვნის: მინდვრები, ერთი ტყე, ერთი ვენახი, ზეთისხილის ჭალა და თორმეტამდე ნაგებობა, რომლებიც, ჯერ-ჯერობით სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ ეგ არაფერი - რამე ეშველება.

## ერაყი ჩივის

გაზეთმა "აზ-ზაურამ" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ამერიკის შეერთებული შტატები უარს აცხადებს ერაყისთვის მოპარული ისტორიული რელიქვიების დაბრუნებაზე. საუბარია 326 ფასდაუდებელ ნივთზე, მესოპოტამიის მიწაზე არსებული შუმერული, ბაბილონური, ასირიული და სხვა უძველესი ცივილიზაციების კულტურულ მემკვიდრეობაზე. ეს რელიქვიები 1991 წლის ომის დროს იქნა გატაცებული ქალაქ კირკუკის ნაციონალური მუზეუმიდან. ამჯერად ისინი ნიუ-იორკში, მეტროპოლიტენ მუზეუმშია გამოფენილი.

## რა ქნას საწყალმა მწეველმა?

ნიუ-იორკის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის მერის, ოდესღაც მწეველის, ამჯერად კი ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის მებრძოლი მაიკლ ბლუმბერგის მიერ შეთავაზებული კანონპროექტი, რომელიც მწეველთა უფლებების უმკაცრეს შეზღუდვებს ითვალისწინებს. კანონი, თითქმის, ერთსულოვნად იყო მიღებული – 7 ხმა 42-ის წინააღმდეგ. ამიერიდან ნიუ-იორკის ბარების, რესტორნებისა და საბილიარდოების უმრავლესობაში – სულ 13 ათას დაწესებულებაში – მოწევა სასტიკად აკრძალულია. გამონაკლისს ღია კაფეები, სიგარის მოყვარულთა ბარები, კერძო კლუბები და მოხუცთა სახლები შეადგენს – იქ ოთახები საგანგებოდ ნიავდება. ჯერ-ჯერობით "ჯანმრთელები" კერძო საცხოვრებელსა და მანქანებს არ შეხებიან, ოფისებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ტაქსებში, სადგურებსა და აეროპორტებში კი მოწევა აქამდეც აკრძალული იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გაბოლებას ქუჩაშიც კრძალავდნენ, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო – მწეველთა უფლებების დამცველები აჯანყდნენ, მწეველებიც ხომ ადამიანები არიან, ბოლოსდაბოლოს.

## საზღვარზე თოვლის ბაბუა დააკავეს

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საზღვარზე მესაზღვრეებმა დააკავეს თოვლის ბაბუა თუ სანტა კლაუსი – ისე უწოდეთ, როგორც გენებოთ. კანადელი ზღაპრის გმირი ნამდვილად ზღაპრული გზით აპირებდა შტატების ტერიტორიაზე გადასვლას – მდინარე ნიაგარა სერფინგის ფიცრით გადაცურა. პრობლემა ისაა, რომ ვიზა არ ჰქონია, ამიტომ მესაზღვრეებმა დააკავეს.

კანადელი თოვლის ბაბუა, 42 წლის ჯონ ფალტონი დიდხანს უხსნიდა ყველას, მათ შორის CNN-ის კორესპონდენტსაც, რომ ამ გზით უკვე მრავალჯერ გადასულა აშშ-ს ტერიტორიაზე, და ამას მხოლოდ იმისთვის აკეთებდა, რომ უსახლკაროთათვის საჩუქრები შეეგროვებინა. მიუხედავად ამისა, ის დააკავეს და თითის ანაბეჭდებიც აუღეს.

საბრალო თოვლის ბაბუამ ხუმრობაც სცადა: "11 სექტემბრის შემდეგ დიდებულ მსოფლიოში ვცხოვრობთ. შეერთებულ შტატებში, საგანგებო ნებართვის გარეშე, თოვლის ბაბუასაც აღარაფერი ესაქმება".

## სენსაციური აღმოჩენა

ჩინელებს დიდი ისტორიით და კულტურული მემკვიდრეობის სიმდიდრით, ალბათ, ვერავინ გააკვირვებს. სხვა თუ არაფერი, მათი კულტურის ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000 წლის წინათ დაიწყო, როცა დღევანდელ პროვინცია შანხაის, ხებეისა და ხენანის ტერიტორიაზე, მდინარე ხუანხესა და ვეის ხეობებში, ახლანდელი ჩინელების წინაპრები დასახლდნენ. ისინი შესანიშნავად გრძნობდნენ თავს, მიწათმოქმედები იყვნენ და საუკეთესოდ ორგანიზებული საზოგადოებრივი წყობა ჰქონდათ. სწორედ მათ შექმნეს ის უზარმაზარი სახელმწიფო, რომელსაც დღეს ჩინეთს ვუწოდებთ.

ისტორიას და ტერიტორიას ჩინელები დინასტიების მმართველობის მიხედვით ყოფენ. სწორედ ასეთი დაყოფის შედეგად ეწოდა ერთ-ერთ აყვავებულ მხარეს ჩუს სამთავრო.

ახლა კი, 2000-ზე მეტი წლის შემდეგ ჩინელმა არქეოლოგებმა ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთეს – ჩუს დინასტიის დროინდელ მდიდარ და საუკეთესოდ შენახულ სამარხში 500-მდე ნივთი აღმოჩნდა. ეს ამ ქვეყნისთვისაც კი არაჩვეულებრივი ამბავია. მადლიერ შთამომავლობას მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად კეთილშობილი მიცვალებულისთვის 33 ეტლი და 72 ცხენის ფიგურა ჩაუტანებია. გარდა ამისა, აღმოჩენილია ტრადიციული ბრინჯაოს ზარები, 93 სანტიმეტრის რადიუსის მქონე ფიალა, მოხატული და დრაკონებით მორთული ბრინჯაოს თუნგი – რიტუალური დანიშნულების საგნები, გარდაცვლილთა მიმართ პატივისცემის ნიშანი.

## ნორჩი პიკასოს გამოფენა

ესპანურ ქალაქ ლა-კორუნიაში გაიხსნა გამოფენა "ახალგაზრდა პიკასო", რომელზეც პაბლო პიკასოს 140, მათ შორის მრავალი, ფართო საზოგადოებისათვის უცნობი, ბავშვობისა და სიყმაწვილის დროინდელი ნამუშევარია წარმოდგენილი. გამოფენა ლა-კორუნიაში იმიტომ გაიხსნა, რომ სწორედ აქ დაიწყო 10 წლის პიკასომ ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში ფერწერის შესწავლა. მიუხედავად ამისა, ქალაქში დიდი მხატვრის არც ერთი ტილო არ შემონახულა – ყველაფერი ესპანეთისა და დანარჩენი მსოფლიოს მუზეუმებმა და კერძო კოლექციონერებმა გაზიდეს.

გამოფენის დირექტორი, მარია ოკანია, მოყვა, რომ პიკასოს ოჯახის მეზობლად მცხოვრები რესპუბლიკელი პოლიტიკოსი დავიდ ბარო პატარა პაბლოს ყოველ ნახატში ხუთ პესეტს აძლევდა. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ლა-კორუნიაში ცხოვრების დროს შექმნილი 40 ნამუშევარი, ყველა მკაცრ კლასიკურ მანერაში შესრულებული. 11 წლის მხატვრის პირველ გამოფენილ ტილოზე ხარების ბრძოლასა და მტრედს ვხედავთ – მოგეხსენებათ, ეს ორი თემა მის შემოქმედებაში მომავალშიც მუდმივად მეორდებოდა.

გამოფენა 2003 წლის 17 მარტამდე გაგრძელდება.

# ევროპა ყინულში



*ყინულის კელტური ჯვარი*

REUTERS

ყინულზე კვეთის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 26-29 დეკემბერს აღმოსავლეთ ბელგიაში, გენკთან ახლოს, მიმდინარეობს, სკულპტურის ახალ ტალანტებს ავლენს. ღონისძიებაში 16 საერთაშორისო ჯგუფი მონაწილეობს. ყინულის დიდი ბლოკებისგან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ყოველდღიურად გასაოცრად ლამაზ ფიგურებს ქმნიან.

ჩემპიონატში ცალკე თემატურ კონკურსად მიმდინარეობს შეჯიბრი "ევროპა ყინულში" – ხელოვანები ევროპის ცნობილ არქიტექტურულ ნიმუშებს ხელახლა აგებენ, ოღონდ, ამჯერად ყინულით. მაგალითად, ამ ყინულის ჯვარში აუცილებლად ამოიცნობთ ცნობილ კელტურ ჯვარს. იქვე, ხელოვანთა სხვა ჯგუფი ყინულისგან გამოკვეთილ მსოფლიოს შვიდ საოცრებაზე მუშაობს...

ყინულზე მომუშავე მოქანდაკეებს ფონს მშვენიერი მუსიკა და ზამთრის ლამაზი პეიზაჟი უქმნის. ჩემპიონატის ფარგლებში თოვლთან დაკავშირებული თამაშებიც იმართება.

# როგორ გავიყოთ მილიონი




*ვირჯინიელი მილიონერი*

REUTERS

ერთი ჩვეულებრივი ვირჯინიელი კაცი, რომელიც სრულიად მოულოდნელად მილიონობით დოლარის მფლობელი გახდა, გუშინ ჟურნალისტების წინაშე იდგა და ცდილობდა, მათთვის საკუთარი განცდების შესახებ მოეთხრო. ენდრიუ უიტიკერი ცხადია, გახარებული ჩანდა, თუმცა, ემოციების მძაფრად გამოხატვისგან თავს მაინც იკავებდა. მას თან მეუღლე და ქალიშვილი ახლდა. ჟურნალისტები ყველაზე დიდი ინტერესით ერთადერთ კითხვას სვამდნენ: როგორ აპირებთ, დახარჯოთ დასავლეთ ვირჯინიის ლატარეაში მოგებული 314.9 მილიონი დოლარი. გაირკვა, რომ უიტიკერს განსაკუთრებული, გიჟური გეგმები არ აქვს. ის მოგებულ თანხას ოჯახის წევრებს გაუყოფს და ეკლესიას შეწირავს.

უიტიკერის გამარჯვება რამდენიმე გარემოების გამოა უნიკალური: ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ლატარეის ერთმა ბილეთმა ამხელა თანხა მოიგო. ხოლო მოგებული ჯეკპოტი მსოფლიოში სიდიდით მესამეა.

# ხელოვნური სიცოცხლე



*ხელოვნური თევზები*

REUTERS

რა საჭიროა ხელოვნური თევზების გამოგონება, როდესაც თევზობის ფუნქციას ბუნებრივად დაბადებულებიც მშვენივრად ასრულებენ? იაპონიაში მსგავსი შინაარსის კითხვებს არ ცნობენ. იქ გატაცებით ქმნიან ყველაფერ ხელოვნურს და მათ შორის თევზებსაც. ადამიანის ხელით დამზადებული ეს ორი ცოცხალი თევზი ამჟამად ოსაკაში, კორპორაცია "ინექსის" ლაბორატორიის აკვარიუმში დაცურავს. "ინექსის" თანამშრომლებმა მათ სიცოცხლესთან ერთად მოძრაობის ნიჭიც აჩუქეს: თევზებს სხეულსა და კუდში ხელოვნური კუნთები აქვთ ჩამონტაჟებული, რისი საშუალებითაც ისე დასრიალებენ წყალში, რომ მნახველები ნამდვილი თევზებისგან ვერც არჩევენ.

ამ ორ ქმნილებას იანვარში გასაყიდად გაიტანენ. "ინექსის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ხელოვნური ნაწარმით გატაცებული იაპონელები თევზებს აუცილებლად დაიტაცებენ. მათი სავარაუდო ფასი 16 ათასი იენი, ანუ 133 დოლარია.

# ყველაფერი უორჰოლის შესახებ

პოლონელმა რეჟისორმა სტანისლავ მუჩამ ენდი უორჰოლს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი მიუძღვნა. "აბსოლუტური უორჰოლი" უკრაინასა და პოლონეთში გადაიღეს – იქ, სადაც პოპარტის უდიდესი წარმომადგენლის მშობლები დაიბადნენ. ეს ადგილები რეჟისორს ტყუილუბრალოდ არ შეურჩევია: მან მიზნად დაისახა ენდი უორჰოლის ფენომენი მისი ოჯახის წევრების თვალით დაენახა და ოჯახური გარემოს შესაქმნელად გადაღებები უორჰოლის მშობლიურ მხარეში დანიშნა. დოკუმენტურ ფილმში ვხვდებით უორჰოლების დიდი ოჯახის წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთ სახელგანთქმულ წინაპარზე მსჯელობენ, აფასებენ მის მოღვაწეობასა და შემოქმედებას და გულწრფელად საუბრობენ იმ გავლენაზეც, რაც ენდი უორჰოლს მათ ცხოვრებაზე დღემდე აქვს.

# მთავარ როლში არეტა და გუბერნატორი

არავინ მღერის ამერიკის ჰიმნს ისე ემოციურად და შთამბეჭდავად, როგორც არეტა ფრანკლინი. მისი მოსმენის ბედნიერება მომავალ კვირას მიჩიგანელებს ექნებათ.

სოულის დედოფალი შტატის პირველი ქალი გუბერნატორის, ჯენიფერ გრენჰოლმის საინაუგურაციო ცერემონიალზე გამოვა და ჰიმნს შეასრულებს. "არეტა ჩვენი განძია. როდესაც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქალაქიდან ქალაქში ვმოუგზაურობდი, ყოველთვის მის სიმღერებს ვუსმენდი", - აცხადებს გრენჰოლმი და მიიჩნევს, რომ არეტა ფრანკლინს მისთვის ბედნიერება მოაქვს, უფრო ზუსტად, კი პოლიტიკური წარმატებები.

მიჩიგანის შტატს პირველი ქალი მმართველი სათავეში 1 იანვრიდან ჩაუდგება.

# რას დააბარებს ცხენი ცხვარს

## ახალი წელი იაპონიაში

თუმცა, მთვარის კალენდრის თანახმად, ახალი წელი მხოლოდ თებერვალში დადგება, იაპონიაში, კორეისა და ჩინეთისგან განსხვავებით, ტრადიციული სიმბოლიკა გრიგორიანულ კალენდარზე გადაიტანეს. ამიტომ იაპონურ ქალაქ ოსაკაში საახალწლო ცერემონია დეკემბრის ბოლოს ჩატარდა: ცხენმა, გასული წლის სიმბოლომ, ცხვარს – ახალ წელიწადს - "ესტაფეტა გადასცა". ამ ცერემონიის დროს, რომლის პირდაპირ ტრანსლაციასაც მთელი იაპონია შესცქეროდა და რომლის წყალობითაც 2003 წელი ჰარმონიით სავსე და ბედნიერების მომტანი უნდა იყოს, ერთამანეთს პირისპირ შეხვდნენ პონი კორიდეილი და ბეკეკა სახელად სკალპალი. 90 მეტრის სიმაღლის კოშკზე შემომდგარი, საზეიმო გამომეტყველების მქონე ხალხით გარშემოტყმულ ცხოველები მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ თორმეტწლიანი კალენდარული ციკლის წარმომადგენლები არიან და მათზე მომავალი წლის ბედია დამოკიდებული.

ოსაკაში "ესტაფეტის გადაცემას" უკვე დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ საქმისთვის ცხოველები მუნიციპალური ზოოპარკიდან გამოჰყავთ ხოლმე. წელს მშვიდობიან საზოგადოებასთან გვაქვს საქმე – ცხენი და ცხვარი, მოგეხსენებათ, ერთმანეთს არ ერჩიან, მაგრამ ვეფხვთან ურთიერთობის საქმე როგორაა ხოლმე, ვერ გეტყვით. ისიც საინტერესოა, დრაკონი საიდან მოჰყავთ...

იაპონელები ახალი წლისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. ქალაქის ქუჩებში საშობაო ნაძვის ხეები და მოსართავები უკვე ტრადიციული იაპონური სიმბოლოებით – ბამბუკისა და ფიჭვის ტოტებით შეიცვალა. ეს ორი მცენარე სიმტკიცესა და დღეგრძელობას ასახიერებს. სახლების, ოფისებისა და მაღაზიების შესასვლელებში საახალწლო ატრიბუტები, "კადომაცუ", ჩალით შეკრული ბამბუკისა და ფიჭვის ტოტები დგას. სიტყვა-სიტყვით "კადომაცუ" ნიშნავს "ფიჭვი კართან": ითვლება, რომ თუ შესასვლელი ასეა მორთული, სახლს ღმერთები ეწვევიან და ხვავს და ბარაქას მოუტანენ. ღმერთების ღირსეულად დასახვედრად ყოველი ოჯახი დიდ ბრინჯის კვერებს აცხობს, ფიჭვის ტოტებით, ხმელი წყალმცენარეებით და გარეული ფორთოხლის ნაყოფებით რთავს და ხის სადგამზე აწყობს: მიირთვით, ღმერთებო!

ახალი წლის ღამეს იაპონელები ტაძრებისკენ მიიჩქარიან, რომ დროულად მიართვან მსხვერპლი თავიანთ ღმერთებს. ამისთვის საკურთხეველთან საგანგებო ყუთებში ფულს ყრიან და ტაშს უკრავენ. გარდა ამისა, ტაძარში თილისმებიც იყიდება – მათ იმისთვის იძენენ, რომ წლის პირველ ალიონს ახალი ბედნიერების იმედით შეხვდნენ.

# შეყვარებული კაცის მარათონი

ნიუ-იორკში ახალი რეკორდი დამყარდა: ჯონ კონტი ყოფილი შეყვარებულის მოსახიბლად ფორტეპიანოზე 52 საათს უკრავდა. ეს უცნაური მუსიკალური მარათონი სამშაბათს დილის 7:30 წუთზე დაიწყო. კონტი უკრავდა მთელ სამშაბათ დღეს, მერე მთელ ოთხშაბათს (ანუ შობის დღეს) და ბოლოს, ხუთშაბათს, დილის 9:30 წუთზე არაქათგამოცლილმა შეწყვიტა დაკვრა.

შეყვარებული პიანისტი ყოველ რვა საათში მხოლოდ 15-იოდე წუთით ისვენებდა, დანარჩენ დროს ის უკრავდა ყველაფერს, რის ნოტებსაც იქვე, ფორტეპიანოსთან პოულობდა – დაწყებული საშობაო სიმღერებით და დამთავრებული "ბითლზის" რეპერტუარით.

"ცოტა უცნაური შეგრძნებაა, მაგრამ მაინც იოლად გავუძელი – მე ხომ საერთოდაც უძილო ვარ. ეს გავაკეთე ერთი გოგოსთვის, რომელმაც მიმატოვა. მინდოდა, მისი ყურადღება როგორმე მიმეპყრო", - განაცხადა 39 წლის რეკორდსმენმა ფორტეპიანოსთან ჯდომის 52-ე საათზე.

როგორც შემდეგ გაირკვა, კონტის მარათონამდე "გინესის" წიგნში არსებული რეკორდი 49 საათი და 15 წუთი იყო.

# ჩაუშესკუს ღვინო

ფირმა "ვინალკოოლ-ბაკეუმ" რუმინული ღვინის მოყვარულებს საახალწლოდ დიდი სიურპრიზი გაუკეთა: გაყიდვაშია საკოლექციო სასმელები ნიკოლაე ჩაუშესკუს ღვინის სარდაფებიდან. ყოფილი დიქტატორის საგანგებო მარაგი სწორედ ამ ფირმის საწყობებში ინახებოდა. ყოველი ღვინო არანაკლებ 20 წლისაა, ორიგინალურად შეფუთული და საფირმო წარწერით დამშვენებული – Nicolae's. დამზადების წლისა და ყურძნის მოყვანის ადგილის მიხედვით თითო ბოთლის ფასები 55-დან 100 ამერიკულ დოლარამდე მერყეობს.

"ვინალკოოლ-ბაკეუმის" მფლობელები დარწმუნებული არიან, რომ ჩაუშესკუს კოლექციის ფასი ყოველწლიურად გაიზრდება, ამიტომ ამჯერად გასაყიდად მხოლოდ 250 ბოთლი გაიტანეს. 20 მეტრის სიღრმის სარდაფებში კი ათიათასობით ბოთლია შენახული – ე.წ. "ჩაუშესკუს სასაჩუქრო ფონდი" – თავად დიქტატორი, როგორც ცნობილია, წყლის გარდა არანაირ სასმელს არ ეკარებოდა.

# თეატრი მკვდრეთით აღდგება

არქიტექტორი, რომელმაც სახელი ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმის შექმნით გაითქვა, მალე პორტუგალიასაც მიხედავს. ის ლისაბონის ნახევრად დანგრეული თეატრის აღდგენას აპირებს. გერისა და ლისაბონის მერიას ჯერ ოფიციალური კონტრაქტი არ გაუფორმებიათ, მაგრამ მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია. "თეატრების აღდგენაზე წინათაც მიმუშავია. მომწონს ამის კეთება. ჩემთვის ძველი თეატრის მკვდრეთით აღდგენა, თითქოს, ჯადოსნურადაც ჟღერს. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას", - აცხადებს არქიტექტორი.

გარდა გუგენჰაიმის ექსცენტრიული შენობისა, რომელიც ბილბაოს ერთ-ერთ მთავარ მშვენებას წარმოადგენს, ფრენკ გერიმ შთამბეჭდავი შენობები წამოჭიმა სიეტლში, მინეაპოლისში, პარიზში, გერმანიაში, იაპონიასა და კალიფორნიაშიც.




DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ვერო ვიზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

საგაზეთო ქაღალდი
ფასდაკლებით

შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან

საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი –580$-მდე

ტელ: 38 86 79    53 76 30    899 50 92 99

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება პროექტი "ავანტი" - ამიერკავკასიაში კინემატოგრაფიული საზოგადოების მხარდასაჭერი პროგრამა შემოქმედებით და იურიდიულ სფეროში.**

პროგრამას "ავანტი" ახორციელებს კინემატოგრაფიული და აუდიოვიზუალური მედიის პროფესიული ტრენინგის შვეიცარული ფონდი "ფოკალი".

"ავანტი" - კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამაა, რომელიც აფინანსებს იურისტებსა და კინოპროფესიონალებს ამიერკავკასიაში, წარმოადგენს შემოქმედებითი და იურიდიული საკითხების უნიკალურ კომბინაციას.

ტრენინგის პროგრამა მოიცავს 4 სესიას, რომელშიც შერწყმულია პროფესიული ტრენინგის შემოქმედებითი და იურიდიული ასპექტები. სესიები თავის მხრივ შედგება ლექციების, მასტერკლასებისა და სემინარებისაგან. ისინი წარიმართება მონაწილეთა საჭიროების მიხედვით, ხოლო მონაწილეებს შეარჩევს დამოუკიდებელი ჟიური საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. კლასები იქნება შერეული; ენა - ინგლისური ან რუსული.

სესიების ფარგლებში განხორციელდება 27 პროექტი (12 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 9 მოკლემეტრაჟიანი, 6 დოკუმენტური ფილმი) საწყისი იდეიდან ფილმის წარმოების ჩათვლით. იურისტები იმუშავებენ საბაზრო ეკონომიკის დროს მოქმედი კინობიზნესის კანონების შესაბამისი იურისპრუდენციით.

სესიები ჩატარდება თბილისში.
იურისტებისათვის ნაციონალური სესიები ჩატარდება ასევე ბაქოსა და ერევანში.

აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 15.02.03.

საკონტაქტო მისამართი:
ვატო წერეთელი
კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრი
ქართველა III სართული
სიონის ქ. № 8
თბილისი, 380005
ტელ და ფაქსი: (995 32) 92 01 49
მობილური: 8(77) 499 111
e-mail:ccd@lycos.com

# TV პროგრამა 28 დეკემბერი

## რუსთავი - 2

- **08.00** მუსიკა
- **09.00** კურიერი
- **09.20** მულტსერიალი
- **10.50** სერიალი „ათასწლეული“
- **12.00, 15.00** კურიერი
- **12.20** სიმფსონები
- **12.45** მხ.ფილმი
- **15.20** მხ. ფილმი
- **17.00** სერიალი „კოლომბო“
- **18.00, 00.00** კურიერი
- **18.20** სერიალი „კოლომბო“
- **18.45** სერიალი „სახლი ძველ უბანში“
- **19.15** ჯეოსელის ლატარია
- **20.05** სერიალი „ჩინელი პოლიციელი“
- **21.00** კურიერი PS
- **22.00** ფსიქო. მხ.ფ. „რამპის ჩირაღდნები“
- **00.15** მხ.ფ. „ჩვენ ანგელოზები არ ვართ“ მთ. როლებში რობერტ დე ნირო, შონ პენი
- **02.15** ღამის ჯაზი

## პირველი არხი

- **08.00, 15.00, 20.00, 00.20** მოამბე
- **08.15** მხ. ფილმი „ფრენკის ვარსკვლავები“
- **10.00** დილის პაემანი
- **11.00** ლატარეა ყველასათვის
- **11.10** „მხიარული კარუსელი“
- **11.40** დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე“
- **11.55** ვიცი
- **12.25** „მეტრო“
- **13.00** „კვალი“
- **13.30** დოკ. ფილმი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“
- **14.25** „საქართველო, დრო, მოვლენები“
- **15.15** მხ. ფილმი „თავგადასავალთა მაძიებელნი“
- **16.50** საწინდარი
- **17.15** მულტსერიალი „პრინცესა ნერი“
- **17.40** რეალური სამყარო
- **18.00** ვესტნიკი
- **18.45** „თბილისის დროით“
- **19.05** „ენერგია“
- **19.35** „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“
- **20.35** „ფორტუნა“
- **21.10** ტელესერიალი „ქალთა სავანე“ მე-3 სერია
- **22.00** „მეალომანია“
- **22.35** მხ. ფილმი „შტორმის შემდეგ“
- **00.30** ღამის ჯაზი

## პირველი სტერეო

- **09.15** გამ. მუსათეული
- **10.00** ტოროლა
- **11.00** გამ. ინფორმატორი
- **13.00** ნონსტოპი
- **16.00** ფილმი კომედია „მეორე ცხოვრება“
- **18.00** ნონსტოპი
- **19.00** გამ. ინფორმატორი
- **19.30** ვიდეორადიო
- **21.00** ქართ. ათეული
- **21.45** აბა გამოიცანი მიქსი
- **22.45** კვირის საუკეთესო ლექსები
- **23.00** აბა გამოიცანი მიქსი
- **00.00** ტელედისკოთეკა
- **01.45** ფილმი ბრავო „მონანიების დღე“
- **03.45** პაუზის გარეშე

## მეორე არხი

- **19.00** მულტფილმი
- **19.30** ორატორი
- **19.40** სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
- **20.30** „ახლო ხედი“
- **21.00** დოკ. ფილმი
- **21.30** ჯემი
- **22.00** მხ. ფილმი „ჰომერი და ედი“

## იბერია

- **08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები
- **08.15** აღსავალი
- **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 21.00, 23.55, 00.30** მუსიკა
- **08.30** მხ. ფილმი „ანგელოზთა ქალაქი“
- **10.20** მხ. ფილმი „პორტის ახალი ამბები“
- **13.10, 18.00, 19.30** მულტფილმი
- **14.10** დოკ. ფილმი
- **17.30** დოკ. სერიალი
- **18.45** ბუნების ფერები
- **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი
- **22.30** მხ.ფ. „ოჯახი გაქირავებით“
- **23.00** მხ.ფ. „ელაპარაკე“
- **00.40** ღამის ფილმი

## კავკასია

- **12.00** მხ. ფილმი „შერკინება“
- **15.00** მხ. ფილმი „მისის დაუტფაიერი“
- **17.00** მხ. ფილმი „კომანდოსი“
- **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
- **19.20** მულტფილმი
- **21.00** დოკ. ფილმი
- **22.00** მხ. ფილმი „უფსკრული“
- **00.20** მხ. ფილმი „მალენა“

## მეცხრე არხი

- **10.00** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
- **10.45, 11.50, 12.50, 14.45, 17.30, 21.45, 23.45** მუსიკა
- **11.00** მხ. სერიალი „მოჯადოება“
- **12.00** მხ. დეტექტიური სერიალი „ბენზინი სისხლში“
- **13.00** მხ. ფილმი „ცხოვრება კადრს მიღმა“
- **14.50** მხ. ფილმი „კიდევ ერთი კარგი რამ“
- **16.30** დოკ. სერიალი „ველური ბუნება“ 63-ე სერია
- **17.40** მხ. სერიალი „ზურგის ქარი“ 34-ე სერია
- **18.30** მულტფილმი „მეფის ასული შეჰერეზადა“
- **19.20** დოკ. ფილმი „ლიონი - ერთი ქალაქის პა-დე-დე“
- **20.50** დოკ. ფილმი „ეს სანახაობაა“
- **21.30** „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „რეზიდენცია ვიუცბერგში“
- **22.00** კინოკლუბი ყაზბეგი წარმოგიდგენთ მხ. ფილმებს: 1. „კარიერა“ ტელ: 77-83-28 2. „ვიბრაცია“ ტელ: 77-83-29 3. „პოლონური ქორწინება“ ტელ: 77-83-30
- **00.00** მხ.ფ. „დუეტები“

## VII არხი

- **18.20** „სახლიდან გაუსვლელად“ - მობილურები
- **18.50** მელოდია
- **19.00** „აჩიკუდა“
- **19.20** „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით
- **19.30** „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- **19.55** „ღამის კაპრიზი“ - თემა: ექსტრავაგანტული
- **21.00** „სახლიდან გაუსვლელად“
- **21.40** „კინოკლუბი „ - „იმოქმედე დაო“
- **23.20** „სახლიდან გაუსვლელად“ - აუდიო-ვიდეო-ტელე
- **00.00** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“

## ОРТ

- **08.00, 11.00, 15.00, 19.00** Новости
- **08.10** Сериал „Флиппер“
- **09.00** Сериал „Твинисы“
- **09.20** Играй, гармонь любимая!
- **10.00** Слово пастыря
- **10.15** Здоровье
- **11.10** „Смак“
- **11.30** „Смехопанорама“
- **12.10** Павел Любимцев в программе „Путешествия натуралиста“
- **12.40** Комедия „Каспер“
- **14.30** Дисней-клуб: „Базз и его команда“
- **15.15** „Серебряный шар“. Жерар Филип.
- **15.55** „В мире животных“ с Николаем Дроздовым
- **16.35** Спасатели. Экстренный вызов
- **17.05** Худ.фильм „Богатенький Рич“
- **19.15** „Шутка за шуткой“
- **19.40** „Кто хочет стать миллионером?“
- **20.55** „Последний герой-2“. „Замки на песке“
- **22.00** Время
- **22.30** „Последний герой“. Настоящий финал
- **00.20** „Что? Где? Когда?“ Игра года
- **01.45** Комедия „Скрудж, укравший Рождество“

## РТР

- **07.30** Худ.фильм „Снежная сказка“
- **08.40** Сериал „Дракоша и компания“
- **09.05** „Студия „Здоровье“
- **09.35** „Золотой ключ“
- **10.00** „Военная программа“
- **10.20** „Два рояля“
- **11.15** „ХА“. Маленькие комедии
- **11.25** „Сам себе режиссер“
- **12.20** „Сто к одному“
- **13.15** „В поисках приключений“
- **14.10** „Клуб сенаторов“
- **15.00, 21.00** Вести
- **15.20** Комедия „За витриной универмага“
- **17.00** Комедия „У Фантоцци опять неприятности“
- **18.40** С.Альтов. „Обовсем!“
- **19.00** „Моя семья“
- **19.55** „Аншлаг“
- **21.25** „Зеркало“
- **21.50** „Стань звездой“. Гала-концерт
- **23.45** Худ.фильм „Пустить под откос“
- **01.35** Худ.фильм „Ганнибал“

## НТВ

- **08.10** Худ.фильм „Трава и вода“
- **09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 16.00** „Сегодня“
- **09.05** „Вкусные истории“
- **09.20** Детское утро на НТВ. „Полундра!“
- **09.50** „Без рецепта“. Доктор Бранд
- **10.25** „Путешествия натуралиста. Новый год в Австрии“
- **11.05** „Кулинарный поединок. Франция-Италия-Бурундия“
- **12.05** „Квартирный вопрос. Новогодний интерьер“
- **13.05** Премьера. „За гранью возможного. Наперегонки с лавиной“
- **14.05** Комедия „Старый знакомый“
- **15.45** Вкусные истории
- **16.05** Своя игра
- **17.00, 18.00, 19.00, 20.00** „Сегодня“
- **17.20** Юрий Антонов. „Женский взгляд“
- **18.05** Экстремальное шоу „Фактор страха“
- **19.05** Новогодняя игра „Один за всех“
- **20.30** Боевик „Пятый элемент“
- **23.10** Супербокс. Майк Тайсон против Анджея Голоты
- **23.40** Премьера 2002 года. Худ.фильм „Али“
- **02.35** Боевик „Бессмертный“

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

# შეიძლება, იმასაც კი წერ, რაც ბედისწერამ აღარ გამოგიგზავნა...

ქეთევან სადღობელაშვილი

**- ამას წინათ ამბობდით, მწერალი ყოველთვის აღსარებას აბარებს თავის მკითხველსო. ჩავთვალოთ, რომ ჩვენი საუბარიც ერთგვარი აღსარება იქნება?**

- წერის დროს მარტო ხარ წარმოდგენილ სამყაროში, საკუთარ თავთან და გმირებთან, ხოლო ვისაც აღსარებას ეუბნები - მკითხველს, უკვე შემდეგ გულისხმობ. ის კაპიუშონჩამოფარებულ ბერს უფრო ჰგავს, რომელიც აბსტრაქციაა, მაგრამ არსებობს. კონკრეტულ ადამიანთან საუბრისას კი ერთგვარი ფარიკაობის ფორმას იყენებ, რადგანაც თვითონ აზროვნების ტიპი და მანერა იცვლება. შეიძლება თავშეკავებულიც იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არსებობს კითხვები, რომლებსაც, მიზეზთა გამო, ვერ უპასუხებ. რომ მკითხოთ, ვინ არ მომწონს თანამედროვე მწერლობაში, ვერ გიპასუხებთ - არაკორექტული ვიქნები და იმიტომ.

თუ წერის დროს ფანტაზიისა და საკუთარ თავთან თამაშის ელემენტი ბევრია, საუბრისას ცდილობ, მაქსიმალურად მართალი იყო არა მარტო მკითხველთან და საკუთარ თავთან, არამედ იმ ადამიანთანაც, ვისაც ესაუბრები. წარმოიდგინეთ, მამა-შვილს შორისაც კი, როცა სერიოზული საუბარია, მამას ყოველთვის ახსოვს, რომ ის მამაა და უნდა, ეს შვილსაც ახსოვდეს, ანდა, პირიქით. გულწრფელობის მაღალ ხარისხს რომ მიაღწიოს, შვილს უნდა დაავიწყოს, რომ ის მამაა, რადგან დიდაქტიკის ელემენტი გარკვეულ თამაშსა და ფსიქოლოგიზმს შეიცავს. გარდა ამისა, საუბრისას ფანტაზია შეზღუდულია...

**- მწერალთა უმეტესობას თეთრი ფურცლის შიში აქვს... როდის იწყებთ წერას, როგორი პრინციპით მუშაობთ, რას ცვლით. აკეთებთ თუ არა ვინმეზე ათვლას - ვაითუ, ეს არ მოეწონოს. შეიძლება ესენი დეტალებია, მაგრამ მნიშვნელოვანია მწერლის ბუნების ამოსაცნობად.**

- ეს მექანიზმი რომ ვიცოდე, როდის ვიწყებ წერას და რა პრინციპით, ჩემთვისაც კარგია, უფრო პროდუქტიული ვიქნებოდი, რასაც, სამწუხაროდ, საკუთარ თავზე ვერ ვიტყვი. თეთრ ქაღალდთან შიშის გარდა, მუშაობის დაწყება ჩემთვის იგივეა, რაც ნაბახუსევი "ბომჟისთვის" ყინულიან წყალში ჩახტომა დილით, პალტოიანად. ხუმრობა იქით იყოს და, ჩემთვის სპონტანურია წერის დაწყება. როცა მაგიდასთან ჯდები, გონებაში რაც გაქვს, შესაძლოა, ვერც გადაიტანო ქაღალდზე და სრულიად ახალი ამბავი დაიწყო, ან დაუფიქრებლად წერო ყველაფერი, რაც თავში მოგივა და დაელოდო მთავარს. თევზაობასავით არის. ელოდები, როდის შეირხევა ანკესი. აქედან უკვე იწყება ის მაგიური პროცესი, როცა გმირები აღარ გემორჩილებიან, თავის გზას პოულობენ, აკეთებ ისეთ მკვეთრ მოძრაობებს, რომლებიც ჩაფიქრებულიც კი არ გქონდა. ჩემთვის ყველაზე მომხიბვლელია ის პროცესი, როცა პოულობ იმ სახეს და სიტყვას, რომელიც, ალბათ, შენში იყო, მაგრამ აქამდე არაფერი იცოდი მათ შესახებ.

**- ხშირია ასეთი მიგნებისა და პოვნის შემთხვევები?**

- ხშირია, განსაკუთრებით პროზის წერის დროს. არის ამბავი, სიუჟეტი, რომელზეც, თურმე, გიფიქრია, მაგრამ აღარ გახსოვდა და კალმის წვერმა მოიტანა. თვითონ წერას მოაქვს სახე, სიუჟეტი, ფრაზა, ახალი პერსონაჟიც კი. წერა მაინც იმპულსით, ბიძგით ან სახით იწყება.

**- მდარე სიუჟეტი გაძლევთ იმპულსს?**

- ყველა სიუჟეტი მდარეა. რა შეიძლება მოიფიქროს ადამიანმა იმაზე უფრო მდარე, როცა გათხოვილი ქალი, რომელსაც შეუყვარდება ახალგაზრდა, ლამაზი ოფიცერი, ღალატობს ქმარს და შემდეგ მატარებლის ქვეშ ვარდება - ანა კარენინა. ცალკე თუ ავიღებთ, კიდევ ვიმეორებ, ყველა სიუჟეტი მდარეა, თავისთავად, ფორმას აქვს მნიშვნელობა, სიუჟეტურ ზიგზაგებს და აზროვნების ნაკადს. არ მიყვარს კეთება - ბოლო პროცესი, როცა დაამთავრებ ნაწარმოებს, გააცივებ და უცხო თვალით წაიკითხავ.

**- რას ნიშნავს უცხო თვალი?**

- დისტანცირებას. წერის დროს გმირებთან ერთად მოძრაობ, რომელიმე მათგანში ხარ ჩაბუდებული, გადადიხარ ერთი სულიდან მეორეში, ხოლო როცა დამთავრებულ ნაწარმოებს კითხულობ, როგორც რედაქტორი, უკვე იწყებ კეთებას, იმის განცდას, თუ სად გიღალატა ზომიერების გრძნობამ, ირონიამ, თვითკრიტიკულმა დამოკიდებულებამ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმდენი მექანიკური შეცდომაა... ამიტომაც, პიესა იქნება თუ მოთხრობა, იქამდე ვასწორებ, სანამ საბოლოო რეზულტატამდე არ მივალ. შემდეგ იწყება უცნაური შეგრძნება - გაცივება საკუთარი ნაწარმოების მიმართ. ამიტომაც მიკვირს იმ მწერლებისა, რომლებიც ამბობენ: ეს წიგნი საკუთარი შვილივით მიყვარს. მეცინება ასეთ ნარცისიზმზე, რადგან შვილივით შეიძლება გიყვარდეს მხოლოდ შვილი. ჰემინგუეის თქმისა არ იყოს: "Каждая книга это убитый бык". ის უკვე მოთავებულია, შეიძლება, ნოსტალგიურად ან გარკვეული ირონიით გადაიკითხო, შეიძლება, დაუბრუნდე კიდეც, მაგრამ, მგონია, რომ ეს მაინც უკუსვლაა.

**- ბევრი ამბობს, რომ ყოველი ახალი ნაწარმოები იმაზე უკეთესია, რაც მანამდე დაუწერია.**

- ეს კოკეტობაა, პოზაა. როცა ახალს წერს, ყველას აქვს შეგრძნება, რომ ნულიდან იწყებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს დაივიწყო ის, რაც მანამდე გქონდა.

**- გქონიათ განცდა, როცა ძველი ნაწარმოებები იმდენად გულუბრყვილოდ მოგჩვენებიათ, რომ, გიფიქრიათ, ეს რამ დამაწერინაო?**

- ეს რამ დამაწერინა, არა, მაგრამ გარკვეულ ღიმილნარევ ირონიას იწვევს ის გულუბრყვილობა და მიამიტობა, რაც შემდგომ თავად ცხოვრებამ გამიქარწყლა.

**- გაგინადგურებიათ საკუთარი ნაწერი?**

- ძალიან ბევრი და გული მწყდება, რადგან იყო ისეთი რამ, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა. უბრალოდ, იმ დროს მზად არ ვიყავი ამისთვის. უკან დაბრუნება, აღდგენა და რესტავრაცია კი აღარ მიცდია.

**- ჩანაწერები, ე.წ. უბის წიგნაკები თუ გაქვთ?**

- ბოლო ხანებში ვიწერ რაღაცებს, მაგრამ, რომ ნახოთ, 80 გვერდიდან გვერდნახევარია გადაუხაზავი. თუმცა, გადახაზულებმა მიშველა, რადგან ისეთ შეცდომებს აღარ გავიმეორებ, სხვისი გადახაზვა რომ დამჭირდეს.

**- წერის დროს შეიძლება ადამიანმა ან ხმაურმა დაგაკარგვინოთ წონასწორობა?**

- სამწუხაროდ, კი.

**- და ველარ იბრუნებთ აზრს?**

- ძალიან მძიმედ. ის კი არა, ხანდახან საბაბსაც ვეძებ, რომ წერას გავექცე, იმდენად ტაქიკარდიული რიტმია. უცებ გამახსენდება, რომ სიგარეტი მაქვს მოსაწევი, სპეციალურად ვაკეთებ პაუზებს, გიჟურ რიტმს ველარ ვუძლებ, ხელი არ მისდევს ნაფიქრს და ეს მაწვალებს.

**- რამდენ ხანს შეგიძლიათ, გადაბმულად იმუშაოთ?**

- 12 საათი შემიძლია ვწერო ისე, რომ კისერი მიქვავდება. დანა რომ ჩამასო, ვერ ვიგრძნობ. ერთი დაფეხვილი საბეჭდი მანქანა მაქვს, "ოლიმპია". ამას წინათ უარი მითხრეს შეკეთებაზე, მაგის ოსტატები აღარ გვყავსო. იმედი მაქვს, კომპიუტერს შევიძენ ოდესმე!

**- მეჩვენება, რომ მკითხველს სთავაზობთ სამყაროს, რომელიც ყოველთვის რომანტიკულია, ადამიანები კი - ზედმეტად რაინდულები და არატიპურები. ისეთი განცდაა, თითქოს, გინდათ, რომ ასეთი იყოს ადამიანი და არ უშვებთ აზრს - რეალურად მართლა არსებობენ თუ არა ასეთი სულის ადამიანები?**

- შეიძლება ასეთი შთაბეჭდილება დარჩეს. გეტყვით, რომ დიდი იღბალი მქონდა, რადგან ძალიან საინტერესო ადამიანებთან მომიწია ცხოვრება. მარტო მშობლებს არ ვგულისხმობ. მეტწილად, ესენი არიან დაღუპული მეგობრები, ეს არის უცაბედი შეხვედრები, უცნაური შემთხვევები... გარდა ამისა, ჩემი თაობა სხვა ლიტერატურაზეა გაზრდილი და დღევანდელი რუხი ფერები მას ვერ დააკმაყოფილებს. შემიძლია, ისეც ვწერო, ცოტა წყალწყალად, ნატურალისტურად, ზედმეტად მიახლოებულად დღევანდელ ცხოვრებასთან, მაგრამ მხატვრულად რამდენად საინტერესოა ეს ან მწერლისთვის, ან მკითხველისთვის. თანაც, სპეციალურად კი არ ვარომანტიკულებ ან ვარაინდებ ჩემს გმირებს, უბრალოდ, ისინი ასეთები არიან. ჩემთვის ეს ნორმაა.

**- გარკვეული პერიოდი წერდით ლექსებს, წერთ მოთხრობებს, მაგრამ მკვიდრად მაინც დრამატურგია არჩიეთ. ჩემი აზრით, ლიტერატურის ყველაზე მძიმე, რთული და უმადური ჟანრი, ერთგვარი გერი ქართული ლიტერატურისა. თვითგამოხატვის, შინაგანი სამყაროს რეალიზების უფრო მეტი შანსია დრამატურგიაში, თუ რატომ ასეთი არჩევანი?**

- დაგეთანხმებით, რომ ჩვენთან დრამატურგია ნამდვილად გერის როლშია, რადგან შემფასებელიც კი არ ჰყავს. კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები პიესის წაუკითხავად, სპექტაკლის მიხედვით წერენ პიესაზე, რაც უვიცობად მიმაჩნია. რაც შეეხება არჩევანს, ვთვლი, რომ დრამატურგია სწორედ ის ჟანრია, რომელიც შეიცავს პოეზიასაც, პროზასაც, ესეისტიკასაც, პუბლიცისტიკასაც და, რა ვიცი, ყველაფერს სიტყვიერს, რაც კი არსებობს. დრამატურგია ყოვლისმომცველია. თან, აზარტის ფაქტორიცაა - იმ N კვადრატზე, რასაც სცენა იტევს, შეგიძლია, გაათამაშო და გააცოცხლო ის, რითაც შეუზღუდავი ხარ სხვა ჟანრებში. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დატვირთო ორი საათი, რომელიც სცენაზე გადის, რომ საინტერესო იყოს. ჩვეულებრივი დღის ორი საათი უცბად გაიქროლებს და წავა. სცენის ორ საათში კი ხდება ის, რაც თავს დაგამახსოვრებს (დრამატურგიულ სამებას ვგულისხმობ - დროის, სივრცისა და მოქმედების ერთიანობას). ერთი უცნაურობაც ახლავს დრამატურგიას. გადის 20, 30 წელი და, თურმე, ისევ აინტერესებთ, უბრუნდებიან შენს ძველ პიესებს. არის შიშის შეგრძნება, მაგრამ არის გარკვეული სიამაყეც (ბოდიშს ვიხდი ამ ამპარტავნული სიტყვისთვის), რადგან ის, რაც დაწერე, არ ყოფილა პეპელასავით, ორი დღისთვის განწირული. თუმცა, არის მძიმე სიტუაციებიც დრამატურგისთვის - სპექტაკლი შეიძლება ერთ დღეს კარგად წავიდეს, ცოტა ხანში კი აჩრდილიც აღარ დარჩეს, ან, უბრალოდ, ჩავარდეს. რღვევის ტენდენცია სპექტაკლებს აქვთ. მაგალითად, "იასამანი". როცა რობიკო ორი თვით საზღვარ-



ლაშა თაბუკაშვილი

ბექა ბულაშვილის ფოტო

გაგრძელება C2 გვერდზე









# შეიძლება, იმასაც კი წერ, რაც ბედისწერამ აღარ გამოგიგზავნა...

პირველი გვერდიდან

გარეთ წავიდა, მსახიობებმა მაყურებელზე დაიწყეს თამაში და დაიკარგა ის, რაც მანამდე იყო. აღდგენილი სპექტაკლებიც, რაც უნდა გენიალური იყოს, ის აღარაა, იმიტომ რომ თეატრი არის მაგია, რომელიც არ მეორდება.

**- რამდენად ემთხვევა დრამატურგის მიერ წარმოდგენილი სცენაზე განხორციელებულს? აქვე შემოგთავაზებთ თემას: რეჟისორი და დრამატურგის ტკივილები.**

- მწერლობა, საერთოდ, ინფარქტიანი პროფესიაა. სუპერინფარქტიანია დრამატურგობა. მე პროზაიკოსიც ვარ, მაგრამ პროზას, ალბათ, უფრო მომავლისთვის ჩავუჯდები გულდასმით. ბოლო პიესას რომ დავამთავრებ, მინდა, დავჯდე და ვწერო. მაინტერესებს, რა ამოტივტივდება, რა მახსოვს, რა არის ჩემში დამარხული. მინდა, მოვიპოვო ამ ფუფუნების უფლება, რომ აღარ ვიფიქრო ყოფითობაზე, ოჯახის რჩენაზე, უამრავი ადამიანის პრობლემაზე.

**- ფიქრობთ ამაზე?**

- როგორ არ ვფიქრობ. ჩემთვის ოჯახი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ჩემი ხელოვნება. იმ ნარცის მწერლებს, რომლებიც ამბობენ, რომ წერაა მთავარი და წყალს წაუღია ყველაფერიო, მე არ ვეკუთვნი. მეგობრის გასაჭირიც ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ დავჯდე და შევქმნა რაღაც "უკვდავი".

**- რატომ მიმიტოვეთ რეჟისორისა და დრამატურგის შინაგანი კონფლიქტების ამბავი, ერიდებით ამ თემას?**

- არა, რატომ?.. რა შეუძლია "დამართოს" რეჟისორმა შენს პიესას? დავიწყოთ იქიდან, რომ იყო ერთი ასეთი ბიჭი - შექსპირი. როგორი გმირიც უნდა შექმნას მწერალმა, ჰამლეტს მაინც ვერ აცდება, ბეჭით მაინც უნდა გაეხახუნოს. შექსპირმა შექმნა ყოვლისმომცველი სახე, რომელსაც ძალიან მწარედ უკირკიტებენ რეჟისორები. შექსპირის ყოველი "ახალი წაკითხვა" უკვე მზარავს ხოლმე. ნეტავი, ისე დადგან, როგორც დაწერა. ყოველი ვითომ ახლებური, ვითომ ხულიგნური დანახვა ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტში არათუ ამართლებს, არამედ მდარეა და გაუაზრებელი. მეჩვენება, რომ რეჟისორები ვერ წვდებიან ჰამლეტის ამაღლებულ სულს და, ამის გამო, შურს იძიებენ მასზე, უნდათ, დაამიწონ, დაამდაბლონ, რადგან გრძნობენ საკუთარ უსუსურობას მის წინაშე.

პიტერ ბრუკი წერს, რომ "ყველაზე დიდი რეჟისურა ისაა, სიღრმეში წახვიდე, გამოიცნო დრამატურგის ნააზრევი" და არა ის, რომ შენს ვიწრო მხრებს მოარგო მისი მშვენიერი ლაბადა. ბრუკი პაუზებსაც კი ითვალისწინებდა. ბეკეტი რომ დადგა, მისი ყველა რემარკა გამოიყენა. რემარკას კი რეჟისორები საერთოდ აგდებენ, შლიან.

**- არადა, ხშირად გმირის მდგომარეობას რემარკა გამოხატავს.**

- ამიტომაც, რეჟისორისა და ავტორის ურთიერთობა არასოდეს არაა იდილიური, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორმა შეზღუდოს რეჟისორი.

**- რეჟისორები ამბობენ, რომ დრამატურგები ერთ სიტყვასაც ვერ ელევიან. მათ კი, თეატრის სპეციფიკიდან გამომდინარე, სცენაზე სიტყვები არ სჭირდებათ (პიესის ტექსტს არ ვგულისხმობ).**

- შეიძლება, მართალიც არიან, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა შეელიოს ან არ შეელიოს ავტორი სიტყვას. თუ მნიშვნელოვნად თვლის, არ უნდა შეელიოს. დარწმუნებული ვარ, შექსპირი არ შეელეოდა "ყოფნა-არყოფნის" მონოლოგის გადაგდებას ან დაწვას.

ჩეხოვს "სამ დაში" ჰქონდა ანდრეის ბრწყინვალე მონოლოგი თანამედროვე ცოლებზე. ლიტერატურულად ფანტასტიკური მონაკვეთი სპექტაკლში არ ჯდებოდა, ჩეხოვი შეელია მონოლოგს და შეცვალა ერთი ფრაზით: "жена есть жена". ამით მხოლოდ მოიგო პიესამ, რადგან სცენაზე, ხანდახან, შორისდებულიც კი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ლიტერატურული ფეიერვერკი. ამიტომაცაა დრამატურგია ათასწახნაგოვანი!

**- თქვენ არა ხართ ის დრამატურგი, ვისი პიესებიც მტვერწაყრილი დევს ან წლიდან წლამდე მხოლოდ პროვინციულ თეატრებში იდგმება.**

- გარედან ჩანს, რომ განებივრებული ვარ. 60 თეატრში დაიდგა ჩემი პიესები, 17 ქვეყანაში, მაგრამ ერთორჯერ მეც გავიქეცი თეატრიდან. პიესას ბოლოდან იწყებდნენ და ისე გადიოდნენ თავში. საკმაოდ მძიმე ავტორად ვითვლებოდი, თუმცა, რაც ჩეხოვს დაემართა "თოლიას" ნახვისას, მე არ დამმართნია (ჩეხოვს კი არ ვადარებ თავს!). მეორე მოქმედების დაწყებამდე ჩეხოვი ისე გავარდა დარბაზიდან, პალტოს ჩაცმა დაავიწყდა და თვითონაც არ ახსოვს, 4 საათი ისე იარა პეტერბურგის ნისლიან ქუჩებში, წვიმასა და ყინვაში, რის გამო ჭლექიც კი დაემართა. წლები დასჭირდა სტანისლავსკის, დაეთანხმებინა, რომ "თოლიათი" გაეხსნა ახალი თეატრი - ათი წელი აღარ ადგმევინებდა ჩეხოვი. ეს პრობლემა ყოველთვის არსებობს... ესეც თქვენი რეჟისორ-დრამატურგის კონფლიქტების თემა.



ზაურ გოლაშვილის ფოტო

**- რომელი პიესა გამოვიდა ისეთი, როგორიც გინდოდათ?**

- სიამოვნებით ვიხსენებ "დარაბების..." ორივე დადგმას, "ჭრილობის" პირველ დადგმას ბათუმში, "შენკენ სავალი გზების" დათო ანდღულაძის დადგმას, ნუკრი ქანთარიას დადგმას "ნატაძრალზე" და "ათვინიერებენ მიმინოს", რასაკვირველია, სტურუასა და ხინიკაძის "იასამანს". კი, ამ მხრივ განებივრებული ვარ - რაც დავწერე, თითქმის ყველა დაიდგა, მაგრამ შემოსავალი არ არსებობს. არადა, უამრავი ადამიანის პრობლემით უფრო ვცხოვრობ, ვიდრე ვწერ და ვწერ მაშინ, როცა ცხოვრებისგან ვიცლი.

**- შეიძლება ასეთი "სისტემით" წერა, მოცლილობისას?**

- არ შეიძლება, მაგრამ ჩემთვის ადამიანთა ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია...

**- პროტოტიპი ბევრი გყავთ?**

- პრაქტიკულად, არა.

**- მორიგი თემა ასეთია - გავლენები!**

- ხელოვნება, საერთოდ, გავლენაა. არის გავლენა, რომელსაც ვერც ამჩნევ. მაგალითად, გურამ რჩეულიშვილის "სიკვდილი მთაში" ჰემინგუეის მანერაც შეინიშნება, მაგრამ აბსოლუტურად გურამ რჩეულიშვილია. ამ ტიპის გავლენის არც უნდა გეშინოდეს, მთავარია, შენი იყოს. ბევრად უფრო თანავუგრძნობ ისეთ ავტორს, ვისაც თავისი მოაქვს, ვიდრე იმას, ვინც წიგნებით აკეთებს წიგნს. XX საუკუნის ერთ მოვლენაზეც მინდა ვთქვა: ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს მომიჯნავე დარგები: მხატვრობა, მწერლობა, მუსიკა, თეატრი ერთმანეთის გავლენას განიცდის. შეიძლება ამას სინთეტიკურიც დავარქვათ, მაგრამ, ერთგვარი ეკლექტიკურობის მიუხედავად, ვთვლი, რომ საინტერესო ხედვა გაჩნდა. აი, "მობი დიკიც" სინთეტიკურ რომანად ითვლება ლიტერატურული თვალსაზრისით...

**- გენიალური რომანი კი არის და...**





უბის წიგნაკები

- მარტო სითეთრეზე პასაჟი და უცებ ვეშაპის ანატომიური აღწერა რად ღირს! საერთოდ, ყველა მწერალს უნდა ახსოვდეს, რომ ველოსიპედი გამოგონილია და სანამ ახალი ავტობანის გაყვანაზე იფიქრებდეს, საკუთარი გზები და ბილიკები ეძებოს. ნიჭიერება, რა დარგშიც უნდა იყოს გამოვლენილი, ერთმანეთში გადადის და ახდენს გავლენას, თვით ცხოვრებაზეც კი. ხშირად ამბობენ: ამდენსაუკუნოვანმა ლიტერატურამ რატომ ვერ გამოასწორა ადამიანი. ბარემ ვიკითხოთ, რელიგიამ რატომ ვერ მოახერხა ადამიანის გონზე მოყვანა, მიუხედავად იმისა, ქრისტიანული რელიგია რომ არ ყოფილიყო, ასჯერ მეტი უბედურება დატრიალდებოდა სამყაროში. ერთი ბეწო მშვენიერება "ერთ პოეტს მაინც მოხვდება გულში და ეს ეყოფა გამოსარჩლებად". ერთმა ადამიანმა მაინც რომ იგრძნოს კათარზისი შენი დაწერილის წაკითხვისა და ნანახის შემდეგ, უკვე დიდი გამარჯვებაა.

**- რატომღაც, გამახსენდა თქვენი სათაურები, რომლებიც, პიესაზე უფრო, პოეზიას უხდება: "მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი", "დარაბებს მიღმა გაზაფხულია", "თოვლივით თეთრი თოვლი" და ა.შ.**

- ისევ გავიმეორებ, რომ დრამატურგია თავის თავში იტევს პოეზიას. საერთოდ, მიჭირს სათაურის მოგონება, მაგრამ, ვთვლი, რომ ჩემი სათაური, მეტწილად, ესადაგება შინაარსს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მოთხრობისთვის "ტერანგი", რამდენიც არ ვიფიქრე, მაინც ვარჩიე, ოდესღაც ნანახ, ძველ ფილმში გაგონილი სახელი დამერქმია, ვიდრე მეძებნა ქვეტექსტში, როგორ ხდება ბრმა თვალხილულთა მეგზური. რაც შეეხება "თოვლივით თეთრ თოვლს", ეს პერიფრაზია "снег был белый, как снег". ვერაფრით გავიგე, ბულგაკოვისაა თუ ტოლსტოის, რადგან ეს მითხრა ბიძინა ხერხეულიძემ. ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. უკვე მომაკვდავი, რაღაცაზე ჩაფიქრდა და უცბად თქვა ეს ფრაზა. რომ ვკითხე, ვისია-მეთქი, ვერ გაიხსენა. სულ ცოტა ხანში კი გარდაიცვალა. ამიტომაც, ეს პიესა რეკვიემია წასულებზე.

**- თქვენი გმირი (მწერლის იდენტური სახე) სულ რაღაცას ელოდება: სხვა ადამიანს, სხვა ხსნას... თანაც, პარალელური სამყაროდან. ხსნის მოლოდინი სხვა სამყაროდან ბოლო ნაწარმოებებში უფრო გამძაფრებულია. რა სამყაროა ეს, რელიგიასთან მიდის?**

- რელიგიურობის მარცვალი შინაგანად ჩემს ნაწარმოებებში დევს, მაგრამ ეს მოხდა აბსოლუტურად დაუფიქრებლად, გაუცნობიერებლად. ხსნის მოლოდინიც რელიგიური მოტივია. პარალელური სამყარო კი არის ნანატრი საქართველო, რომელიც სადღაც არსებობს. აქ გარკვეული ხულიგნობაც ვცადე, არის ირონიაც, რომელსაც გმირი თავად შიფრავს: "გაზაფხულის ქარია, გულო, დარდთან ნაფიცრო, რა კარგი სიზმარია, დედა, არ გამაღვიძო". შეიძლება ეს საერთოდ სიზმარია. მე რომ მკაცრ კანონებს გავყოლოდი, შემეძლო, გამეკეთებინა, რომ ეს ყველაფერი ზმანება ან ჰალუცინაციაა ნარკოტიკის ქვეშ, მაგრამ უსინდისო ვიქნებოდი, რადგან ადამიანს უიმედოდ დავტოვებდი. ო'ჰენრი, რომელსაც უმძიმესი ცხოვრება ჰქონდა, "ჰეფი ენდით" ამთავრებდა თავის ნაწარმოებებს. "ჰეფი ენდს" ხშირად არ ვიყენებ, მაგრამ ხსნას ყოველთვის ადამიანთა ურთიერთობებში ვეძებ. თავი რომ დავანებოთ მაღალ მატერიებს და ღმერთისადმი დამოკიდებულებას, ჩემთვის მთავარია ერთმანეთის აღმოჩენა, შეყვარება, პატიება, შერიგება.

**- აი, უცხოელ მწერლებს შეუძლიათ ეგ, ერთმანეთის აღმოჩენა, დაფასება და გამხნევება. ჩვენთან პირიქითაა, ხშირად მწერლებს ერთმანეთი აღიზიანებთ, სწორედაც ნიჭიერების გამო...**

- მე ხომ არ მეხება ეგ სიტყვები? საერთოდ, თუკი ადამიანი ჭკვიანია, ნიჭიერება უნდა უყვარდეს. ამას გარდა, ეროვნული სიამაყეც ხომ არსებობს - ნიჭიერი კაცი მთელი ერის ღირსებაა. ის, რომ მწერალი მწერალზე ფიქრობდეს, კეთდებოდა ჩვენს ჟურნალში "XX საუკუნე". თავად ჟურნალის შექმნის სურვილიც ამიტომ დაიბადა. მართალია, ჩვენთან არიან კარგი მწერლები, მაგრამ სილის გაწვნასავით ალიქვამენ სხვის შექებას და აღიარებას.

**- ვიცი, რომ ადამიანთა გარკვეული წრე გურუსავით გიყურებთ, გაკითხებენ თავიანთ ნაწერებს, ჭკუას გეკითხებიან...**

- ავტორი ვარ და ვიცი, რა მძიმეა გულისტკენა. ამიტომ ვცდილობ, არ მოვატყუო ისინი, სათქმელი ისე ვუთხრა, რომ ხერხემალში არ გადავტეხო. იმასაც ვცდილობ, ჯერ კარგი დავინახო და მერე ნაკლებად საინტერესო. რაც შეეხება გურუს - არასოდეს ამიღია საკუთარ თავზე ეს ფუნქცია, რადგან ვიცი, რომ მოწაფეები, როგორც წესი, შურს იძიებენ ხოლმე მასწავლებელზე.

**- მამლის სამ ყივილამდე უარგყოფენ, არა?**

- ჰო, ეგრეა *(იცინის)*. მაგრამ ბოლო ხანებში მიჭირს ამდენი ნაწერის წაკითხვა, ისე იმატა მომსვლელების რიცხვმა. ზალიკო სამადაშვილმა აიყვანა კურსი "გეპეიში", სხვა ინსტიტუტებიდანაც დადიან მასთან. რაღაც ამგვარზე მეც ვფიქრობ, რადგან ახალგაზრდებთან დიალოგი დიდად მახალისებს, რაღაც ახალს აღმოვაჩენ ხოლმე ჩემში.

**- შვილის მწერლობას როგორ უყურებთ?**

- ვთვლი, რომ ძალიან ნიჭიერია, მაგრამ დისტანცირებულები ვართ, ვუფრთხით ერთმანეთის შეფასებებში.

**- დიდი რეზო როგორ აფასებდა თქვენს მწერლობას?**

- ჩვენც ძალიან დისტანცირებულები ვიყავით. სულ მაინტერესებდა მისი აზრი, მაგრამ ისიც ისე გამირბოდა, როგორც მე გავურბი ჩემს შვილს. მამაჩემი უმკაცრესი იყო, მაგრამ სულ თავზე რომ დაეფხრიწა ნაწერი, მაინც დადებითად მოქმედებდა მისი აზრი. გააზრებული ქება ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ არანაკლებ კრიტიკას ვითხოვ ახლობლებისგან. ჩემი შემფასებელი უფრო მეუღლეა. გარდა იმისა, რომ კარგი გემოვნება აქვს, იმდენად კარგად მიცნობს, უცბად ხვდება, სად ვუღალატე საკუთარ თავს და სად – არა. ამიტომაც მის შენიშვნებში ყოველთვის ვეძებ მარცვალს, რომელმაც შენიშვნა წარმოშვა. საერთოდაც, შენიშვნების არ მეშინია და თითქმის ყოველთვის ვითვალისწინებ. მინდა, იმ ახალგაზრდა მწერლების გასაგონად ვთქვა, რომლებიც კაპუეტად ხვდებიან კრიტიკას: თუ ადამიანს ოდნავ მაინც ენდობი, აუცილებელია, ჩაფიქრდე, რამ გამოიწვია ესა თუ ის ეჭვი. თვითკრიტიკა აუცილებელია.

**- მდგომარეობა, როცა ხართ შვილი და იმედი მამაა, როცა ხართ მამა და იმედი უკვე თქვენი შვილისთვის...**

- შეკითხვაში უკვე არის პასუხი, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ: როცა მშობლები ამქვეყნიდან მიდიან, შინაგანად მთელი სამყარო იცვლება. მართალია, იმ ასაკში ვიყავი, როცა უკვე მყარად ვიდექი ფეხზე, მაგრამ ამას დაემთხვა ეპოქის შეცვლა ქვეყანაში და იმ საგიჟეთის ეპიცენტრშიც აღმოვჩნდი...

**- დეპრესია თუ გქონდათ?**

- ხშირად, მაგრამ სხვებს ამის შემჩნევის საშუალებას არ ვაძლევ!

**- კი, მაგრამ, ეს ჩანს თქვენს ნაწარმოებებშიც...**

- იქ ხომ ვერ ვითამაშებ! ტკივილის გარეშე რა დაწერილა? ხელოვანს ძალიან თხელი კანი აქვს. ამიტომაც უფრო ღრმად აღწევს გამჭოლი დარტყმები, თუმცა, სიტყვა "იმედი" ტყუილად არ მიხსენებია. ვცდილობ, ჩემთვისაც შევინარჩუნო ის და სხვისთვისაც. ადამიანისგან იმედი უნდა მოდიოდეს და არა სასოწარკვეთა. შენ როგორ გტკივა, არავინ უნდა გაიგოს, უახლოესი ადამიანების გარდა.

**- ჯაბა იოსელიანის ნათლიობა ერთგვარი "ნათლიმამობის" ესთეტიკაში გადაიზარდა თქვენთვის?**

- ჯაბა რომ დააპატიმრეს, 5-6 წლის ვიყავი. 10 წელი ინახავდა ჩემს ფოტოს "ლაგერებში". ციხიდან რომ გამოვიდა, 15 წლის ვიყავი. ის ჩემთვის გახდა ერთგვარი რომანტიკული ერთეული. მერე და მერე სულ ვცდილობდი, შემეცვალა საზოგადოებრივი აზრი ჯაბას შესახებ. რასაკვირველია, მას ჰქონდა შეცდომები, რაც უფრო იმის ბრალია, რომ "მხედრიონი" თვალსა და ხელს შუა გადასხვაფერდა, მოვიდნენ სხვა ადამიანები, რომლებმაც წმინდად დაწყებული საქმე გააფუჭეს. ჩემთვის ჯაბა, პირველ რიგში, დიდი მწერალი და ძლიერი ადამიანია. შეუძლებელია, ვინმემ მოიგონოს ასეთი უნიკალური ბიოგრაფია. ისეთი უკიდეგანო უმადურობა კი, როგორიც ჯაბას შეხვდა, წარმოუდგენელია. ადამიანი, რომელმაც თავი დააღწია, იცით, როგორ სამყაროს, გახდა პროფესორი, დაწერა სამი ბრწყინვალე რომანი, ომის დროს შვილთან ერთად ტყვიებს შუბლს უშვერდა, დაიჭირეს ერთხელ, ორჯერ და არსად არ გატყდა, ქედი არ მოიხარა. დედას და მამას მეგობრებიდან ერთი-ორი ადამიანიღა დამრჩა, მათ შორის, ჯაბა, რომელიც საოცრად მიყვარს და ვინც მასზე ლაპარაკობს, ვკითხოთ ერთი, როგორ შეინახეს საკუთარი თავი, სად არ მოიდრიკეს ქედი, სად არ დაკარგეს პიროვნული და ადამიანური ღირსება.

რაც შეეხება თქვენს მინიშნებას "ნათლიმამაზე", მაგ მხრივ, იარაღით ხელში, ერთმანეთის გვერდით ვმდგარვართ ძნელბედობისას. შავ სამყაროსთან კი ჯაბას გარეშეც მქონდა შეხება. მყავდა ძალიან საინტერესო და საყვარელი ადამიანები, რომლებიც ბედუკუღმართი ცხოვრების გამო აღმოჩნდნენ ამ სამყაროში. მათ არ უნდოდათ, ტოტალიტარული რეჟიმის ჭანჭიკები ყოფილიყვნენ, თორემ კოკა კობერიძეს და დიმა ლორთქიფანიძეს მანეთიც არ ჰქონიათ მოპარული - სამართლიანობისა და ღირსების გრძნობამ აიძულა ისინი, ამ ტიტულს დათანხმებოდნენ.

**- არსებობს აზრი, რომ თქვენ მაინც გარკვეულ, ვიწრო წრეზე წერთ და ამ წრის გარეთ არ გადიხართ.**

- ეგ აზრი აბსოლუტურ სიმართლეს შეიცავს. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი, მაგრამ იმ პიროვნებებზე უკეთ ვწერ, ვისაც ვიცნობ და საინტერესოდ ვთვლი. უინტერესო ადამიანებზე ვერ ვწერ.

**- მწერლისთვის უინტერესო ადამიანი არსებობს?**

- ალბათ, არა. მაგრამ, ამავე დროს, ალბათ, კი. ვინც ნაკლებად მაღელვებს თავისი ცხოვრების წესით, თავისი ზნეობით, მიზნებითა და მისწრაფებებით, ურთიერთობების უნარითა და მრავალი სხვა მიზეზით, მათზე წერა არ მაინტერესებს.

**- ხშირად გამიგია ხელოვანისგან, რომ არასოდეს იწყებს მუშაობას ნასვამი, მოუწესრიგებელი. მანამდე კი სვამს იმიტომ, რომ ხილვები დაგროვდეს. თქვენთან როგორაა?**

- სმაც მომიწია, აზარტული თამაშიც და ცხოვრების მრავალი უკუღმართობაც. ფიზიკური თვითგანადგურების მუხტი რომ გვაქვს ქართველებს, არც მე ამცდენია. მაგრამ თუ წერის დროს არა ხარ სრულიად ფხიზელი და თავისუფალი ყოველგვარი გარეშე დოპინგისგან, არაფერი გამოვა. ქმნადობის პროცესს საოცარი თვითდისციპლინა სჭირდება. ესეც ახლოა რელიგიურთან – გამორიცხულია, ნარკოტიკის, სასმელის ან ქიმიური დოპინგის ქვეშ რაიმე ღირებული შექმნა.

გალაკტიონზე და ფიროსმანზე რომ ამბობენ, მთვრალი მუშაობდაო, სისულელეა, ობივატელის მოგონილი "ლეგენდა".

**- თუ უფლის ნების გარეშე ბეღურაც კი ვერ გადაიფრენს, თვლით, რომ თქვენი მწერლობა ღვთის ნებაა?**

- ძალიან თავხედური განცხადება იქნება ჩემგან, მაგრამ გულში ვფიქრობ, რომ ღვთის ნებაა. რამდენად კარგად ვასრულებ ამ ნებას, ეს უკვე სხვა საქმეა.

**- როგორ მიხვედით აღსარებამდე, როგორ მიხვდით, რომ გჭირდებათ შუამავალი იმ იდუმალი კავშირისთვის, რომელსაც ყველა ადამიანი გრძნობს საყოველთაოსთან მიმართებაში, მაგრამ უჭირს ზღვრის გადალახვა?**

- თავიდან მუხრუჭები მქონდა. ახლაც მაქვს. ვიცი, რომ გულწრფელი ვარ ჩემს რწმენაში, მაგრამ მაინც მცირედმორწმუნე ვარ, რადგან ბოლომდე ვერ დავალაგე, ვერ დავიწყე ეკლესიური ცხოვრება. ბევრ ინტელექტუალს ჰგონია, რომ რელიგია იცის, არადა, სანამ არ იგრძნობ ენით აუხსნელ სიმხურვალეს მკერდში, ძნელია რამის თქმა. გრძნობით ვიგრძენი, გულით და გონებით ჩამოვყალიბდი, მაგრამ ფიზიკური ქმედებით - ვერა. ეს პროცესები მიდის ჩემში, რაღაც სანტიმეტრებით წავიწიე წინ. შუამავალზე რომ მკითხეთ, ბევრს ჰგონია, რომ ეკლესია ზედმეტი რგოლია, მაგრამ ეს შეცდომაა.

**- ძალიან ბევრი წვალობს, სანამ ამ აზრამდე მივა. თქვენ როდის მიხვდით, რომ ეს შეცდომაა?**

- რამდენიმე წელია. მეუფე დანიელმა, ჩემმა მოძღვარმა, გამიადვილა ამის აღიარება. იმდენი რამ ვნახე და ვიგრძენი უწმინდესთან და უნეტარესთან ურთიერთობაშიც... აღარაფერს ვამბობ მადლზე, მისგან რომ მოდის. თუნდაც, სასწაული, რომელიც ჩემი თვალით ვიხილე. სულ ახლახან, უწმინდესს, სხვებთან ერთად, ვახლდი კოდორის ხეობაში, ცაგერში, ლენტეხში, სვანეთსა და რაჭაში. რაჭაში ისე წვიმდა, რომ სეფა, რომელშიც ვისხედით, წვიმისგან გაიზნიქა. უწმინდესმა დაგვამშვიდა - ნუ გეშინიათ, წვიმა 15 წუთში გადაიღებს და დიდი ცისარტყელა გამოანათებსო. შევწუხდი, რადგან უწმინდესის სიტყვა კანონად მიმაჩნია და ვიფიქრე, რომ არ ასრულდეს, ჰაერში ნათქვამი გამოვა-მეთქი. ვზივარ დაძაბული და ვუყურებ საათს. მართლაც, 15 წუთის შემდეგ, უცბად მოისხიპა წვიმა, გაბრდღვიალდა მზით ყველაფერი, ბიბლიურმა სიყვითლემ გადაუარა გარემოს და ბევრმა დაიჩოქა კიდეც. ცას ორი ვეებერთელა ცისარტყელა გადაეკრა. უწმინდესმა ცისკენ აღაპყრო თვალები. ჩემთვის ეს იყო სასწაულის განცდა. ისევე როგორც ლოცვის მადლი გავიგე მაშინ, როცა შვილის გადარჩენისთვის (გუდაურის მთებში დაიმტვრა) მდუღარე ცრემლით ვლოცულობდი ეკლესიაში. იმდენად ვართ დამძიმებული არასწორი ცხოვრებით, რომ ხანდახან გვეშინია ლოცვის, ხატთან მისვლის, აღსარების... კითხვები, ეჭვები და ჩხირკედელაობა რწმენის განმტკიცებას ხელს უშლის, გულში უნდა გაატარო...

**- როცა საბოლოო აღიარებამდე მიდიხართ, სამყარო უფრო დიდდება და ადამიანი მასთან შედარებით ნაწილაკია თუ პირიქით, ადამიანი უახლოვდება სამყაროს?**

- არა, ეს არ ნიშნავს შენს პიროვნულ დაკნინებას. უბრალოდ, ხვდები, რამდენად სასაცილო ხარ შენს ყოველდღიურობაში, დიდი და სტრატეგიული გეგმებიც უსუსური ხდება, რადგან არ იცი, ხვალ რა მოხდება. ამიტომ ყოველი დღე იმ სისავსით უნდა გამოიყენო, რა სისავსითაც სიცოცხლე მოგანიჭა ღმერთმა. ასეა მწერლობაშიც, ფურცელი არ უნდა გააცდინო წყალწყალა ამბებით.

**- ხშირად საუბრობენ შემოქმედის მარტოობაზე. არადა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ უფალი მარტო არავის ტოვებს, ყველა ადამიანი მარტოა, დაუცველი.**

- კი, ყველა ადამიანი განწირულია მარტოობისთვის, მაგრამ მწერალი მარტოობაში იზრდება. თუმცა, თავს ვერ ვინებივრებ მარტოობით. გარშემო იმდენს უჭირს, რომ არ მავიწყდება, როგორ ცხოვრობენ ჩემზე უარესად ჩემზე უკეთესი ადამიანები. ამას წინათ სიღარიბის ესთეტიკაზე ლაპარაკობდა რობიკო სტურუა. ეს ესთეტიკა შეიძლება კარგი იყოს ტილოზე ან წიგნის ფურცელზე, მაგრამ არა ცხოვრებაში.

**- ესთეტიკა, რომელიც სტურუას, ალბათ, არასოდეს უგრძვნია...**

- გარდაგეცვალა ამხანაგი, დარჩა ქვრივ-ობოლი და შენ არ შეგიძლია დახმარება, ხელის წაშველება. როგორ შეიძლება, თავმოყვარე კაცმა, ეს აიტანო. ჯობს, წახვიდე, დააგირაო რაღაც და მიუტანო. ასეც ვიქცევი. თუ რამე დარჩა სახლში, ვაგირავებთ. ქართულ ინტელიგენციას უნდა მოეცალა იმისთვის, რომ ხელგაწვდილი არ ყოფილიყო არც მთავრობის, არც ვაჭრისა და არც ოლიგარქის წინაშე. ხომ ხედავთ, პრაქტიკულად, რამდენიმე ასეულმა ადამიანმა გაძარცვა საქართველო და გაამათხოვრა ქვეყანა. ამის შემდეგ დაჯექი და წერე შენი რომანტიკული პროზა. ობივატელს ჰგონია, რომ ხელოვანი აუცილებლად კიბის ქვეშ უნდა მოკვდეს. არადა, დამცირებული ფიროსმანი არავის უნახავს. ის სიამაყის გამო მოკვდა კიბის ქვეშ, თორემ შეეძლო, თავისი დუქანიც ჰქონოდა და დასამარხი ქამარიც.

მშვენიერი ახალგაზრდა მწერლები მოდიან, თითო-თითოდ, ჯუნგლების გავლით. არ უნდა აფიქრებინო, რომ განწირულები არიან. გაფრთხილება უნდა ამ ხალხს.

**- ყველა მწერალი, გარკვეულწილად, საკუთარ თავს წერს, საკუთარ ცხოვრებას. თქვენი ოჯახი გარედან ზედმეტად იდილიური ჩანს. რამდენად ბევრია თქვენთან ავტობიოგრაფიული?**

- ძალიან დიდი სიყვარულის საფუძველზე იდგა ჩვენი ოჯახი, მაგრამ როგორ შეიძლება, იდილიური ყოფილიყო! სულ კონფლიქტები იყო, ერთმანეთის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფას ვცდილობდით, ერთმანეთისას უფრო განვიცდიდით, ვიდრე საკუთარს. კი, ბევრია ჩემთან ავტობიოგრაფიული, თქვენ რომ მითხარით, ზედმეტად რომანტიკულიაო, მართლაც, იყო ასეთი შემთხვევები, მაგრამ ხომ იყო? თუნდაც, დედას დამოკიდებულება რაღაც მოვლენებისადმი. ვინც მე დამჭრა, მეგობრებმა დაიჭირეს და სახლში მომიყვანეს. ჩემმა მშობლებმა აპატიეს და, ფაქტობრივად, გადაარჩინეს. დედამ ფიციც კი ჩამოართვა ჩემს მეგობრებს, რომ ხელს არავინ ახლებდა, მას კი უთხრა: მარტო ლაშა კი არ არის ჩემი შვილი, შენც ჩემი შვილი ხარ და ასე არ უნდა გაიმეტოთ ერთმანეთიო. ის მოკვდა და გათავდა - ყველაზე მეტად დასაჯა დედაჩემმა, რომელსაც ბევრი ჰქონდა ასეთი მარიამული ("შენკენ სავალი გზებიდან") შტრიხი. ავტობიოგრაფიული რა, შეიძლება იმასაც კი წერ, რაც ბედისწერამ აღარ გამოგიგზავნა და ბოლო წამში გადადო, მაგრამ შენ ეს იგრძენი და დაწერე.

**- კალდერონი რომ შევაწუხოთ, თუ კი "ცხოვრება სიზმარია", რა გველოდება გამოღვიძების შემდეგ?**

- გამოღვიძების შემდეგ გველოდება სასუფეველი ან ჯოჯოხეთი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როდის გვძინავს და როდის გვღვიძავს. ძენბუდიზმში არის წამი, რომელიც ყველაფერს მოიცავს, ადამიანებს მთელი სისავსით აქვთ განცდილი წამები. წერის დროსაც ხშირია ასეთი წამები, მაგრამ ბოლომდე რომ ჩაწვდე სიღრმეს და ფეხი დაარტყა ფსკერს, ასეთი რამ მიუღწეველია.

## ... რაც უკვე იყო














სასამართლო დარბაზი, რომელიც
საზოგადოებისთვის ღია იქნება,
ეფექტიანი და პატივცემული
სამართლებრივი სისტემისთვის
**SINE QUA NON***-ს წარმოადგენს,
რომელიც, რეზულტატად ამისა,
თავისუფალი საზოგადოების ერთ-ერთ
უმთავრეს ქვაკუთხედად გვევლინება.
წესისმიერ თავისუფლების
(Ordered Liberty) პრინციპებზე
დაფუძნებულ ცივილიზაციას
გადარჩენისა და განვრცობისათვის
სჭირდება საკუთარ წევრთა საერთო
რწმენა იმისა, რომ ისინი სამართლიანად
არიან მართულნი.
ეს აუცილებლობა კი მოითხოვს
მართლმსაჯულების ისეთ სისტემას,
რომელიც მოქალაქეებს კანონის
სამართლიანობას დაანახებს.
სასამართლო პროცესის
ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია კი
ამგვარი დემონსტრირების
განხორციელებაში მდგომარეობს.

უილიამ ბრენანი. აშშ-ს უზენაესი
სასამართლო. "რიჩმონდის გაზეთების
კორპორაცია ვირჯინიის წინააღმდეგ". 1980 წ.

***ერთი მოვლენის საარსებოდ
აუცილებელი სხვა მოვლენა - წინაპირობა**

## პოლიტიკური მეცნიერება

**პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურა საუბრობს - კულტურა, რომელსაც ოდესღაც უდავოდ ვეკუთვნოდით და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს პერიოდულად შევთავაზებთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვიანობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.**

**არისტოკრატია** - ამ ტერმინის ბერძნული მნიშვნელობა საუკეთესო ხალხის მიერ მმართველობას ნიშნავს. "რესპუბლიკაში" პლატონი მსჯელობს იმაზე, თუ რამდენი კაცი (და არა ქალი) შეიძლებოდა არჩეულიყო და გაწვრთნილიყო ამგვარი საქმიანობისთვის. იგი მათ "მზრუნველთ" უწოდებდა. მათ მოეთხოვებოდათ: უნდა ყოფილიყვნენ არაკორუმპირებულნი, საზოგადოებრივი სამსახურისადმი თავდადებულნი და პატიოსნებით გამორჩეულნი. პლატონის აზრით, ამ თვისებებს ჭეშმარიტად "არისტოკრატიული" ხასიათი ჰქონდათ, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. არისტოტელესთან ეს ტერმინი ასეთივე ხალხის მიერ მართულ ხელისუფლებას აღნიშნავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არისტოტელე ამ სიტყვას დამატებით სოციალურ თანამნიშვნელობასაც ანიჭებს - იგი მას მიწების შთამომავლობით მფლობელთა დასახასიათებლადაც იყენებს. მისი აზრით, იმისთვის, რომ ადამიანს ემართა, მას "საზოგადოებაში რაიმე ინტერესი უნდა ჰქონოდა". არისტოტელესთვის ვაჭრობით მოპოვებული ქონება არ იყო საკმარისი მოტივაცია პასუხისმგებლობიანი საქციელის უზრუნველსაყოფად: მისი აზრით, ოლიგარქია, მდიდართა მმართველობა, არისტოკრატიული მმართველობის გადაგვარებული ნაირსახეობაა.

პოლიტიკურ ნაშრომებში ამ ტერმინის არისტოტელესებურმა მნიშვნელობამ დროს გაუძლო მეცხრამეტე საუკუნემდეც კი. თუმცა, ისტორიკოსები და სოციოლოგები მას ხმარობენ ძლიერი, მიწების მფლობელი სოციალური კლასის დახასიათებისთვის. ფეოდალურ ხანაში შთამომავლობითი არისტოკრატია, რომელიც საკმაოდ მოზრდილ საკუთრებას ფლობდა, იცავდა საკუთარ მოსახლეთა სიცოცხლესა და არსებობას, შრომის, ერთგულებისა და, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო თანადგომის სანაცვლოდ.

არისტოკრატია საკუთარ მიწებზე მონარქისგან იმკვიდრებდა კანონიერ უფლებას, რაშიც მისგან ანალოგიურ კეთილგანწყობას ელოდა. მონარქები კი საკუთარი მართვის უფლებას უფლისგან იღებდნენ. ასე რომ, შესაძლებელი ხდებოდა, ყველა აჯანყება ერეტიკოსობად შერაცხულიყო. თუმცა, თითქმის ყველა ფეოდალური აჯანყება მეფის წინააღმდეგ დიდებულთა მხრიდან იღებდა სათავეს.

განმანათლებლობამ, როგორც მოძრაობამ, ეჭვის ქვეშ დააყენა მეფეთა და არისტოკრატთა პრივილეგიური უფლებები. 1789 წელს კი საფრანგეთის რევოლუციამ ისინი საერთოდ გაანადგურა. მომდევნო ორ საუკუნეში არისტოკრატთა გავლენამ ყველგან საგრძნობლად იკლო. დღეს ეს ტერმინი აღწერს იმ კლასს, რომელსაც შთამომავლობითი წოდებების მეტი არაფერი აქვს, თუმცა, შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ არისტოკრატებს ახასიათებთ ერთგვარი "კეთილშობილების აურა". საკმაოდ ხშირად, როგორც ეს ბრიტანეთში მოხდა, მრავალი ოჯახი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში "გაკეთილშობილდა", კომერციასა და პარტიულ ფილანტროპიაში მიღწეული წარმატებებისთვის. გადარჩენისთვის, ზოგიერთმა არისტოკრატმა სამხედრო, ფინანსურ და ინდუსტრიულ ელიტასთან დაიწყო მოკავშირეობა. იქ, სადაც არისტოკრატია ასეთ ნაბიჯზე არ წავიდა, მისი წარმომადგენლები, ქონების გადანაწილების მომხრე დემოკრატიულ მთავრობათა მიერ დაწესებული გადასახადების წყალობით, სიღატაკის პირას აღმოჩნდნენ. დემოკრატია არასდროს ყოფილა კეთილგანწყობილი არისტოკრატიის მიმართ.

**ბიუროკრატიული ავტორიტარიზმი** - ეს არის იმ ტიპის რეპრესიული რეჟიმი, რომელიც სამხედრო მმართველობის წარსულის მქონე ნახევრად განვითარებულ ქვეყნებში ყალიბდება. უფრო პერსონიფიცირებული სამხედრო დიქტატორული რეჟიმებისგან განსხვავებით, რომლებიც პრიმიტიულ საზოგადოებებში გვხვდება, ამგვარი ავტორიტარიზმი იქ ვითარდება, სადაც სამხედრო მმართველობა უფრო ბიუროკრატიული ხდება და აცნობიერებს ეკონომიკური განვითარების აუცილებლობას. ამდენად, არმია მჭიდრო კავშირს ამყარებს ტექნოკრატებთან, რომლებსაც ამ დროისთვის მიღწეული აქვთ მაღალი პოზიციებისთვის ისეთ დიდ ორგანიზაციებში, როგორც ეს მულტინაციონალური კორპორაციებია. ეს პროცესი ხანდახან მოდერნიზაციის ერთ-ერთ საფეხურადაცაა მიჩნეული. ევროპაში, კერძოდ პორტუგალიაში, სალაცარის (1889-1970) მმართველობის ქვეშ, რომელიც 1932 წლიდან მის სიკვდილამდე პრემიერ-მინისტრი იყო, ეს ყველაზე ნათლად წარმოჩნდა. ასეთ მმართველობას პორტუგალიაში კათოლიკური და კორპორატისტული ელფერი დაჰკრავდა.

**კუმულატიური კენჭისყრა** - სისტემა, რომელშიც მრავალრიცხოვან ამომრჩეველში არსებული ერთი ხმა, შესაძლოა, ამომრჩეველმა გამოიყენოს ერთი კანდიდატის ასარჩევად. ამდენად, ერთკანდიდატიან პარტიას უჩნდება საკმაოდ კარგი შანსი ერთი წარმომადგენლის გასაყვანად. პირველად ეს მეთოდი ინგლისში გამოიყენეს 1870 და 1902 წლებს შორის, სადაც იყო მცდელობა, რომ უმცირესობაში მყოფ ჯგუფებს მოეპოვებინათ საკუთარი წარმომადგენლობა სასკოლო საბჭოების დაკომპლექტებისას. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რელიგიური სკოლების პოზიციები სეკულარული განათლების სისტემის შემოღების შემდგომ საკმაოდ საკამათო გახდა.

**კვანგო** - აკრონიმი, რომელიც "კვაზი-ენ-ჯი-ოს", ანუ ფსევდოარასამთავრობო ორგანიზაციას აღნიშნავს. კვანგო არის წარმონაქმნი, რომელსაც აფუძნებს და აფინანსებს მთავრობა, ხშირად - საზოგადოებრივი სერვისისა და ვალდებულებათა აღსასრულებლად, ზოგჯერ კი არასამთავრობო სექტორთან ფარული ბრძოლის საწარმოებლად.

მთავრობა კვანგოებში ნიშნავს ხელმძღვანელ პირებს და, ხშირად, ორგანიზაციის წევრებსაც კი. ამდენად, ეს ორგანიზაციები მთავრობასთან თანამშრომლობენ და, შესაძლოა, მთავრობის ნაწილადაც კი ჩაითვალონ. ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც მთავრობები ამ ორგანიზაციათა წევრებად საკუთარ მხარდამჭერებს ირჩევენ. თუმცა, იმასაც ამტკიცებენ, რომ კვანგოებს მეტი თავისუფლება აქვთ, ვიდრე მთავრობის ცალკეულ დეპარტამენტს. ისინი კანონმდებელთა და ხაზინის პირდაპირი კონტროლის მიღმა არიან, იყენებენ იმ ხალხის ცოდნასა და გამოცდილებას, ვინც არასდროს ისურვებდა არჩევნებში კანდიდატობას ან საზოგადო ადმინისტრატორის როლში ყოფნას. ეს ორგანიზაციები ასევე არ განაპირობებენ საჯარო სექტორის ბიუროკრატიის ექსპანსიას.

ამ პრაქტიკის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს სამთავრობო პატრონაჟის ერთ-ერთი ფორმაა; და რომ ისინი ბიუროკრატიის გავრცობის ერთ საშუალებას წარმოადგენენ. რაც მთავარია, ისინი შეიცავენ საშიშროებას დემოკრატიისთვის, რადგან მოკლებულნი არიან სამთავრობო პასუხისმგებლობის ფაქტორს, რაკი არჩევნების პროცესში არ მონაწილეობენ და თავისუფალი არიან საკანონმდებლო მონიტორინგისგან.

**სეგრეგაცია** - ადამიანთა განცალკევებისა და დაყოფის პოლიტიკა, რომელიც მათ შორის არსებულ გარკვეულ განსხვავებებს ეფუძნება. ზოგიერთი სახის სეგრეგაცია შეიძლება განზრახვის გარეშეც მოხდეს, მაგალითად, ერთი ფასის საცხოვრებელი სახლების შენების რეზულტატად, როცა დაახლოებით ერთნაირი შემოსავლის მქონე ადამიანები გვერდიგვერდ იწყებენ ცხოვრებას. ზოგჯერ სეგრეგაცია სულაც არ არის დასაგმობი პრაქტიკა, როდესაც, მაგალითად, გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სწავლობენ. სეგრეგაცია კი, რომელიც ეთნიკურ და რასობრივ საფუძველზეა აღმოცენებული, აუცილებლად იძენს პოლიტიკურად მგრძნობიარე გამოხმაურებას, როგორც ეს შეერთებული შტატების სამხრეთსა და სამხრეთ აფრიკის შემთხვევებში მოხდა. შეერთებულ შტატებში რასობრივი სეგრეგაციის პრაქტიკა დასრულდა თეთრკანიანთა და შავკანიანთა სასკოლო სისტემაში განცალკევებითა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრეცედენტით "ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ", რასაც 1954 წელს პრეზიდენტის ქმედებაც მოჰყვა. აფრიკის შემთხვევაში, აპარტეიდის სისტემა ხელისუფლებაში ნელსონ მანდელას მოსვლით მოისპო 1990 წელს.

## პრეცედენტი

# ჯონ გოტის სასამართლო პროცესი

## 1992

ტომას სმიტი

**განსასჯელი:** ჯონ ჯოზეფ გოტი.

**ბრალდება:** რეკეტირობა, რეკეტის კონსპირირება; მკვლელობა; არალეგალური გემბლინგი; მართლმსაჯულების ობსტრუქცია და კონსპირაციები მკვლელობის, დეტექტივის მოქრთამვის, მართლმსაჯულების ხელშეშლისა, გამოძალვისა და გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით.

**მთავარი დამცველი:** ალბერტ კრიგერი.

**მთავარი ბრალმდებელი:** ჯონ გლისონი და ენდრიუ მელოუნი.

**მოსამართლე:** ლეონ გლასერი.

**ადგილმდებარეობა:** ბრუკლინი, ნიუ-იორკი.

**თარიღი:** 1992 წლის 21 იანვრიდან 2 აპრილამდე.

**ვერდიქტი:** დამნაშავე.

**სასჯელი:** სამუდამო პატიმრობა ნაადრევად გათავისუფლების უფლების გარეშე და ჯარიმა 250 000 დოლარის ოდენობით.

**საქმის მნიშვნელობა:** შიშის, მექრთამეობისა და ხარვეზებით სავსე გასამართლებების, ისევე როგორც მის ადვოკატთა ხმაურიანი დაცვის წყალობით ბრალდებებისაგან სამჯერ გათავისუფლებული მაფიის ბოსი ჯონ გოტი საბოლოოდ მაინც წარმატებით იქნა გასამართლებული იმ ფედერალური კანონის დარღვევისათვის, რომელიც "რეკეტირთა გავლენის ქვეშ მყოფ და კორუმპირებულ ორგანიზაციათა აქტის" სახელითაა (RICO) ცნობილი.**



"ტეფლონის დონად" წოდებული ჯონ ჯოზეფ გოტი

როდესაც ე.წ. "დიდი ჟიურის" მიერ სავარაუდო დამნაშავედ მიჩნეული ჯონ გოტი და გამბინოს ორგანიზებული დანაშაულის "ოჯახის" სხვა რამდენიმე წევრი 1985 წელს სასამართლოს წინაშე წარდგნენ, კანონის მსახურებმა იგი წვრილფეხა დამნაშავედ მიიჩნიეს, რომელსაც სასჯელი მანქანის გატაცებისა და მკვლელობის განზრახვისათვის ჰქონდა მოხდილი. 1985 წლის 16 დეკემბერს ყველაფერი უცებ შეიცვალა, როდესაც გამბინოების დამნაშავეთა ოჯახის ლიდერი პოლ კასტელანო და მისი მოადგილე, ტომას ბილოტი მანჰეტენის რესტორნის წინ, ხალხმრავალ ქუჩაზე დაცხრილეს.

გამბინოების ძლიერი ოჯახის ლიდერის ფუნქციები გოტის ხელში დაყოვნების გარეშე აღმოჩნდა. სამართალდამცავები ფიქრობდნენ, რომ ახალმა ბოსმა, ან "დონმა", როგორც მას მოიხსენიებდნენ, მისი წინამორბედი იქამდე მოაკვლევინა, სანამ ეს უკანასკნელი - კასტელანო - მოაკვლევინებდა გოტის გამბინოების ოჯახის წესის დარღვევისათვის ნარკოტიკებით ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით. გოტის სისასტიკით გამსჭვალული პოპულარობა უსწრაფესად იზრდებოდა. კასტელანოს მკვლელობიდან მცირე დროის შემდგომ საშინლად დამფრთხალ მაცივრების მექანიკოსს, ვინც გოტი მანქანის პარკირებისას ატეხილ ჩხუბში მიღებული დაზიანებებისათვის დაადანაშაულა, სასამართლოში გოტის ამოსაცნობად მეხსიერებამ უღალატა.

თუმცა გოტი ჯერ კიდევ განსასჯელის როლში იმყოფებოდა "რეკეტირთა გავლენის ქვეშ მყოფ და კორუმპირებულ ორგანიზაციათა აქტის" (RICO-ს) დარღვევისათვის. ამ 1970 წელს შემუშავებული კანონის მიხედვით, ნებისმიერი პირი, ვინც ორჯერ ზედიზედ დამნაშავედ იქნებოდა მიჩნეული მძიმე კატეგორიის დანაშაულში (ფელონი), ჩაითვლებოდა სისტემატური სახის კრიმინალურ ქმედებებში ჩართულ პიროვნებად და, ამდენად, RICO-ს კანონის დარღვევისათვის გასასამართლებელ კანდიდატად. ფედერალურმა პროკურორებმა 1980-იანი წლებისათვის ამ კანონის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გამოყენება დაიწყეს და საკმაოდ ეფექტიანადაც.

RICO-ს ქვეშ წაყენებული ყველაზე სერიოზული ბრალდებები 1985 წელს გამბინოების ოჯახის წინააღმდეგ, ამ ოჯახის ბოსთან, კასტელანოსთან და მის უკურნებელი სენით დაავადებულ მოადგილესთან, ენიელო დელაკროჩესთან ერთად გარდაიცვალნენ. ამ დროისათვის გოტის მიმართ მთავრობას ძლიერ უმნიშვნელო ბრალდებები ჰქონდა წაყენებული, რომელთაც არანაირი საერთო არ გააჩნდათ მის მაფიის ბოსად უსწრაფეს აღზევებასთან. მთავრობის საქმე აგრეთვე დასუსტებული იყო საკმაოდ მწვავე იურისდიქციული კინკლაობით, რომელიც შტატისა და ფედერალური მთავრობის სამართალდამცავებს შორის იყო გამართული. ორივე მათგანს, შტატისა და ფედერალურ ხელისუფლებას, სურდა, რომ გოტი სწორედ მას გაემართლებინა. არც ერთ მათგანს არ სურდა მეორისთვის მის ხელთ არსებული მოწმეთა ჩვენებებისა თუ ინფორმაციების განდობა გოტის წარმატებული გასამართლების რისკის ქვეშ დაყენების შიშით.



ჯონ გოტი და მისი მენტორი ანიელო დელაკროჩე

### გოტი გაურბის განაჩენს

გოტის პროცესი RICO-ს დარღვევის ბრალდებით 1986 წლის აგვისტოში დაიწყო. ბრალმდებელთა მხარის მტკიცებულება მთლიანად ეფუძნებოდა ადრე ნასამართლევ პირთა ჩვენებებს, ვისაც მთავრობასთან თანამშრომლობაზე მოეწერა ხელი. ყოველი მათგანი ცნობილი მატყუარა იყო, რომელთაც დაცვის მხრიდან გამოკითხვისას აღიარეს, რომ საკუთარი ჩვენებები მათ საკუთარ განაჩენთა შესამსუბუქებელ საშუალებად მიაჩნდათ. ერთ-ერთმა გამოაშკარავებულმა ინფორმატორმა ისიც კი უარყო, რომ იგი გამოძიების ფედერალური ბიუროს სამსახურში იმყოფებოდა, თუმცა ეს ფაქტი ყველასათვის ცნობილი იყო. მეორე მოწმემ ისიც კი აღიარა, რომ ბრალმდებლები მას ციხეში ყოფნისას ნარკოტიკებს ჰპირდებოდნენ მისი ჩვენების სანაცვლოდ. გრძელი და დაძაბული სასამართლო პროცესის შემდგომ, რომელზეც დამცველთა მხარე სისტემატურად ისროდა ბრალმდებელთა მისამართით მწარე და დაუნდობელ პიროვნულ შეურაცხყოფებს, ისევე როგორც იგი ეპასუხებოდა ყვირილით მოსამართლის მითითებებს, გოტი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი. ეს 1987 წლის მარტში მოხდა.

ფედერალურმა პროკურორებმა დაუყოვნებლივ ამცნეს საზოგადოებას, რომ გოტი უახლოეს მომავალში რეკეტირულ დანაშაულთა სულ სხვა წყებისთვის გასამართლდებოდა. და როდესაც გოტი 1990 წლის იანვარში ისევ სასამართლოში დაიბარეს, მას იქ თავდასხმისა და კონსპირაციის ბრალდებები ელოდა. გოტის ამჯერად ბრალი ედებოდა ჯონ ო`კონორის მკვლელობის შეკვეთისათვის. ო`კონორი "მშენებელთა გაერთიანებული ამქრის" წევრი იყო, რომელმაც მანჰეტენის ერთ-ერთი რესტორნის დანგრევა ბრძანა. რესტორნის პატრონმა მას მოთხოვნილ ქრთამზე უარი განუცხადა, რითიც კორუმპირებული ჩინოვნიკის მრისხანება დაიმსახურა. ო`კონორს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ რესტორნის პატრონებს გამბინოთა კრიმინალურ კლანთან ჰქონდათ კავშირები. გოტის ბრალდება ო`კონორის მკვლელობისათვის, დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას 15 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე სასჯელს უქადდა, როგორც "მძიმე კატეგორიის დანაშაულის რეციდიულად ჩამდენ" პიროვნებას.



გოტის ბრძანებით მოკლული პოლ კასტელანო "სპარკსის" რესტორნის წინ

### მოწმეები ასუსტებენ ბრალდებას

ბრალმდებელთა მთავარი მოწმე, ჯეიმს მაკელროი, წარსულში მანჰეტენის ე.წ. "ჯოჯოხეთური სამზარეულოს" ნაწილში მოქმედ ირლანდიელთა ბანდას ეკუთვნოდა, რომელიც "დასავლელთა" (wesdies) სახელით იყო ცნობილი. მაკელროი ამტკიცებდა, რომ "დასავლელებმა" ო`კონორს გოტის ბრძანებით ესროლეს, ვინც მათ ო`კონორის "გასაღება", ანუ მოკვლა დაავალა. გოტის მებრძოლი ხასიათის პატრონი ადვოკატი, ბრუს კატლერი ამტკიცებდა, რომ "დასავლელთა" ლიდერი, მაკელროი, ცნობილი მატყუარა, ნაძირალა და მკვლელი იყო; "ცრუპენტელა კრეტინი", რომელიც საკუთარი რეკეტირობისთვის 60-წლიანი სასჯელის შემსუბუქებას მთავრობასთან თანამშრომლობით ცდილობდა.

საიდუმლო აუდიო ჩანაწერები, რომელთაც, წესით, გოტის შურისძიების სურვილი უნდა ეჩვენებინათ, ამისთვის უვარგისნი აღმოჩნდნენ. ჯონ გოტის ადვოკატი ბრუს კატლერი აღიარებდა, რომ ჩანაწერები ამტკიცებდნენ მისი კლიენტის გამბინოთა კლანთან მჭიდრო კავშირს, მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ მისი კლიენტის მაგნიტოფონის ფირზე დაფიქსირებული სიტყვები "კარგად შევანჯღრიოთ" - სულაც არ ნიშნავდა იმას, რაც ო`კონორს უნდა მოსვლოდა. კატლერის ინტერპრეტაციით, "შენჯღრევა" გამბინოს ოჯახის წევრთა რეორგანიზაციას ეხებოდა. სიტუაცია კიდევ უფრო აირია, როდესაც შტატისა და ფედერალური მთავრობის პროკურორებმა მსაჯულებს ერთი და იგივე საიდუმლო ჩანაწერის ქაღალდზე გადატანილი ტექსტის განსხვავებული ვერსიები მიაწოდეს. დაცვის მხარის უმთავრესი მოწმე თვით დაზარალებული ჯონ ო`კონორი იყო, ვინც განაცხადა, რომ არ შეეძლო თავდამსხმელთა ამოცნობა.

გოტის მხარდამჭერებმა და მეზობლებმა მისი სასამართლოს მიერ მესამეჯერ უდანაშაულოდ ცნობა ფეიერვერკით აღნიშნეს. მედიის წარმომადგენლებმა მანამდე "კარგ ჩამცმელად" ცნობილი დონი "ტეფლონის დონად" გადანათლეს; "ტეფლონის" იმდენად, რამდენადაც, მათი აზრით, გოტი ის კრიმინალი იყო, რომელსაც ბრალდებები "არ ეკრობოდა". "ის არის მკვლელი, და არა სახალხო გმირი," - გამოეხმაურა ასეთ მიმოთქმას ფედერალური მთავრობის პროკურორი ენდრიუ მელოუნი, ვინც 1990 წელს ჯონ გოტის წინააღმდეგ RICO-ს ბრალდებებით ახალი საქმე წამოიწყო. გოტი და მისი უახლოესი მოკავშირენი - ფრენკ ლოკაშიო და სალვატორე გრავანო დაპატიმრებულ იქნენ და გირაოს გადახდით სასამართლომდე გათავისუფლების შესაძლებლობის ჩამორთმევის საშუალებით ციხეში მივლინებულნი. მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები შეიცავდნენ მრავალ მძიმე კატეგორიის დანაშაულს მკვლელობისა და გადასახადებისათვის თავის არიდების ჩათვლით.

### ცვლილებანი ბრალმდებელთათვის

მოწმეთა გამოსვლების დაწყებამდე ფედერალური მთავრობის პროკურორებმა შეძლეს ბრუს კატლერის, გოტის ამ ხმაურიანი, მაგრამ ეფექტის მქონე ადვოკატის პროცესიდან ჩამოშორება. მოსამართლე ლეონ გლასერი დაეთანხმა პროკურორთა არგუმენტს, რომ კატლერი და ორი სხვა ადვოკატი გამბინოთა კრიმინალური ორგანიზაციისთვის

გაგრძელება D3 გვერდზე



სემი გრავანო და ჯონ გოტი "ძველ, კეთილ დროებაში"



ჯონ გოტი და მისი ადვოკატი ბრუს კატლერი სასამართლო დარბაზში





სემი გრავანო გოტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისას




დაპატიმრებული ჯონ გოტი ფედერალური გამოძიების ბიუროში

D2 გვერდიდან

ექსკლუზიური იურიდიული სერვისის მიმწოდებლები, ანუ სამართლებრივი სლენგით "შინაური ადვოკატები" იყვნენ. რადგანაც ჩანაწერთა სასამართლო დარბაზში საჯარო მოსმენა აუცილებელს გახდიდა კატლერისა და სხვა ადვოკატებისათვის ჩვენების ჩამორთმევას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პროკურორთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას შეადგენდნენ, გაცეცხლებული კატლერი საქმის წაყვანის შემდგომი წარმოებიდან დისკვალიფიცირებული იყო.

წარსულში მსაჯულთა მოქრთამვის შესახებ მოარულმა ჭორებმა პროკურორებს მიანიჭეს უნარი - მოსამართლე დაერწმუნებინათ იმაში, რომ ამჯერად მსაჯულთა ვინაობა ანონიმური უნდა ყოფილიყო და რომ მსაჯულთა პანელი პროცესის განმავლობაში სეკვესტრირებული იყო. მაგრამ გოტის დამცველებისათვის ყველაზე მტკივნეული და საზარელი დარტყმა იმის გაგონება იყო, რომ "კამეჩი სემის" სახელით ცნობილი სალვატორე გრავანო, ვინც ჯონ გოტის კონსილიერი (მრჩეველი) და მოადგილე იყო, აპირებდა გოტის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.

როდესაც 1992 წლის 12 იანვარს ბრუკლინში სასამართლო პროცესი დაიწყო, გოტის ახალმა ადვოკატმა, ალბერტ კრიგერმა დაცვის სიტყვა გახსნა განცხადებით, რომ მისი კლიენტის ერთადერთი დანაშაული მისი ფორმალური განათლების არქონა იყო. კრიგერს იმაზე დრო არ დაუკარგავს, რომ აღიარებული მკვლელი გრავანო პროკურორთა მართებული ყურადღების ობიექტად გამოეცხადებინა.

აუღელვებელ ფედერალურ პროკურორებს წარსულში დაშვებული შეცდომებისაგან ამჯერად ჭკუა ნასწავლი ჰქონდათ. "ეს არ არის რთული საქმე" - მიმართა მელოუნმა მსაჯულებს. "ეს ბრალდებულები თვითონვე მოგახსენებენ, თუ რას შეეხება იგი". ბრალდებულები საათობით ასმენინებდნენ მსაჯულებსა და დარბაზში მყოფ საზოგადოებას საიდუმლოდ ჩაწერილ ფირებს, რომელზედაც ჯონ გოტი მკვლელობებსა და სხვა დანაშაულებზე თვითონვე ყვებოდა. "ყოველთვის, როცა ისეთი პარტნიორი შეგვხვდება, ვინც ჩვენ რამეზე არ გვეთანხმება", - ეუბნებოდა გოტი ლოკაშიოს ჩანაწერებში, - "ჩვენ მას ვკლავთ".

ძლიერების კიდევ ერთი წყარო ბრალმდებელთა საქმეში სალვატორე გრავანოსაგან მომდინარეობდა. გრავანომ აღიარა მისი როლი 19 მკვლელობაში, რომელთაგანაც 10 გოტის პირადი ბრძანების საფუძველზე იყო განხორციელებული. ყოფილმა "მრჩეველმა" მოყვა, თუ როგორ იცდიდნენ იგი და გოტი მახლობლად გაჩერებულ მანქანაში, როდესაც პოლ კასტელანოსა და ბილოტის გოტის ბრძანებით კლავდნენ, და როგორ ჩაუარეს მათ მანქანით სისხლიან სცენას, სადაც მოქმედება უკვე დასრულებული იყო. გრავანომ ისიც აღნიშნა, რომ ერთერთ ჩანაწერზე გოტიმ შეგნებულად უარყო კასტელანოს მკვლელობაში საკუთარი მონაწილეობა, რადგან მას ეჭვი ჰქონდა, რომ საუბარი ფირზე იწერებოდა.

დაცვის მხარემ გრავანოს ჩვენებას შეუტია, როგორც "ვირთხის" ანუ ინფორმატორის ჩვენებას, ვინც საკუთარ დანაშაულთა შესამსუბუქებლად არ თაკილობდა სხვათა ცილისწამებას. გრავანომ ღიად აღიარა საკუთარი იმედი შეწყალების თაობაზე, მაგრამ მისი ჩვენება მტკიცე და შეურყეველი დარჩა. პროკურორებმა აგრეთვე წარმოადგინეს მტკიცება, რომ გოტი ქრთამავდა ერთ დეტექტივს მისგან ინფორმაციის მოპოვების მიზნით, და რომ იგი არ იხდიდა გადასახადებს იმ ექვსი წლის განმავლობაში, როდესაც, გოტის თქმით, იგი წყალგაყვანილობის ფირმაში გამყიდველად მუშაობდა.

დაცვის მხარის ერთადერთი მოწმე საგადასახადო სფეროში მომუშავე იურისტი იყო, ვისაც გოტისათვის ერჩია, რომ მას ესარგებლა მისი "კანონიერი დუმილის პრივილეგიით", რაც გამოიხატებოდა პატიმრობის განმავლობაში გადასახადების გადახდისაგან თავის შეკავებაში. მოსამართლე გლასერმა გადაწყვიტა, რომ დაცვის მხარის დანარჩენი ხუთი მოწმის სასამართლო დარბაზში დაშვება მიუღებელი იყო სხვადასხვა სამართლებრივი მიზეზების გამო, რამაც გოტის წამოსროლილი უადგილო ხუმრობების ხალისი მთლიანად გაუქრო. მან ამ მომენტიდან მოსამართლესთან კინკლაობა წამოიწყო, რაზედაც მოსამართლე გლასერი მას დარბაზიდან გაძევებით დაემუქრა.

მის დასკვნით სიტყვაში ადვოკატმა კრიგერმა ხელისუფლებას ბრალი დასდო იმაში, რომ საქმე მთლიანად გრავანოს ტყუილებიდან იყო შექმნილი. პროკურორმა ჯონ გლისონმა ამაზე ასეთი პასუხი გასცა: "განსასჯელები იმიტომ სვრიან ლაფში სალვატორე გრავანოს, რომ ეს უკანასკნელი მათი ყველაზე ცუდი სიზმრის ცხადად ქცევაა".

მსაჯულები დაეთანხმნენ ამას. 1992 წლის 2 აპრილს, 13-საათიანი მსჯელობის შემდეგ, მათ გოტი ყველა ბრალდებაში დამნაშავედ სცნეს. ლოკაშიოც ყველა ბრალდებით გასამართლდა, ერთის - არალეგალური გემბლინგის - გამოკლებით. ამ ორივე პროფესიონალ დამნაშავეს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, ნაადრევი გათავისუფლების გარეშე. გოტის მომხრეები განაჩენს ბრუკლინის სასამართლო შენობის გარეთ აპროტესტებდნენ. მათ პოლიციას ჩხუბი გაუმართეს და შენობასთან მდგომი რამდენიმე მსუბუქი მანქანა ამობრუნეს. პროტესტანტთაგან შვიდი პიროვნება კრიმინალური დარბევის ბრალდებით დააპატიმრეს.

როდესაც გოტი დარჩენილ დღეთა მარტოობაში გასატარებლად ფედერალურ ციხეში იქნა გადაყვანილი, მისი ყოფილი ნდობით აღჭურვილი პირი, "კამეჩი სემი" გრავანო აგრძელებდა გამბინოს ორგანიზაციის მიმალული ფინანსური წყაროების შესახებ ჩვენებების მიცემას. RICO-ს კანონის ჩამორთმევის მუხლის შესაბამისად, ფედერალური ძიების ბიურო შეუდგა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული იმ დოვლათის კონფისკაციას, რომელიც აქამდე ჯონ გოტისა და შეერთებული შტატების ყველაზე დიდი მაფიის ოჯახს ეკუთვნოდა.

პროკურორ ჯონ გლისონის დასკვნითი სიტყვა საქმის უკანასკნელ აკორდად იქცა. იურისტმა, ვისაც მოუწია გოტის სარკასტული დაცინვებისა და ზიზღნარევი გამოხედვების თმენა ორი სასამართლო პროცესის განმავლობაში, მსაჯულებს განუცხადა, რომ განგსტერთა შედეგიანად გასამართლებისთვის არსებობს ორი საშუალება: "პირველი, წაასწარი მათ, როდესაც ისინი საკუთარ დანაშაულზე ლაპარაკობენ. მოახერხე იმის გაგება, თუ სად იმართება მათი საიდუმლო შეკრებები და ფირზე ჩაიწერე ისინი. არსებობს მეორე საშუალებაც. მოახერხე, რომ ერთი მათგანი გამოვიდეს და მოგიყვეს მათი დანაშაულის შესახებ. ჩვენ ორივე საშუალება გამოვიყენეთ".

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნიკოლოზ რურუამ*

სამართლის ფილოსოფია

# კანონის დანიშნულება

**როსკო პაუნდი (1870-1964) იყო ჰარვარდის სამართალმცოდნეობის სკოლის რექტორი, სადაც მან მრავალი რეფორმა განახორციელა. ზოგიერთი თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ სწორედ როსკო პაუნდის ნაშრომებმა შთააგონეს ფრანკლინ დელანო რუზველტი მისი ე.წ. "ახალი თანხმობის" პროგრამის შესამუშავებლად, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატები "დიდი დეპრესიიდან" გამოიყვანა.**

როსკო პაუნდი

სამართლებრივი რეჟიმის დანიშნულების აღსაქმელად წარმოიდგინეთ კინოთეატრის სალაროს წინ შექმნილი ჩოჩქოლი კარგად რეკლამირებული ფილმის პრემიერის წინ, რომელშიც პოპულარული მსახიობი თამაშობს. სავარაუდოა, რომ დარბაზში მოხვედრას ბევრად უფრო მეტი ადამიანი შეეცდება, ვიდრე დარბაზში ადგილია. თუ ისინი, ვინც შესვლას ცდილობდნენ, რიგში ნებაყოფლობით ან იძულებით არ ჩადგნენ, შესაძლოა, სეანსზე ძალიან ცოტა ან, საერთოდ, არავინ მოხვდეს. ყოველ შემთხვევაში, ფილმის ჩვენებაზე დასწრება გრძელი და მტკივნეული პროცესი გახდებოდა, რომლის განმავლობაშიც მრავალნი და მრავალნი მიიღებდნენ სხვადასხვა სახის დაზიანებას. ბევრი მსურველი კი ფილმის ნახვაზე საერთოდ ხელს ჩაიქნევდა. ბევრი აურზაურს აარიდებდა თავს და მასში ჩაბმას სხვაგან წასვლას ამჯობინებდა. ასევე საფიქრებელია, რომ მთელი ამ გაწამაწიის შემდეგ კინოთეატრში შეაღწევდა არა მარტო რამდენიმე ადამიანი მსურველთა მთელი რაოდენობიდან, არამედ ისინიც კი, ტანსაცმელშემოხეულნი და ნაცემ-ნაბეგვნი, არ იქნებოდნენ იმის გუნებაზე, რომ ფილმით მინიჭებული სიამოვნება განეცადათ. შევადაროთ ამ მაგალითს ცეცხლმოკიდებული შენობიდან გამოვარდნისას ატეხილი აყალ-მაყალი. თუ ეს პროცესიც რამენაირ წესრიგს არ დაექვემდებარა, მხოლოდ რამდენიმე თუ მოახერხებს ცეცხლიდან თავის დაღწევას, მაშინ როცა უმეტესობას ჭყლეტაში ამოხდება სული. მაგრამ კინოს ბილეთის ყიდვის პროცესისა და ცეცხლმოკიდებული შენობიდან გამოსვლის მოწესრიგებული რეჟიმით განხორციელებისას შესაძლებელი ხდება მსურველთა უმეტესობის დაკმაყოფილებაც და გადარჩენაც მინიმალური წეწვა-გლეჯითა და მცირე დანაკარგებით.

ამგვარი მოწესრიგება, შესაძლოა, იყოს რეზულტატი ჩვეულებად ქცეული რწმენისა, რომ რიგში ჩადგომა და საკუთარი ჯერის მოლოდინი საუკეთესო გამოსავალია; ანდა, ასეთი რეჟიმი შეიძლება პოლიციელისა თუ სკოლის მასწავლებლის მიერ გაწეული შრომის შედეგი აღმოჩნდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, სოციალური კონტროლი შესაძლებელს ხდის, გაკეთდეს არსებულიდან უმეტესი მსურველთა უმეტესობისთვის, როგორც ეს ერთ გამოთქმაშია: "ჩვენ, ყველას, ჩვენი წილი დედამიწა გვსურს". ყოველ ჩვენგანს სურვილთა და მოთხოვნილებათა მრავალრიცხოვანება ახასიათებს, რომელიც დაკმაყოფილებას მოითხოვს. ჩვენ ბევრნი ვართ, მაგრამ დედამიწა - ერთი. ნებისმიერი ადამიანის სურვილები განუწყვეტელ კონფლიქტშია, ან ემთხვევა მისი მეზობლად მყოფის სურვილებს.

ამდენად, როგორც ზოგიერთმა შეიძლება თქვას, წარმოიშვება სოციალური ინჟინერიის დანიშნულების აუცილებლობა; ჩნდება მიზანი საარსებო წყაროთა შექმნისა - იმ საარსებო პირობების საშუალებებისა, რომელიც დააკმაყოფილებს პოლიტიკურად ორგანიზებულ საზოგადოებაში მცხოვრებთა მოთხოვნებსა თუ სურვილებს; და თუ ვერ დააკმაყოფილებს ყოველ და თითოეულ მოთხოვნას, სულ მცირე, მიაწვდის მათ სასურველთან მიახლოებულ მოდელს. ეს არის ის, რასაც ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ კანონის მიზანი სამართლიანობაა. ჩვენ არ ვგულისხმობთ სამართლიანობას, როგორც ინდივიდუალურ ღირსებას. ჩვენ არ ვგულისხმობთ სამართლიანობას, როგორც კაცთა შორის არსებულ საუკეთესო ურთიერთობას. ჩვენ მასში რეჟიმს ვგულისხმობთ. ვგულისხმობთ ურთიერთობათა იმგვარ მოწყობას და მოქმედების ისეთ იძულებას, რომელიც შესაძლებელს გახდის საარსებო პროდუქციის - ადამიანთა ქონებისა და კეთების სურვილების დამაკმაყოფილებელი ფაქტორის მაქსიმალურ ზრდას მინიმალური შეხლა-შემოხლისა და მფლანგველობის ხარჯზე.

საგანზე ჩვენი ასეთი მიდგომის შემთხვევაში, საწყისი წერტილი ინდივიდის მხრიდან რაღაცის ფლობის ან კეთების მოთხოვნის, სურვილისა და მტკიცების არსებობაა; ან პირიქით - შეიძლება, ეს მის იმ სურვილში მდგომარეობდეს, რომ ვერავინ აიძულოს იმის კეთება, რაც მას არ სურს. მეცნიერებაში, რომელიც სამართლის სახითაა ცნობილი, ამგვარ მტკიცებებს, მოთხოვნებსა თუ სურვილებს, იერინგის დროიდან, ინტერესების სახელით მოიხსენიებენ.

სამართლებრივი სისტემა აფუძნებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიზნად ისახავს კანონისმიერ რეჟიმს ამგვარ ინტერესთა რიგებიდან ზოგიერთი მათგანის აღიარებითა და ცნობით, მათთვის კონკრეტული ლიმიტებისა და ჩარჩოების შექმნით, რომელთა მიღმაც ეს ინტერესები დაცული იქნებიან სამართლებრივი გადაწყვეტილებებით; ასეთ გადაწყვეტილებებს კი განავითარებს და კონკრეტულ სიტუაციებს მიუსადაგებს სასამართლო (და დღეს ადმინისტრაციული) პროცესი ავტორიტატიული ტექნიკის გამოყენებით.



როსკო პაუნდი

ამ საუბრის მიზნებისთვის მე დავახასიათებდი ინტერესს, როგორც ცალკეულ ადამიანთა თუ ჯგუფთა მოთხოვნებსა და სურვილებს, რომელთა დაკმაყოფილებასაც ისინი, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, ცდილობენ. ამდენად, ადამიანთა ურთიერთობებისა და საქციელის მოწესრიგებაც მათი გათვალისწინებით უნდა დაიწყოს. ლეგალური რეჟიმი, ანუ კანონი, როგორც ავტორიტატიული მითითება ან კონფლიქტთა გადაჭრის საშუალება, ასეთ ინტერესებს არ ქმნის. ძალიან დიდია ჭეშმარიტება, რომელსაც ბუნებრივი არსებობისა და ბუნებითი უფლებების თეორიის ძველი იდეა შეიცავს. ამ მნიშვნელობით, ინტერესები მაინც არსებობენ იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა საქციელისა თუ გადაწყვეტილების მოკარნახე ლეგალური რეჟიმი, თუ ავტორიტატიული მითითებების სისტემა.

ადამიანთა მოთხოვნები რაღაცის ფლობისა და რაღაცის კეთებისა ყოველთვის ჩნდებოდა, როგორც კი ადამიანთა რიცხვი ერთმანეთთან კონტაქტს ამყარებდა. არასდროს უარსებია ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ამგვარ მოთხოვნათა დაკმაყოფილების საშუალებათა ისეთ სიჭარბეს, ან სასურველ ქმედებათა ჩასადენად ყველასათვის საკმარისი იმგვარ სივრცეს ეარსება, რომ ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად შეჯიბრება არ ყოფილიყო აუცილებელი. ინტერესთა შორის კონფლიქტი ან მათ შორის შეჯიბრება წარმოიშვება იმიტომ, რომ ინდივიდები ერთიმეორეს, ჯგუფთა, ასოციაციათა თუ საზოგადოებათა წევრები კი ერთმანეთს ეჯიბრებიან საკუთარი მტკიცებების, მოთხოვნებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად.

სკეპტიკოსი რეალისტები ამგვარ მოსაზრებას აპროტესტებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანთა მიერ წამოყენებული მოთხოვნები კანონის რეზულტატია და არა მისი მიზეზი. მაგალითად, ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენ კი არ ვიცავთ ჩემს იმ სურვილს, რომ შევინარჩუნო ჩემი საათი საკუთრად და მასზე ექსკლუზიური უფლება განვახორციელო, იმიტომ, რომ მე ვამტკიცებ ამ საათზე საკუთარი დედისგან მიღებულ მემკვიდრეობას და რომ, ჩემი ამ მტკიცების რეზულტატად, პოლიტიკურად ორგანიზებულმა საზოგადოებამ ცნო ჩემი კანონით სანქცირებული უფლება ამ საათის ფლობისა. ამის საპირისპიროდ, სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ მე ვაკეთებ მტკიცებულებას, მხოლოდ იმიტომ, რომ კანონმა მასწავლა მეც და სხვასაც, რომ ნივთები საკუთრებად გამოვაცხადოთ; იმდენად, რამდენადაც ნასწავლი გვაქვს მტკიცებულებათა კეთება, ჩვენ ვიგონებთ გამართლებას ამ უფლების საკუთარი თავისთვის მინიჭებით - ანუ ანტეცედანტური (წინაპირობრივი) მორალური მტკიცებულებით ვიმტკიცებთ უფლებას, რომელიც, შემდგომ, სახელმწიფოსგან დაცული ხდება. იმ შემთხვევაში კი, თუ კანონი არ მოგვანიჭებდა ამ ნივთზე თავდაპირველ კონტროლს, სკეპტიკოსთა აზრით, ჩვენ ვეღარც გამოვაცხადებდით მასზე უფლებას. მოდი, ვნახოთ, თუ ეს ასეა. როდიდან იჩემებს მოსამსახურე სამსახურის უფლებას - იმის მერე, რაც ეს უფლება კანონმდებელმა ახლახან აღიარა თუ მანამდეც? ნუთუ კანონმა ასწავლა მშრომელებს მჯდომარე გაფიცვის უფლება, თუ მათ ეს უფლება საკუთარ თავს მანამდე მიანიჭეს, სანამ კანონი ამ უფლებაზე საერთოდ რამეს გაიგებდა? ვითომ საჭიროა, კანონმა მათ აუხსნას, რომ ასეთი მტკიცებულება დაუშვებელია?

შესაბამისად, ჩვენ იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ კანონი არ ქმნის ამგვარ ინტერესებს. იგი პოულობს, აღმოაჩენს ხოლმე მათ, როდესაც ეს უკანასკნელნი მისგან დაცვას ელიან. იგი (კანონი) მათ კლასიფიცირებას აკეთებს და მათ იერარქიას ადგენს. იგი აფიქსირებს იმ ლიმიტებს, რომელთა მიღმაც ის ამგვარად შერჩეულ ინტერესთა დაცვას კისრულობს სხვა, ასევე აღიარებულ ინტერესთა გათვალისწინებით, სასამართლო თუ ადმინისტრაციულ პროცესთა მეშვეობით. იგი აყალიბებს საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც ინტერესები დაცული იქნებიან მათი ცნობისა და განსაზღვრის შემდგომ. კანონი აფუძნებს ღირებულებათა დადგენის წესებს იმ მიზნით, რომ მოახერხოს მრავალ არსებულ ინტერესთაგან მხოლოდ დაცვის ღირსთა შერჩევა, მათთვის ლიმიტების დაწესება, და ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ აქციაზე ამ ლიმიტების გავლენის ხარისხის დადგენა.

ინტერესები ანუ მოთხოვნები, მტკიცებულებები და სურვილები, რომელთა შესახებაც ცივილიზაციის შესანარჩუნებლად და გასავრცობად კანონი გარკვეულ უზრუნველყოფას წარმოშობს, ცალკეულ ადამიანთა მიერ კეთდება. მაგრამ ამ მიზეზის გამო ყოველი მათგანი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ინტერესს. ჩვენ არ უნდა ავურიოთ ინტერესი ანუ მტკიცებულება, როგორც ამას იურისტები ხმარობენ, ინტერესში ანუ უპირატესობაში, როგორც ამას ეკონომისტები იყენებენ. როდესაც მტკიცებულებათა ხასიათზე ვმსჯელობთ ანუ ადამიანთა მოთხოვნებზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვათ, რომ არსებობს სამი სახის ინტერესი: ინდივიდუალური, საჯარო და სოციალური. ზოგიერთი მტკიცებულება, მოთხოვნა ან სურვილი პირდაპირ კავშირშია ინდივიდუალურ სიცოცხლესთან და ამ კონკრეტული არსებობის ნაწილ უფლებად ითვლება. მათ, შესაძლოა, ეწოდოს ინდივიდუალური ინტერესები. სხვა სახის მტკიცებულებები, მოთხოვნები თუ სურვილები პოლიტიკურად ორგანიზებული საზოგადოების ცხოვრებაში გვხვდებიან და, ამდენად, ამ ორგანიზების კუთვნილებაში იმყოფებიან.

კიდევ უფრო სხვა, ან დაახლოებით იგივე, მაგრამ სხვა ასპექტში გამოვლენილი მტკიცებულებები, მოთხოვნები თუ სურვილები ჩართულნი არიან ცივილიზებული საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში და მის საკუთრებად გვევლინებიან.

სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყოველი მტკიცებულება სამუდამოდ ეკუთვნოდეს ამ კატეგორიათაგან რომელიმეს. ერთი და იგივე მტკიცებულება, შესაძლოა, სხვადასხვა კუთვნილებაში გაკეთდეს და განსხვავებული კუთხით გაშუქდეს. იგი შეიძლება ცხოვრების ერთ ასპექტზე მეტ კუთვნილებაში მოგვევლინოს. ასე რომ, ჩემი მტკიცებულება ჩემივე საათის შესახებ, შესაძლოა, ინდივიდუალურ ინტერესებს მივაკუთვნოთ იმ შემთხვევაში, თუ მე სასამართლოში ვუჩივლებ ვინმეს, ვინც იგი ჩემი ნებართვის გარეშე ჩაიჯიბა, მის დასაბრუნებლად ან მისი დაკარგვისთვის ფულადი ანაზღაურებისთვის. მაგრამ ჩემი მტკიცებულება შეიძლება აგრეთვე განხილულ იყოს სოციალურ ინტერესთა ასპექტშიც ყიდვის უსაფრთხოების გარანტიათა თვალსაზრისით, როდესაც მე, ჩემი სარჩელით, ვაიძულებ პროკურორს, რომ ქურდობისთვის გაასამართლოს ის, ვინც ჩემი საათი მიითვისა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნიკოლოზ რურუამ*

ქართული ადვოკატურის ისტორიიდან

# აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა "სვანების" პროცესზე

პროკურორის ბრწყინვალე სიტყვის შემდეგ, რომელიც არა ბრალდებული თავადი თენგიზის მიმართ მეტად იყო გამსჭვალული მაღალი ჰუმანური გრძნობით, ვიდრე სამართალში მიცემულობის მიმართ, ერთის მხრივ, და ჩემი ამხანაგი დამცველის თავშეკავებული, მაგრამ სამართლიანი და ჯანსაღი სიტყვის შემდეგ, მეორეს მხრივ, მე ჩემი კლიენტების ინტერესების დასაცავად მათ ნათქვამზე დასამატებელი ბევრი აღარაფერი მაქვს. როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ეს დაცვის საქციელში, მე დავიწყებ იმით, რითაც დაიწყო ბატონმა პროკურორმა, ე.ი. ბრალდებით, ანდა უფრო სწორად, ზოგიერთი სამართალში მიცემულის დანაშაულის ცნობით... ბატონო მოსამართლენო, თქვენს წინაშე საბრალდებო სკამზე თავისუფალი სვანეთის, ამჟამად განადგურებული სოფ. ხალდეს მცხოვრებნი სხედან, რომლებიც ელიან თქვენს მოწყალე განაჩენს. მათ ბრალად ედებათ იარაღით ხელში ხელისუფლებაზე წინააღმდეგობის გაწევა, ზოგიერთ მათგანს კი, გარდა ამისა, თანამდებობის პირთა მოკვლა. ასე და ამრიგად, ისინი არიან ბოროტმოქმედნი, მათ ჩაიდინეს დანაშაული. მაგრამ რა არის დანაშაული? ეს ცნება არ არის რაიმე აბსოლუტური ჭეშმარიტება, არამედ არის შეფარდებითი და პირობითი. ზოგისთვის დანაშაულია და იდევნება ის, რაც სხვისთვის სასახელო და საგმირო საქმეა. მაგალითისათვის ავიღოთ თვით სვანები. მათ ადათად აქვთ პირველშობილი ბავშვის მოღრჩობა, თუ იგი დედრობითი სქესისაა. ეს კეთდებოდა ადგილობრივი პირობების გამო. სვანები საჭიროებდნენ ძლიერ მშრომელ ხელებს, ვიდრე ქალის სუსტ ხელებს. და აი, აერთიანებდნენ რა ამ ანგარიშს ცრუმორწმუნეობასთან, ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით დააშინებდნენ მოსალოგინებელ ქალებს და აიძულებდნენ მათ, ეშვათ ვაჟები. და ყველაფერი ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ მათ ზიზღი ქონდათ ქალთა სქესისადმი. პირიქით, ქალები მათთან სარგებლობდნენ პატივისცემით. იგივე სვანები ქალის შეურაცხყოფას სთვლიდნენ დანაშაულად. ქალზე ხელის აწევას, თუ გინდ მას დანაშაული ჰქონოდა ჩადენილი, მათთან უდიდეს სამარცხვინო საქმედ სთვლიდნენ. და ესეც ადგილობრივი პირობებით აიხსნება. ქალთა სქესის ახლადშობილ ბავშვების მოსპობის შედეგად სვანეთში ქალები შემცირდნენ. სვანეთში, ქალთა სქესის თანასწორუფლებიანობა ყოველთვის არსებობდა და ამ საკითხში ვინმე ველური გურმაჩი ანდა ჯოხანი დიდი ხანია უფრო გაიზარდნენ, ვიდრე ჩვენ ემანსიპატორები. ჩვენ, რასაკვირველია, გოგონებს არ ვანადგურებთ. ამავე დროს არაფერი ხელს არ გვიშლის მუდმივი დარტყმის ქვეშ გვყავდეს მომწიფებული ქალები.

დანაშაულის შესახებ, სხვადასხვა ხალხს, სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ. უდიდეს რეფორმატორებს, რომლებიც კაცობრიობის სიკეთისათვის იბრძოდნენ, კოცონზე სწვავდნენ. ეჭვს გარეშეა, ბატონო მოსამართლენო, რომ მსაჯულნი, რომლებიც ასეთ მკაცრ განაჩენს ადგენდნენ, დარწმუნებული იყვნენ თავიანთ უმწიკლოებაში. მაგრამ, გავიდა საუკუნეები, შეიცვალა შეხედულებები და მომდევნო პერიოდმა განაჩენი თვით ინკვიზიტორებს გამოუტანა. ასეთია, დანაშაულთა უდიდესი ნაწილი. მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც ყველა დროში და ყველა ხალხისათვის ერთნაირად სამარცხვინოდ ითვლებოდნენ. მათ რიცხვს აგრეთვე მიეკუთვნება მკვლელობაც. მოსამართლეთ არ ჰქონიათ შეწყალება მკვლელების მიმართ და მათ საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის მხარს უჭერდა. კაცის მკვლელის სახეზე საზოგადოება ყოველთვის ხედავდა შეჩვენების დაღს, რომელიც მათდამი სიძულვილს საყოველთაოდ იწვევდა... თქვენს წინაშეც, ბატონო მოსამართლენო, მკვლელები სხედან. მაგრამ საოცარი ამბავია, მათ მიმართ მსგავსს არაფერს განვიცდით. ამ სამ დღეში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ხალხი, ყოვლადგანათლებულთაგან დაწყებული და ყველაზე უვიცით დამთავრებული, ერთნაირ თანაგრძნობას გამოხატავენ მათი ბედისადმი..., ბატონო მოსამართლენო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან უმეტესობა დიდი ხანი არ არის, რაც იმყოფებოდა მათი ცეცხლის ქვეშ, მე თქვენ სახეებზეც კი ვხედავ მათდამი თანაგრძნობას და მათი ბედისადმი სინანულს... რით უნდა აიხსნას ეს? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა თვით დანაშაულის ჩადენას, არამედ მოტივებს, რომლებმაც იგი გამოიწვიეს, როდესაც მიზეზებს ბოროტი საფუძვლები აქვს, ისინი ჩვენში სიძულვილს იწვევენ, მაგრამ თუ ისინი წარმოიშვნენ საპატიო, გაუთვალისწინებელი და შემთხვევითი, საბედისწერო და გადაუვალი გარემოებებით, მაშინ იცვლება ჩვენი დამოკიდებულებაც, რომელიც გადადის სინანულში და თანაგრძნობაში. სწორედ ასეთი იყვნენ თუ არა მიზეზები, რომლებმაც ჩაადენინეს სამართალში მიცემულებს დანაშაული? ამ საკითხის გადასაჭრელად ჩვენ უნდა მივმართოთ ამ საქმის გარემოებებს და ფაქტებს.

დანაშაულის მიზეზია დაბალი ადმინისტრაციის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკება. ჩავწვდეთ საქმის, როგორც ერთს, ასევე მეორე მხარეს. ის მაღალი მდგომარეობა, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, და ის სრული ნდობა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, ალბათ, ადასტურებს მათი განვითარების მაღალ გონებრივ და ზნეობრივ დონეს. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ცივილიზატორები ამ გაუნათლებელი ხალხისა. მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ სვანებს, ბუნების შვილებს... რას წარმოადგენენ სვანები? "ყრუა, როგორც სვანი", ლაპარაკობენ მათზე კავკასიის სხვა ტომები, რასაკვირველია, მხედველობაში აქვთ რა მათი გონებრივი დონე. არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა, რომელიც ჩვენთან არაკად არის გადაქცეული. სამეგრელოს მთავართან, თავად დავით დადიანთან, სტუმრად იყვნენ თავისუფალი სვანეთის რამდენიმე წარმომადგენელი, ალბათ, თავის თანამემამულეთა შორის უფრო განათლებულები. მათ აჩვენეს სწავლული ლინგვინისტი, ბატონი ბორტენიევი, სვანებმა იგი დაათვალიერეს თავით ფეხამდე და მოისურვეს გაეგოთ, თუ რაში გამოიხატებოდა მისი განსწავლულობა და რა ენებს არის დაუფლებული. ჩამოუთვალეს რამდენიმე ევროპული ენა, მაგრამ ისინი უარყოფითად აქნევდნენ თავს. ბოლოს, თათბირის შემდეგ, მათ იკითხეს "იცის თუ არა მან ლეჩხუმური ენა?" როდესაც მიიღეს უარყოფითი პასუხი, დარწმუნდნენ უვიცობაში. ბატონო მოსამართლენო მე ამას ვლაპარაკობ არა ლამაზი სიტყვისათვის, არამედ სვანების სრული დახასიათებისათვის. მათ ეგონათ, რომ ქვეყანა თავდებოდა მათი მეზობელი ლეჩხუმის მაზრით...

თუმცა, არც ეს მაგალითია საჭირო. აი ამ მომენტშიც კი, ამ ადამიანებს არ ესმით, თუ რა განსაცდელის წინაშე იმყოფებიან, ანგარიში ვერ მიუციათ, რომ აქ ისმის საკითხი მათი ყოფნა-არყოფნის შესახებ. ისინი შეჰხარიან წითელ მაუდს და მოოქროვილ შანდლებს და ერთმანეთს ხუმრობით ხელს ჰკრავენ...

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ ერთ მხარეზე ადმინისტრაციას, უნდა ვიგულისხმოთ, დიდათ განსწავლულს, ხოლო მეორე მხარეზე - ბუნების ნამდვილ ბავშვებს. მეცამეტე საუკუნიდან, იმ დროიდან, როდესაც საქართველო დაცემის გზაზე დადგა. სვანეთი მიტოვებული იყო თავის ბედის ანაბრად და ყველა იმისაგან, რაც მათ დაუტოვა საქართველოს იმდროინდელმა ცივილიზაციამ, შვიდი საუკუნის გასვლის შემდეგ, არ შერჩათ არაფერი, გარდა იმ კოშკებისა, რომელთა ნაწილი ცოტა ხნის წინ, თქვენს მიერ ასე მოხდენილად იქნენ განადგურებულნი...

**თავმჯდომარე.** გთხოვთ გამოთქმებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ და ნუ მიმართავთ სიმკვახეს...

**თავადი აკ. წერეთელი.** როგორც სამართლიანად აღნიშნა ჩემმა ამხანაგმა დაცვიდან, მათ მარტო რელიგია კი არ დაჰკარგეს, მათ დაჰკარგეს საკუთარი ენაც. ყოველივე ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მათ ჰქონდათ ასეთი სურვილი, პირიქით, ისინი თვითონ აცხობდნენ თავიანთ მღვდლებს, თავიანთ "პაპებსა" და "ბაჰებს", ურევდნენ ერთმანეთში რელიგიას ქრისტიანულს, მაჰმადიანურს და წარმართულს და მრავალი ცრუმორწმუნეობის მიმატებით აიძულებდნენ მათ ამ წეს-ჩვეულების შესრულებას. არც გრძნობა და არც გონება ჩვენ არ გვაძლევს უფლებას ვუსაყვედუროთ მათ ეს ჩამორჩენილობა და ბრალი დავდოთ ამაში. საკმარისია ჩავკეტოთ ამ ქვაბურში ვინმე განათლებული ცივილიზატორი, და ათწლიანი ხანდაზმულობა საკმარისი იქნება, რომ მისგან მივიღოთ თუ მთლიანი არა - ნახევარსვანი მაინც... და შესაძლებლად სცნეს ამ ხალხის მიმართ ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე მოემარჯვებინათ 1864 წლის "სასამართლო დებულებები". მე ადამიანებზე კანონის ზემოდან მიცემის ერთადერთი მოხდენილი შემთხვევა ვიცი, როდესაც სინას მთაზე მოსემ ღვთისაგან ათი მცნება მიიღო. მის შემდეგ ასეთი მაგალითები არ შეიძლება განმეორებულიყვნენ. კანონებს საფუძვლად იმ ხალხის ადათი, და წესი უნდა ედოთ, რომლის მიმართაც გამოიყენებიან. სვანების მიმართ არაფერი ასეთი დაცული არ ყოფილა. რადგან ისინი ერთხელ შემოყვანილი არიან ჩვენს ოჯახში, რასაკვირველია, დაჰკარგეს უფლება ილაპარაკონ კანონის უცოდინარობაზე. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც ადმინისტრაცია ვალდებული იყო განემარტა მოსახლეობისათვის კანონის შინაარსი და აზრი, და თავისი მოქმედებით კანონისადმი დამორჩილების მაგალითი მიეცათ. ეხლა ვნახოთ, როგორ დაემორჩილნენ კანონს როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე. იმის საფუძველზე, რაც სამსჯავრო გამოძიებამ გამოააშკარავა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონი ხელისუფლების მიერ სრულიად არ სრულდებოდა. სვანები კი პირიქით, კანონის წინაშე თუმც შეუგნებლად, მაგრამ მოწიწებას იჩენდნენ. გუშინ ჩოფლიანმა მოგითხროთ, თუ როგორ გადაუხადა მან სასამართლოს ბოქაულს გადასახდელი თანხა. ჩოფლიანმა ავადმყოფ მამასთან მოიწვია ექიმი, რომელიც ღამით სოფელში დარჩა და ცხენი გააგდო გარეთ საძოვრად. ცხენი მგლებმა დაგლიჯეს. არც რუსული და არც სვანური წესით, ამ უბედურებაში სახლის მეპატრონე არ არის დამნაშავე. ექიმი გაჩუმდა, მაგრამ, შემდეგ, ისარგებლა რა ჩოფლიანის იქ არ ყოფნით, წარუდგინა სარჩელი და იგი მომრიგებელმა მოსამართლემ გამოიძახა. უწყებები ალბათ გაიგზავნა, ალბათ, შესდგა დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ერთი სიტყვით, როგორც ეტყობა, ფორმები დაცული იყო. მაგრამ, ბატონო მოსამართლენო, თქვენ ხომ ისმინეთ გუშინ, რა წესით გაიგზავნა ხალდეში უწყებები. ისინი გადაეცა შემთხვევით გამვლელს, რომელსაც იგი შეეძლო გადაეცა და შეეძლო არ გადაეცა, როგორც ეს მოხდა ჩოფლიანის მიმართ. და თუგინდ ისინი პირდაპირ ყოფილიყვნენ გაგზავნილი, ვის შეეძლო მათი წაკითხვა, გაგება, თუ რა ეწერა, როდესაც სოფელში არავინ იცის არა თუ რუსული, არამედ ქართული წერა-კითხვა? მიიღეს თუ არა უწყებები, ყველაზე დიდი, რისი გაკეთებაც სვანებს შეეძლოთ - გულმოდგინედ შეენახათ ისინი, ანდა მიეწებებინათ კედელზე, როგორც ჭრელი ქაღალდი. კარგა ხანი ადგილზე არ ყოფნის შემდეგ, დაბრუნდა თუ არა ჩოფლიანი, იგი, შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, გამოძახებული იქნა სასამართლოს ბოქაულის მიერ მეზობელ სოფელ კალაში, სადაც მას წარედგინა აღმასრულებელი ფურცელი და იგი ხმის ამოუღებლივ, ყოველგვარი დავის გარეშე აძლევს ბოქაულს მისჯილი 60 მანეთის ანგარიშში თოფს, რომელიც ღირდა არა ნაკლებ ამ თანხისა და დამატებით ძროხას და ხბოს. ნუთუ ეს არ ლაპარაკობს სვანების მორჩილებაზე კანონის წინაშე?

ადმინისტრაციის მხრიდან ჩვენ ამის მაგვარს არაფერს არ ვხედავთ. იგი ყოველთვის თვით იძლეოდა კანონების დარღვევის მაგალითს. ამას ამტკიცებს ისტორია, რომელიც წინ უძღოდა პირველი აგვისტოს ამბებს.

ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი, თავადი თენგიზ დადეშქელიანის მოწვევით, გაუსწორდა "ურჩებს", დაბრუნდა ეწერში თავად თენგიზთან. აქ მე ვთვლი აუცილებლად ვთქვა, რომ ბუნება, რომელმაც ჩაკეტა სვანები ქვაბურში და მოუსპო ფართო გაქანების საშუალება, ახლაც საფლავის კიდემდე აგრძელებს მათ დევნას. მან შეუშალა ხელი დაცვის მოწმეების გამოწვევას. თუმცა, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ბრალდების მოწმეებმა გამონახეს მისი დაძლევის საშუალება. ეს მეტად სამწუხაროა, მაშინ შესაძლებელია გამოვლინებულიყო ისეთი გარემოებები, რომლებიც საქმეს სხვა მიმართულებას მისცემდნენ. მაგრამ ვინაიდან ეს ასე არ მოხდა, მე მოკლებული ვარ საშუალებას ვილაპარაკო ყველა იმაზე, რაც ეწერში და ბეჩოში ხდებოდა, და საერთოდ, ყოველივე იმაზე, რაც სასამართლო გამოძიების მიერ არ ყოფილა გამორკვეული. და მე მრჩება მხოლოდ დავკმაყოფილდე ბრალდების მოწმეთა ჩვენებით რომელ ნამცეცებითაც დაცვის არსებობა შეუძლებელია. მაგრამ მე მაინც მივუთითებ ზოგიერთ ნაწყვეტ ჩვენებებზე, ვიმედოვნებ რა, ბატონო მოსამართლენო, თქვენს გამჭრიახობაზე, რომელიც შეავსებს იმას, რაც არ ითქვა.

26 ივლისს, ეწერში, მაზრის უფროსი გრინევსკი წინადადებას აძლევს თავის თარჯიმანს ბაქრაძეს, შედგენილი იქნეს განკარგულება ბეჩოს ადგილობრივი რაზმის უფროს-მაიორ ლეუსის სახელზე, რაზმის ხალდეზე ლაშქრობის შესახებ. განკარგულებაში იგი ემყარება სასამართლო ხელისუფლების საჩივარს იმის შესახებ, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი არ ემორჩილებიან სასამართლო გადაწყვეტილებებს. თუმცა აღნიშნულ საჩივარს, ორბელის მომრიგებელ მოსამართლიდან იგი ღებულობს მხოლოდ 28 ივლისს, ეწერიდან ბეჩოში დაბრუნების შემდეგ, ე.ი. მთელი ორი დღით ადრე წინასწარ საზღვრავს ბატონი მაზრის უფროსი, რომ იგი მიიღებდა ასეთ საჩივარს, რაზმი კი ლაშქრობაში გადის იმავე დღეს. რამდენად კანონიერია ასეთი ლაშქრობა თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ ბატონო მოსამართლენო, მე არ მაქვს მისი განსჯის უფლება. მხოლოდ თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება რაზმთან ერთად თანმიმდევრულად შედიოდა სოფლიდან სოფელში, ბევრს აპატიმრებდა, ჩხრეკდა ხალხს. მიუხედავად ამისა, ისინი მოსახლეობის მხრიდან არსად არ ხვდებოდნენ რაიმე წინააღმდეგობას. ერთ სოფელში, ნაცვლად დასაძებნი შაგუბათ ქურდიანისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მისი ბავშვები დააპატიმრეს, და ისინი სხვა პატიმრებთან ერთად, ხელებშებორკილნი, დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში, ჯარის უკან თოკზე გამობმული, როგორც მაიმუნები...

**თავმჯდომარე:** მე თქვენ გთხოვეთ ყოფილიყავით ფრთხილი გამოთქმებში, სიმკვახე კარგს არაფერს მოიტანს.

**თავადი აკ. წერეთელი:** დამნაშავე ვარ. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ისინი ხუთი დღის განმავლობაში, ხელებშებორკილნი, ბაწარ გამობმულნი, დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში და ამრიგად მიაღწიეს სოფ. კალამდე. ასეთი დაპატიმრებების ამბავს, არ შეიძლება არ დაესწრო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის მათი ადგილზე ჩასვლამდე. კალადან, სადაც ისინი გაჩერდნენ, ხალდაში შუამავლებად იყვნენ გაგზავნილი მღვდელი და თარჯიმანი, მოთხოვნილებით გურმაჩის და ჩერგაზის ხელისუფლებაზე გადაცემის შესახებ. როგორც გამოირკვა, ისინი ადგილზე არ იყვნენ და ხალდეელები თანახმა იყვნენ, მათ ნაცვლად დაეტოვებინათ მძევლად ექვსი კაცი, თუ კი სექტემბერში არ წარადგენდნენ გურმაჩს და ჩერგაზს. თქვენს მიერ გუშინ წამოყენებულ საკითხზე: რატომ დანიშნეს მათ სექტემბრის თვე და არა უფრო ადრე ვადა, პასუხი არ იყო გაცემული. პასუხის გაცემას მე შევეცდები. წლის განმავლობაში მათ აქვთ სულ სამი სამუშაო თვე: ივნისი, ივლისი და აგვისტო. მინდვრის სამუშაოები ამ თვეებში უნდა დამთავრდეს. თუ ისინი სექტემბრისათვის ვერ მოასწრებენ სამკალის აღებას, მოუსწრებს თოვლი და მთელი წლის ნამუშევარი იკარგება. ნათელი საქმეა. გურმაჩი და ჩერგაი მთებში იმალებოდნენ და სადევრად ხალდეველებს ისეთი დრო ესაჭიროებოდათ, როდესაც სამუშაოები დამთავრებული იქნებოდნენ, ე.ი. სექტემბერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ თავს და ოჯახებს საშიმშილოდ და გაჭირვებისათვის გაწირავდნენ.

მაზრის უფროსმა მძევლები არ მიიღო. მოითხოვა, რომ ხალდეელები ყველა გამოცხადებულიყვნენ თავთავიანთი ოჯახებით კალაში, რაც ხალდეელების მიერ შესრულებული იქნა. მაგრამ, უახლოვდებოდნენ რა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ დაინახეს, რომ შაგუბათის ნაცვლად დაპატიმრებული არიან მისი ბავშვები, რამაც ისინი შეაშინა და არჩიეს უკან დაბრუნება. მათ მისდია რაზმმა, შევიდა სოფელში და ალყა შემოარტყა. ამან მთელ სოფელს უდიდესი შიში მოჰგვარა. მაიორი ბრძანებს ხიშტებზე ააგონ ორი უდანაშაულო სვანი... აქ მე საჭიროდ ვთვლი განვმარტო საკითხი: სალდათებმა ააგეს ხიშტებზე სვანები, თუ სვანებმა პირველმა მიაყენეს სალდათებს ჭრილობები. ერთის მხრიდან ჩვენ გვაქვს სამართალში მიცემულთა ჩვენებები, რომლებიც საშიშროებისადა მიუხედავად, რაც გააკეთეს ყველაფერს აღიარებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ სვანები პირველად იქნენ ხიშტებზე წამოგებული. იგივეს აჩვენებს თარჯიმანი ბაქრაძე. მეორეს მხრივ ბრალდების მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მეტად ცდილობდნენ გამოაჩინონ თავიანთი გმირობა. მაგალითად, კოტლიაროვის ჩვენებით, მაიორ ლეუსმა ბრძანა ორი სვანის დაკავება, რომლებმაც ვერ მოასწრეს კოშკში შესვლა და რომელთა წინაშე კარები დაკეტილი აღმოჩნდა. იმათგან ერთმა, თითქოს ხელი სტაცა თოფს, რომელიც თითქოს და კედელზე ეკიდა, გადაიკიდა მხარზე და ეცა კოტლიაროვს, რომელმაც შემოხვია მას ხელი და არ უშვებდა, სანამ სვანმა ხანჯლით არ მიაყენა მას ჭრილობა. ეს ჩვენება მე მიმაჩნია მცდარად.

თოფებს არავინ და მით უმეტეს სვანები კედელზე გარედ არ ჰკიდებენ. თუ სვანმა მართლაც სტაცა თოფს ხელი კოტლიაროვზე თავდასხმის მიზნით, მაშინ მას არ დასჭირდებოდა მისი მხარზე

გაგრძელება D5 გვერდზე



D4 გვერდიდან

გადაკიდება. თუ იგი მართლაც შებოჭა კოტლიაროვმა, გაუკავა მას ორივე ხელები, მაშინ რომელი ხელით შეეძლო მას ხმლის ამოღება? მეორე რიგოსანის - პლევნევის ჩვენება, მოცემული აქ სასამართლოში, ეწინააღმდეგება მის ჩვენებებს წინასწარ გამოძიების დროს. მაშინ მან აჩვენა, რომ კოშკებიდან დაიწყეს სროლა ორი სვანის მოკვლის შემდეგ. ახლა იგი ცდილობს ამტკიცოს საწინააღმდეგო. მე ვფიქრობ, მისთვის უფრო ადვილი დასამახსოვრებელი იყო მაშინ, როდესაც იგი ახლოს იყო მომხდარ ამბავთან, ვიდრე ახლა, საკმაო დროის გასვლის შემდეგ. ამიტომ, მოწმეთა არა სავსებით ზუსტი ჩვენებები არ უნდა სარგებლობდნენ ნდობით, ვიდრე სამართალში მიცემულთა ჩვენებები. თუმცა ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან კოშკებიდან ყველას შეეძლო დაენახა ხიშტებზე წამოგებული და აჩეხილი თანამესოფლენი. რაც შეეხება იმას, თუ იარაღი პირველმა ვინ ასწია კოშკებიდან ამის გარჩევა ძნელი იყო. სროლა ასტეხეს არა შურისძიების ნიადაგზე, არამედ შიშით, რომ იგივე მოელის დანარჩენ სვანებს და მათ ოჯახებს. მე იმათ არ ვამართლებ. ვიმეორებ, რომ მათ არ შეუძლიათ თავი იმართლონ კანონის უცოდინარობით. როდესაც კაცს ხელთ აქვს ხელისუფლება, ყველანი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მას, როგორი კანონსაწინააღმდეგოც არ იყოს მისი მოქმედება. ხელისუფლების წინააღმდეგ თავდაცვა არ არსებობს, არის მხოლოდ საშუალება მისი მოქმედება გაასაჩივრო. ამ თვალსაზრისით, სვანებს, რომლებიც ხიშტებზე აცვეს, წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ, რადგან მათ მაიორ ლეუსის მოქმედების გასაჩივრების უფლება რჩებოდათ. მაგრამ, განა ბევრია ქვეყანაზე ასეთი კატონები, რომლებსაც თვითგანწირვის უნარი შესწევთ? ისინი, ასეთივე წესით ესროდნენ პოლიციას, რომელიც ორი დღის განმავლობაში სდევნიდა მათ მთებში და ესროდა მათ. თუ რაოდენ დიდი იყო სვანების შიში, მოჩანს იქიდან, რომ ზოგიერთმა ჯარის ნაწილზე დამორჩილებას მათი კოშკებში ამოწუგვა ამჯობინეს. მაგრამ შემდეგ როდესაც თავადმა გარდაფხაძემ და დადეშკელიანმა, წინასწარ მისცეს ფიცი (მეფისნაცვალთან წარდგენის შესახებ), დაარწმუნეს საწინააღმდეგოში, ისინი ნებაყოფლობით გამოცხადდნენ და იარაღი აიყარეს.

ყოველივე, რასაც მე ვლაპარაკობ ეხება სრულწლოვან ბრალდებულებს. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებიც სხედან საბრალდებო სკამზე, მე საერთოდ ზედმეტად ვთვლი რაიმე ვილაპარაკო მათი მართლებისათვის. ბავშვებს არცერთი ტყვია არ გაუსროლიათ, იარაღი არ ჰქონიათ და მათ არ შეეძლოთ ასეთი ჰქონოდათ. მთელი მათი ბრალი შესდგებოდა მასში, რომ დაინახეს რა საშიშროება, რომელიც მშობლებს მოელოდა, არ მოისურვეს მათთან დაშორება. ჩვენს შვილებს რომ რაიმე ასეთი მოსვლოდათ, მათ ქებას ვერ აუვიდოდით.

ასე და ამრიგად, დანაშაულის ფაქტი ნათელია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ იგი იძულებით არის ჩადენილი. თქვენ უფლებამოსილი ხართ მიუყენოთ მათ კანონი, ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, რომელთა მხედველობაში მიღება კანონმდებლობას წინასწარ არ შეეძლო. კანონმდებლობას რომ შესაძლებლობა ჰქონდეს, გაითვალისწინოს ცხოვრების ყველა ცალკეული შემთხვევები, ყველა განსაკუთრებული გარემოებები და წვრილმანები, კანონთა კრებულს დასჭირდებოდა არა ნაკლებ 20000 ტომისა. ამ შემთხვევაში დამტკიცებულია უამრავი გარემოებებისა, რომლებიც ამსუბუქებენ სამართალში მიცემულთა დანაშაულს. დამტკიცებულია, რომ მათი დანაშაული ჩადენილია იძულების შედეგად. აქედან გამომდინარე, თანახმად კანონთა კრებულის XXIV წიგნის 185 მუხლისა (1869 წ. გამოცემა). მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით, გამოიყენოთ ამ შემთხვევაში იგივე წიგნის 1234 მუხლი, - იშუამდგომლოთ მთავარსარდლის წინაშე სამართალში მიცემულთა ბედის შემსუბუქებისა და პატიების შესახებ. ასე და ამგვარად, თქვენ შეგიძლიათ კანონის სიმკაცრე სამართლიანობის და ჰუმანიურობის გრძნობას შეუფარდოთ. მითუმეტეს, რომ ამ მუხლს დიდი ხანია აქვს გამოყენება უზენაესი სიტყვებით: "დაე, მეფობდეს სასამართლოებში სიმართლე და მოწყალება!"

**საქ. სსრ ისტორიული არქივის "მოამბე"**

---

კრიტიკული აზროვნება

# კანონი - გააზრებული გამბედაობა

## ძალთა დანაწევრება
## (Seperation of Powers)

ნიკოლოზ რურუა

შეერთებული შტატების კონსტიტუციით, ხელისუფლების ცალკეულ შტატებად დაყოფა ე.წ. "ძალთა დანაწევრებისა" და "შემოწმებისა და ბალანსირების" პრინციპებს (Checks and Balances) ეფუძნება.

ძალიან ზოგადად, ძალაუფლების დაყოფის პრინციპი შექმნილია, როგორც გარანტია ტირანიისა და ძალაუფლებით პირადი მიზნებისთვის სარგებლობის წინააღმდეგ (ჩვენში მიღებული ტერმინი "ძალაუფლების ბოროტად გამოყენება" ბუნდოვანია და ფენომენის ნამდვილ ხასიათს ზუსტად ვერ აღწერს).

ამ პოლიტიკური კონცეფციის არსი ასეთია: სამნაწილიანი ხელისუფლება რომელიმე ინდივიდუალური განშტოების მიერ ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობის გარანტიას იძლევა. "უფლებათა ბილის" (კონსტიტუციის პირველი ათი ჩასწორების) ავტორი და ამერიკის მეოთხე პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი ამბობდა: "მთელი ძალების ერთ ხელში თავმოყრა სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვა "ტირანიის" დეფინიციად (მნიშვნელობად)".

მიუხედავად იმისა, რომ "დამფუძნებელი მამები" (Founding Fathers - იგულისხმება ბენჯამენ ფრანკლინი, ჯორჯ ვაშინგტონი, ჯეიმს მედისონი, ალექსანდერ ჰამილტონი და ფილადელფიის კონვენციის დანარჩენი ორმოცდათერთმეტი დეპუტატი) ხვდებოდნენ "ტრიპარტაიტის" (სახელისუფლო მოდელის სამნაწილიანი ხასიათის) ნელტემპიან ფუნქციონირთა ბუნებას, იგი მათ მაინც ერთადერთ საიმედო დამცველ მექანიზმად მიაჩნდათ. ორი მოქიშპე ინტერესი, რომელთა შორისაც დაძაბულობის მუხტი გაჩნდა, იყო სამთავრობო სისტემის სწრაფად რეაგირების უნარი და ტირანიის თავიდან აცილების აუცილებლობა. "შემოწმებისა და ბალანსირების" პრინციპი ამ ინტერესთა ჭიდილის რეზულტატია.

თუმცა, "ძალთა დანაწევრება", როგორც დოქტრინა, არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სახელისუფლო ძალების სრულ გაყოფას - არც ერთი სახელისუფლო განშტოება არ არის ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი. მაგალითად, კონგრესს, დანარჩენ განშტოებათა საწინააღმდეგო იარაღად, აქვს იმპიჩმენტის ძალაუფლება, რაც აღმასრულებელი განშტოების ფუნქციებშიც გვხვდება; საპრეზიდენტო ვეტოს უფლება აშკარა საკანონმდებლო ხასიათს ატარებს; ასეა უზენაესი სასამართლოც, რომლის ფუნქციას კანონების ურთიერთშესაბამისობის დადგენა და ინტერპრეტაცია შეადგენს, მაგრამ ხშირად საკუთარი ინიციატივით ახალ კანონს "იღებს". ასე რომ, ეს პრინციპი უფრო ასახავს ისეთ რეალობას, როცა ერთი განშტოების კუთვნილი ძალაუფლება არ შეიძლება მთლიანად გამოყენებულ იქნას სხვა განშტოებათა მიერ, რომელთაც საკუთარი განსხვავებული და კონკრეტულად განსხვავებული ძალაუფლება აქვთ. მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოს, კონგრესს არა აქვს ამა თუ იმ კანონის კონსტიტუციურობის განხილვის უფლება, რაც სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა, და პირიქით - სასამართლო უძლურია, კანონმდებლის მთლიანი ფუნქცია იკისროს, რაც მხოლოდ კონგრესის პრეროგატივაა.

როგორც აღინიშნა, ამ პოლიტიკური ინსტრუმენტის მთავარი მადლია, არ დაირღვას სახელისუფლო არქიტექტურის სიმეტრია, ანუ მისი შენობის არც ერთი ნაწილი არ "გაიდრიკოს" სხვა რომელიმე არაპროპორციული ნაწილის სიმძიმის ქვეშ, რაც მთლიანად შენობის დანგრევის საფრთხეს შექმნიდა.

საინტერესოა, რა იყო "დამფუძნებელთა" სიფრთხილის მთავარი მიზეზი, რამაც ისინი "შემოწმებისა და ბალანსირების" პრინციპამდე მიიყვანა.

ყველაზე მეტად "დამფუძნებლებს" ინგლისის მონარქია და მასთან დაკავშირებული თვითნებობანი აშფოთებდათ. თუმცა, ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსის აზრით, მათ კიდევ უფრო მეტად აფიქრებდათ ხალხის მასების ვნებები, როგორც დემოკრატიული მმართველობის ერთგვარი ნეგატიური მხარე. თუმცა, ჯეიმს მედისონის აზრით, "დამფუძნებელი მამები" ადამიანთა ხასიათის ღრმა ცოდნითაც ხელმძღვანელობდნენ. მათი აზრით, ხალხს ვნებები უფრო მართავს, ვიდრე კეთილგონივრული განსჯა; კერძო ინტერესი მეტად ადარდებს, ვიდრე დიდსულოვნება. ალექსანდერ ჰამილტონის თქმით: "...ადამიანის ვნებებზე რომ გონება ბატონობდეს, სახელისუფლო ინსტიტუტები რა საჭირო იქნებოდა! - საქმეც ისაა, რომ ვნებები გონების კარნახსა და სამართლიანობის მოთხოვნებს გარკვეული იძულების გარეშე არ მორჩილებენ" ("ფედერალისტთა ფურცლები" №15). ეს აზრი გულისხმობს და ითვალისწინებს არა მარტო უმეტესობის დაცვას უმცირესობის ტირანიისგან (ხალხის ხელისუფლებისგან დაცვას), არამედ უმცირესობის უმრავლესობისგან დაცვასაც.

მაგრამ თუ ასეთი პრინციპი უმრავლესობასაც და უმცირესობასაც განზრახ ხელებშებოჭილს ამყოფებს, როგორღა უნდა შეძლოს ხელისუფლებამ თავისი მთავარი ფუნქციის - ეფექტიანად მართვის უნარის - შენარჩუნება, რისთვისაც იგი ძალიან მომთხოვნი მსაჯულის, ამომრჩევლის წინაშე აგებს პასუხს?

"დამფუძნებლები" შეგნებულ უპირატესობას შენელებულად მოქმედ, მაგრამ საკუთარი თავის წინააღმდეგ დაბალანსებულ სისტემას ანიჭებდნენ, ვიდრე ისეთს, რომელიც სწრაფად ფუნქციონირებადი, მაგრამ ტირანიის რისკის მატარებელი იქნებოდა.

უზენაესმა სასამართლომ ეს იდეა ასე ჩამოაყალიბა: "ძალთა დანაწილების დოქტრინა საკონსტიტუციო კონვენციამ სწრაფად რეაგირებადი ხელისუფლების დასაფუძნებლად კი არა, ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების თვითნებური გამოყენების გამოსარიცხად აითვისა. დოქტრინის შემუშავების მიზეზი გახლდათ არა ხელისუფლების განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორთა თავიდან აცილება, არამედ მათი საშუალებით ხალხის ავტოკრატიისგან დაცვა".

ეს კლასიკური გამოხატულებაა იდეისა, როგორ შეიძლება ხელისუფლების გაანგარიშებული შეზღუდვით თავისუფლების დაცვა და შენარჩუნება.

თუმცა, მსოფლიო საზოგადოება, დიდი ხანია, ისეთი აღარაა,


ნიკოლოზ რურუა

როგორსაც მას "დამფუძნებლები" იცნობდნენ. დღესაც მათი შექმნილი სისტემა სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს.

ეს კითხვები დღემდე აქტუალურია: შესწევს თუ არა საზოგადოებას უნარი, ისე შექმნას სწრაფად რეაგირებადი (მობილური) და ეფექტიანი ხელისუფლება, რომ იგი დესპოტიზმში არ გადაიზარდოს? რა დოზით უეფექტო შეიძლება იყოს სახელისუფლო სისტემა, რომ მან მართვის უნარი შეინარჩუნოს და ქაოსის მთესველი არ გახდეს?

ვიმედოვნებთ, კეთილგონიერი ქართველი ამ კითხვებზე საპასუხოდ ინტელექტუალური პასიურობის მატყუარა კომფორტს დროებით გვერდზე გადადებს.

### კონსტიტუციის მცველი უზენაესი სასამართლო და "იურიდიული გადახედვის" უფლება (Power of Judicial Review)

ე.წ. "დიდი დეპრესიის" ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა საკუთარ გეგმაში "ახალი თანხმობა" (New Deal) დაინახა. ამ პროგრამის წარდგენისას ამერიკელ ხალხს მან ასე მიმართა: "ერთადერთი რამ, რისიც შეიძლება გვეშინოდეს, ესაა თვით შიში - ეს საზარელი და განმაიარაღებელი გრძნობა, რომელიც ადამიანს გახევებისა და უმოქმედობის მდგომარეობაში აგდებს და მართებული გამოსავლის მიგნების ყველანაირ უნარს ართმევს. ყველაფერი დანარჩენი ჩვენი გადაწყვეტილების სიმტკიცეზეა დამოკიდებული".

"დემოკრატია მარად დაუმთავრებელი საქმეა", - ასეთი დევიზი აქვს შეერთებული შტატების ადამიანთა უფლებებისა და "უფლებათა ბილის" (Bill of Rights) დამცველ ორგანიზაციას - ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირს (Amerivan Civil Libertied Union, რომლის წევრიცა და თანამშრომელიც გახლავთ ავტორი).

საქართველოს სრულფასოვანი და მოქმედი დემოკრატიისთვის ჯერ არ მიუღწევია. საჭიროა გაცნობიერება, რომ დემოკრატიის ერთხელ და სამუდამოდ "დამყარება" შეუძლებელია. დემოკრატიზაცია შეიძლება შევადაროთ იმ პროცესს, რომელიც პერმანენტული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს, ჩვილის მოვლა-პატრონობის მსგავსი - როგორც კი მასზე თვალყურის დევნება და მზრუნველობა წყდება, ჩვილის სიცოცხლე საფრთხეში ვარდება. უყურადღებოდ მიტოვებული დემოკრატიაც ავტომატურად წყვეტს არსებობას. დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი და კონსტიტუციის თანაავტორი ტომას ჯეფერსონი ეთანხმებოდა ამ აზრს: The price of democracy is eternal vigilance - "დემოკრატიის საფასური მისკენ მიმართული ჩვენი უსასრულო გულისყურია".

მართალია, საქართველომ, გარკვეულწილად, შეძლო საკუთარი პოლიტიკური იდენტურობისა და სახელისუფლო მოდელის დადგენა, მაგრამ ამ თემაზე მეტი საუბარი უსარგებლო ნამდვილად არაა. ფაქტი, რომ მივიღეთ კონსტიტუცია, გაირკვა ხელისუფლების შტოთა დანაწილება და მათი როლები, არ ნიშნავს, რომ მათ დახვეწა აღარ სჭირდება.

ეფექტიანი და ფუნქციონირებადი სახელისუფლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად (დასახვეწად) მშვიდი და კომპეტენტური დისკუსიის წახალისება აუცილებელ პირობად გვესახება.

არჩეული თემის სირთულის მიუხედავად, მასზე საუბარი ასეთი ფორმატის ფარგლებშიც შესაძლებელია. იმედს გვაძლევს ისიც, რომ საუბრის ადრესატი, კონსტიტუციური სამართალი ზოგად სქემაში მოქცევას ექვემდებარება. ეს კი მას გასაანალიზებლად შესაძლო თემად აქცევს. უდავოა, რომ სამაგალითოდ აღებული კანონის მთლიან სხეულში (იგულისხმება შეერთებული შტატების კანონი) ჩვეულებრივი მკითხველისთვის უინტერესო და დამაბნეველი უბნებიც არსებობს (ტაქსაციის კოდები, კორპორაციული რეგულაციები და ა.შ.). მათი სრულფასოვანი გარჩევისთვის სპეციფიკური ცოდნაა საჭირო. მაგრამ ამ შემთხვევაში მათზე არ არის საუბარი. გვსურს, მკითხველს დემოკრატიულ მმართველობაში კონსტიტუციისა და სასამართლო ინსტიტუტის როლზე რამდენიმე ისტორიული მაგალითი შევახსენოთ.

ამისთვის საჭიროა რამდენიმე საწყისი კითხვის დასმა და მათზე პასუხის გაცემის მცდელობა: როგორი ხელისუფლება გვსურს (ვგულისხმობ მმართველობის ფორმებს, როცა სუვერენული ერთეული თავისუფალ მოქალაქეთა მთლიანი რაოდენობის მიერ პირდაპირი თუ წარმომადგენლობითი სისტემის საშუალებით იმართება და არა ისეთი მმართველობის ფორმებს, როგორიცაა ოლიგარქია, მონარქია თუ არისტოკრატია.)? რა დოზის ძალაუფლება უნდა მივანიჭოთ მას? ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე? რა საშუალებებით უნდა გამოიყენოს მინიჭებული ძალაუფლება ასეთმა ხელისუფლებამ?..

ეს კითხვები ყოველი განვითარებული ქვეყნის პოლიტიკური სლენგის ლექსიკონშია, მაგრამ ჩვენში არცთუ ისე ხშირად გაისმის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათზე პასუხები ჩვენ უკვე ვიპოვეთ და ნაპოვნით კმაყოფილი ვართ; ან, უბრალოდ, ისინი თავში არც მოგვსვლია იმ მიზეზის გამო, რომ, ჩვენი წარსულის პატრონებს, ხელისუფლება ჯერ კიდევ ისეთ მოვლენად მიგვაჩნია, რომლის სიტყვაცა და საქმეც - ახირებულიც და უსამართლოც კი - ყოველთვის კანონია და მისი "მისტიკური" სიბრძნის გამოკვლევა ჩვენ არ გვევალება. ეს მავნე შეხედულება მემკვიდრეობით გვერგო. აზრი, რომ ხელისუფლება ყოველთვის ხალხზე ძლიერი იყო, რომ ჩვენ, ხალხს, არ შეგვწევს ხელისუფლებაზე ზემოქმედების უნარი, ისე უნდა დაინგრეს, როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის მაგისტრალზე მდგომი უფუნქციო შენობა. ეს არის ჩვენი ყოფისა და დამოუკიდებლობის განსამტკიცებელი ერთ-ერთი მთავარი პირობა. ხელისუფლებას ამგვარი ცვლილებების განხორციელება, სურვილის შემთხვევაშიც კი, არ შეუძლია. ეს იმ შინაგანი პროცესის ნაწილია, რომლის სადავეებიც მხოლოდ ხალხს უჭირავს და ერის მოაზროვნე ნაწილს, ე.წ. ინტელექტუალურ ელიტას, ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

ანალოგიური კითხვები დაუსვეს საკუთარ თავს ამერიკელმა პატრიოტებმა რევოლუციის დამთავრებისთანავე, როდესაც კოლონიებმა ე.წ. კონფედერაციის არტიკლები მიიღეს (1777 წელი). ამ დოკუმენტის მთავარი თემა იყო დამოუკიდებელი შტატების იდეა, რაც, სუვერენულობასთან ერთად, ინდივიდუალურ შტატებს თავისუფლების გარანტიადაც მიაჩნდათ (მაშინ კავშირი ცამეტი ერთეულისგან შედგებოდა). არტიკლების მიხედვით, შტატებს რჩებოდათ მთელი პოლიტიკური ძალაუფლება, რაც კონგრესისთვის არ იყო გადაცემული. დოკუმენტი არც პრეზიდენტის ინსტიტუტსა და ფედერალურ სასამართლო სისტემას ითვალისწინებდა. "დამფუძნებელი მამები" ასეთი ფორმულით ხელისუფლების ტირანიის (რის განსხეულებადაც მათ დიდი ბრიტანეთი და ინგლისის სამეფო კარის პოლიტიკა მიაჩნდათ) თავიდან აცილებას ცდილობდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ ერთ ხელში, ან ერთ ცენტრალურ ხელისუფლებაში კონცენტრირებული ძალაუფლება საფრთხეს შეუქმნიდა ბრძოლით მოპოვებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მაშინაც კი, თუ ძალაუფლება დემოკრატიულად და ბენევოლენტურად განწყობილი ადმინისტრაციის ხელში აღმოჩნდებოდა. დამფუძნებლებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ ნებისმიერი ადამიანი უძლური იყო ძალაუფლების მაკორუმპირებელი მიდრეკილების წინაშე.

ფედერალისტებმა ჯეიმს მედისონმა, ალექსანდერ ჰამილტონმა და ჯონ ჯეიმ ამ მოვლენებს დღეს უკვე ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების ბრწყინვალე ნიმუშად ქცეული ესეების კრებული "ფედერალისტთა ფურცლები" მიუძღვნეს.

1787 წელს "დამფუძნებელი მამები" კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ ფილადელფიაში და ფრთხილი, ხანგრძლივი და რთული მსჯელობის შემდეგ კონფედერაციის არტიკლები ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით შეცვალეს. იმ დღიდან მოყოლებული, ეს პოლიტიკური დოკუმენტი, როგორც ადამიანთა სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის ნაყოფი, ამერიკის ისტორიაში მთავარ როლს ასრულებს.

კონსტიტუციამ ხელისუფლება სამ ძირითად განშტოებად დაყო - საკანონმდებლო (ანუ კონგრესი, დაფუძნებული ბიკამერალიზმის პრინციპზე), აღმასრულებელ (პრეზიდენტი) და სასამართლო (არტიკლი III) ინსტიტუტებად. როგორც ითქვა, წერილის ამ ნაწილის მიზანი არ არის სასამართლო ინსტიტუტის, როგორც კონსტიტუციის ინტერპრეტატორის როლზე საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეს უკვე დაკანონებული პრაქტიკაა, კონსტიტუციის ტექსტი არაფერს ამბობს სასამართლოს უფლებაზე, საპრეზიდენტო საქციელის, თუ კონგრესის აქტის (კანონი) არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ. კანონი ან პრეზიდენტის საქციელი, რომელთაც უზენაესი სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს, ავტომატურად უკანონო და უძლური ხდება. ვნახოთ, როგორ მოიპოვა სასამართლომ კონსტიტუციისგან მიუნიჭებელი ასეთი ძლიერი უფლება ქვეყანაში, რომელშიც ხელისუფლებას მკაცრად განსაზღვრული ძალაუფლებები აქვს (Govermment of enumerated Powers).

... იგი ამბობდა:
- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლოგინში რომ წვები, თუ წუთით მაინც შეგიპყრობს ფიქრი, - სადღაც ვიღაცას სცივა, სადღაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, სადღაც ავადმყოფი ფრინველი კანკალებს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოველი წკმუტუნით ილოკავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.

რევაზ ინანიშვილი



# გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს



მამუკა ტყეშელაშვილის ნახატი

## შობა

აკაკი წერეთელი

აღმოსავლეთით გამოჩნდა
ვარსკვლავი "სჯულის ცნობისა",
ჯერ უნახველი კაცთაგან,
უცნაურ სხივოსნობისა!

გაჰკვირდნენ ვარსკვლავთ მრიცხველნი.
ვერ მისწვდა მათი გონება...
ინიშნეს მხოლოდ მოგვებმა
და იგრძნეს უფლის მონება.

ჰფიქრობდნენ ქვეყნის მპყრობელის
ამ ქვეყნად დაბადებასა;
თან მიჰყვნენ ვარსკვლავს მიმავალს,
ჰგალობდნენ ქებათ-ქებასა.

გაჩერდა ბეთლემს მნათობი,
ქვაბზე სხივები დაჰფინა,
სთქვეს მოგზაურთა: "აქ არის
ახალშობილის, სჩანს, ბინა!"

შევიდნენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ყრმა;
ნაცვლად "მზე შინის" ისმოდა
ანგელოზთ საამური ხმა!

ხედავენ ღარიბ სახვევში...
არსად სჩანს ხოჭიჭ-აკვანი!..
დაემხვნენ მის-წინ მორჩილად,
სასოებით სცეს თაყვანი.

ოქრო, გუნდრუკი და მური
შესწირეს ახალშობილსა,
და უგალობდნენ სიმდაბლით
საგალობელსა წყობილსა:

"დიდება ყოვლის შემოქმედს!
დიდება მისა მცნებასა!..
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!.."

1890 წ.

# შობა-ახალწელიწადი საქართველოში




გიორგი გოცირიძე

ახალი წელი მთელ მსოფლიოში უპირველეს დღესასწაულადაა მიჩნეული. სხვადასხვა ხალხი მას სხვადასხვა დროს აღნიშნავს, საქართველოში კი ეს დღე, ქრისტიანული (რომაული) კალენდრის თანახმად, პირველ იანვარს (ძვ. სტილით - 14 იანვარს) დგება.

ხალხური ტრადიციით, საახალწლო სადღესასწაულო ციკლი სამი ეტაპისაგან შედგება: ბარბალობის, შობისა და საკუთრივ ახალი წლის ღამისაგან, რომელსაც გურიაში კალანდას უწოდებენ. თითოეული მათგანი საინტერესო ეთნოგრაფიულ წეს-ჩვეულებას შეიცავს, რომელთაც ჩვენი წინაპრები სათუთად ინახავდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. ამიტომ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ამ წეს-ჩვეულებებს.

**ბარბალობა**. იგი ქრისტეშობის თვეში მოდის, შობამდე რამდენიმე დღით ადრე (ძვ. სტილით - 4 დეკემბერს) და, როგორც ძველად რაჭველები იტყოდნენ, ეს დღე დიახწლების - დღესასწაულების თავდღედაა მიჩნეული.

ჩვეულების თანახმად, ბარბალობის წინა ღამეს ოჯახის დიასახლისი ჯვარდასახულ სართვიანებს (ლობიანებს, შეკეცილებს - ბაჭულებს და ნიგვზის გულიან ქადებს - განატეხებს) გამოაცხობდა, ცალკე, თიხის კეცზე, ნაკვერჩხალსა და დატეხილი კაკლის ჩენჩოს დაყრიდა, ზედ სანთელსაკმეველს მოაკმევდა და ყველაფერ ამას იქვე ახლოს, კერის პირას, პატარა სამფეხა მაგიდაზე (ტაბლაზე) დადგამდა, განატეხზე სამ სანთელს აანთებდა, ტაბლას სამჯერ შემოუვლიდა და ღვინით დაილოცებოდა, ქვეყნის გამჩენს ოჯახის სიმრთელეს, სიკეთეს, სიმრავლეს, ხვავსა და ბარაქას შეავედრებდა. მერე ბავშვებს დაუძახებდა და სართვიანებსა და განატეხებს ჩამოურიგებდა. მეკვლეც მოვიდოდა იმ დღეს, რადგან სწამდათ, რომ ბარბალობას დაცდილი ფეხი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ახალ წელს. იტყოდნენ კიდეც: "ნამდვილი ფერხობა ბარბალობისა არისო".

ქართლში ბარბალობას ქადა-ნამცხვრების გამოცხობა იცოდნენ და ხატ-სალოცავში მამალს შესწირავდნენ. მამლის შეწირვა ბარბალობის სახელზე იმერეთშიც სცოდნიათ (მამალი, ხალხური რწმენით, ცისა და მთის მნათობ ღვთაებათა ფრინველად ითვლებოდა და მას დედამიწის განაყოფიერების ძალა მიეწერებოდა).

მკვლევრები ფიქრობენ, რომ ბარბალობა თავისი წარმომავლობით ძალზე ძველი დღესასწაულია და წარმართული ხანიდან მოდის, როგორც მზის ღვთაების სახელობაზე გამართული დღესასწაული. ქრისტიანობამ ეს დღე წმიდა ბარბარეს დღეს დაუკავშირა და ხალხშიც ამგვარი შერწყმული ფორმით არის შემორჩენილი.

**შობა**. ბარბალობის შემდეგ, 25 დეკემბერს (ძვ. სტილით - 7 დეკემბერს), შობის დღესასწაული დგება. რაჭა-ლეჩხუმში იგი ჭანტილობით (წანდილობით), ქართლში კი - კორკოტობით იწყება (წანდილი კანგაუცლელი ხორბლის ფაფაა, კორკოტი კი - კანგაცლილისა და დაბეგვილის (დანაყილისა).

ხალხური ტრადიციით, ამ დღეს ხარებს არ შეაუღლებდნენ, სადმე შორს არ წავიდოდნენ და რაიმე დიდ საქმეს არ წამოიწყებდნენ. კორკოტის ჩადგმის შემდეგ ოჯახიდან გარეთ არაფერს გაიტანდნენ და მეზობლებში დარჩენილ ნივთს დაიბრუნებდნენ. მოხუცთა თქმით, ვინც შობას არ უქმობს, ის მთელი წლის განმავლობაში დაიტანჯება, გაწვალდებაო.

კორკოტი მიცვალებულის სახელობაზე მომზადებული კერძია. რადგან ხორბალი საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე ადამიანის ძირითადი საკვები იყო, ხალხური რწმენით, იგი მიცვალებულსაც უნდა მიეღო. როცა წანდილს ან კორკოტს ჩამოატარებდნენ, "მკვდარს მიუვიდეს", "მიაგებოს უფალმაო", - იტყოდნენ.

ქრისტეშობის დღე ქრისტეს, როგორც მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ღვთაების, წმიდანის დაბადების დღეა, ამიტომაც ხარშავენ ამ დღეს კორკოტს და მას ბუნების ძალებით აღორძინებას, მთელი წლით სიკეთის დაბევებას მიაწერენ. ეს სიკეთე ადამიანმა მარტო როდი უნდა მოიხმაროს - იგი სხვებთან ერთად უნდა გაიზიაროს, ამიტომ კორკოტს მეზობლებში ჩამოატარებდნენ - "მადლიაო", - იცოდნენ თქმა.

ქრისტეშობის დღეს, უცილობლად, საკლავიც უნდა დაეკლათ. ზოგ კუთხეში ხარის რქებზე შემოვლებულ მამალს, ან საგანგებოდ გასუქებულ ღორს დაკლავდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კი (ფშავ-ხევსურეთი) ცხვარსა და ხბოს კლავდნენ. რაჭასა და იმერეთში საშობაო ტაბლის გაწყობა იცოდნენ ღორის თავით, სანთელ-განატეხით, ლობიანებით, ხაჭაპურებით, ხილითა და ტკბილეულით (გოზინაყით, ტკბილი კვერით, ჯანჯუხებით).

შობა რომ გათენდებოდა, სოფლის ახალგაზრდობა (უმეტესად - ბავშვები) ძველმან ტანსაცმელში გამოეწყობოდა, ხელში გრძელ ჯოხსა და კალათს (ან ბოხჩას) დაიჭერდა და კარდაკარ ალილოზე სიარულს დაიწყებდა გალობით:

"ალილო, ალილო, ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსაო და..."

ვის კარზედაც შეჩერდებოდნენ, ჯოხით დააბრახუნებდნენ და სიმღერას წამოიწყებდნენ:

"ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავკარ
კალათასა,
ამოიღე ერთი კვერცხი, ღმერთი მოგცემს
ბარაქასა.
არიელი, მარიელი, ნუ გაგვიშვებ ცარიელი
ღმერთმა წმინდათ გაგითენოთ შობა-
ახალწელიწადი".

ალილოზე მოსულთ ოჯახში შეიპატიჟებდნენ: "ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, სიკეთე გიმწყალობოთო", კარგად გაუმასპინძლდებოდნენ და ხელდამშვენებულთ (დასაჩუქრებულთ) გამოისტუმრებდნენ. მათ, ვინც სახლში არ შევიდოდა, კვერცხს, ხაჭაპურის ნატეხსა და ჩურჩხელას მიაწოდებდნენ. შემდეგ, შეგროვილი ნობათით, ახალგაზრდები სადმე შეიყრიდნენ თავს სამხიარულოდ და დროს გასატარებლად.

**კალანდა**. დამთავრდებოდა შობა და იწყებოდა ახალი წელი. დგებოდა კალანდა. ეს დღე იყო ძველი წლის გაცილების, მისი ავისა და კარგის შეფასების, ამასთან, ახლის შეხვედრის, სამომავლო ბედნიერებისა და სიხარულის მომნიჭებელი. იგი ყველას უნდა ეზეიმა - დიდსა და პატარას, უფროსსა და უმცროსს, ბატონსა და გლეხს, მეფესა და მრევლს.

გამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოსს, ვახუშტი ბაგრატიონს აღწერილი აქვს საქართველოს სამეფო კარის საახალწლო წესი: "ახალ წელს, ერთ იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკვლევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა და სანუკვარსა შაქრისასა".

სამეფო კარის მოხელეებს (მსახურთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი) შესაფერი საჩუქრები უნდა მიერთმიათ მეფისათვის, ხოლო ერისთავებს - ჯაგლაგა ცხენები. იცოდნენ ისრის მირთმევაც, რომლითაც შეაჩვენებდნენ მეფის ორგულთ: "მრავალჟამიერ ჰყოს ღმერთმა მეფობა თქვენი მრავალ წელს და ისარი ესე გულთა შინა განერთხოს მეფობისა თქვენისა ორგულს".

ერისთავების მირთმეულ ცხენებს დახოცავდნენ და შემოღობილ ადგილზე დატოვებდნენ, სადაც უამრავი მხეცი მოიყრიდა თავს, ხოლო დილით ამ მხეცებზე ინადირებდა მეფე.

ახალი წლის ზეიმთან მრავალი სიმბოლური საგანი და რელიგიური რწმენაა დაკავშირებული. ამ მხრივ გამორჩეულია განტოტებული საახალწლო ხის ჩიჩილაკის მორთვის წესი. ჩიჩილაკი, როგორც სიცოცხლის სიმბოლიკა, ნაყოფიერებისა და ბედნიერების ხის განსახიერებაა. როგორი იყო იგი?

განსაკუთრებით ლამაზ ჩიჩილაკს გურიასა და სამეგრელოში აკეთებდნენ. სამეგრელოში მას ოჯახის უფროსი - მოხუცი ამზადებდა, საამისოდ თხილის მსხვილ ჯოხს აიღებდა, ჯერ ცეცხლზე გაახურებდა, რომ მოდრეკილიყო, კანს გააცლიდა და დანით ბოლოდან წვერისაკენ ჩათლას დაუწყებდა. ბურბუშელების ფენა თანდათან უწყვეტად ქვემოდან ზემოთ იკეცებოდა. მერე მათ ღერძზე გადმოფენდა, რის შედეგადაც ჩიჩილაკს ხის ფორმა ეძლეოდა. შემდეგ ჩიჩილაკს საყრდენს გაუკეთებდა, წვერზე კი, რომელსაც დანით ჩაჭრიდა ან ჯვარედინად ჩახეხავდა, ჯვრის ფორმის ჯოხს ჩაუმაგრებდა. ამ უკანასკნელს წვეროებზე ოჯახის წევრები ვაშლებს ან ბროწეულებს ჩამოაცმევდნენ, ჩიჩილაკს კი სხვადასხვა სამკაულებით, ფერად-ფერადი ძაფებით, ხილით, ჩურჩხელებით, კანფეტებით მორთავდნენ, ვერცხლის ფულებს ჩამოჰკიდებდნენ.

გურიაში ტრადიციული იყო კალპიანი (რგოლიანი) ჩიჩილაკი. კალპს, რომელსაც მარადმწვანე სუროსაგან და წითელმარცვლიანი კურკანტელის ღერწისაგან წნავდნენ, გვირგვინივით ადგამდნენ ჩიჩილაკს. კალპზე კი ყველითა და კვერებით შეზავებულ გულჩაღრმავებულ კვერს - "ბოკელს" დაადებდნენ, რომელზეც ჯვარს აღმართავდნენ.

რაჭაში კალპის მაგივრად ვაზის ლერწისაგან "გვირგვინის" მოწვნა იცოდნენ, რომელზეც სამეკვლეო ნობათი (მოხარშული ქათამი, ღორის თავი, ხაჭაპურები, ჩურჩხელები, ტკბილი კვერი და სხვა საგნები) ეწყო. ამ ნობათით ოჯახის უფროსი თავისიანებს ახალ წელს მიულოცავდა -





ილია ჭილაშვილის ნახატები

მიუკვლევდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ასეთ მისალოცს საკვლევარი, სამეკვლეო და მისაკვლევები ჰქვია, ქართლში კი ეს ტერმინი დროთა განმავლობაში "აბრამიანმა" შეცვალა. აქ საახალწლოდ და "აბრამიანზე" დასაწყობად აცხობდნენ "ბასილას" (ადამიანის ფორმის ნამცხვარს) და სხვადასხვა სახელწოდების ბედის კვერებს (კრუხ-წიწილას, ხარის რქას, ძროხის ძუძუს, ულელს, ქათმის კლანჭს, მზისა და მთვარის გამოსახულებას), რომელთაც შემდეგ ბავშვებს დაურიგებდნენ.

სვანეთში ყველიანი პურების გამოცხობა იცოდნენ. ამათგან ერთი ყველაზე დიდი ზომისა იყო, რომელსაც შუაში ჯვარი ჰქონდა გამოსახული. მოიმარაგებდნენ თაფლს, ყველს, ხორცს, სხვა პროდუქტებს და მათ გიდელში ჩააწყობდნენ. გიდელს კარებთან დაკიდებდნენ, რომ მეკვლეს მზად დახვედროდა. როგორც კი ირიჟრაჟებდა, ოჯახის უფროსი (კაცი) ადგებოდა და სულის შებერვით მინავლულ ცეცხლს გააღვივებდა. მერე დიასახლისს და ოჯახის იმ წევრს გააღვიძებდა, რომელიც ყველაზე კეთილი იყო, საქონელს ბაწარს გამოაბამდა და წინ გაიძღოლებდა. დედაკაცს ხორაგიან გიდელს აჰკიდებდა. ვიდრე შინ არ დაბრუნდებოდნენ, ერთმანეთს არ დაელაპარაკებოდნენ. წყალთან მივიდოდნენ, ხარს დაარწყულებდნენ. უკან მობრუნებულები კალოზე შეჩერდებოდნენ, თოვლის ზვინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ, შემობრუნდებოდნენ და სახლის კარებთან გაჩერდებოდნენ. ოჯახის უფროსი დააბრახუნებდა: "ყორ მუკიარ!" - კარი გამიღეთო. "ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე ყორ მუკიარ!" - ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გააღეთო, გაუღებენ, შევლენ, დასხდებიან. მაკვლიელი აიღებს ხელში დიდ, ჯვრიან პურს, დააწყობს ზედ ყველს, ხორცს, თაფლს, ვერცხლის ფულს, ჩამოუვლის ყველას და მიულოცავს. მერე სოფელს დაუვლიან - მეზობლებს მიულოცავენ. მონადირე ნიშანს დადგამს, ესვრის თოფს და თუ მიზანში მოახვედრა, ბედნიერი წლის დასაწყისად მიიჩნევენ.

სამეგრელოში ახალი წლის მეორე დღეს "ფერხობა" (ფერხვაობა) ჰქვია. თითოეულ ოჯახში ირჩევენ მეფეხურს, ფეხბედნიერ კაცს, რომელიც სხვაგან უნდა დაწვეს, ალიონზე წამოდგეს, თავისას მოვიდეს და ყველას მიულოცოს. ყოველი ავი და კარგი, რაც იმ წელს მოხდება ოჯახში, მეფეხურზე იქნება დამოკიდებული.

გურიაში ფერხაობას მეკვლეობა ჰქვია. მეკვლედ შეარჩევენ კეთილ, გამოცდილ კაცს, რომელმაც ახალი წლის გადასალოცი, სამჯობინარი უნდა იცოდეს. აქ სიტყვით გადალოცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. მასში შედის აგუნას გადაძახილი და მეფერხის ლოცვა. მოვიტანთ ერთ მათგანს:

"შემოვდგი ფეხი, გილოცავთ,
გწყალობდეს წმინდა ბასილი,
იმისი მადლით იყავით
პურით და ღვინით ავსილი.
ჩვენს ნაფეხურსა კვალი ჩნდეს,
სიწმინდე ანგელოზისა,
ისა გლოცავდეთ, გფარავდეთ,
უფლის მარჯვენით რომ ზისა.
გულზე ხატმისვენებული
მოვდივართ, მოგვიხარია"... და ა.შ.

ასეთია, მოკლედ, საახალწლო ციკლში შემავალი წეს-ჩვეულებები. როცა მათ ვუკვირდები, მეჩვენება, რომ ამ ძველ, დიდებულ, ლამაზ ტრადიციას დავიწყება არ უწერია. იგი ჩვენი წარსულის, ჩვენი კულტურის მონაპოვარია. ამ ტრადიციაში რწმენაც არის ჩადებული, პატიოსნებაც, მომავლის იმედიც და ღვთის მადლის დაფასებაც - უნდა გვჯეროდეს, რომ სიკეთე სიკეთეს წარმოშობს, სათნოება - სათნოებას და სიყვარული - სიყვარულს, შრომა - ხვავსა და ბარაქას, დოვლათსა და სიუხვეს.



ილია ქრელაშვილის ნახატი

# სად როგორ ხვდებიან ახალ წელს

ალბათ, არც ერთ დღესასწაულზე არ ვლინდება ხალხის ხასიათი, მისი ადათები და ტრადიციები ისე მკაფიოდ, როგორც ახალი წლის დღესასწაულზე.

**იაპონიაში** ძველთაგანვე არსებობს ტრადიცია - ახალი წლის ღამეს ქალაქებსა და სოფლებში ყველა ტაძრის ზარები 108-ჯერ რეკავენ. ზარს რეკენ უმძიმესი მორით, რომელსაც ორ თოკზე ჰორიზონტალურად ჰკიდებენ. მორს აქანავებენ, შემდეგ კი მთელი ტორსით ზარს ახლიან. ზარების რეკვას დღეს იაპონიაში უკვე რადიოთიც გადმოსცემენ. ციფრი 108 კი შემთხვევით არ გაჩენილა. იაპონელები თვლიან, რომ ადამიანს აქვს ექვსი ნაკლი. ეს არის სიძუნწე, ბოროტება, სისულელე, ქარაფშუტობა, მერყეობა და სიხარბე. თითოეულ ამათგანს კი აქვს 18 სხვადასხვა ფერი. ზარის რეკვისას ამ ნაკლთაგან ადამიანი თანდათან განიწმინდება. წესის მიხედვით, იაპონელი ზარის ბოლო ჩარეკვისთანავე უნდა დაწვეს დასაძინებლად, რომ გამთენიამდე ადგეს, გამოვიდეს ქუჩაში და ახალ წელს ამომავალი მზის პირველ სხივებთან ერთად შეხვდეს. დილაობით იაპონელი ქალები გამოეწყობიან ხოლმე კიმონოებში. ქუჩა ხალისდება, ათასფერდება, უცებ ედება სადღესასწაულო ელფერი. ბამბუკის ღეროებით, აყვავებული ქლიავისა და ფიჭვის რტოებითაა მორთული სახლები, რომელთა კარებზეც გვიმრებით შეკრული ხილის კონები ჰკიდია. ამ დღეებში იაპონურ ოჯახში აკეთებენ სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ქაღალდის გველებს, კაშკაშა ფერებით ღებავენ მათ და ახალი წლის ღამეს ცაში უშვებენ. წლის პირველ დღეებში იაპონელები ერთმანეთთან სტუმრობენ და ახალ წელს ულოცავენ.

**კორეაში** ერთ-ერთი აუცილებელი რიტუალი იყო გარდაცვლილი ახლობლების სახელზე მსხვერპლის შეწირვა. მათთვის სპეციალურად იშლებოდა სუფრა. მხოლოდ წინაპრებისათვის პატივის მიგების შემდეგ იწყებოდა მხიარულება და საახალწლო მილოცვები.

**ჩინელები** კი საახალწლო რიტუალში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახის - ცოცხლებისა და მათი გარდაცვლილი წინაპრების ერთიანობას.

ახალი წლის დამდეგს ყველა ოჯახიდან ორი ადამიანი - მამაკაცი და პატარა ბიჭი მიდიოდა სასაფლაოზე, ისინი წინაპართა საფლავებთან კანაფის კონას წვავდნენ და სთხოვდნენ გარდაცვლილ ოჯახის წევრებს შინ დაბრუნებას; ამის შემდეგ სახლში ბრუნდებოდნენ ანთებული ჩირაღდნებით, დამწვარი კანაფის კონას საოჯახო საკურთხეველზე ათავსებდნენ და ხუთი დღის მანძილზე ოჯახის წევრები თაყვანს სცემდნენ მას. საზეიმო ვახშმის შემდეგ წინაპრებს კვლავ მიაცილებდნენ საფლავამდე. ეს ადათი ოჯახის ერთსულოვნებას და წინაპართა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა. საახალწლო საზეიმო დღეების დასასრულს ჩინეთში "წლის პირველი ღამის" დღესასწაული იმართებოდა. ეზოებსა და ქუჩებს გაანათებდნენ უამრავი სხვადასხვა ფერისა და სიდიდის ნათურით. ეს ძველისძველი მაგიური რიტუალი ქვეყნად სიცოცხლის მარადიულობას გულისხმობს. ჩინელთა რწმენით, ანთებული ჩირაღდნები, ნათურები და ფარნები ცოცხლებისა და გარდაცვლილების ერთიანობასაც ასახავდა.



ანასტასია ლოგვინენკოს კოლაჟი

მეტად თავისებურად აცილებენ ძველ წელს **არგენტინის** მრავალრიცხოვან დაწესებულებათა თანამშრომლები. უძველესი ტრადიციის თანახმად, ისინი ფანჯრებიდან ყრიან მაგიდის ძველ კალენდრებს, ყავლგასულ უწყებებს, ბლანკებს, ცირკულარებს, დადგენილებებსა და ბრძანებებს. ორიოდ საათში ბუენოს-აირესის ყველა ქუჩა ქაღალდის სქელი ფენით იფარება. არავინ იცის, საიდან მოდის ეს ტრადიცია. სამაგიეროდ, ცნობილია უამრავი კურიოზი, ძველი წლის გაცილების დღეს აქ, როგორც წესი, რომ "ამშვენებს".

**ინდოეთში** სწამთ, რომ ახალი წლის პირველ დღეს არავინ არ უნდა იყოს ბოროტი, გაბრაზებული ან გაღიზიანებული. აქ თვლიან, რომ ახალი წლის პირველ დღეს როგორც დაიღამებ, მთელი წელიწადიც ისეთი გექნება. ინდოელები გვარწმუნებენ, რომ ბედნიერი ის იქნება, ვინც ადრიანად ადგება, განიბანება და ჩავლილი და მომავალი თავისი ცხოვრების გაანალიზებასაც მოასწრებს.

**იტალიელებსაც** არანაკლებ საინტერესო საახალწლო ჩვეულება აქვთ. ახალი წლის ღამეს ოჯახისათვის ზედმეტ ბარგად ქცეულ ნივთებს ისინი თავიანთი ბინებიდან ეზოებში ან პირდაპირ ქუჩებში ყრიან. ძირითადად, ეს არის დამტვრეული ავეჯი. აქ ითვლება, რომ ეს ოჯახს ახალ წელს კეთილდღეობას მიანიჭებს. მიმავალი წლის ბოლო წუთებში იტალიელები ცდილობენ, აირიდონ უსიამოვნებები, ერიდებიან ფულის სესხება-გასესხებას. ცდილობენ, ყველა საქმე აუცილებლად მოიმთავრონ. ამ დროს კი მათი პატარები წუთებს ითვლიან და გულისფანცქალით ელოდებიან მოხუც კეთილ ჯადოქარ ბეფანს, სახლებში ბუხრის მილიდან რომ ძვრება და ყველა ბავშვის ფეხსაცმელებში საჩუქრებს აწყობს.

# 2003 - ცხვრისა და თხის წელიწადი



ვარსკვლავთმრიცხველები ანუ ასტროლოგები სერიოზული ხალხია. ისინი ამბობენ, რომ დამდეგი, 2003 წელი სიყვარულით გამორჩეული წელი იქნება. ხუთი დიდი პლანეტა: იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი ისეთ ურთიერთობებს შეკრავს ერთმანეთთან, რომ ადამიანებს მოყვასის მიმართ სითბოთი და სიყვარულით განაწყობს.

საგულისხმოა, რომ 2003 წელი იაპონური ასტროლოგიის მიხედვით იქნება ცხვრის წელიწადი, ხოლო ჩინური ასტროლოგიის მიხედვით - თხის წელიწადი. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ ჩინელებს თხა უფრო უყვართ, იაპონელებს კი - ცხვარი.

მოდი, ჩვენ ასე ჩავთვალოთ: 2003 წელი არის ცხვრისა და თხის წელიწადი! ასე არც იაპონელებს დავწყვიტავთ გულს და არც ჩინელებს.







და რადგან ცხვარსაც და თხასაც ძალიან უყვართ ბალახი, აუცილებელია, საახალწლო სუფრაზე ბევრი მწვანილი გვეწყოს. მწვანილთან ერთად, რა თქმა უნდა, ბლომად უნდა მოვიმარაგოთ შოკოლადი, ტკბილეული და რძის პროდუქტები.

ცხვარსა და თხას უკავშირდება ისიც, რომ ახალი წლის შემობრძანებას ზარის რეკვით უნდა შევეგებოთ.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ ვარსკვლავთმრიცხველები გვაიმედებენ: 2003 წელი ყველა ჩვენგანისათვის ბედნიერი წელი იქნება.



მზია შარაშიძის ნახატები

## როგორ მოვუაროთ საშობაო ხეს



ხელოვნური საშობაო ხეების დიდი არჩევანის მიუხედავად, შობა ბევრისთვის შობა არ იქნება ტრადიციული ნაძვის ან ფიჭვის ქორფა სურნელის გარეშე. აი, რამდენიმე რჩევა იმისთვის, რომ თქვენმა საშობაო ხემ ძველით ახალ წლამდე შეინარჩუნოს თავისი თვისებები.

**ყიდვისას:** ბოლო წუთამდე მოცდამ შეიძლება უკვე გამომშრალი ხე შეგახვედროთ. წინასწარ იყიდეთ ქორფა ხე და ვედროში ჩადეთ მანამ, სანამ დაგჭირდებათ;



**შესახედაობა:** მუქი ფერი და ძლიერი სურნელი მიანიშნებს, რომ ხე სულ ახალი მოჭრილია;

**მდგომარეობა:** ტოტს ხელი დაუსვით. წიწვები წინანდელ ადგილს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოცვივდეს;

**მოვლა:** ხის ღეროს ძირი 30 სმ-ის სიმაღლეზე გადახერხეთ, მოაშორეთ გამხმარი ნაწილი და მიეცით ხეს საშუალება, წყლით გაიჟღინთოს. მოათავსეთ ხე მსხვილ ქვიშაში ან ხრეშით სავსე ვედროში – დაუმატეთ იმდენი წყალი, რამდენიც საჭიროა. არ ჩადგათ ხე მიწაში ან წვრილ ქვიშაში, რადგან ღეროს ფორები შეიძლება დაიხშოს;



**უსაფრთხოება:** მოათავსეთ ხე სახლის ყველაზე გრილ ნაწილში, ბუხრისა და გათბობის რადიატორებისაგან მოშორებით, რათა ხელი შეუშალოთ გამოშრობასა და შემთხვევით მოხვედრილი ნაპერწკლებისაგან ხის აალებას;



მეტისმეტად არ დატვირთოთ დენის სადენები. შეამოწმეთ, ხომ არ არის ხეზე გაცვეთილი ან ლიად დატოვებული მავთული, გატეხილი ან გაბზარული ნათურები;

**გადაგდება:** გამოყენებულ ხეს შეეშახვიეთ თბოიზოლაცია ან დაწვით ბუხარში.

© GRAPHIC NEWS

### შობის დღესასწაულის საყვარელი გმირი - სანტა კლაუსი

## იდგა შობის ღამე...

ამ ღამით, როგორც წესი, თეთრწვერა, მოხუცი სანტა მარხილში ირმებს აბამს, საჩუქრებს იმარაგებს და ბავშვების გასახარებლად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას იწყებს.

თუმცა, იყო დრო, როდესაც სანტას წმინდა ნიკოლოზის სახელით იცნობდნენ.

ის 1722 წლის წინ დაიბადა. იყო ეპისკოპოსი და ღარიბ-ღატაკებს მუდამ ხელგაშლილად ეხმარებოდა... მოგვიანებით წმინდა ნიკოლოზს სხვადასხვა სახელები დაარქვეს: პერე ნოელი, სინტე კლაასი, ვაინახტსმანი ან უბრალოდ მოხუცი თოვლის ბაბუა.

1931 წლიდან, "კოკა-კოლას" დამსახურებით, სანტამ იმიჯი კიდევ ერთხელ შეიცვალა - მან "კოკა-კოლა" შეიყვარდა და რეკლამებზეც გამოჩნდა - თეთრი წვერით, სასაცილო წითელი ქუდითა და წითელი სამოსით. მას შემდეგ ყველა ბავშვს პერე ნოელიც, თოვლის ბაბუაც და სანტა კლაუსიც ზუსტად ასეთი წარმოუდგენია: მოხუცი, კეთილი და მსუქანი კაცი, რომელსაც ზურგზე საჩუქრებით სავსე დიდი ტომარა აქვს მოკიდებული და "კოკა-კოლას" ბოთლიდან სიყვარულით გეილიმის.

სანტა კლაუსის სახელი კიდევ მრავალი პროდუქტის სარეკლამოდ გამოიყენეს. მან ამერიკელებმა რძეც შეაყვარეს და სხვა ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულ სარეკლამო კამპანიაში გადაიღეს.

ერთი პერიოდი ხმა გავარდა, სანტა კლაუსი რუსეთ-ფინეთის საზღვარზე, მთაში ცხოვრობსო და ტურისტულმა სააგენტოებმაც დიდი სიამოვნებით იტვირთეს ცნობისმოყვარე ბავშვებისა და მათი მშობლების სანტასთან შეხვედრა...



თუმცა, შემდეგ ეს ხუმრობ ჩაცხრა და სანტა კლაუსმა ისევ "კოკა-კოლას" რეკლამებში განაგრძო ცხოვრება...

თუმცა, ამასობაში ხომ არ დავავიწყდით? ჩვენ ესაუბრობდით კეთილ სანტაზე, რომელიც შობის ღამეს მარხილში შეაბამს თავის ირმებს, ზურგზე საჩუქრებიან ტომარას მოიგდებს და დაიწყებს ამ ქვეყნად ყველაზე კეთილშობილ მოგზაურობას სიყვარულის და მშვიდობის გასავრცობად...

•

კიდევ ერთი: სანტას ირმებიდან ყველაზე ცნობილი წითელცხვირა რუდოლფია. თუმცა, პატრონს დანარჩენი ირმებიც ერთნაირად ემსახურებიან. გაიცანით ისინიც: დეშერი და დენსერი, პრენსერი და ვიქსენი, კომეტი და კუპიდონ და დონერი და ბლიცენი.



| ფაქტები: | |
|---|---|
| დაიბადა | თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ჩვ.წ.აღ-ით 280 წელს. |
| ცუდი მოგონება: | როგორც ქრისტიანი ეპისკოპოსი, რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ დააპატიმრა. |
| ის რაც ძალიან ახარებს: | რეგულარულად ლიდერობს ბავშვების გამოკითხვაში, როგორც ყველაზე პოპულარული პერსონა. |
| მიზანი: | გაახედნიეროს ბავშვები და დაამყაროს მშვიდობა მსოფლიოში. |

© GRAPHIC NEWS

## მეშვიდე სერია



# საახალწლო ზღაპარი



თამარ ფხაკაძე

ერთ დაბურულ ტყეში პაწია ქოხი იდგა, - ისეთი კოხტა და მყუდრო, - სათამაშო გეგონებოდათ. იმ ქოხში პატარა, სულ ექვსი თუ შვიდი წლის ჯადოქარი ცხოვრობდა. სახელად კიარა ერქვა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა ჯადოქარი ის იყო! ჯერ ჯადოქრობის გამოცდა არ ჰქონდა ჩაბარებული. ჰოდა გამოცდა კარს ედგა. ახალი წლის ღამეს, ზუსტად 12 საათზე ჯადოქართა ფულუროში უნდა მისულიყო და ჯადოქრობის 500 წესი სულ ზეპირად უნდა ჩამოერაკრაკებინა.

საღამო ხანი იყო. ახალი წლის ღამე დგებოდა. პატარა ჯადოქარი კიარა ბუხრის წინ იჯდა, მუხლებზე სქელი წიგნი ედო. წიგნს ყდაზე ეწერა: “ჯადოქრობის წესები”. პატარა ჯადოქარი კიარა სწორედ ბოლო, მეხუთასე წესს იზეპირებდა:

- სპილო რომ ხოჭოდ გადავაქციოთ, ამისათვის სამჯერ უნდა ვთქვათ: აკრა, ბაკრა, ბუკრა. აკრა, ბაკრა, ბუკრა...

გარეთ ბარდნიდა. პატარა ჯადოქარმა წიგნი გვერდზე გადადო და ფანჯარას მიაჩერდა.

- უჰ, რა გემრიელად ბარდნის?! ტყის იქით, სოფელში, ჩემხელა ბავშვები ახლა ახალი წლის შესახვედრად ემზადებიან. ნაძვის ხეებს რთავენ ბრჭყვიალა სათამაშოებით, მხიარულობენ... ზუსტად 12 საათზე ცაში ფერად-ფერად შუშხუნებს აისვრიან, ნამცხვრებით, გოზინაყით ყელს ჩაიტკბარუნებენ... მე კი... ეჰ! აკრა, ბაკრა, ბუკრა... დიდი რამეცაა სპილოს ხოჭოდ გადაქცევა! იყოს სპილო, რა! მე რას მიშლის...

პატარა ჯადოქარმა წიგნი აიღო და ისევ წესების გამეორებას მოჰყვა.

- წესი №450. კუს გაშეშება. კუ რომ ადგილზე გავაშეშოთ, ცერა თითზე სამჯერ უნდა ვიკბინოთ, მარცხენა ყურზე ვიპწკინოთ და ორჯერ ვთქვათ: დარია, ბარია, კუ!

მაგრამ სულ მალე პატარა ჯადოქარმა წიგნი ისევ განზე გადადო...

ბუხარი მხიარულად გუზგუზებდა. კიარამ შარვლის ჯიბიდან მოხალული მიწის თხილი ამოაცოცა და ჩააკნატუნა. თვალი ისევ ფანჯრისკენ გაექცა.

- იფ, რას თოვს?! რა სჯობია ახლა ბავშვებთან ერთად მხიარულებას...

ახალი წლის ღამეს ჯადოქრების ფულუროში წასვლა და გამოცდის ჩაბარება სულაც არ მეხალისება! ეჰ, ნეტავ ჩვეულებრივ ბავშვად დავბადებულიყავი... რად მინდოდა ეს ჯადოქრობა!

პატარა კიარამ ამოიოხრა და საათს შეხედა.

- 11 საათია. ერთი საათიც და ახალი წელი დადგება. ეჰ, დროა ფულუროს გზას გავუდგე...

ამ დროს კედლის საათიდან გუგული გამოხტა და დაიძახა:

- თერთმეტი საათია! გუ-გუ, გუ-გუ... გუ-გუ... კიარა, გინდა ჩვეულებრივი ბავშვი გახდე?

პატარა ჯადოქარი სკამზე შეხტა გაკვირვებისაგან.

- მი...ნდა... - თქვა მან ძალიან დაბნეულად.

- მაშინ, მისმინე. თუ 12 საათამდე რამე ძალიან, ძალიან კეთილ საქმეს გააკეთებ, ჩვეულებრივი ბავშვი გახდები!

- კი მაგრამ... - სულ დაიბნა პატარა ჯადოქარი.

- უნდა მოასწრო, კიარა! გუ-გუ, გუ-გუ, - დაიძახა გუგულმა და საათში შეიმალა.

პატარა ჯადოქარი ბუხარში მოგუზგუზე ცეცხლს მიაშტერდა და ფიქრი დაიწყო:

- რა სიკეთე უნდა გავაკეთო? აბა, ასე უცებ... ასე მოუფიქრებლად... ან ვის სჭირდება ახლა ჩემი სიკეთე? მოდი, ზღარბს დავუძახებ და მიწის თხილს ვაჭმევ! თუმცა, ეს რა სიკეთეა... მიწის თხილი ზღარბსაც ბევრი აქვს...

- მაშინ, ავდგები და ყვავს ვეტყვი, ძალიან ლამაზად გალობ-თქო... მაგრამ, ეს ხომ ტყუილია. ტყუილი რაღა სიკეთეა?

- მოდი, ვინმეს ღამეს გავათევინებ ჩემს ქოხში. გავათბობ. მაგრამ ვის?.. არავინ რომ არ სჩანს?

- რა ვქნა, ასე უცებ არაფერი სიკეთე არ მაგონდება! ისევ გამოცდაზე გავიქცე, ის აჯობებს!

პატარა ჯადოქარმა ქურქი მოიცვა, ფეხები მაღალ ბოტებში ჩადგა და გზას გაუდგა. იღლიაში ჯადოქრობის წესების წიგნი ჰქონდა ამოჩრილი.

უჰ, რას ბარდნიდა, რომ იცოდეთ! ციდან დიდრონი, ბრჭყვიალა ფიფქები ცვიოდა და ცვიოდა, არ ილეოდა!

მთელი ტყე თეთრ ქურქში გახვეულიყო.

კურდღლის სოროს რომ ჩაუარა, პატარა ჯადოქარმა ფეხები განგებ ააბაკუნა თოვლზე, - იქნებ, ვინმემ დამიძახოს მისაშველებლად, იქნებ ვინმეს კეთილი საქმე სჭირდებაო... მაგრამ სოროში ბაჭიებს ისეთი ცეკვა-ბუქნა გაუდიოდათ, პატარა ჯადოქრის ფეხების ბაკუნი არავის გაუგია.

ეჰ, კურდღლებიც მხიარულობენ ახალი წლის ღამეს. ახალ წელს ცეკვა-თამაშით ეგებებიან! მე?! გამოცდა. კუს გაშვება... აკრა-ბაკრა... კურდღლად მაინც დავბადებულიყავი!

პატარა ჯადოქარი ახლა ზღარბების სოროს გაუსწორდა. ისევ შეანელა ნაბიჯი და ფეხები ააბაკუნა, მაგრამ არც აქ გაუგია ვინმეს რამე.

მიდის, მიდის კიარა და აგერ, დათუჩას ბუნაგი გამოჩნდა. ჩქამიც არ ისმის. თუმცა...

პატარა ჯადოქარმა ყურები დაცქვიტა.

- ფხხხხ... ბხხხხხ...

ნეტავ რა ხმაა?

კიარამ ბუნაგის სარკმელში შეიჭყიტა. ხედავს, დრუნჩა ტახტზე წამოგორებულა და ხვრინავს. მაგიდაზე თაფლი, გოზინაყი და მორთული ჩიჩილაკი დევს. კედლის საათზე კი თორმეტს ათი წუთი აკლია.

- დახეთ, - გაიფიქრა პატარა ჯადოქარმა, - დათუჩა ახალი წლის შესახვედრად მომზადებულა, ჩიჩილაკიც მოურთავს, თვითონ კი ჩასძინებია. რა ცოდოა! ახალი წელი ზუსტად ათ წუთში დადგება, დათუჩას კი სძინავს! ეჰ, ფულუროში გამოცდაზე რომ არ მიმეჩქარებოდეს, გავაღვიძებდი, მაგრამ რა ვქნა! გამოცდაზე მაგვიანდება...

პატარა ჯადოქარი კიარა ფანჯარას მოშორდა და გზას გაუდგა. თან 428-ე წესის გამეორება დაიწყო ზეპირად:

- წესი 428. აქლემის აფრენა. აქლემი რომ ცაში ავაფრინოთ, ამისათვის... ამისათვის...

- ეჰ, არა, არა, ცოდოა დათუნია, - გაიფიქრა პატარა ჯადოქარმა, - მერე ძალიან დაწყდება გული, ახალ წელს ვერ შევხვდიო. წავალ, უცებ გავაღვიძებ...

შემოტრიალდა და დათვის ბუნაგისკენ გაიქცა.

- კაკ-კუკ! კაკ-კუკ! - მიუკაკუნა დათუჩას ბუნაგის კარზე პატარა ჯადოქარმა.

ვერა, ვერ გააღვიძა.

- ბრახ-ბრუხ! ბრახ-ბრუხ! - ახლა მუშტები დააბრახუნა კარზე პატარა ჯადოქარმა.

დათუჩა დაფეთებული წამოხტა და კარს ეცა. გამოაღო და კიარა დაინახა.

და სწორედ ამ დროს...

- ძინ! ძინ! ძინ!

კედლის საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა და ახალი წელი შემობრძანდა.

დათუჩა ძალიან გახარებული იყო, რომ გააღვიძეს. ძალიან, ძალიან ბედნიერი იყო, რომ ახალი წლის შემობრძანება არ გამოეპარა.

- კიარა, რა კარგ დროს მოხვედი! ეს რა სიკეთე მიყავი... - ბურდღუნებდა გახარებული დრუნჩა.

- სიკეთე? - გაუკვირდა პატარა ჯადოქარს. სულაც არ უფიქრია, სიკეთეს ვაკეთებო და უცებ შენიშნა, რომ “ჯადოქრობის წესების” წიგნი აღარსად იყო! აღარსად იყო და მორჩა! იმიტომ, რომ კიარაც აღარ იყო ჯადოქარი!

- ძინ! ძინ! ძინ! - ისევ რეკდა საათი საზეიმოდ და მხიარულად.

და უცებ, კიარა შუაგულ სოფელში, ერთი კოხტა სახლის კართან გაჩნდა. კარი გაიღო და ოთახიდან ბავშვები გამოცვივდნენ. მხიარულები. ლოყებდატკუცულები.

- მეკვლე, მეკვლე მოვიდაო! - დასძახეს ბავშვებმა და ბედნიერი კიარა სახლში შეარბენინეს!

აი, ასე იყო ეს ამბავი.

“ჯადოქრობის წესების” წიგნი სად გაქრა, გაინტერესებთ? ის სქელი წიგნი თანდათან დაპატარავდა, დაპატარავდა და გარედან ბრჭყვიალა ასოებით დაეწერა “საახალწლო ზღაპარი”. იმ თოვლიან ახალი წლის ღამეს წიგნმა იფრინა, ფიფქებთან ერთად იბზრიალა, გადაუფრინა ტყეებს, მინდვრებს, სოფლებს და ჩემს აივანზე დავარდა.

მეც, ბევრი არ მიფიქრია, - თქვენ გიამბეთ იგი. მოგეწონათ?



მზია შარაშიძის ნახატები

# ციმციმა

## (საშობაო ზღაპარი)

დალი კუპრავა

ერთ ძალიან ლამაზ ბაღში ათასნაირი ყვავილი ხარობდა. წელიწადის სამ დროს ყვავილობდნენ. ზამთრობით კი მზის ამოსვლას სიხარულით ეგებებოდნენ, ერთმანეთს მოიკითხავდნენ და ამბების თხრობას იწყებდნენ. ყველას მონათხრობი თავისმოსაწონებელი იყო. ერთი მოყვებოდა, თუ როგორ შეაქო ულამაზესმა ქალბატონმა ზაფხულში, მეორე მისი სურნელით აღტაცებული ვაჟის თვალებს იხსენებდა, მესამე კი ყვებოდა, როგორ მოიწონეს დედოფლის თაიგულისათვის. და ასე გრძელდებოდა მთელი ზამთარი - მზის ჩასვლისას შეწყვეტილ ამბავს მზის ამოსვლისას აგრძელებდნენ.

მათ საუბარს თუ ყურს დაუგდებდი, ზოგჯერ ძალიან მორიდებულ ხმასაც გამოარჩევდი:"იცით, მე…", მაგრამ ამ ხმას სხვა, უფრო ამაყი და მომთხოვნი ხმა ფარავდა, რომელიც თავის ამბავს ყვებოდა.

სუსტი, მორიდებული ხმა ერთი პატარა ყვავილისა იყო, რომელიც მიწასთან ახლოს ცხოვრობდა, რომ იტყვიან, მიწას ძლივს აჩნდა. ყვავილები მას ზედაც არ უყურებდნენ, უფრო სწორად, ვერც ამჩნევდნენ – ისინი სულ მაღლა და გვერდით იყურებოდნენ, აბა ვინ შეგვაქებსო.

როგორც ზამთარს შეჰფერის, მოთოვა და ბაღი თოვლმა დაფარა.

ერთ ღამეს, ძალიან გვიან, როცა ბავშვებს უკვე სძინავთ, ბაღში პატარა გოგონა და ბიჭი შემოვიდნენ. გოგონა ბიჭს არ ელოდებოდა, წინ მიდიოდა და გაფაციცებით რაღაცას ეძებდა.

-იქნებ არც არსებობს, რა იცი?

- აბა რას ამბობ, როგორ შეიძლება, არ არსებობდეს… აუცილებლად ვნახავ… შენ თუ გინდა, დაბრუნდი, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა გოგონა და ძებნას განაგრძობდა. ბოლოს გახარებული გაიქცა ბაღის ბოლოსკენ: " ვიპოვე… ხომ გეუბნებოდი, ვნახავმეთქი… ნახე, როგორ ციმციმებს".

გოგონა მუხლებზე ჩაცუცქულიყო მორიდებულ ყვავილთან და ეალერსებოდა:

- ჩემო ლამაზო, ჩემო ციმციმა ყვავილო, როგორ მიხარია, რომ გიპოვე!

ბიჭმაც გოგონას გვერდით ჩაიმუხლა, ცხვირით მხარზე ეგლასუნებოდა, ყურადღებას ითხოვდა და ეხვეწებოდა: "ახლა მაინც მიამბე, მოძებნაში მეც ხომ გეხმარებოდი…. ხომ დამპირდი, მოგიყვებიო?!"

ბავშვების ხმაურმა ჩაძინებული ყვავილები გამოაღვიძა, თვალები მოიფშვნიტეს, მიიხედ-მოიხედეს და ის იყო, უკმაყოფილოდ უნდა დაეწუწუნათ, რა ამბავია, ვინ ხმაურობსო, რომ გოგონამ მოყოლა დაიწყო და ყვავილებსაც მეტი რა უნდოდათ, ამბებზე ჭკუას კარგავდნენ.

- თურმე, ძალიან დიდი ხნის წინათ,-დაიწყო გოგონამ, თან თავსაფარს ისწორებდა, - ზამთრის ყინვიან ღამეს, როცა ცაზე მოკაშკაშე უცხო ვარსკვლავი გაჩნდა, მოგალობე ანგელოსების გუნდი დედამიწას მოეფინა. იმ ღამით ბევრი საოცრება მოხდა - ეს საჩუქრების ღამე იყო, თითქოს რაღაც დიდი დღესასწაულის ნიშანი.

იმასაც ამბობენ, რომ სწორედ იმ ღამის შემდეგ დედამიწაზე ისეთი სილამაზე გაჩნდა, რომელსაც დანახვა სჭირდება და რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

განთიადისას, როცა ანგელოსებს დედამიწაზე ყოფნის რამდენიმე წამიღა ჰქონდათ დარჩენილი და ის-ის იყო, ცაში უნდა აკრეფილიყვნენ, ყოველმა მათგანმა უკანასკნელად გადმოხედა მიწას. რასაც მათი მზერა მოხვდა, ყველაფერს მათი სახელი დაერქვა და საოცარი გახდა. ერთ-ერთი ანგელოზის მზერა ამ ყვავილმა იჩუქა და მას შემდეგ, ყოველ შობა ღამეს მისი ციმციმი ალამაზებს. სახელიც იმ ღამისა ჰქვია-შობის ციმციმა.

ეს ამბავი ბებიამ მიამბო. მას თვითონ ყვავილი არასდროს უნახავს: პატარა რომ იყო, გვიან გარეთ არ უშვებდნენ. დიდი რომ



გია გელაშვილის ნახატი

გახდა, იმდენი საზრუნავი ჰქონდა, რომ გადაავიწყდა. ახლა კი მოხუცია, ღამე სიფხიზლე უჭირს და ადრე იძინებს. მხოლოდ ბებიამ იცის, რომ გამოვიპარე, თვითონ მითხრა, წადი და მოძებნეო. სხვებს ჰგონიათ, რომ მძინავს, - კისკისით დაასრულა გოგონამ ამბავი.

-მეც ხომ მოგეხმარე, მეც გამოვიპარე. მომხვდება, მაგრამ გავუძლებ. რომც ვუთხრა ციმციმა ვიპოვე-მეთქი, არ დამიჯერებენ.

-ალბათ, მართლა არ დაგიჯერებენ. ბებიამ ეს ამბავი ყველას გვიამბო, მაგრამ სხვებმა თქვეს, ზღაპარიაო. ჩვენ კი ვიპოვეთ, - უხაროდა გოგონას.

მოდი, ერთხელაც შევხედოთ და გავიქცეთ, ცივა, - სთხოვა ბიჭმა.

გამოფხიზლებულმა ყვავილებმა ბავშვებს თვალი გააყოლეს და მზის ამოსვლამდე ციმციმას ამბებს ისმენდნენ. მართალია, ზოგიერთს მაინც ჩაეძინა, მაგრამ ვინც ფხიზლობდა, მათ ოქროსფერზანზალაკებიანი, მოგალობე ანგელოსებიც დაინახეს.

---



გია გელაშვილის ნახატი

# რა მოხდა კუნძულზე

ერთ ნამდვილ კუნძულზე, რომელიც არც ერთ რუკაზე აღნიშნული არ არის, ცხოვრობენ წითელჯუბიანი, ლურჯჯუბიანი და მწვანეჯუბიანი ჯუჯები.

ლურჯჯუბიანები ბავშვების საახალწლო ნატვრას იგებენ და უბის წიგნაკში იწერენ; მწვანეჯუბიანები სურვილების მიხედვით საჩუქრებს ამზადებენ; წითელჯუბიანი ჯუჯები კი საახალწლოდ საჩუქრებს არიგებენ: ვის კართან უტოვებენ, ვის ბალიშის ქვეშ ამოუდებენ, ვის ბუხარზე წინდაში ჩაუდებენ, ან ნაძვის ძირში უტოვებენ.

ამქვეყნად ჯუჯების კუნძულის არსებობის შესახებ არავინ იცის იმიტომ, რომ ასეა საჭირო ...

კეთილი და მშრომელი ჯუჯების გარდა ამ ქვეყნად ბოროტი და უსაქმური მეკობრეებიც ცხოვრობენ. მეკობრეები ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ, ზარბაზნების ბათქა-ბუთქით რომელიმე კუნძულს მიადგებიან, ყველაფერს აურ-დაურევენ, აყალ-მაყალს მოაწყობენ, დააწიოკებენ იქაურობას და მერე კმაყოფილები გააგრძელებენ გზას.

მათ მშვიდად ცხოვრება და კეთილი საქმეების კეთება არ შეუძლიათ.

ერთხელ...

დეკემბერი იწურებოდა. სადაცაა, ახალი წელი უნდა დამდგარიყო. კუნძული თოვლს უკვე დაეფარა, მაგრამ ისევ ბარდნიდა.

ჯუჯებს საქმე თავსაყრელი ჰქონდათ. ლურჯჯუბიანებს უკვე დაემთავრებინათ, მთელი ქვეყანა მოევლოთ და ყველა ბავშვის სურვილი ჩაეწერათ. ახლა ბუხართან მიმსხდარიყვნენ, რძიან შოკოლადს მიირთმევდნენ და მილეთის ამბებს ჰყვებოდნენ.

მწვანეჯუბიანები საჩუქრებს ამზადებდნენ.

წითელჯუბიანები კი სამგზავრო თადარიგს იჭერდნენ და გამზადებულ საჩუქრებს ხურჯინში აწყობდნენ.

მოულოდნელად ზარბაზნის ქუხილი გაისმა და კუნძულს შავიალქნებიანი ხომალდი მოადგა.

დამფრთხალი ჯუჯები დარბაზში შეიყუჟნენ. მათ საკუთარ თავზე მეტად საჩუქრები აღელვებდათ - როგორ გადაერჩინათ საახალწლო ნობათი. სასწრაფოდ გააღეს საიდუმლო მღვიმის კარი და ყველა საჩუქარი ნაძვზე ჩამოკიდეს.

ის იყო კარი დახურეს, რომ დარბაზში მეკობრეებს ცალთვალა, რკინის კაუჭა აკა შემოუძღვა.

-თქვენ განძი გქონიათ, მითხარით, სად მალავთ, თორემ კუნძულს ავაფეთქებთ, თან ყველას დაგხოცავთ! – ღრიალებდა აკა და საღ თვალს მრისხანედ აბრიალებდა.

აცახცახებული ჯუჯები ხმას არ იღებდნენ. აკა და მისი მეკობრეები ნაჯახებით მიადგნენ დარბაზის კედლებს და ჩეხავდნენ.

აკა ყველაზე უმცროს, პატარა, წითელჯუბიან ჯუჯას, ჯიკოს მიადგა, წოწოლა ქუდზე ხელი წაავლო, დააბზრიალა და უღრიალა:"ახლავე მაჩვენე, სად არის განძი, თორემ შენს მეგობრებს ენას ამოვაძრობ და ნაჯახით ავკუწავ!"

სულ რამდენიმე წუთის წინ პატარა ჯიკო ყველაზე ბედნიერი იყო მთელ საჯუჯეთში - წითელი ჯუბა პირველად ჩაიცვა და საჩუქრების დასარიგებლად უნდა გამგზავრებულიყო. ახლა კი შიშისაგან კანკალებდა. მან მეგობრებს გადახედა : მეკობრეებს ჯუჯები ჩაებღუჯათ, აქეთ-იქით აქანავებდნენ და მეკობრულ იავნანას უმღეროდნენ: "ჯანდაბ-ჯუნდაბ ოხერო, ზახრამ-ზუხრამ ზახრუმა, ენას ამოგაჭრით, თმებსაც დაგაწიწკნით, ცეცხლის ალზე მოგხრაკავთ..."

ბოროტი, კაუჭა აკა ბუხრიდან ნაკვერჩხალს მუჭით იღებდა და ჯუჯებს მარილივით აყრიდა.

ვეღარ მოითმინა ჯიკომ და "გაჩვენებთო", უთხრა აკას. მღვიმის კართან მიიყვანა. "არ აჩვენო, მოითმინე", - უყვიროდნენ ჯუჯები პატარას, მაგრამ მას აღარაფერი ესმოდა და ვეღარაფერს ხედავდა - მეგობრების ტანჯვამ თვალები ცრემლით აუვსო და მათმა კვნესამ ყურები დაუხშო.

კმაყოფილი აკა რკინის ხელებს ჭრიალით იფშვნეტდა.

პატარა ჯუჯამ მღვიმის კარი გააღო.

საახალწლო საჩუქრებით დახუნძლული ნაძვი გამოჩნდა და სასწაული მოხდა!

ნაძვი ისეთ შუქს ასხივებდა, რომ მეკობრეებს თვალი მოსჭრა, ისინი ვერაფერს ხედავდნენ. აკა ხელების ცეცებით და ღრიალით გასასვლელი კარისკენ მიიწევდა, მაგრამ გზას ვერ აგნებდა. დანარჩენებიც დაბორიალობდნენ და შველას ითხოვდნენ.

ნაძვი კი კაშკაშებდა და კაშკაშებდა.

ჯუჯები ჯერ ერთმანეთს შესცქეროდნენ, მერე კი გონს მოეგნენ, თოკი მოიტანეს და მეკობრეები ფეხებით ერთმანეთს გადააბეს. პატარა ჯიკომ თოკის ბოლო აკას ხელში მისცა და უთხრა: "მე ხომალდზე აგიყვანთ და წადით. დაიმახსოვრეთ, რომ სიკეთე ზარბაზანზე ძლიერია".

როცა ხომალდი კუნძულს გასცდა, ჯუჯები დარბაზში დაბრუნდნენ. მათ მეკობრეებზე აღარ უსაუბრიათ, ამისი არც სურვილი და არც დრო არ ჰქონდათ.

საღამოს, როცა საქმეს მორჩნენ და ბუხართან თავი მოიყარეს, ჯიკომ თქვა:

"არ მეგონა, თუ ჩვენს ნაძვის ხეს ასეთი კაშკაში შეეძლო!"

უფროსმა ჯუჯებმა ჩაიცინეს, ვითომ, ჯერ სადა ხარ, შენ ბევრი რამ არ იციო და რძიანი შოკოლადის ჭამა გააგრძელეს. ჯუჯებს ხომ ძალიან უყვართ რძიანი შოკოლადი.

ახლა ხომ მიხვდით, რატომაც არ არის ეს კუნძული რუკაზე?

# ცხოვრება ქართველთა




























ქვეყნის გაერთიანების პარალელურად ფარნავაზი კარგად ხედავდა, რომ საჭირო იყო ქართლის რელიგიური ერთიანობის მიღწევა. მანამდე, ყველა ხევსა თუ კუთხეს თავისი კერპი ჰქონდა. ფარნავაზმა ქართლის ერთიან უზენაეს ღვთაებად არმაზის კერპი გამოაცხადა. ახალი ღვთაება მეფემ არმაზის მთაზე აღმართა და მისი ზეიმის დღეც დააწესა. მთელი ქართლის მოსახლეობა ამ დროს მცხეთაში იკრიბებოდა და არმაზის დღესასწაულს ზეიმობდა.

არმაზის კერპი სპილენძისაგან იყო შექმნილი, ტანზე ეცვა ჯაჭვი ოქროსი, და თავზე ჩაბალახი ეხურა, თუალებად ზურმუხტისა და ბივრილი თვლები ჰქონდა, ხელში ეჭირა ბრწყინვალე ხრმალი.

არმაზის მაჯვნივ იყო ოქროს კერპი, სახელად გაცი. მარცხნივ კი ვერცხლისა სახელად გაიმი.

ფანავაზი ოთხმოცდათორმეტი წლის გარდაიცვალა. ქართლის მოსახლეობამ იგი დიდი პატივით დაასაფლავა არმაზის მთაზე მთავარი ღვთაების არმაზის წინ.



გაგრძელება იქნება

# სათაგური



**ბევრ თქვენგანს ექნება წაკითხული დიდი ვაჟას საბავშვო მოთხრობები: "შვლის ნუკრის ნაამბობი", "ხმელი წიფელი", "ჩხიკვთა ქორწილი", "ამოდის, ნათდება", "კურდღელი", "მელია-სერეფენია" და სხვა მრავალი... საახალხლო განწყობილებას კი ყველაზე მეტად მოთხრობა "სათაგური" შეგიქმნით, რომელსაც დღეს გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.**

ვაჟა-ფშაველა

ქალაქიდან ძია ესტატე ღამეღა იყო, როცა სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა... ცხენი თავის ერთსართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ "მერანს" თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა: "ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?" შინ ფაცაფუცი შეუდგათ. "პაპა მოვიდა, პაპა მოვიდა", გაიძახოდნენ ესტატეს შვილიშვილები, სონა და კოლა: გოგო - ექვსი წლისა, ხოლო კოლა - რვისა. "სანთელი მოანათეთ, სანთელი! - იძახდა ესტატე: - რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?"

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალებული დედაკაცი, მეუღლე ესტატესი, ეფემია.

- ოჰ, საღამო მშვიდობისა, ეფემიავ! ჰაა, როგორა ხარ, სულიკოჯან? მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემცივდა.

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!



რა არის, კაცო, ამ ღამე სიარული? სხვა არა იყოს რა, ნადირისა მაინც არ გეშინიან? - სთქვა ეფემიამ.

- რა ვქნა, დამიგვიანდა. ნადირიო? განა მე ნადირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაჭმელი ხალხი ცოტაა განა? - სთქვა ესტატემ.

- პაპა, სათაგური არ მოიტანე? - ჰკითხავდნენ ესტატეს დაჟინებით სონა და კოლა. - ჩუსტები, წაღები, საკაბე? - შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბალღები პაპას.

- ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველაფერი! - უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰხდიდა.

ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალწარბში და ხელებში შესცქეროდენ. ეფემია დოინჯშემოყრილი, თავმომწონედ დასჩერებოდა; სოფიოც შორიახლოს იდგა გულხელდაკრეფილი და პირმოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა კუდაფშრუკული, ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდებზე და ზურგზე გატუსული ტყავით. ექლიშებოდა, ეზაზუნებოდა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს, თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახდენ, რადგან წამდაუწუმ ღნაოდა და კნაოდა. თაგვი კი თავის სიცოცხლეში ერთიც არ დაუჭერია. ჩხავანა კატა, განა არ იცით, რა თაგვს დაიჭერს?!

- აბა, რაზე რა დავაწყო; მოიტათ რამე, ადამიანებო! - წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლანგარი და ტაბაკი...

სულ ბოლოს ძია ესტატემ ხურჯინიდან დიდი ამბით ამოიღო სათაგური, რომელიც დააბარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან-პატარიანად გულმოდგინებით.

- ესეც თქვენი სათაგური! - წარმოსთქვა ესტატემ, - ვნახოთ, რამდენს თაგვს დაიჭერთ?!

- გიშველა ღმერთმა! - სთქვა გახარებულმა ეფემიამ: - სულიღა დაამწარეს ამ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში ვეღარაფერი შემინახავს...

ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: "აბა როგორია, დიდედო?" - გაიძახოდენ ისინი და თან გულმოდგინედ ათვალიერებდენ თაგვების სულთამხუთავს...

- მაშ არა, შენ დაიჭერ თაგვსა, მეხი კი ჩაგარტყი მაგ თავში! - სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალას, რომელიც ცეცხლა-პირას წამოყუნთებულიყო, თავში სილა ჩაარტყა: - მთელი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერა ვნახე. ეს სასიკვდილე მარტო ხელებში შემოგვჩერებია, რომ ვაჭამოთ რამე.

- თქვენც სათაგური ამუშავეთ, - სთქვა ესტატემ: - ღნავალა ძალიან ჭკვიანად იქცევა, ცოდოს ერიდება.

- ცოდოს, ამისმა მზემ, - სთქვა ეფემიამ და წაჰკრა მუჯლუგუნი კატას: - დაიკარგე აქედან, შე სასიკვდილევ: ეგ შნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოერიდებოდა, მაგრამ უნარი რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველამ სათაგურზე დაამყარა. იმის მომზადებას შეუდგნენ. ეფემიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი მოშუშა, დააგო მავთულზე და ასე ფეხზე შემოყენებული დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალსაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ შეძვრებოდა თაგვი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მახე როგორ დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაკს.

მცირე ვახშმის შემდეგ დაიძინეს. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშქვეშ ამოიდეს... ბუხრის წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვანი ციცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად.

■ ■ ■

სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი, გულის წარმტაცი, ყნოსვის დამატკბობელი სუნი შემოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად, წინ მოუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით; იმას მოსდევდა ცელქა, შემდეგ ცქმუნა, მერე კუდა, ფხორა; დანარჩენი თაგვების სახელს ვინ ჩამოსთვლის ან კი? მთელი ფარა იყო: სულ რჩეული ვაჟკაცები. როცა პირველად ჩამოიხედეს განჯინაში, ცოტა არ იყოს, შეკრთნენ: სათაგური დაინახეს.

- ბიჭებო, აქ რაღაც ოინია! - დაიძახა ფიცხელამ: - ჯერ ამისთანა რამ მე აქ არ მინახავს: არც ჯამსა ჰგავს, არც ქილაა, არც თეფში, არც ბადია, არც საშაქრე, არც ბოთლი; სხვა რაღაც არის საუცხოვო, საგანგებოდ მოწნულ-მოქარგული და ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარეობს. ვხედავ კიდევაც, ლებანია კაკლისა. აბა შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მოსატაცებელია.

თაგვებმა ცქერა დაუწყეს: ხან ერთი თვალით გასცქეროდენ, ხან მეორეთი.

- მართლაც საუცხოვო რამ მანქანაა. სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ჩვენ სამტროდ არ იყოს, ბიჭო, მოგონილი და. რაღაც იმნაირი რამა ჩანს. ჩემი გული და თვალი არ ენდობა, - სთქვა ცელქამ.

- ჭეშმარიტებაა! - ჩურჩულებდნენ სხვა თაგვები და ადასტურებდენ ცელქას მოსაზრებას: - უნდა ახლოდან გავჩხრიკოთ; მაგრამ ვინ გასჩხრეკს, საქმე ისაა!

აქ რას ვაკეთებ? ვაჰ დედას ჩემი მტრისას! განა ეგრეც დავლაჩრდით: უნდა შევარცხვინო სათაგვეთი? - სთქვა ფიცხელამ.

- შენ იცი! - დართეს ნება სხვა თაგვებმა. - მხოლოდ ახლო არ მიეკარო, შორიახლოდან გაჩხრიკე. ახლო არ მიეკარო, გირჩევთ: შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო, ნათქვამია.

ფიცხელა პირდაპირ მიცუნცულდა, ლებანი სუნს თვალწარბში აბნევდა და უნებლიედ იზიდავდა თავისკენ, მაგრამ ფიცხელამ გზა აუქცია კარებს და სათაგურს გვერდიდან მოექცა: შემოუარა რამდენჯერმე გარშემო. ვერაფერი სახიფათო ვერ დაინახა, სათაგური უბრალო მავთულის ჭურჭლად დასახა, სადაც ერთი ლებანია დარჩენილი: უთავდარიგო დიასახლისს დავიწყებია. დაბრუნდა და თავის ამხანაგებსაც ესევე უამბო...

- რას იტყვით, ბიჭებო?! - უთხრა ფიცხელამ თაგვებს: - მე საშიშს იქ არაფერს ვხედავ; გაბედავთ ვინმე შიგ შესვლას თუ ვერა?

- მოდი, მოვერიდოთ, სულ თავი გავანებოთ ეგ რაღაც მანქანაა... გვაკლდეს ეგ ერთი კაკლის ლებანი, - სთქვეს თაგვებმა.

- ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! ეგ არის თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობთ: მე ეს ვაჟკაცობა ჩავიდინე, მე ესაო?! შეგირცხვათ ვაჟკაცობა! მე წავალ და მიცქირეთ, რა ბიჭია ფიცხელა! - სთქვა და გაემართა სათაგურისკენ. ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალყურებდენ. ფიცხელა მარდად მიცუნცულდა სათაგურთან და ცოტა ხანს შესავალ კარებთან გაჩერდა; მიიხედმოიხედა: - არაფერი ამბავია, მშვიდობიანობაა. აქ რაა სახიფათო? ჰაი, თქვე ლაჩრებო! - წარმოსთქვა თავის ამხანაგებზე და შეჰყო თავი სათაგურში. სულ მშვიდობიანობაა: თავში არავინა სცემს და გვერდში არავინა სჩხვლეტავს. რაო? რა სჭირს? არაფერი, სრულიად არაფერი! ძალიან კარგად შეიძლება შეექცეს ფიცხელა ნიგოზს; დეე, ამხანაგებმა შორიდგან უცქირონ და ნერწყვი ყლაპონ. მიუახლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი, პირი გაიტკბარუნა. სრულიად დამშვიდდა. იმედი აილო, რომ არავითარი უბედურება მას აქ არ მოელოდა, და მოსწია კიდევაც მაგრა ლებანს. მაგრამ, აი სწორედ უბედურებაც ამ დროს მოხდა: სათაგური დასხლტა და ჩხაკანი მოისმა. თავზარდაცემული თაგვები გაფთხნენ. ეგონათ, იმათაც გამოუდგებოდა სათაგური. ფიცხელამაც იგრძნო თავისი შეცდომა. მობრუნდა ფიცხლად და გაექანა კარებისკენ გასასვლელად, მაგრამ ამაოდ: კარები უკვე მაგრა, ძალიან მაგრა იყო დაკეტილი. ძალიან შეწუხდა, სული და გული დაეკეტა. ამხანაგებისაკენ გადაავლო თვალი: არავინ სჩანდა. - ჰაი, თქვე მოღალატენო, თქვენა! - წარმოსთქვა მან: - გაიქცნენ, დაიმალნენ, როდი მოდიან და მეშველებიან. - შეახტა მაღლა სათაგურის



ჭერს, მიაწყდა-მოაწყდა იქით-აქეთ კედლებს, ჰყოფდა ცხვირს მავთულებში უსვამდა თათს, ღრღნიდა კბილით, - ამაო იყო ყოველივე ცდა. თანაც წრუწუნებდა. ტანზე ჭირის ოფლი დაასხა. ცოტა ხანს შეისვენა. ლებანი ისევ მთლიანად ეკიდა მავთულზე; ვის მოაგონდებოდა იმისი ჭამა?! გულმა აღარ გაუძლო და შეუძახა თავის ამხანაგებს. - სად მიიმალენით, თქვე უნამუსოებო, აღარ მომხედავთ? ერთ-ერთი მაინც მოდით, ანდერძი დაგაბაროთ: მე მტრის ხელთა ვარ, მინდა გამოგესალმოთ. - თაგვებს ესმოდათ თვითოეული სიტყვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი შეექნათ.

- მართლაც, - ამბობდენ თაგვები: - რატომ ასე ლაჩრულად ვიქცევით, ეს ხომ სირცხვილია! მივხედოთ იმ კაცს, საუკეთესო ვაჟკაცსა ვკარგავთ. - სთქვეს და დაემზადენ მისაშველებლად. ყველაზედ წინ-წინ ცქმუნა მიცუნცულდა ფიცხელასთან ვიშ-ვიშით.

- მოგიკვდა ჩემი თავი, - ამბობდა ცქმუნა და თან ცრემლებს იწმენდავდა თვალებიდან: - აბა, რაღა თავი ქვას ვახალო და როგორ გიშველო?! უნდა გაგეგონა, რომ გაფრთხილებდით! მეტად უჯიათი ხასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე. შენი თავიც დაალონე და ჩვენაც. - უსვამდა ცქმუნა გარედან თათს, ცდილობდა გაეგლიჯა სათაგურის მავთული.

- ნუ გეშინიანთ, ფიქრი არ არის: როგორც იქნება, გამოვალ. ნუ ტირით! მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდეს! და თუ ვინიცობაა მოვკვდე და მტერმა გაიხაროს, შენ გეუბნები მარტო საიდუმლოს: ეზოში რომ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული: ამოიღე და მოიხმარე.

- შე გასახარელო, მაგის დარდი მაქვს ეხლა?! - უპასუხა ცქმუნამ, თუმცა ნათქვამი ესიამოვნა და კარგადაც დაიხსომა.

ამ დროს სხვა თაგვებიც მოვიდენ ჯარად და შემოერტყნენ გარს სათაგურს; ყველამ სათითაოდ მიუტირა გალიაში დამწყვდეულს თანამოძმეს უბედურება. ფხორა მაღალი ხმითა ტიროდა, მოსთქვამდა; სხვანი ბანს ეუბნებოდენ. თაგვების ზარი გაიმართა, მაგრამ ისევ ფიცხელა უტევდა, ამხნევებდა:

- ნუ ტირით, დანო და ძმანო! მე თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო; მაგრამ ჯერ კიდევ იმედია დავეხწიო ამ წყეულ საპყრობილეს, - სთქვა ფიცხელამ.

- საიდან და როგორ, მოგიკვდა ჩემი თავი? არ შეიძლება! - უთხრა ფხორამ.

- სხვაფრივ თუ ვერა, ხეს გავჭრი კბილით, მაგრამ ეს ოხერი კბილი არ უდგება არსაიდან, - მიუგო ფიცხელამ.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩავარდა თაგვების



გუნდი. ზოგნი ლოცულობდენ და ღმერთს ეხვეწებოდენ, დაეხსნა გაჭირვებიდან მათი თანამოძმე. სხვანი გარედან მახის მავთულებსა ღრღნიდენ, ტყუილად თავ-პირს იმტვრევდენ. გათენდა კარგად. უნდა წასულიყვნენ თავ-თავიანთ ბინაზედ, მაგრამ ფიცხელას მარტოდ-მარტო, უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვება ემძიმებოდათ.

ამ დროს ნემსა მისდგომოდა ფიცხელას, ჰბაქავდა და საყვედურით ავსებდა.

- ჰეეე, ახია შენზედ! გეგონა შეგრჩებოდა, იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეექეცი: ვერ ამოგშხამდა!.. ვენაცვალე ღმერთს, შენი ჯავრი რომ ამომყარა. გამობრძანდი, რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ, - ეუბნებოდა ნემსა ნიშნის მოგებით.

- გამოვიდე? მაშ შენ გგონია, სულ აქ ვიქნები? ვაი დედი-შენის ღმერთს, თუ გამოვედი! მაშინ მიცნობ, როგორი ფიცხელა ვარ: იქნება შენი ქათიბის ბეწვი ნიავს აქეთ-იქით მიჰქონდეს. გიხარიან, რომ დავემწყვდიე? მოიცა, ჯერ გავთავისუფლდე და მაშინ ჰნახავ შენ სეირს. - ეუბნებოდა გაბრაზებული ფიცხელა. ცქმუნამ ველარ მოითმინა და ნემსას თავში თათი ჩაჰკრა.

- განა ისეც დაეცა ფიცხელა, რო შენც მაგას ეუბნებოდე, შე წუპაკო, შენა! განა ეხლა დროა საყვედურისა? დაიკარგე აქედან! - შეუტია ცქმუნამ. სხვა თაგვებიც ასევე მოეპყრნენ ნემსას და გააძევეს იქიდან.

თაგვები ბჭობდნენ, როგორ ეშველათ ფიცხელასათვის, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილედან.

- ძმებო, ამხანაგებო! - დაიძახა ბოლო დროს კუდამ: - მე ძალიან კარგი, კარგზე კარგი ხერხი მოვიგონე; თუ თქვენაც დამეთანხმებით, ვცადოთ და თუ არ გამოდგა, ჩამქოლეთ.

- სთქვი და! თუ მოსაწონია, ჩვენც აქ მზადა ვართ, დაგეთანხმოთ, - სთქვეს თაგვებმა.

- მე, იცით, რასა ვფიქრობ, - განაგრძო კუდამ: - ეს რაღაც წყეული მანქანა შემოიტანა ამ ჩვენს სანადიროში შეჩვენებულმა ადამიანის ხელმა, რომელმაც შეიპყრო ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, სახელოვანი ფიცხელა, უნდა აქედან გადავკარგოთ! შევებნეთ ყველანი შიგ, შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიდამოში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკმარებს? ბევრს სხვას უმეცარს ჩვენი ტომისას იმსხვერპლებს ეგ მანქანა.

- მართალია, მართალი! ყოჩაღ, კუდავ! - დაიგრიალეს თაგვებმა ერთხმად: - მშვენიერი აზრია, მშვენიერი!

- ფიცხელასაც ამ საუბარზე მეტი გული მოეცა და უფრო მამაცად და მარდად დაიწყო სათაგურში სირბილი და ზედ ბლოტიალი. - აბა, შევუდგეთ საქმეს; დაგვიანება ხელს არ მოგვცემს, მოგვასწრობენ და ავს დღეს დაგვაწევენ. - თაგვები ერთად მიეხვივნენ სათაგურს. ცელქამ ჩასჭიდა კბილი, კუდზე ცელქას ფხორა მოეჭიდა, ფხორას - კუდა, კუდას - ცქმუნა, იმას სხვა, იმას სხვა და გაიჭიმა გუთნეული ხარ-კამეჩებივით თაგვების გუნდი.

- აბა, გასწით, ბიჭებო, გასწით, თქვენს ღმერთს ვენაცვალე! - აქეზებდა შიგნიდან ფიცხელა! - დაიძრა, მივდივართ, შინ მივდივართ! - მართლაც, თაგვებმა ერთს გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფრო გამხნევდენ.

- ნუ გეშინიან, ძმაო ფიცხელავ! მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! - უთხრა ამან ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქვამად შეისვენეს. - შეისვენეთ, დაისვენეთ, უფრო კარგად გასწევთ! - ეუბნებოდა თაგვებს ფხორა.

- ეს რა კარგი რამ მოიგონა კუდამ, ვერ უყურებთ?! - ამბობდენ თაგვები: - მეტის მოგონება შეუძლებელია!..

კუდაც თავმომწონედ ულვაშებს აცმაცუნებდა.

- მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიყრია? არა, ძმობილო, მეც ჩემი ჭკუითა ვცხოვრობ! იცით, რა ოინები გამიწევია, სად გავმძვრალვარ, სად გამომძვრალვარ, სად გადავმხტარვარ?! მე ეს კუდი სათაგურმა არ მომაკვნიტა? ის სულ სხვანაირი იყო, მაგრამ გამოვუსხლტი მაინც ცოცხალი და დავიძარ. მას შემდეგ ემაგისთანა ოჩხომაჩხო? რაც შემეჯახება, მუდამ გზას ვუქცევ, ვერიდები. ან კი ძალად თავი რად უნდა გაიფუჭოს კაცმა! გიჟი ვარ, კაკლიანს, თხილიანს კოდში. ან გოდორში შევძვრე! რა ჭკუა იყო, რომ ერთი ლებანის გულისათვის ფიცხელამ თავი გაიფუჭა?!

- თუ ჭკუა არ იყო, ვაჟკაცობა ხომ იყო? - სთქვა სათაგურიდან ფიცხელამ: - მაგის მეტი რა გეთქმევათ ან კი? ვაჟკაცის გული სულ სხვაა. თქვენ რა ვაჟკაცები ხართ მერე? სათაგური რომ დასხლტა, თქვენ დაფრთხით: გეგონათ, უკან გამოგეკიდებოდათ, მაგრამ უნდა გენახათ, მე როგორი ომი ავუტეხე და როგორ გადავკაწრე მავთულები... მაშ!..

ის იყო გათენდა, როცა თაგვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, წრიპინებდენ, წრუწუნებდენ, ამხნევებდენ ერთიმეორეს, ბეჯითად გაეწიათ და აეთრიათ სათაგური, მაგრამ ვერაფერს ხდებოდენ: ვერ მოისაზრეს, რომ სათაგური ხვრელში არ გაეტეოდა, და მაინც თავებს აკლავნდენ.

■ ■ ■

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა: ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და მისი რძალი სოფიო იყვნენ. ეფემია კი სახლში მზარეულობდა, სტუმრებს მოელოდა. ჩვეულებისამებრ ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ არ დადგებოდა. ეფემიამ ყველაფერი მოამზადა. ღვინოც ამოიღო ქვევრიდან დოქებში. და აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის სტუმრებიანად. წინ მღვდელი, მოხუცებული მაქსიმე, მოდიოდა. წითელს ბზის ჯოხს მოიბჯენდა, თეთრი წვერი გულმკერდზე სცემდა, გაჟინჟლილებული სახით მხიარულად მოლაპარაკობდა. იმას გვერდს მოსდევდა დიაკვანი, მასწავლებელი სპირიდონი, "ატსტავნოი" კაპიტანი მიხეილი, რუს-ოსმალეთის ომისდროინდელი გმირი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა თავის მამულში და თავის სიცოცხლეს ატკბობდა, გუნებას იხალისებდა წარსულის მოგონებით, გლეხებთან თავის ვაჟკაცობაზე და გმირობაზე საუბრით. იმათ მოსდევდა რამდენიმე გლეხკაცი. ეფემიამ, დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას და გადაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა. დაალაგა პურები, დადგა შუა სუფრაზე ბლუდი, რომელზედაც ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა ალმა ფეხებაშვერილს დედალს; ჩაამწკრივა ბოთლები, დაალაგა სხვადასხვა სანოვაგე. აგერ სტუმრებიც შემოქუჩდენ დერეფანში და აუტეხეს ფეხებს ბრახა-ბრუხი: იყრეინებდენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს.

- მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, არაფერი უშავს: ნუ შესწუხდებით, იატაკი არ გაფუჭდება, - უთხრა სტუმრებს ეფემიამ, რომელიც წინ გაეგება და გულმოდგინედ ეპატიჟებოდა სახლში.

- მოგვილოცნია დღესასწაული, დაესწარით მრავალს, მეუღლით, შვილებით! - ულოცავდენ სათითაოდ სტუმრები.

- გმადლობთ, თქვენიანად! - უპასუხებდა დიასახლისი და თან თავს უკრავდა ყველას.

- აბა, მზადა ხარ, ეფემია-ქალო?! - დაეკითხა ესტატე მეუღლეს: - გვშიან. აი, მამა მაქსიმე სულ მუდამ იმას გვიბძანებს ხოლმე, პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, - დააბოლოვა სიცილით ძია ესტატემ.

- ღვთის მოწყალებით ყველაფერი მზად არის, - წარმოსთქვა ეფემიამ.

- ოღონდაც რომ ახარებს, - სთქვა მამა მაქსიმემ და ესევე გაიმეორეს სხვებმა. მიიპატიჟა ესტატემ სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდენ, ზოგნი მუთაქაზე მოკეცით, სხვანი ჩიკებზედ. არყით დაიწყეს. თამადობა ყველამ ესტატეს მიულოცა, ჯერ ერთი - როგორც ნაკურთხს, საზოგადოების ამორჩეულს, და მეორეც - როგორც მასპინძელს. ესტატე პირველად უარზე დადგა, ბოლოს დასთანხმდა. გაჩაღდა სმა-ჭამა. ძია ესტატემ პირველ სადღეგრძელოსთანავე მრავალჟამიერი შემოსძახა.

თაგვები რაღას შვრებოდენ? - ეწეოდენ სათაგურს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თან ადამიანებზე, იმათ ქეიფზე ბრაზობდენ: ჩვენ ვტირით, ეგენი იმღერიანო. არაჩვეულებრივი ფეხების ფხაკური აუტეხეს, თან სხვადასხვა სუნი აბრაზებდათ. განჯინა, როგორც უწყით, იქვე ტახტის თავში იყო, ასე რომ, ძია ესტატე განჯინის ძირითა პირს თავს ახვედრებდა. სტუმრები და მასპინძელი კარგად შეზარხოშდენ.

- ქალო, ეფემიავ! - დაიძახა ესტატემ: - ამ განჯინაში რაღაც ამბავია.

- დამიდგა თვალი! - წარმოსთქვა ეფემიამ და ორი თითი მიიდო ტუჩზე გაკვირვების ნიშნად, - ფაცა-ფუცში სათაგური როდილა მომაგონდა: უეჭველად თაგვი გაებმოდა, - წარმოსთქვა ეფემიამ და გაემართა განჯინისაკენ.

- განა ერთი, დედაკაცო, აქ ისეთი ხმაურობაა, რომ იქნება ასი ერთად დაგიჭიროსთ სათაგურმა, - სთქვა ესტატემ.

- ხმაურობა დიდი ხანია ისმოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ, - სთქვა მასწავლებელმა და სხვებმაც შეუმოწმეს.

ეფემიამ განჯინა მარდად გააღო; სათაგურს სწრაფად ხელი დაატანა. შიგ თაგვი შენიშნა, ხოლო სხვა თაგვები ვერ დაინახა, რადგან განჯინაში ბნელოდა. სათაგური გადმოიღო და აი საკვირველება! - მთელი აკიდო თაგვებისა თან გამოჰყვა: ცელქა, ფხორა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრავალნი. ამ სურათზე ყველამ თვალები სჭყიტა, ჭიქები ხელში გაუჩერდათ და პირღიად დაუწყეს ცქერა. თაგვები მაგრა ჩასჭიდებოდენ ერთმანეთს ამხანაგის საშველად, მაგრამ რადგან შველა აღარ შეიძლებოდა, უშვეს ხელი ერთმანეთს: ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით. ცელქამ მღვდელს ღვინიანი ჭიქა დააქცევინა და ამანაც: "ჰაი, შე წყეულოვო", მიაყოლა თან; კუდა მასწავლებელს გადაახტა თავზე; ცქმუნა კაპიტან მიხეილს მიახტა ზედ გულზე და იმან ხმლისაკენ წაიღო მტრის მოსაგერიებლად ხელი ჩვეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ზედ არ შერჩა; ფხორა მამასახლისის წვნიან ჯამში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალ-პირში ეცა ღნავალას, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულს ძვლებს, მაგრამ ამან, თითქოს აქ არაფერიაო, ყურიც არ გაიბერტყა.

ასტყდა სახლში აურზაური: "ჰაი, თქვე წყეულებო!" "დაგწყევლათ ღმერთმა!" "ვაჰ, რა ამბავია?" - გაისმოდა აქეთ-იქიდან, ქეიფის ნირი გააფუჭეს თაგვებმა. თუმცა ეცინებოდათ სტუმრებს, მაგრამ თანაცა სწყინდათ: მასხარად გვიგდებდენ, თუ რა არისო! თაგვებმა თავს უშველეს; დარჩათ ხელში მარტო ფიცხელა, და მოინდომეს იმაზე ჯავრის ამოყრა. მოითხოვეს სადგისი. უნდა დაეჩხვლიტათ. ეფემია ყველაზე მეტად ბრაზობდა. ფიცხელა აღარ ინძრეოდა; გაფითრებული დაბლიდან აძგვლენდა საბრალოდ თვალებს. გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ბედი. "ააჰ, რაზბონიკ!" - გადაუტრიალა თვალები მიხეილმა. ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეჩხვლიტათ ფიცხელა, მოეკლათ სათაგვეთის გამოჩენილი გმირი, და ისიც გულჩათუთქული, მუხლმოკვეთილი მოელოდა სიკვდილს. დაუპირეს ფიცხელას მოკვლა, დაჩხვლეტა, წამება, მაგრამ მფარველად ესტატე დაუდგა.

- არა, ბატონებო, მე, როგორც თამადა, ვათავისუფლებ მაგ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა და ეგ თაგვიც ალბათ რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდენ თაგვები და უნდოდათ მისი გათავისუფლება. უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ღვთის გულისთვის, ზოგიც მე მიხათრეთ!

რა გაეწყობოდა, დაეთანხმნენ ძალაუნებურად ესტატეს, და ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშვა გარეთ თოვლში, რომ ეგების იქ მაინც მომკვდარიყო. ფიცხელა ფხაჭა-ფხუჭით გარბოდა, თოვლისას ბუქს აყენებდა და გამალებული ეცა ბეღლის ქვეშ... როგორ უხაროდა! ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენს ტყუილს შეჰხანხლავდა!..

სტუმრები ჰკვირობდენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას და თანაგრძნობას. მასწავლებელმა ეს განმარტა და რამდენიმე მაგალითი მოუყვანა ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრებიდან...

ქეიფი განახლდა. ესტატე განაგრძობდა სადღეგრძელოებს; თაგვები დაეძებდენ ერთიმეორეს...

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ საღამოზე ერთად, დაჰკრეს დაფს, დოლს, დაირას, დუდუკს, ზურნას; ლეკურს თამაშობდენ, მღეროდენ. ფიცხელას ცაში ისროდნენ, ხელზე იქორქორებდნენ; ეს უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამაყად გამოიცქირებოდა, გამარჯვებას დღესასწაულობდა.

[1908 წ.]







მზია შარაშიძის ნახატები

# სატკბილეთის ქვეყანა



დასაწყისი „საბავშვო" № 5,6

ირმა მალაციძე

## პრინცესა მეგობრებთან ერთად სასახლიდან იპარება

სწორედ იმ დროს, როდესაც ნიგომ ბზუილასაგან კარამელიის აოხრების გეგმის შესახებ შეიტყო, სასახლის ეზოში, ვერანდაზე პრინცესა რაფაელა და საფე-ქალები, ილა და ელა ისხდნენ და შაქარში ამოვლებულ თხილს აკნატუნებდნენ. რაფაელა, როგორც ყოველთვის, მოწყენილი იყო. გოგონებმა იგი ვერაფრით ვერ გაამხიარულეს. უცებ, სად იყო და სად არა, სასახლის პირადი საქმეების მმართველი, ამურთუხუცესი, ახ-ოხი გაჩნდა. ხელში უბის წიგნაკი და კალამი ეჭირა, მხარზე კი უზარმაზარი, წერილებით სავსე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

-პრინცესა, დღეს თქვენს სახელზე 750 წერილი მოვიდა. აქედან 350-ის ავტორი ხოტბას ასხამს თქვენს სილამაზეს, 257 - საუკუნო სიყვარულსა და ერთგულებას გპირდებათ, 17 - თავის მოკვლით იმუქრება, ხოლო...

-თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმდით! - შეაწყვეტინა ახ-ოხს ანგარიში გულშეღონებულმა პრინცესამ.

ამურთუხუცესმა გულიანად ამოიოხრა, წერილების დასტა ისევ ჩანთაში ჩააბრუნა და იქაურობას გაეცალა. ის-ის იყო, რაფაელა სატირლად მოემზადა, რომ იასამნის ბუჩქებიდან მებაღის ქალიშვილი, ვარდია გამოძვრა და გოგონებს მხიარულად მიესალმა. რაფაელა უცებ გამოცოცხლდა. მას და სეფე-ქალებს ძალიან მოსწონდათ ეს მკვირცხლი გოგო, რომელიც მამას ბაღის მოვლაში ეხმარებოდა.

ვარდია ვერანდაზე აძვრა და ბამბუკის სავარძელში მოიკალათა.

“რა კარგია, რომ მოხვედი, მოწყენილობისაგან აღარ ვიცოდით, რითი დაგვეხსნა თავი,” - ტაში შემოჰკრეს გოგონებმა. იცოდნენ, რომ ვარდია რაიმე თამაშს მოიგონებდა და ცოტას გაამხიარულებდა მათ.

“მოდით, უსინათლობანა ვითამაშოთ,” - წამოხტა ვარდია.

მართალია, გოგონებს არაფერი გაეგონათ ამ თამაშის შესახებ, მაგრამ იფიქრეს, რადგან ვარდია გვთავაზობს, ურიგო არ იქნებაო და დათანხმდნენ.

თამაში თვითონ ვარდიამ მოიგონა და ძალიან იოლი იყო: თითოეულ მოთამაშეს თვალები მაგრად უნდა აეხვია და ისე უნდა შემოევლო მთელი ბაღი, რომ ყვავილისათვის ფეხი არ დაებიჯებინა, შემდეგ აუზისათვის ორჯერ შემოერბინა, გალავანთან მდგარი იასამანი დაეყნოსა და ისევ უკან, ვერანდასთან დაბრუნებულიყო.

დაიწყეს თამაში, მაგრამ მალე მობეზრდათ. აბა, რა იქნებოდა, ილამ ვარდის ეკლებით ფეხები დაისისხლიანა, იის პატარა ბუჩქი მიწას მიაჭყლიტა, ელა აუზში კინაღამ ჩავარდა, რაფაელა კი იასამნის ნაცვლად ალაყაფთან მდგარ გუშაგს ლამის ჩაეხუტა. მხოლოდ ვარდია დახტოდა მარდად - არც ყვავილები დაუთელავს, აუზსაც მოხერხებულად შემოურბინა, იასამანსაც მიაგნო და ვერანდაზე დაბრუნდა.

რაფაელამ ისევ მოიწყინა, ეს რა თამაშიაო. ვარდია ჩაფიქრდა. უცებ თვალებში მხიარული ეშმაკუნები აუციმციმდა.

“მოვიფიქრე! - დაიძახა მან და ბამბუკის სავარძლიდან მკვირცხლად წამოხტა, - ამ საღამოს კლუბში მივდივართ საცეკვაოდ!”

პრინცესას სუნთქვა შეეკრა მოულოდნელობისაგან, ის ხომ კლუბში საცეკვაოდ წასვლაზე ოცნებობდა.

-მაგრამ მე რო სასახლიდან გასვლა არ შემიძლია? - მოიღუშა იგი.

-ჰო, ასეთი ძვირფასი კაბით კლუბში ნამდვილად ვერ გამოჩნდები, ყურადღებას მიიქცევ და შეიძლება, გიცნონ კიდეც, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა ვარდიამ. შემდეგ ვერანდიდან გადაძვრა და სადღაც გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ ფუთით დაბრუნდა, საიდანაც სამი ჩითის კაბა ამოაძვრინა.

-აბა, ჩაიცვით, - განუცხადა მან პრინცესას და სეფე-ქალებს.

გოგონებმა ერმანეთს გადახედეს. ასეთი კაბა არასოდეს სცმიათ, მაგრამ ისე უნდოდათ საცეკვაოდ წასვლა, რომ უხმოდ გამოეწყვნენ.

ახლა მთავარი იყო, ეზოდან შეუმჩნევლად გაპარულიყვნენ. ესეც ვარდიამ აიღო საკუთარ თავზე. დაბინდდა თუ არა, იგი შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას.გოგონები ბუჩქის უკან დამალა, თვითონ კი ალაყაფისაკენ გაემართა. უცებ, ვითომ ქვას ფეხი წამოჰკრა, ბალახებზე გაგორდა და ცივი ხმით აკივლდა:



-ვაი, მიშველეთ, ფეხი მოვიტეხე - გაჰკიოდა იგი.

გუშაგები კარგად იცნობდნენ მებაღის ცელქ გოგოს, ამიტომ არ გაჰკვირვებიათ მისი მარცხი, მაგრამ მისაშველებლად მაინც მივარდნენ.

-ვაი, მიშველეთ, აი, იქ, სკამძელზე დამაწვინეთ - კვნესოდა ვარდია და თვალს იქით აპარებდა, სადაც გოგონები იმალებოდნენ. რაფაელამ, ელამ და ილამ დრო იხელთეს, სამალავიდან გამოძვრნენ და ქუჩაში გაიპარნენ.

ვარდია, რომ დარწმუნდა, გოგონები სამშვიდობოს არიანო, ფეხზე წამოხტა.

-ხედავთ, უკვე გამიარა - გაუცინა მან სასახლის მცველებს, რომლებიც გაოცებული მისჩერებოდნენ. ვარდია ქუჩაში გავარდა.







## რაფაელას უცნობი ბიჭი გამოექომაგება

ხომ გახსოვთ, როგორი მხიარული ხალხი ცხოვრობდა კარამელიაში. ყოველ საღამოს, სამუშაო დღის შემდეგ კარამელიელები, რომლებიც დღისით კანფეტების ფაბრიკებში მუშაობდნენ, გამოეწყობოდნენ სადღესასწაულო ტანსაცმელში და საცეკვაოდ მიდიოდნენ. ქალაქის ყველა დიდ თუ პატარა დარბაზში საცეკვაო კლუბები იყო გახსნილი. ჰოდა, კარმელიელებიც შუაღამემდე თავდავიწყებით ცეკვავდნენ.

ამიტომ იყო, რომ ხარაზ ლანჩას პატარა სახელოსნო სავსე იყო კარამელიელების ქუსლებდამტვრეული და ძირგავარდნილი ფეხსაცმელებით. ლანჩა დღე-ღამეს ასწორებდა, რომ მოესწრო ფეხსაცმელების დაკერება, მაგრამ ყოველ დილით სამჯერ მეტი სამუშაო უჩნდებოდა.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი კლუბისაკენ გაემართენ ჩვენი გმირები, როგორც კი სასახლის ეზოდან გამოიპარნენ. რაფაელას კაბა არ მოსწონდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ბედს შეურიგდა და გოგონებთან ერთად გაუყვა ქუჩებს. მას მოუთმენლობისაგან სული ელეოდა. როგორც იქნა, გამოჩნდა ფერადი პროჟექტორებით განათებული დარბაზი, რომელშიც უამრავი გოგო-ბიჭი ირეოდა. ზოგიერთი შესასვლელთან იდგა, მზესუმზირას აკნაწუნებდა და მეგობრებს ესაუბრებოდა, ზოგიერთი კი უკვე ცეკვით იყო გართული. რაფაელას სმენას მუსიკის ხმა მისწვდა და საოცრად ააღელვა. ცოტა დაბნეული და შეშინებული კი ჩანდა, - თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, არასოდეს ენახა ამდენი ახალგაზრდა ერთად შეკრებილი, თანაც ასეთი მხიარული და ლაღი, სასახლეში ხომ მხოლოდ კარგ მანერებს და თავის ღირსეულად დაჭერას ასწავლიდნენ. ასე გულიანად, აგერ, ის გოგო რომ კისკისებდა, არც კი გაუცინია.

ვარდია თავს შინაურულად გრძნობდა, თითქმის ყველას ესალმებოდა. დარბაზში უცხო გოგონების გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, მით უმეტეს, რომ რაფაელა ძალიან ლამაზი იყო. მერე რა, რომ ძველი კაბა ეცვა, მაინც ყველასგან გამოირჩეოდა.

იგი კუთხეში იდგა და არ იცოდა, რა გაეკეთებინა. გასაჭირისაგან ვილაც ბიჭმა იხსნა, რომელიც მის წინ დაერჭო და საცეკვაოდ მიიწვია. რაფაელას, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა ბიჭის ასეთი სითამამე, ეს როგორ გამიბედაო, მაგრამ გაახსენდა, რომ აქ პრინცესა არ იყო. რა უნდა ექნა, დათანხმდა და მოცეკვავეთა წრეში შეერია.

არც ილა და ელა დარჩენილან უყურადღებოდ. შუაღამე ისე მოახლოვდა, გოგონებმა ვერაფერი ვერ გაიგეს - ისინი წრიალებდნენ წრეში, ცეკვავდნენ და ბედნიერების მწვერვალზე იმყოფებოდნენ.

შუაღამე გადასული იყო. ცაზე ბანანის მთვარე ეკიდა. რაფაელამ გადაწყვიტა, ცოტა ხნით შევისვენებო და დარბაზიდან გამოვიდა. ღამის ცივი ჰაერი ოფლით დაცვარულ შუბლზე სასიამოვნოდ მოელამუნა. იგი იქვე, გაზონის პირას მდგარ სკამძელზე ჩამოჯდა, თვალები დახუჭა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

უცებ ვილაცის უხეშმა ხმამ გამოაფხიზლა:

- ეს რა მშვენიერი თოჯინა გამოჩნდა... შენ რა, ახალი ხარ? - უტიფრად ჩაეკითხა ვილაც თავგასიებული და თვალებგადმო-



კარკლული ბიჭი, რომელსაც, როგორც ჩანს, თავი აქაურობის ბატონ-პატრონად მიაჩნდა.

რაფაელა აიწურა და არჩია, ხმა არ გაეცა. შენ რა, ენა გადაყლაპე? - უფრო უხეშად შეუტია თავგასიებულმა.

პრინცესა ახლა კი შეშინდა. გაქცევა სცადა, მაგრამ ბიჭმა გზა გადაუღობა და ისე გადაიხარხარა, ჭიანი კბილებიც კი გამოუჩნდა. რაფაელას ახლა საბრაზე მოაწვა ყელში და ამაყად შესძახა:

- როგორ მიბედავ! ახლავე მოშორდი აქაურობას!

ბიჭმა წინანდელზე უფრო ხმამაღლა გადაიხარხარა:

- მე მოვშორდე? ერთი შეხეთ, როგორ მედიდგულება? მიბრძანეთ, რით გემსახუროთ, ქალბატონო? - გამოაჯავრა მან და უტიფრად დაუხარა თავი.

- როგორ მიბედავ დაცინვას, მე სატკბილეთის პრინცესა ვარ, - ველარ მოითმინა რაფაელამ.

ამის გაგონებაზე ბიჭმა ისეთი სიცილი ატეხა, სულს ველარ ითქვამდა, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ იმეორებდა:

-ერთი დამიხედეთ, ამ ძველმანებში გამოპრანჭულ პრინცესას, კონკია!!!

სიცილით გული რომ იჯერა, თმებზე წაეტანა:

-თმები კი მართლა პრინცესას მიგიგავს.

პრინცესამ უხეშად მოიგერია მისი ხელი და სიბრაზისაგან წამოჭარხალდა.

-ახლავე თავი დამანებე, მომშორდი! - დაუყვირა მან აბეზარ უცნობს.

ხმაურზე ვილაც ბიჭმა მოიხედა, რომელიც შორიახლოს იდგა. მიხვდა, რომ თავგასიებული მოსვენებას არ აძლევდა საბრალო გოგოს, მივიდა და წყნარად უთხრა:

-რატომ აწუხებ გოგონას? თავი დაანებე!

-შენ ვინღა ხარ, პრინცი? -გაიკრიჭა ისევ უცნობი და ახლა მას მიუბრუნდა:

-ჩემს საქმეში ცხვირს ნუ ყოფ.

ბიჭი წამოენთო და კისერში სწვდა თავხედ მოსაუბრეს.

- ახლავე ბოდიში მოუხადე გოგონას და მერე აქაურობას მოშორდი, თორემ...

ხელი ისე მაგრად მოუჭირა კისერში, რომ თავგასიებულს თხოვნა არ გაუმეორებინებია.

- ჰო...ჰო... ბოდიშს გიხდით - ამოილუღლუღა შეშინებულმა.

- ახლა კი თვალით არ დამენახო, - გაუშვა ხელი თავგასიებულს უცნობმა ბიჭმა და მხოლოდ ამის მერე მიუბრუნდა რაფაელას:

-ხომ არაფერი დაგიშავათ?

-არა, ვერ მოასწრო - გონს მოეგო შეშინებული პრინცესა.

ის-ის იყო, მადლობა უნდა გადაეხადა უცნობისათვის, რომელიც მონუსხულივით მისჩერებოდა პრინცესას, რომ ვარდია და სეფე-ქალები დარბაზიდან გამოცვივდნენ და რაფაელასთან მიიჭრნენ:

რამდენი გეძებეთ, როგორ შეგვეშინდა... - ერთმანეთს არ აცლიდნენ.

- უკვე გვიანია, სახლში უნდა დავბრუნდეთ - განაცხადა ვარდიამ და არაფრის თქმა აღარ დააცალა პრინცესას! ხელი მოჰკიდა და თითქმის სირბილით გაუყვა ჩაბნელებულ ქუჩას.

“გამომშვიდობებაც ვერ მოვასწარი,” - გულდაწყვეტილი ფიქრობდა რაფაელა.

ჭაბუკიც დაღონდა. “ისიც ვერ გავიგე, რა ერქვა, ან სად ცხოვრობდა” - ფიქრობდა იგი და ჩაბნელებულ ქუჩებში დაეხეტებოდა.

## გადია ფუნთუშინა გოგონებებს სასახლეში დაბრუნებაში ეხმარება

გოგონებმა სასახლემდე შეუსვენებლად იარეს! მაგრამ სასახლის ეზოში შეპარვა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ახლა-ღა მიხვდნენ, რა გასაჭირში ჩაიგდეს თავი.

ალბათ, გახსოვთ, რომ კარამელიუსი მტრის დასახვედრად ემზადებოდა. ბრძანება გასცა, სასახლის ირგვლივ დაცვა გაეძლიერებინათ და ალაყაფის კარები საგულდაგულოდ ჩაერაზათ. ასე რომ , სასახლეში ახლა ბუზიც ვერ შეფრინდებოდა. “დავილუპეთო,” - ფიქრობდნენ გოგონები, თუმცა კარგად ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა. რაფაელა კი, სინამდვილეში არავის გახსენებია, რა თქმა უნდა, გადია ფუნთუშინას გარდა. მხოლოდ მან იცოდა პრინცესას სასახლიდან გაპარვის ამბავი, მაგრამ კრინტს ვერ ძრავდა, მეფეს რომ ეს გაეგო, საშინლად განრისხდებოდა და ქალიშვილს დასჯიდა.

კარგა ხნის ფიქრისა და დარდის შემდეგ ფუნთუშინას ერთი აზრი დაებადა: სასახლის გარშემო შემოვლებულ გალავანში დატანებული იყო საიდუმლო კარი, რომლის გასაღებიც სასახლის მთავარ მცველთან ინახებოდა. მცველი კი კედელზე ჩამოკიდებულ ყუთს ერთი წუთითაც არ შორდებოდა. ამ ყუთში რამდენიმე მწკრივად მიჭედებულ ლურსმნებზე სასახლის ყველა კარის გასაღები ინახებოდა. მართალია, მცველი დიდი ძილისგუდა ვინმე იყო, მაგრამ გასაღების ჩამოხსნა არც ისე იოლი საქმე გახლდათ.

ფუნთუშინა ფეხაკრეფით მიიპარა მცველის ჯიხურამდე და სარკმელში შეიჭყიტა. მცველი დროდადრო თვლემდა, ოდნავ ხმაურზე კი თვალებს დააჭყეტდახოლმე და აქეთ-იქით იყურებოდა. ასე თუ ისე, სასახლეში საგანგებო მდგომარეობა იყო და ცოტათი მაინც უნდა ეფხიზლა.

ფუნთუშინა საგონებელში ჩავარდა. უცებ მშვენიერმა აზრმა გაუელვა თავში. დაბრუნდა დერეფნის ბოლოში და იქიდან ყვირილით გამოიქცა მცველის ჯიხურისაკენ. მთავარი მცველი შეშინებული წამოხტა:

-რა მოხდა, მწერეთი შემოგვესია?

-არა, პრინცესას საყვარელი ფინია გამექცა. შეხედე, გარბის, იქნებ დაიჭირო, თორემ პრინცესა დარდით მოკვდება, - გაჰყვიროდა გადია. იგი ისე დამაჯერებლად იტყუებოდა, რომ მცველმა მიატოვა თავისი ჯიხური და იქით გაიქცა, საითაც ფუნთუშინა მიუთითებდა, თუმცა არანაირი ფინია არ დაუნახავს.

ფუნთუშინასაც ეს უნდოდა, გახსნა ყუთი, გასაღები მოიპარა, შემდეგ გააღო საიდუმლო კარი და გოგონების საძებნელად გაეშურა. დიდხანს არ დასჭირვებია ძებნა, საგონებელში ჩავარდნილი პრინცესა, მეგობრებთან ერთად, იქვე მდგარ ფანჩატურში მიმალულიყო და შეშინებული იჭვრიტებოდა ღრიჭოდან. ფეხის ხმა რომ შემოესმათ, გოგონები კიდევ უფრო შეშინდნენ, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ეს გადია იყო, გახარებულნი გამოცვივდნენ ფანჩატურიდან და ფუნთუშინას კისერზე ჩამოეკიდნენ. გადიამ მოკლედ აუხსნა, რაც სასახლეში ხდებოდა და კიდევ უფრო შეშინებული გოგონები სასახლეში ჩუმად შეაპარა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ილია ჭრელაშვილის და მამუკა ტყემელაშვილის ნახატები. კომპიუტერული დიზაინი ირაკლი ხილაშვილის




# რა ახარებს პატარას?

ზემოთ თქვენ ნახეთ, როგორ გამოიყურება ბრიტანული სათამაშოების საუკეთესო ათეული.

რაც მართალია, მართალია, ახალ წელს მრავალი სასიამოვნო განცდა უკავშირდება, მაგრამ განსაკუთრებული სიხარული მაინც საახალწლო საჩუქარს მოაქვს.

"საჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო", ნათქვამია, მაგრამ რა დიდი და უსაზღვრო აღტაცება, როცა ისეთ ნივთს გვაჩუქებენ, მთელი წლის განმავლობაში ოცნებად რომ გვქონდა გადაქცეული. ეს იცის თოვლის პაპამ და, უფრო ხშირად, სწორედ ისეთი საჩუქარი მოაქვს, როგორიც საჭიროა.

ვნახოთ, წელს როგორი ახალი წლის დილა გაგვითენდება, რას დამალავს კეთილი თოვლის პაპა ჩვენს საწოლ ოთახში.

თუ გაგიმართლათ და სწორედ ნანატრი საჩუქარი მიიღეთ, მოგვწერეთ რედაქციაში, გაგვიზიარეთ თქვენი სიხარული და სურვილიც, რას ინატრებდით მომავალი წლისათვის.

თამაშები პერსონალურ კომპიუტერზე

# ინტერნეტის ამბები



ახალი წლის წინა დღეებში ინტერნეტში შევამჩნიე ორი თამაში, რომლებშიც თოვლის ბაბუები არიან მთავარი პერსონაჟები. ELF BOWLING 3-ში დგას შემდეგი ამოცანა: ორ ნაძვის ხეს შორის გაბმული შურდულის მეშვეობით თოვლის ბაბუამ უნდა გადაისროლოს თავისი თანაშემწეები მოშორებით მდგარ მთებზე, რათა მათ დროზე ჩაიტანონ საჩუქრები შორეულ სოფლებში. თამაში სულ რაღაც 3.6 მეგაბაიტია და თავისუფლად შეიძლება მისი ინტერნეტიდან გადმოწერა.

CHICKEN X-MAS-ი კი გაცილებით დიდი მოცულობისაა (52 მეგაბაიტი) და მისი გადმოწერაც უფასოდ შეიძლება ინტერნეტიდან. ეს თამაში წარმოადგენს თოვლის ბაბუის თავგადასავალს ქათმების ქვეყანაში. აქაც მთავარი ამოცანა საჩუქრების დროულად დარიგებაა. თოვლის ბაბუას ამისათვის ბევრი დაბრკოლების გადალახვა უწევს და თქვენ მას უნდა დაეხმაროთ მისიის დროულად შესრულებაში.

ორივე თამაში იუმორისტული ხასიათისაა და კარგ განწყობაზე დაგაყენებთ.






# WHITEOUT



ახლა ვნახოთ კიდევ ერთი თამაში, რომელიც ზამთრის თემას უკავშირდება. ამჯერად თავი სტუდია KONAMI-მ გამოიჩინა. რბოლებში, თქვენ რომ მიიღებთ მონაწილეობას, შეგიძლიათ გამოხვიდეთ 12 სხვადასხვა სახის თოვლზე მავალი მოტოციკლით, რომლებიც წარმოადგენენ 900c კლასს, ანუ თითოეულის ძრავა საშუალოდ 70-100 ცხენის ძალის მქონეა და სავსებით საკმარისია ოდნავი უყურადღებობა, რომ მორიგ მოსახვევს ავცდეთ და სადმე თხრილში გადავიჩეხოთ. თამაშში არის სხვადასხვა ტიპის შეჯიბრი და მათ შორის - ქსელში შეჯიბრიც, რომლის საშუალებით ჩვენ შევძლებთ ვეპაექროთ საკუთარ მეგობრებს. გვეძლევა აკრობატული ნომრების შესრულების საშუალებაც. აქ მოგვიწევს ცეცხლოვან რგოლებში გაძრომა და კიდევ სხვა მრავალი სარისკო ნომრის ჩატარება.

*ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს* **5.2** *ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა)*







ყველა დროის ჰიტები

# SUPREME SNOWBOARD




სულ ცოტა ხნის წინ თბილისში მოსულმა თოვლმა გამახსენა თამაში, რომლითაც 5-6 წლის წინ დიდი სიამოვნებით ვერთობოდით მე და ჩემი მეგობრები. თოვლითა და ყინულით დაფარული გზები და ეზოები, სუსხით მჩხვლეტავი ყინვა, თოვლის პაპები, ლამაზი პეიზაჟები და ფერდობებზე დაფებით მოსრიალე ახალგაზრდები, - მოკლედ, ძალიან ბევრი მსაგავსება აქვს ამ თამაშსა და რეალობას.

Supreme Snowboard მართლაც ძალიან ლამაზადაა გაკეთებული, მოძრაობები დახვეწილია და ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ცოცხალ ადამინს მართავ, რომელიც აზარტულია და განიცდის ყველაფერს, რასაც ხედავს. იგი ღრმა ხეობაზე გადახტომის დროს შიშისაგან გულშემზარავად ყვირის და თითქოს, მუხლებიც კი უკანკალებს, რაც უფრო მაღალი სიჩქარით მივქრით, მით უფრო უჭირს თავის შემაგრება და ხშირ შემთხვევაში ეცემა კიდეც; როდესაც მთავარი გზიდან გადავდივართ და გზის მანიშნებელ დროშებს ველარ ვხედავთ, ვიბნევით, რადგან არ ვიცით, რომელია სწორი მიმართულება და ვცდილობთ, სადმე არ გადავიჩეხოთ. ყველაზე დიდ ემოციებს კი მოულოდნელად მოსახვევში გამოჩენილი, გზაზე მიყინული და თოვლით დაფარული მანქანა იწვევს, რადგანაც იგი პირდაპირ ჩვენს გზაზე დგას და საჭიროა ძალიან დიდი ძალიხმევა, რომ მას გვერდი ავუქციოთ.

ამ თამაშში რამოდენიმე რეჟიმია: 1. არკადა, რომლის დროსაც, უბრალოდ, ვსრიალებთ ჩვენს მიერ არჩეულ ტრასაზე; 2. ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენ თავიდან გამოვდივართ, როგორც მოყვარული სპორტსმენი და თანდათანობით უნდა გადავინაცვლოთ უფრო მაღალ ლიგაში; 3. პრაქტიკა, სადაც ვეცნობით ტრასებს და ვხვეწთ სრიალის მანერას. ცალკე აღნიშვნის ღირსია აკრობატული ნომრები, სადაც ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ლამაზად შევასრულოთ ნახტომი, რათა ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს გამოსვლას.

თამაშში რომანტიკული შტრიხიცაა შეტანილი. მოცემული ოთხი რეჟიმიდან (მზიანი დღე, თოვლიანი დღე, საღამო, ღამე) ვირჩევთ ღამის რეჟიმს და ვხედავთ ტრასას, რომელიც განათებულია ოქროსფერ-იისფერი სანთლებით, აქა იქ კი, კოცონთან, მაყურებლები დგანან და ჩვენს გამოსვლას უყურებენ. საერთო სასიამოვნო ფონის შექმნას თოვლის ხრაშუნის ხმაც უწყობს ხელს.





გვერდი მოამზადა ზურაბ ბოკერიამ

## კროსვორდი



ანასტასია ლოზვინენკოს ნახატი

შვეულად: 1) მხიარულების თანმხლები; 2) ნაძვის ხის წინაპარი საქართველოში; 3) დილა, შუადღე...; 4) გამხმარი ხილი; 5) საახალწლო ნუგბარი; 6) ფეხბედნიერი ადამიანი; 7) მოწნული ჭურჭელი; 8) ზამთრის ბოლო თვე; 9) საშობაო სიმღერა; 10) ფრთიანი ციური არსება, ადამიანის მფარველი; 11) ქარბუქი, ანუ...; 12) წლის პირველი თვე; 13) ახალი წლის მეორე დღე; 14) წყალი ნულ გრადუსს ქვემოთ; 15) ბრწყინვალე ქრისტიანული დღესასწაული.

თარაზულად: 3) თოვლის პაპას მოტანილი ...; 7) ტორტის მოსართავი; 8) ზამთარში მიწას ფარავს...; 16) ვინ იხსნა ცისკარამ დევებისაგან?; 17) იესოს დაბადების ადგილი; 18) კვირტით გამოყვანილი მცენარე; 19) ძველი ქართული სიმღერა, საახალწლოდ სამღერი; 20) ყინვის ...; 21) თოვლის გოგონა; 22) მთიდან დაცურებული თოვლი; 23) ტრადიციული საახალწლო კერძი; 24) საახალწლოდ მოსართავი ხე.

**შეადგინა თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის მოსწავლემ ანა ჯინჭარაძემ**




სოსო გუმბერიძის სკანვორდი

## ოქროს გასაღები



ანასტასია ლოზვინენკოს ნახატი

შეავსეთ კროსვორდი ისე, რომ შავ უჯრებში მიიღოთ მთავარი გმირის სახელი:

1) თოჯინების თეატრის მეპატრონე;
2) წურბელების მტერი;
3) მალვინაზე უიმედოდ შეყვარებული თოჯინა;
4) ბურატინოს მამილო;
5) კუ, რომელმაც ბურატინო ოქროს გასაღებით დააჯილდოვა;
6) ცისფერბაფთიანი გოგონა;
7) სანიმუშოდ აღზრდილი პუდელი;
8) ბრმა და ცბიერი კატა.

**კროსვორდი შეადგინა თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლემ ლევან გახელაძემ**

## წინა თავსატეხის პასუხები

### გამოცანები: „ანბანი-ფაუნით„

**ა**რწივი; **ბ**ატი; **გ**ედი; **დ**ათვი; **ე**ნოტი; **ვ**აცი; **ზ**ებრა; **თ**აგვი; **ი**რემი; **კ**ატა; **ლ**ომი; **მ**გელი; **ნ**უკრი; **ო**ფოფი; **პ**ონი; **ჟ**ირაფი; **რ**ოჭო; **ს**კვინჩა; **ტ**ოროლა; **უ**რჩხული; **ფ**უტკარი; **ქ**ორი; **ღ**ორი; **ყ**ანჩა; **შ**აშვი; **ჩ**ხიკვი; **ც**იყვი; **ძ**როხა; **წ**ერო; **ჭ**იამაია; **ხ**ოხობი; **ჯ**იხვი; **ჰ**იპოპოტამი.